


974/4

# სიხარული

გილოცავთ 8 პარტს!

3

1974



100



# სესია

202

გამოცემის მეთვრამეტე წელი

15281

3

მ ა რ გ ი

1974

თბილისი

საბ. კვ. ცვ.-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი



# შინაარსი

## ძმობის სიმღერა

- 3. ივანე თარბა. უმხავალი წერილი
- 3. გენადი ალაშია. შიტალი ამარშანი. ტაიფ აჭგა. რაულ ლასურიბ. ლემსიბი. თარგმენს გივი გიგემ-კორმა. გივი ძნელადემ. ვანო ჩხიკვაძემ. ტარიელ ჭან-ტურაძე
- 6. ხუტა გავუა. ლემსები
- 9. ჯანო ჯანელიძე. ლემსები
- 11. მიტინი მირნელი. ლემსები
- 12. ალექსი გოგუა. იელმ. მოთხრობა. თარგმნა ჭაბა ახათიანი
- 20. ჯუშა ახუბა. სალაც მილანს... მოთხრობა. თარ-გმნა ჭაბა ახათიანი
- 26. ნიკოლოზ კვიციანი. ფერფლი. მოთხრობა. თარგმნა ცილა არღაშელიძე

## გაზაფხულის სიმღერები

- 31. შედეა კახიძე. თამარ ერისთავი. ლილა სტივლია. ნანა გოგუაძე. ნაზი კიტია. ეთერ სანხარაძე-ჯღამაძე. ზინა სოლომონიშვილი. გზია ჩხეტიანი. მერი მიფელაური. ლემსები

## პროზა, კრეზიბა

- 39. ნელარ ღუმუაძე. უმაღლრი. მოთხრობა
- 50. თანვიუ კაპაშაძე. ლემსები
- 52. ოთარ ჩხეიძე. გორბაქი. რომანი. ვაგრძელება

## მ ა შ ნ ი კ ი

- 101. ნაზი ტარმელაშვილი. ლემსები
- 103. ცირა შალაშვილი. ლემსები

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

- 105. რომსოლიანა ზორიჩვაკი, ზურაბ მუშაშვიძე. ტარს შეგინაყო საპარტეზილოში კრახიბ ბანიკაშვიანი. ვაჟ თბილისის სომხურ რე-ვიოლუციამდე პრესაში
- 111.

## ახალგაზრდა მცენებრები „ცისკარში“

- 118. თამარ ინჯია. კონსტანტინე გავასაშვილი კარ-თული სალიტერატურო ენის შესაბამ
- 130. ივანე ჩხარტიშვილი. ბრძოლა რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ შურნალ „იმედის“ მიხედვით
- 138. გიულა ხუციშვილი. პასტორნაკი და მეოცე საუ-კუნის ქართველი კომედი
- 150. რუსულან ცინციშვილი. ლიონ ფიოკტან-ბერი „კინები ლესალ“
- 158. უკველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ნარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გუგუშვილი ახათიანი,
- აკაკი ბატრაძე,
- გივი გეგეჭორი,
- გურამ გვირგვინი,
- მერაბ ელიოზიშვილი,
- ბარლო კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია კახიკორია,
- (ახუხიხეძე მდივანი),
- ნუგზარ ფოფხაძე,
- ნელარ შულეისკერი,
- ტარიელ შანტოია,
- ნარგი შილაბა,
- თამარ ზილიაძე,
- ლაშა ჯანაშია.

# ქ ე მ ბ ი ს ს ი მ ჯ ე რ ა

ივანე თარგა

დღეს უურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე მომთხვენო ქართველი მკითხველი გაეცნობა ახალგაზრდა აფხაზი ლიტერატორების ნაწარმოებებს.

სხვადასხვანაირია მათი მწერლური მანერა, სტილი, მხატვრულად ასახვის საშუალებანი. ზოგ მათგანს მიდრეკილება აქვს ფილოსოფიური ჰერეტიკადმი, ფართო განზოგადებებისადმი, ზოგს კიდევ სატრფიალო ლირიკისადმი სწრაფვა ახასიათებს. თუმცა, სხვაობის მიუხედავად, ამ ავტორებს აერთიანებს თანადროულობის ღრმა შეგრძნება.

პროზაიკოსებმა ჯერა ახუბამ და ალექსი გოგუამ, რომელთა ნაწარმოებები პერიოდულად იცემა როგორც ადგილობრივი გამოცემლობა „ალაშარას“ მიერ, ისე მოსკოვსა და თბილისში, მკითხველი საზოგადოების დამსახურებული აღიარება მოიპოვეს.

უურნალის ფურცლებზე წარმოდგენილი ავტორებიდან ყველაზე ახალგაზრდას — გენო ალამიას ჯერჯერობით ლექსების ერთადერთი წიგნი აქვს გამოცემული, მაგრამ ამ ერთ წიგნშიაც ჩანს ახალგაზრდა ავტორის თვითმყოფი, ხალასი ნიჭი.

ყველა ავტორი თავისებურად საინტერესოა. საინტერესოა, როგორც სხვადასხვა ფერი იმ პალიტრისა, რასაც ფლობს აფხაზეთის ლიტერატურა.

იმედია, ისინი ქართველი მკითხველის უურადღებებსა და სიყვარულს მოიპოვებენ.

## გენალი ალამია

საავადმყოფოს კიბეზე შემხვდნენ მზიარული ბიჭები, რომლებსაც პალატიდან საკაცით მიცვალელებული გამოეტანათ და მიჰქონდათ.

იციო, რა მიგაქვთ მაგ საკაცით,  
იციო, თუ არა?

ის არის კიდევ ერთი ქვეყანა  
გამოსვეული უხეშ ბრეზენტში.

ერთი ქვეყანა დაღუპული და საკაცეზე  
მოთავსებული ერთი ქვეყანა.

ო, რა დიადი იყო იგი —

თავისი ცუდით,

თავისი კარგით.

ამ ქვეყანაში სხვანაირად იყო ყვავილი,

ცაც სხვანაირი  
და სხვანაირი იყო ქალი,  
ქალი ყველაზე საუკეთესო.

ქვეყანა გაქრა,

დაპატარავდა.

თქვენ იცინოდით,

იღიმებოდით

და ის ქვეყანა ჩემსკენ მოგქონდათ

და მე იმ კიბით,

რომელზედაც ის ჩაიტანეთ,

ნელა ავმალდით.

პირველ თოვლს სტკივა სხეული.  
ფეხს თუ დაადგამ, ჩვილივით კენესის.  
რიტუალია ჩვენთვის მუდამ პირველი  
თოვლი,  
თუ გაიარე, ნაკვალევით შეიბღალე.  
ცოტას თუ ესმის თოვლის კენესა.  
ვისაც არ ესმის,  
ჩვენზე უფრო მეტნი არიან.  
შეუბრალებლად ტკეპნიან ფეხით,  
აგუნდავენ და ერთმანეთს ისე ესვრიან  
და, ღმერთო ჩემო, თან იცინიან...  
პირველი თოვლი არის ცხოვრება —

წარმავალია, გვიდნება ხელში.  
რა ვუყო,  
კვალი ჭუჭყიანი რომ არ დააჩნდეს  
ო, რა ვიღონო,  
მე უძლური ვარ...

პირველ თოვლს სხეული სტკივა,  
ფეხს თუ დაადგამ, ჩვილივით კენესის.  
მოდის და მოდის ჩემთვის თოვლი,  
პირველი თოვლი,  
მე არ მსურს ჩემი ნაკვალევით  
შეებღალო იგი.

თარგმან ვივი ზავაძე-ორგა

## პიგალი ანარქანი

### ხანდახან ჭაქდეს, ელავდეს!..

როცა ლერწივით იგრიხება  
ბრიალა ელვა  
და შავ ღრუბლებში  
დაგრუხუნობს  
ელვა ეტლით —  
ცუდ კაცს ჰგონია:  
ღმერთი უთვლის  
კრულვას და წყევლას,  
მეხის რიდი აქვს,  
რადგან მეხი  
ცოდვიანს ელტვის!..  
ეს მე ხალხში მაქვს გაგონილი  
და ნათქვამს ვენდე;

თუ ეს ასეა —  
ძველად თქმულის  
მჯერა ახლაც კი:  
— ელავდეს!  
ჭექდეს!  
ქუხდეს!  
ჭექდეს!  
გრგვინავდეს!  
ჭექდეს! —  
რათა შიშისგან  
ცახცახებდეს  
ყველა ავკაცი!..

### ზამთრისპირი

მთებზე ღრუბელნი ბობლავენ,  
ქარი უბერავს ვერანი,  
ყრუ გმინვად ისმის ხანდახან  
კლდეებზე ტალღათ ძვერანი;  
ჩიტები აღარ გალობენ,  
მზის აღარ ჩანან ჩქერანი;  
არ ქათქათებენ მწვერვალნი,  
არ ხასხასებენ ველანი;

თოვს და ბალახნი ჰკვირობენ —  
რა ფერებია ე, რანი!..  
ჭალებში ყინვა ჭიხვინებს, —  
უჭმელ-უსმელი მერანი,  
ტყვიის ფერანი გამხდარან  
დღეები — ოქროს ფერანი...  
იმედად ისმის სოფელში —  
გადამღერ-გადმომღერანი!..

თარგმან ვივი ჯანაშვილი



### ცხოვრების ფურცელი

მომცეს ცხოვრების ფურცელი გვმით  
რომ მოვითავსო სიცოცხლე ჩემი —  
აზრი და ფიქრი, წუხილი, განცდა.  
ცრემლი, რამეთუ ტკივილით დამცდა.  
ცოტაა, ცოტა ფურცელი ერთი,  
(როგორ მოვითავსდე?)  
დამცინის ბედი.  
როგორ მოთავსდეს, რაცა თქვი ანდა  
ვერ თქვი —

გაგყვება ბოლომდე დარდად.  
როგორ მოთავსდეს საქმენი შენი,  
დროის სიმოკლით რაც ვერ შექმენი.  
თავს დაგვანკალე ერთადერთ ფურცელს  
და ძუნწად ვხარჯავ დღეებს და წუთებს.  
ხშირად იმედი რჩება იმედად.  
მიდის ცხოვრება და მიგნიასობს.  
სამწუხაროა თუ გამიმეტა  
დრომ და ფურცელი ცუდად შეავსო.



„ამომიშვი!“ განწირული  
ხმა მომესმის სიყრმიდან.  
ვერძნობ ხმა იგი ჩემი სულის  
მოტორტმანებს სიღრმიდან.

გაწამებულს გამდის ხვითქი,  
სულში რაღაც ისრჩობა.

ეს რა ხმაა?  
ველარ მიეხვდი  
ჩემგან ვერ შეიცნობა.

„ამომიშვი!“ ეს ხმა სხეულს  
ურუნტელად უვლიდა  
უხილავის ამოყვანას  
ვერვინ შესძლებს სულიდან.

თარგმანა ვანო ჩხიკავაძე.

### რაულ ლასუჩი

### მ ა ჭ ა რ ი

მინდა ადგილზე სირბილით გავცდე  
ბედნიერების უხილავ სამზღვარს:  
ვჭყლიტავ და ვჭინხავ ოქროსფერ მარცვლებს  
და საწნახელი მიაგავს შავ ზღვას

რას ეუბნება მტევანს მტევანი,  
მტევნებს მიჯრილი და მიჭუჭკული,  
ან ეს ფუტკარი — ნექტრის მღვეარი,  
ანდა ეს ქინქლა და პუჭუჭკური!..

ისე აზვავდა, ისე აჭაფდა,  
ისე დამშვენდა ფერით, ხორცითა,  
არა ქელესთა, არა ალაბთა —  
ეშხი იქნება მხოლოდ ქორწილთა!

და გვემუქრება ბიჭებს მაჭარი,  
რომ ძარღვებს ცეცხლად წაეკიდება,  
და საიდუმლო, გულში რაც არი,  
მთვარალებს ენებზე დაგვეკიდება!..

ჰო, მაგრამ ეს ზღვა, ეს საწნახელი  
სულ ერთი ყლუპით როგორ დაშრება!  
მეც, ერთი გავთქვა გულის ნაღველი —  
ასი უთქმელი გულში დამრჩება!..

ან რად მასწავლი, მაჭარო, დუმლის,  
შენ — ჭორიკანა შვილი მტვენების,  
როდესაც თავად საიდუმლო ხარ,  
გულში და ქვევრში დაუტვენელი!..

მე არც გიმტყუნებ! რა ვქნა, არ მიყვარს  
ღვინო და კაცი გულჩახვეული,  
ზღვასთან მიმაგდებს, მთაზე ამიყვანს  
მძლუ და მოქნილი შენი სხეული.

მინდა ადგილზე სირბილით გავცდე  
ბედნიერების უხილავ საზღვარს:  
ვჭყლიტავ და ვჭნისხავ ოქროსფერ მარცვლებს,  
და საწნახელი მიაგავს შავ ზღვას!..

თარგმანა ტარიელ ზანტურიამ

## სუკა გავა

### მ ზ ი ა

თოვლს მოვარღვევდი და ვცაცხახებდი.  
უცებ დათბა და სივრცე განათდა,  
როგორც მთვარიან ღამით — პალატა:  
მე მოვიგონე შენი სახელი.

ღიღება მზეს და მზით სავსე სახელს,  
შერწყმულს იმ ცხოველ და უშრეტ უუქთან,  
რომელიც ყველა მოკვდავს და უკვდავს  
უბრუნებს თავის ჭეშმარიტ სახეს!..

შენი სახელი და შენი სახეც  
აჩირადნებდა ყველაფერს ისე,  
რომ საცოდავად ეკერათ პირზე  
ყალბი ღიმილი შენიღბულ გლახებს:

იმ ღამეს სახლი ჰგავდა კარადანს,  
გაქურდულს ყველას თვალწინ თუ ცხვირწინ,  
და ისე იღგენ — აშკარა სირცხვილს  
თითქოს ფოთოლიც აღარ ფარავდა.

თავს მაინც თვლიდნენ ღვთის მსახურებად  
და ეს სინათლე აღარ მოსწონდათ,  
მე კი მსიბლავდა, როგორც კოცონთან  
უკანდახეულ ღამის ყურება.

იმ ჯადოქრული სინათლით სავსე,  
თავქარიანი ბიჭივით ცეტი,  
შენს სახელს მთვარის სხივებით ვწერდი  
ბედნიერების მეშვიდე ცაზე.



მე კარგად მასხოვს მხნე შეძახილი  
და მიჩქმალული ხმა მყუდროების,  
როცა ჩამოწვა ბინდი დროებით —  
შენი სახელი ჩაქრა ჭადვიით.

მე მომეჩვენა, რომ ყველა მრუდე  
კვლავ უმადლოდა ბედსა და იღბალს  
და შენი ჩამქრალ სახელის მიღმა  
აქებდა მხოლოდ საკუთარ ბუდეს.

ბრმად ისწორებდნენ ქალები კაბებს,  
ბინდში ცურავდა ზემო სართულიც,  
ქარს გაეგლიჯოს თითქოს მავთული,  
ან გაჩენოდეს ხანძარი კაბელს...

თავს აიწყვეტდნენ ლაჩრებიც, ალბათ,  
რომ უცაბედად შენი სახელი,

დილით, როდესაც ჯანსაღი ძილით  
სძინავთ ბედნიერ მოაგარაკეთ,  
მე და ირაკლი — მამა და შვილი —  
ვდგებით, ჩანთაში წიგნებს ვალაგებთ.

ირაკლიმ წერა ისწავლა უკეთ —  
პერანგზე ოდნავ აჩნია ლაქა,  
და, რა თქმა უნდა, დარწმუნდა უკვე —  
სკოლა სჯობია ბაღსა და ბაგას.

რითი სჯობია — ეს ყველამ იცის,  
ვინც მოისაზრა — ღირსია ჭების:

როგორც სინათლე თვალის ამხელი,  
არ მოფენოდა თამამად დარბაზს.

გლახები, როგორც მსდალი ლანდები,  
ვერ პოულობდნენ დასაყრდენს ისევ  
და საცოდავად ეკერათ პირზე  
განურჩევლობა, ნაძალადევი...

დაჯახებული მზესავით წყვილადს —  
მზია — უღრუბლო ზეცის დობილი,  
სინათლით სავესე, პირველყოფილი,  
და მშობლიური სახელი — მზია

თითქოს იმიტომ ბრწყინავს და ელავს, —  
ჩინიანია ის, თუ უჩინო —  
შუქი მოჭვინოს და მიუჩინოს  
მზისქვეშ კუთვნილი ადგილი ყველას.

არ აძინებენ სკოლაში დღისით,  
არ აძალებენ ფაფას და კვეთის.

სკოლის ეზოში შევდივართ ნელა,  
გვესმის: — ირაკლიც მოვიდა, ყოჩაღ!  
წარბებს ქვემოდან გვიყურებს ლელა,  
გარს გვეხვევიან მამუკა, გოჩა.

დარეკავს ზარი — ერთბაშად ყველა  
მოწყდება ადგილს და გაიჭრება,  
და ცალი თვალთ შენიშნავს ლელა,  
რომ შემატოვეს ჩანთა ბიჭებმა.

ღამით, როდესაც ეხილებათ ჭოტებს თვალები  
და დღის სინათლეს დაეძებენ, —  
ჩემს ფანჯარაში  
მწიფე ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ტოტივით  
ცა ირწეოდა.

რა ადვილია ვარსკვლავების მოწყვეტა ციდან,  
როცა ხელს გიწყობს ასაკი და  
ხარ გულუბრყვილო  
და თავბრუს გახვევს ჯადოსნური ნაყოფის გემო,  
გაურკვეველი —  
ზეციური —  
შეუცნობელი...

მე მთელი ღამე ვლიდინებდი...

როცა გათენდა,  
ხმას ჩავეუწიე,

რომ უეცრად არ დამფრთხალიყო

გლეხი,

რომელიც კირის ხსნარით ღებავდა ხეხილს.

## მ ჯ ა ხ ი

როცა უმთვარო, ბნელი ღამეა და მთელ სოფელში არ ყვეს ნაგაზი  
და ცხელ ღუმელთან,  
ჩემს მოლოდინში,

თავის ლეკვებთან ზის დედაკაცი,

უხმოდ ვჩერდები ჭიშკართან, სადაც  
ისე დანთქმულან ბინდში კაკლები,  
ალბათ, ფანჯრების შუქი რომ არა, საკუთარ სახლსაც ვერ მივაგნებდი.  
მე მიყვარს ამ დროს ჭიშკართან დგომა, თუმცა ცივა და ვიწვევ საყველს,  
მიყვარს სიბნელე, ან უფრო სწორად...

საკმარისია, რომ ჩაეახველო, —  
წამოხტებიან ჩემი ლეკვები, ოღონდ იმათაც დაასწრებს ცოლი:  
კარს გამოაღებს —

ქვეშ გამეგება გრძელი ხალიჩა —

სინათლის ზოლი.

## ქ ა რ ი

ღია ფანჯრებში —

მოულოდნელად! —

შემოიჭრება, როგორც მიმინო,

და ხელნაწერებს დაეძგერება, რომ ფოთლებივით ქვეშ გაიფინოს,  
ან თავი ჩარგოს.

ჩარგო კიდევაც. უხილავ ფრინველს ხელით ვიცილებ

და ისე ვუხმობ დაფანტულ ფურცლებს,

როგორც დამფრთხალი კრუსი, წიწილებს.

მაგრამ ამაოდ...

ცბიერი ქარი ამოწმებს ლექსის ყველა ვარიანტს

და ინტერვალს სტრიქონებს შორის — უკვირს, რომ მხოლოდ ინტერვალაია.

მე შიში მიპყრობს ყოველთვის, როცა აზრსა და გრძნობას ახურდავებენ,

როცა უკუღმა კითხულობს ქარი

წაღმა — ქართულად — ნაწერ ტაყებზე;

რაკი უკუღმა კითხულობს თვითონ. — დროს უმთავრესად ამაზე კარგავს,

მას ეჩვენება: მე ვმაღავ, თორემ სპარსულ ენაშიც ვერკვევი კარგად.

ღმერთო, უშველე ყველა უმეცარს! — სპარსული მართლა არ მისწავლია.

და მე არ ვიცი, ამ ქარბორიოს რით ვემსახურო..

ვწუხვარ ძალიან...

ის კი, უმწურო მათხოვარივით — თითქოს განძისთვის მიგნოს უცებს —

ხელს აფათურებს სანაგვე ყუთში და ამრიალებს დაჭმუჭნულ ფურცლებს.

ორი წელიც და თამამად  
გადავანტები ორმოცს,  
როგორც ბილიკი — ალაგეს,  
როგორც ირემი — ორმოს.

გამახსენდება — მწყურია,  
როდესაც იქვე ბოგირს  
გადაუჭროლებს გოგონა  
მხარზე შედგმული დოქით.

ისე საყვარლად ბიბინებს  
ყანა პურის და ქერის,  
ვიღაცა, მთლად უზრუნველი,  
ტყვამაღზე ზის და მღერის.

მე ყოველ ბუჩქთან ვიჩოქებ —  
ვეთხოვებოდე თითქოს;  
ნეტარო წუთო, გაგრძელდი,  
სხვა აღარაფერს ვითხოვ!

წლები თანდათან გვაჩვევენ  
სითბოდაკარგულ ღიმილს —  
ერთხელ იქნება, გაწყდება  
ყველა გზა, როგორც სიმი.

და მაინც ვიცი — მოკლეა  
გზა, დასახევი უკან, —  
წინ მთელი ძალით გვეწევა  
ერთი უცნობი შუკაც.

ო, ალბათ, იქაც ცაცხვები  
ეჯიბრებიან მუხებს  
და ნაღვლიანი ბილიკი  
სასაფლაოსკენ უხვევს.

და იჩხვლიტება ფერდობზე  
მზის უთვალავი ნემსით  
ღმერთივით გარინდებული  
ნაბადმოსხმული მწყემსი...

კიდევ ცოტაც და თამამად  
გადავანტები ორმოცს,  
როგორც ბილიკი — ალაგეს,  
როგორც ირემი — ორმოს.

ეტყობა, ნერგი სიცოცხლის —  
იქაც ძალუმად ჰყვავის  
და სულ ამოდ ყრანტალებს  
უბერებელი ყვავი.

## ჯანო ჯანილიძე

### მსგავსება

სიხარულიდან  
მწუხარებამდე  
დასაწყისიდან  
დასასრულამდე,  
უცბად წასულა  
რამდენი წელი  
და ჩანს შორეთში  
მდგარი შუადღე.

შენ ძველებურად  
თუ ისევ მელი,  
მოვალ, მოგიტან  
თოვლისფერ ვარდებს.  
რომ ეს შეხვედრა  
უკანასკნელი,  
იმ პირველყოფილ  
შეხვედრას ჰგავდეს.

### ფეა მომეახლა

მთელი სამყარო  
ცხადად ხედავს და ცხადად ისმენს,  
ვით მომეახლა  
მზე ღირესთან მუხლებმოყრილი,

თუმცა, ვით ბატონს,  
ვით მბრძანებულს, მექცევა ისე,  
უღონოდ ვქმნილვარ  
მე თავადვე მისი ბორკილით.



შეე მოშეახლა  
და გვირგვინი ოქროს დამხურა  
და ოქროს სხივთა  
უნვეულო მათოვა თოვა,

მაგრამ ძლიერი  
შენ გმსახურებს თუ შენ მსახურებ  
ეს სულ ერთია,  
მაინც შენ ხარ იმისი მონა.

### ღია საფლავი

მიმოკარგული, ვით ბილიკები,  
ჩემამდე მოდის მთის მოძახილი,  
ეს მერამდენედ დღეს ისევ ვკვდები  
ქეთელაურის მძიმე მახვილით.

მაგრამ ლეღვი მოვა, დამაფენს  
ნაჭრილობებზე დეკას და ღვიას...  
წამოვდგები და წავალ წარაფებს  
და უკან რჩება საფლავი ღია.

### ესიზმრებოდა

ესიზმრებოდა...  
ცა იყო მისი  
უმსუბუქესი ლურჯი სამოსი,  
ესიზმრებოდა...  
ფერმკრთალი ნისლი,  
დრო მიმწუხრის და მთვარის ამოსვლის.  
ესიზმრებოდა...  
ნედლი ბალახი  
გადათელილი ვნებით და თრთოლოვით,  
ესიზმრებოდა...  
ფიქრით გადაღლილს  
გადაუსვლელი მდინარის ფონი.

ესიზმრებოდა...  
უსაზღვრო სივრცე,  
თებერვლის თოვლი,  
აპრილის წვიმა,  
ესიზმრებოდა...  
და ლამაზ სიზმრებს  
დარაჯად ედგა ვარსკვლავთა ბრწყინვა.  
ესიზმრებოდა...  
მიმწუხრის ზარი  
და ფეხშიშველა მეზობლის ცირა,  
ესიზმრებოდა...  
მსგავსი სიზმარი  
ყმაწვილს არასდროს ენახა წინათ.

### იყო სიზმარი

სულ სხვანაირი იყო ის მხარე,  
ის გაზაფხული, ის მაისობა,  
არყის ტყეებში მცურავი მთვარე,  
ბოშა ქალი და მისი მისნობა.  
სულ სხვანაირი იყო ის წელი,  
მინდორსაც სულ სხვა ჰქონდა სურნელი,  
ამდერეზული ვარსკვლავთა ლელი,  
ბევრის მხილველი,  
ბევრის მსურველი.  
და სურნელემა ძოწისფერ თმების  
რომელსაც ნისლში არხევდა ქარი,

პატარა ქალი თოვლისფერ მხრებით,  
რომ ჰგავდა მინდვრის უნახეს ყვავილს.  
საით წავიდა ან ვის მიენდო,  
ო, ნეტავ ვისთან იპოვნა ბინა?  
შენ გეკითხები, მრისხანე ბედო,  
მისი ვარსკვლავი ჩაქრა თუ ბრწყინავს?  
სუყველაფერი იყო სიზმარი,  
იყო სიზმარი ლურჯი და ვრცელი  
და დღეს ლოდინით დაქანცულ ყვავილს  
მოგონებათა ასველებს ცრემლი.

მიბიძგა... ალბათ სურდა ძალიან —  
 დღის სინათლიდან ღამის სიბნელეს  
 შევერთოდი, როგორც ბინულის ჭავლი  
 სხვა ჭავლს — საცაა რომ გაქრეს უნდა,  
 ეს ყოფილიყოს თითქოს ისე უბრალო რამე,  
 როგორც ხიდიდან მდინარეში გადაძახება  
 ცურვაში კარგად გაწაფულ ბიჭის. —  
 მიბიძგა, მაგრამ რას იფიქრებდა,  
 რომ მთელი ჩემი დღე და მოსწრება  
 ვარ დედამიწის დიდი სიბრძნით განცვიფრებული:  
 მარად და მარად სიყვარულით გახელილ თვალებს  
 მზეს უსწორებენ მზესუმზირები.

ჩიტი-ჩიორა იმ ტოტიდან აფრინდა გუშინ,  
 გულში კი არა, ჩამრჩა დარდად ის გულისგულში.  
 ყვავის გუნდივით თუმც ღრუბელი ეშვება მთიდან  
 და ცის თაღებსაც, ცის ტატნობებს აწყდება რეში,  
 ვისაც ერთ დღეში საუკუნის ცხოვრება გინდათ,  
 მოდით, ჩიორას ჩემთან ერთად ელოდეთ ტყეში!..  
 არა ჩანს იგი... და წუხილსაც არ უჩანს ბოლო,  
 ბოლოს და ბოლოს, ვიცი, სადღაც წყდება გზები,  
 მაგრამ თუ მართლა ლოდინია ცხოვრება მხოლოდ,  
 დავრჩები აქ და მეც ფესვივით ტყეს შევეზრდები.

ჯერ დაუბერა თბილმა პირქარმა,  
 შემდეგ ამიტომ დიდხანს იწვიმა,  
 გვიან, როდესაც გადაიკარა,  
 ამოიწვერა სოკო მიწიდან. —  
 ზეცის ნაჟური ებნია გულზე,  
 მიმოიხედა გარშემო მორცხვად,  
 თავს ზემოთ — არცკი ელოდა როცა —  
 ტყის შარიშური მოესმა უცებ.  
 რა არ იფიქრა? შეწუხდა მეტად:  
 „რა ამბავია ჩემს თავზე, ნეტავ?“

ტყის ჩურჩულს ყური მიუგდო ისევ,  
 ზევით ახედვა მოუნდა მყისვე, —  
 ვაი, რა კარგი სურვილი ჰქონდა,  
 მაგრამ ახედვას უშლიდა ქოლგა,  
 რომელიც თავზე ესურა ახლა  
 და აბნელებდა ყველაფერს მაღლა;  
 და ვიდრე რამეს მოისაზრებდა,  
 გამოჩნდა უმალ გზა ოკრო-ბოკრო  
 და მიხვდა ბოლოს საბრალო სოკო:  
 არ გაჩენილა ცაში სამშერად.

# ი ა ლ ი

ამბობენ, იელის ყვაილებს  
უბედურება მოაქვსო.

ყოველ დილით გზაჯვარედინთან ხვდებოდნენ, გოგო ჩრდილოეთიდან მოდიოდა, ერთი ბიჭი — აღმოსავლეთიდან, მეორე — დასავლეთიდან.

იმ დღეს უჩვეულოდ ადრე მოიყარეს თავი. მთელი ღამე განუწყვეტლად თოვდა. გარემო ისე გადასხვაფერდა, თითქოს თოვლთან ერთად დედამიწაზე სხვა, იდუმალი ქვეყანა ჩამოსახლებულიყო. განძარცული, დასახირებული მინდვრები, ტყეები, ატლახებული, დაღრანტული გზები — ყველაფერი თეთრ, უბიწო თოვლს დაეფარა. მხიარულად ბოლაგდნენ სახურავებზე დასკუპული საკვამურები, თითქოს ზეციურ ხომალდებს ახალი დედამიწა ჩამოეტანათ. ბუხრებში ცეცხლი ბუბუნებდა. სითბოში ნეტარებით მთვლემარე კატის თვალებიდან ტკბილი ზღაპრები იმზირებოდნენ.

სულ სხვა იყო ქვეყანა.

გზაჯვარედინთან შეხვედრილნი ერთხანს მდუმარედ, მოწადიებულებივით იდგნენ. თოვლიან მინდორზე ფრინველთა ნაფებურების მეტი, სხვა კვალი არსად ჩანდა. გზებიც თოვლს გადაეფარა. ჭერ არავის გაველო.

გზაჯვარედინთან არსად იყო გზის მაჩვენებელი:

ჩრდილოეთისაკენ...

სამხრეთისაკენ...

აღმოსავლეთისაკენ...

დასავლეთისაკენ...

ხმა არსაიდან ისმოდა, ქვეყანა და მუნჯებულიყო. ვით სამყაროს შექმნის დღეს, იდუმალი და ჭერარანახული იყო ყოველი.

თოვლქვეშ ტალახი ეგულებოდათ და მინდორს დაადგნენ, მუხლებამდე თოვლს მიკვალავდნენ. ცოცხალი იყო ხელუხლებელ თოვლზე სიარული. სამივე უჩვეულოდ გრძნობდა თავს. შეხაროდნენ თეთრ საოცრებას, მაგრამ ამ ალტაცებას რაღაც ბუნდოვანი შიშიც ერთვოდა. ეს შიში ძლივს შესამჩნევი ნეტარი გარინდებით იწყებოდა, მერე ეს განცდა იზრდებოდა, ეჩვენებოდათ, რომ წონას კარგავდნენ და ნეტარი გარინდება ისე იპყრობდა, როგორც პაწია ღინდლს უსასწვროების ჩქარი დინება. ამ დროს ეგონათ, თეთრი თოვლიც უსასწვრო იყო და სკოლისაკენ კი არ მიდიოდნენ, რომელიღაც დათოვლილ, უცნობ სამყაროში მიაბიჯებდნენ, სადაც კაცთაგანს ჯერ არ დაედგა ფეხი. წამი ილეოდა, კვლავ უბრუნდებოდნენ მიწას და უფრო მეტად გრძნობდნენ სხეულის სიმძიმეს.

აღმოსავლეთიდან მოსული ბიჭი გამხდარი, აწოწილი და ფერმკრთალი იყო. დასავლეთიდან მოსული კი, პირველზე დაბალი ტანისა, მაგრამ ლოყაწითელი ჯირკუტანა. თოვლს შეუბოვრად მიაპობდა, დაბურცული წითელი ტუჩები მაგრად მოეკუმბა, თითქოს ვინმეს უბრაზდებოდა. აწოწილმა კარგახანია შეამჩნია: მოკუმულ ტუჩებში დიდხინით ადრე მომარჯვებული, გადამწიფებული ფრაზები გამოეკეტა. განრისხებული კაცი ხშირად საფანტივით ისვრის ხოლმე უაზრო, მაგრამ მტკივნეულ სიტყვებს...

აწოწილი გრძნობდა, უცილოდ უნდა ელონა რამე, საქმე იქამდე არ უნდა მი-

ეყვანა, რომ შეკავებული ბრაზი იმ უაზრო „საფანტივით“ გამომსხლტარიყო და ვინმეს სამუდამოდ ჩარჩენოდა გულში.

... რა ხანია თოვლი არ მოსულა! რა საოცრებაა თოვლი!

აწოწილ ბიქს კიდევ სურდა ისეთი რამ ეპოვა, რაიც თოვლის გამოცანას ამცნობდა. ბევრს ჭკადა, მაგრამ ვერაფერს მიაკვლია და დაღლილმა ძებნა შეწყვიტა. საკუთარი უძლურობის გამო ტკივილს გრძნობდა, იტანჯებოდა...

... იქნებ ყველაფერი თოვლის ბრალია... ვერც ვაზომავ, ვერც აწონი... მაინც რახანია არ მოსულა... კიდევ კარგი, მოვიდა, თანაც ასე ზვავრიელად.

გოგო მათი თანატოლი იყო. სამივე სკოლას ამთავრებდა. გაღზვება, წაევა თეთრი თოვლი და დამბალი, გაუქიფინებული მიწა მალე გადამწვანდებდა. ხოლო როცა გაზაფხული მინდვრებს ნაირფერი ყვავილებით მიმოქარავს, გოგო საზაფხულო ფორმაში გამოეწყობა და გზაჯვარედინთან მომლოდინე ბიჭები შორიდანვე შეამჩნევენ დიდ, თეთრ პეპელასავით მოფრიალე წინსაფარს. ამ გაზაფხულზე სკოლას დაამთავრებენ. გოგო სამუდამოდ გამოეთხოვებოდა თეთრ წინსაფარს...

გაოცებული შესცქეროდა თოვლით გადაბრწყინებულ არემარეს, მოშვილდული წარბები ზე შეეყარა და ბიჭებს შორის მოაბიჯებდა სანდომიანი, ტანწერწეტა გოგო.

აწოწილა რიგრიგობით გადახედავდა ხოლმე მეგობრებს, მერე მოგონებები ეძალებოდა, მერე უცებ მოჩვენებოდა რომელიღაცა ყვავილის სურნელი... ცხადად გრძნობდა იელის ყვავილთა სურნელს... ნელი, ამო იყო ეს სურნელი...

„ეტყობა, მოგონებების ბრალია, — გაიფიქრა აწოწილმა. — თორემ რა დროს იელია ამ ზამთარში?“

— გახსოვს, იელის გულისთვის ბავშვობაში რა დღე დაგვადგა? — ანაზღად ჰკითხა აწოწილმა მეგობარს.

ჯირკუტანამ კი, თითქოს ხმის ამო-

ღებისა ეწინაო, ტუჩები უფრო მაგრად მოკუმია.

— არც ეს ვახსოვს?! მე კი დღის დღესავით მახსოვს...

აწოწილს მოეჩვენა, რომ დასავლეთიდან მოსულს გზა-გზა გადაეთელა ყველაფერი და უკან უსინათლო მღვიმესავით უტყყვი ბავშვობა დაეტოვებინა. ამბობენ, ამნაირთათვის ცხოვრება — აქსიომააო, ყველა ნაბიჯი გაანგარიშებული აქვთ და ჩავლილ გზებს უფარვისი ფეხსაცმელებივით გადააპყრიან ხოლმე.

და მაინც გული სტკიოდა აწოწილს, მეგობარზე აუგს რომ ფიქრობდა.

... თითქოს დღეს სულ სხვა თვალთ შეხედა მეგობარს.

თვითონ დიდი მზრუნველობით ეპყრობოდა წარსულს, ჩავლილს... მათი ნაცნობობის მანძილზე, რამდენი ავი თუ კარგი უთქვამს მისთვის თანაკლასელ გოგოს, შეიძლება ის სიტყვები ყველას გადაავიწყდა, გოგოსაც აღარაფერი ახსოვს. თავად კი... როცა მოესურვება, სანთელივით აანთებს ხოლმე... ათას სანთლად...

დიდ, გაფთოლილ ბაღში ჩამდგარი თეთრი სახლი შორიდანვე მოჩანდა. იმ სახლში გოგო ცხოვრობდა. ხშირად, ღამ-ღამობით (მხოლოდ ღამ-ღამობით) აღმოსავლეთიდან მოსულ ბიქს ეჩვენებოდა, იმ სარკმელს, რომლის მიღმაც გოგო გაკვეთილებს სწავლობდა, მთვარის მქრქალი შუქით განათებული იდუმალი არსება ეპარებოდა. მერე მთელი ღამე კოშმარები სტანჯავდა. დილით ლოგინიდან წამოხტებოდა, პირზე წყალს შეისხამდა, ხელდახელ მოეშაბებოდა და ცალკე უძილობისაგან და ცალკე ღამეული ზმანებისაგან ფერმიხდილი იმ გზაჯვარედინისაკენ მიიჩქაროდა, სადაც მუდამ იკრიბებოდნენ.

როგორც კი თვალს მოჰკრავდა უენებელ, ხალისიან გოგოს, სულს მოითქვამდა და ივიწყებდა უსიამო ღამეულ

ალექსი გოგუა  
იელი

ჩვენებებს... ხუმრობდა, მასხარობდა, იცინოდა. ხანდახან გოგო მოთმინებიდან გამოვიდოდა, მუშტებს მოუღერებდა. აწოწილი მხოლოდ შორიდან ხედავდა გოგოს სახეს უწყინარსა და მომლიძარს. როგორც კი მიუახლოვდებოდა, გოგო მაშინვე გამოიწვევდა შეიმართებოდა, სახე ეცვლებოდა, მზად იყო ბიჭისთვის არაფერი დაეთმო. ანაირ გოგოს იგი უკეთ იცნობდა, მისთვის უფრო ახლობელი იყო და მხოლოდ ასეთი ენატრებოდა, როცა უცებ ორი-სამი დღით განშორება უწევდათ.

ჭირკუტანა კი დღითი-დღე მშვენივრად, გარდევით უღვიოდა ლოყები, სულ უფრო შესამჩნევად კოხტობდა. ადრე წვებოდა, კარგად ეძინა, ასე რომ, შეხვედრისას გოგო, სურდა თუ არა, თვალს ვერ აშორებდა. დასავლეთელი მუდამ ცდილობდა უადგილოდ არაფერი ეთქვა. ლაპარაკის დროს ეტყობოდა, ზედმეტ მოძრაობას ერიდებოდა. გოგოც უღიმოდა, ეხუმრებოდა — ყოველივეს ძალაუნებურად სწონიდა, ადარებდა.

აწოწილს არ უყვარდა გოგოს სახის ის გამომეტყველება, რომელსაც ჭირკუტანას მიაპყრობდა ხოლმე. ასეთ დროს აწოწილს ეჩვენებოდა, რომ გოგოს არსებაში ერთი კი არა, ორი ადამიანი სახლობდა.

აწოწილმა კარგახანია შენიშნა, ხანდახან გოგოს სახე მისთვის სრულიად უცხო იყო... საოცარია, მაგრამ გოგო მაშინ იცვლებოდა, როცა აწოწილს ვინმე შეაქებდა, ან რამე ძნელ კითხვას უპასუხებდა, ანდა რამეს ისეთს შეიძლებოდა, რის გაკეთებაც სამთავან მხოლოდ მას ძალუძდა. და აწოწილმა დაასკვნა, ასე იმიტომ ხდებოდა, რომ მას ყოველთვის აქებდნენ, სადაც იყო და არ იყო საჭირო... თვითონ სულაც არ უნდოდა, ხანდახან თავსაც აბეზრებდნენ... ეტყობა, გოგოსაც ეჩოთიერებოდა იმისი ამდენი ქება.

მაინც როგორ გარბის დრო, თითქოს გუშინ მიუჭდა გოგო მერსს, დღეს კი...  
... უჩვეულო, თოვლით გარდაქმნილ,

თითქოსდა ვატყორცნილ ჰორიზონტს შესტკეროდა აწოწილი. მაშინ დადგებოდა ის ნეტარი წამი, გული ფანცკალს იწყებდა. იგი თანდათან წონას კარგავდა, თითქოს იტაცებდა თავბრუდამხვევი სისწრაფით მქროლი დრო — უსასრულობა... და მაშინ აუტანელი ეჩვენებოდა თოვლის ხრამხარტში, ყოველი ნაბიჯების გადადგმას რომ მოსდევდა. იელის ყვავილთა სურნელიც თანდათან ძლიერდებოდა, სუსხიან, სუფთა ჰაერს მოჰყვებოდა, მაგრამ კარგად იცოდა, ახლა ამ სურნელზე ლაპარაკიც კი სიგიჟე იყო, თუმცა ისე ცხადად გრძნობდა, ისე ცხადად...

აწოწილი გრძნობდა, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა, რამე უნდა მოეთქვებინა, ვინმეს უნდა მიხმარებოდა... იქნებ, ყველაფერი თოვლის ბრალია, ან იქნებ იმისა, რომ დღეს ერთხელაც არ გაუხუმრია, არ გაუცინია?..

— ნეტა... — ანაზღად შედგა აწოწილი. — მადლობა ღმერთს, მთელი ქვეყნის სამყოფი მოთოვა, ჩვენ კი, თითქოს ხელის ხლება გვეშინია...

თანამგზავრებიც შეჩერდნენ, თითქოს პირველად დაინახეს, დაბნეულებმა დაახედეს თოვლს.

— დღეს გამოჩნდება, ვინ ვის! — შესძახა აწოწილმა და ჩანთა თოვლზე დააგდო. ზედიზედ რამდენიმე გუნდა ესროლა გოგოს.

გოგომ ჭიქურ შეხედა ბიჭს და იმანაც ჩანთა თოვლზე დააგდო:

— შენ გგონია, იოლად დამამარცხებ? არც ეგრება საქმე!

გოგომ ის გამომეტყველება მიიღო, რომელსაც ბიჭი სცნობდა, მოსწონდა. ანაზღად აწოწილი კარგ გუნებაზე დადგა, ახლა უკვე ძალიან უნდოდა გუნდაობა, თუმცა თავიდან არცთუ ისე ეხალისებოდა, მოძალებული სევდის გასაქარვებლად უფრო წამოიწყო თამაში. ახლა განზრახ იქცეოდა ისე, რომ გოგო იოლად დასწეოდა, გუნდების სეტყვა დაეშინა. გოგო იცინოდა, წამდაუშუშებ ფეხი უცურავდა, ეცემოდა და მალე დაიქანცა. აწოწილმა იღროვა, მი-



გურა და სანამ გოგო უმწეოდ იბრძოდა, თოვლი შეაკაპა:

— დილაობით აუცილებლად უნდა დანაყრდ!

მერე გაეცალა და შორიახლო გაჩერდა, სულის მოთქმა აცალა.

ჯირკუტანა ერთ ადგილზე იტკებნებოდა, არ იცოდა, რა ექნა. იოლი იყო მისი ჩათრევა, რამდენიმე გუნდას ესროდა და... მაგრამ აწოწილი იცდიდა, აინტერესებდა, იმას რამდენ ხანს ეყოფოდა მოთმინება. იგი ხომ დაუფიქრებლად არაფერს მოიმოქმედებდა, მუდამ მიზეზი სჭირდებოდა, თანაც ნაღდი... უმიზეზოდ რად უნდა ეგუნდავა?!

გოგო აწოწილს დასდევდა, ბიჭი სულ ახლოს მიუშვებდა ხოლმე, უნდოდა მისი დაწითლებული ხელებისთვის თვალი შეეგლო, იმისი თმის სურნელი ეგრძნო...

არაჩვეულებრივი, გასაოცარი სიცილი იცოდა გოგომ. სხვა ვინ იცნოდა ასე... და ეს ღიმილი აწოწილს ეკუთვნის, მისი საუხვეა, და როცა დასჭირდება, როცა მოენატრება, ჯადოსანივით გამოიხიზნება და ყოველივე კვლავ გაცოცხლდება, ათას სანთლად აინთება...

— ორივე შოდით, სულერთია ჩემთან მართო ვერაფერს გახდები!

მაშინ ჯირკუტანამ საომარი ყიყინა დასცა. ეტყობოდა, მოეჩვენა, თითქოს მეგობრებმა მიატოვეს, გადააეწყდათ მისი არსებობა. ყიყინა იმ ფრაზებით თუ იყო შეზავებული, კარგახანია მაგრად მოკუშული ტუჩები რომ აკავენდა. მაგრამ თამაშით გართულებს არაფერი გაუგონიათ, გახურებული სისხლის დღღვას ისე გაეყრუებინა ისინი, როგორც ხეობაში შემოვარდნილი ადიდებული მდინარე აიკლებს ხოლმე გრუხუნით იქაურობას.

— ეგრე, ეგრე, სწორედ მიმიხვდით, ორივემ ერთად, აქამდე თავს სულ ტყუილად იკავენდით! — აწოწილს უხდოდა, უფრო მეტად გაეხელებინა ჯირკუტანა.

თვითონაც არ ესმოდა, დღეს რამ მოანდომა ასე ძლიერ დასავლეთელის

გამოწვევა. სხვა თუ არაფერი, ფიქრობდა აწოწილი, თოვლი წავა, ეს ამბავი კი მოსაგონრად მაინც დარჩებათ, მოსაგონრად და სასაცილოდ...

მაგრამ მაინც ეჩვენებოდა, რომ ნამეტანი ცდილობდა ჯირკუტანას გაღიზიანებას, წუხდა კიდევ, თუმცა თავის დაოკება აღარ შეეძლო.

აგერ ისიც, სადაცაა დაეწევა, შურდულივით მოჰქრის, მაგრად დაგუნდავებული, ყინულად ქცეული თოვლი ჩაუბლუჯავს, აწოწილი გაურბის, ხელიდან უსხლტება და როგორც კი იდროვებს, მარჯვედ უტევს.

გოგოს ბრძოლის გაგრძელების თავი აღარ ჰქონდა, შედგა და გათოშილ, დაწითლებულ ხელებს გულდაგულ იორთქლავდა.

— რა მოგივიდათ, ხომ გითხარით, ორივემ ერთად მეთქი, ორივემ ერთად! აწოწილმა დინახა, როგორ ასისინდა ჯირკუტანა. ეტყობა, გზას აძლევდა საჭიროზე მეტ ხანს შეკავებულ უაზრო გამაგებას. რამდენჯერმე მოიქნია ხელი, ყინულის ნატეხებად ქცეულ გუნდებს პირდაპირ თავში უმიხნებდა აწოწილს, თუმცა მიზანს ვერა და ვერ აღწევდა.

გამაგება ხელს უშლიდა. „ნეტა ასე რა აბრაზებს, ჩვენ ხომ ვთამაშობთ?!“ — ფიქრობდა აწოწილი, გუნდებს მარჯვედ არიდებდა თავს, გარბოდა და ის საშინელი გუნდები — ყინულის ნატეხები პატარა ქურვებივით ჩაუქროლებდნენ ხოლმე ზუზუნით.

ბოლოს, როცა ჯირკუტანა სულ გადაიარა და ზედიზედ რამდენჯერმე აცდინა მიზანს, აწოწილმა თავი ვეღარ შეიკავა და გადაიხარხარა.

გააფთრებულ ჯირკუტანას თოვლზე ფეხი უცურავდა და ეცემოდა.

მაინც ასე რად ბრაზობს, ჩვენ ხომ ვთამაშობთ... ნეტა, გოგო რამ გააჩუმა, რად არ იცინის, ეს ხომ სასაცილოა, აბა,

ალექსი გოგუა  
იელი



საქართველოს  
ქვეყნული  
ბიბლიოთეკა



საწყენი აქ რა არის, ჩვენ ხომ ვთამაშობთ...

გოგონა დუმდა...

თუმცა სჯობია კიდევ, რომ არ იცინის, თორემ შეიძლება ჯირკუტანა მართლა გაბრაზდეს, განაწყენდეს, ძალიან ფხუიანია...

აწოწილმა რატომღაც კვლავ იგრძნო იელის სურნელი... წამით დაყოვნდა. და სწორედ მაშინ მოეჩვენა, თითქოს სხეულში ზრიალით ჩაემსხვრა შუშა და თვალთავან წყვილ შადრევანდ წამოსცივიდა ნაპერწკლები: მოწინააღმდეგემ როგორც იქნა, მიზანს უწია.

„ძალიან მაგარი გუნდა იყო, ყინულის ნატეხს უფრო ჰგავდა“, — გაიფიქრა აწოწილმა, მაგრამ თავს დაყოვნების უფლება არ მისცა, მაშინვე საპასუხო გუნდა ესროლა და უკუიქცა.

— რას იზამ, თამაში — თამაშია... — გაეღიმა აწოწილს.

— ...თამაში-ბამაში... — უცნაურად ბურტყუნებდა ჯირკუტანა და დაჭრილი ტახივით ბორგავდა თოვლზე, ცდილობდა მოწინააღმდეგესათვის ერთხელ კიდევ მოეხვედრებინა თავისი პატარა ქურვი.

აწოწილი ცქვიტი იყო და არც ბრაზი ახრჩობდა. არაფრად უღიზიანებდა მოწინააღმდეგის გაცურება, გაღიზიანება, გამაგება და თვალის ახვევა.

კვლავ ტრიალებდა იელის სურნელი... საოცრება იყო...

... მაშინ პატარები იყვნენ. გაზაფხული კარზე იყო მომდგარი, თუმცა ყველაფერი, რაც უნდა ამწვანებულიყო, აყვავებულიყო, ჯერ ისევ შიშვლად იდგა. გაზაფხულის მოალერსე მზე ჩახჩახებდა. ბიჭებმა სათამაშოდ ჭალას მი-აშურეს. იქ ნაირფერი პირველი პეპლები ირეოდნენ. მალა-მალა დაფრენდნენ, და ბიჭები შურით შესცქეროდნენ, ძალიან უნდოდათ დაეჭირათ, ახლოს ენახათ, მაგრამ პეპლები მიუწვდომლად დაფარფატებდნენ. ბიჭებმა კამკამა, მოჩუხჩუხ ღელე გატოპეს და მზით დაფერილ ფერდობზე ავიდნენ, იქ მეტი იყო პეპელა, თანაც დაბლა დაფრინავდნენ...

იმ ადგილს კარგა გვარიანად დასცვივდნენ. სადაც გოგო იდგა და იცდიდა...

— არ გრძნობ იელის სურნელს? — იკითხა აწოწილმა, თავი უკან გადაიგდო და ჩაისუნთქა. — არ ვხუმრობ, მართლა ვგრძნობ სურნელს... სასაცილოა, არა?

ახლა აწოწილს უზარბადად ეჩვენებოდა, ამხანაგს რომ აღიზიანებდა და აწვალებდა. ანაზღად რაღაც განსაკუთრებული სინაზით ადევსო გული.

— ნამდვილად ვგრძნობ იელის სურნელს...

„იქნებ, კმარა, — გაიფიქრა აწოწილმა, — დროა დავენებდე, მას ხომ ძალიან უყვარს, როცა ნებდებიან... როგორ გამოიცვალა... სულელი, მართლა ბრაზობს“.

.. ბიჭები ფერდობზე დარბოდნენ, რეტდასხმულნი პეპლებს დასდევდნენ. ანაზღად წააწყდნენ განმარტოებით მდგარ უზარმაზარ ბუჩქს, რომელიც ისე აფეთქებულიყო, გეგონებოდა მცხუნვარე, ყვითელი ცეცხლი ეკიდა.

— ეს ჯადოსნური ყვავილებია, ზღაპრებიდან ვიცი, — შესძახა აწოწილმა.

თავი ყვავილებში ჩარგეს და ყნოსვა დაუწყეს. ყვავილებს მწიფე ნესვის სურნელი ასდიოდა. იმდენი დაკრიფეს, რამდენსაც მოერეოდნენ და სოფლისკენ მოჰკურცხლეს...

აწოწილი სულ უფრო ცხადად გრძნობდა იელის სურნელს, მართლაც მწიფე ნესვივით სურნელობდა.

უკვე გულს აზიდებდა კიდევ ამ სურნელისაგან.

„ნეტა ასე რა აბრაზებს, — ფიქრობდა აწოწილი, — უნდა გავექცე, ავიცილინო გუნდები, თორემ მთელი საუკუნე აგუნდავებს და თოვლიც ყინულის ნატეხად იქცევა... შესაძლოა, ერთი მაგრად დაჩეჩვილიც კი დავრჩე... მართალია, დიდი ვერაფერი მსროლელია, მაგრამ.. მე ყინულის ნატეხებს ხომ არ ვესვრი, ოღნავადაც არ სტკივა“...

კვლავ მიეძალა იელი, ეს სურნელი უკვე მისი მხურვალე სუნთქვით იყო გაფიცებული.

დავით აღმაშენებლის



...მოკლებზე გადადიოდნენ; ეზო-ეზო გადაბოდნენ, ერთი სული ჰქონდათ, ჩქარა მიეტანათ შინ ჯადოსნური ყვავილები.

— ჯადოსნური ყვავილები! — გაჰყვიროდნენ ბიჭები. — ჯადოსნური ყვავილები!

ანაზღად სახლებიდან ხალხი გამოცვივდა, უმეტესობა ქალები იყვნენ, შეშინებული სოფელების დანახვაზე ბიჭები შედგნენ და მიაყურადეს.

— იელი!

— იელი! — გაიძახოდა ხალხი.

— ვილაცამ გააქეზა, ვილაცამ მოგვიწყო, ჩვენს ეზოში რომ უბედურება შემოეტანათ!

— ვაი, დაგვეღუპა წიწილები!!!

(თურმე ასე სჯერათ, იელის აყვავებული ტოტით თუ იმ სახლში შეხვალ, სადაც წიწილები ჰყავთ, წიწილები ბუზებივით გაწყდებიან).

— უბედურების ყვავილები!

— უბედურების ყვავილები!

ბიჭები გაიქცნენ, ისეთი აურხაური ატყდა, თითქოს სოფელში ცოფიანი ძაღლი შევარდნილიყო...

აწოწილი წამით დაყოვნდა, ეტყობა, მოგონებების გამო: ზედიზედ მოხვდა ყინულის ორი ნატეხი, ერთი პირდაპირ ყურის ძირში, მეორე საბედნიეროდ — ზურგში. თვალებიდან ჯერ ნაპერწკლები გადმოსცივდა, მერე ცრემლები.

— თამაში თამაშია... ამ თამაშს წესები არა აქვს!.. — თავის თავს ეხუმრებოდა აწოწილი, თან ტკივილს ებრძოდა. გრძნობდა, უნდა გაჩერებულიყო, მაგრამ ვერა და ვერ გასულიყო ბოლოში.

— თუ თამაშია, თამაში იყო!

— თამაში — ბამაში.. — ბურტყუნებდა ჯირკუტანა და გაავეებული მძიმედ ქშინავდა.

— შენ ალბათ ცხვირი დაცობილი გაქვს, თორემ იელის სურნელს უთუოდ იგრძნობდი. აბა, მე ხომ არ მოვიგონე...

— თამაში — ბამაში...

... ბიჭები გარბოდნენ. უკან ხალხი მისდევდა, წინიდან უკვე გადაეჭრათ

გზა. აწოწილს მხოლოდ იმისა ეშინოდა, რომ ყვავილებს წაართმევდნენ და გათელავდნენ ორმოში ჩაყრიდნენ, ნავავს გაატანდნენ... ამ დროს ამხანაგი აწუწუნდა შიშისაგან კუჭი ამეშალა და ერთი წუთით დამიცადეო, სთხოვა. აწოწილმა ყვავილები ჩამოართვა, ის კი, ბუჩქებში გადაიედა და მიიშალა. აწოწილი ისევ გაიქცა, მაგრამ ბევრი მიჰქონდა და გაუჭირდა. გადასაყრელად კი არ ემეტებოდა. საცაა, დაეწოოდნენ კიდევ. მაინც ვერსად წაგვივაო, ავის მომასწავებელი-სიმშვიდით მოჰყვებოდნენ მღვევრები.

— ყვავილო, ყვავილო! — შესთხოვა ბიჭმა ყვავილების უზარმაზარ თაიგულს. — ისე ჰქენი, უხიფათოდ გაეიარო იმათ შორის!..

— ყვავილო, ყვავილო, გევედრები!.. მოყაყანე უსაქმურების ჩგუფს ერთი გამოეყო, თეთრ, სხეებისაგან გამორჩეულ სახლზე მიუთითა, და ეს უთხრა: თუ იქ არ დაიმალები, ერთი მაგრად დაგათეთქვავენო...

აწოწილმა მოწინააღმდეგეს გაკვირვებული მზერა მიაპყრო: გუნდის ასალებად დახრილი ჯირკუტანა რატომღაც დაყოვნდა. აქეთ იყურებოდა, ხელები კი თოვლში ჩაემალა და რალაცას საქმიანობდა, გვეგონება, თევზს წააწყდაო, ისე ირჩებოდა. სულაც არ ჩქარობდა იმ „თევზის“ ამოგდებას, ეტყობა, გოგომაც ინიშნა, წამოვიდა... აწოწილი აღარც უკან იხევდა და აღარც გუნდებს ისროდა, ანგარიშმიუცემლად მოეძალა მოგონებები...

...იმ თეთრ სახლში დაუკაკუნებლად შევარდა. ღრიანცელი მიწყდა, აღარავინ მოსდევდა. მგონი ასე სთვლიან, რახან ის ყვავილები რომელიმე სახლში შეიტანე, ყველა უბედურება იქ დარჩება და ყვავილებიც მაშინვე ძალს ჰკარგავდნენ!

სასიამოვნო გარეგნობის ქალი შეე-

ალექსი გოგუა  
იმლი

გება, კეთილად გაუღიმა. ბიჭმა თაიგული გაუწოდა.

— გმადლობ, რა მშვენიერი ყვავილებია!

მერე ბიჭმა დაინახა, როგორ აევსო ქალს თვალები ცრემლით.

— ნეტა ასე რად ვეჭავრები! — თქვა ნალვლიანად და ფანჯარაში გაიხედა...

აწოწილი გრძნობდა, უნდა უკუმდგარიყო, მორიდებოდა. მაგრამ მინც არ სურდა დაჭერება, სწორედ ამ ურწმუნოებამ თითქოსდა მონუსხა, ერთ ადგილს მიაჯაჭვა...

... მგონი, ის ქალი მასწავლებელი იყო, იმ ასაკგადაცილებულ მოსწავლეებს კი იმიტომ სძულდათ, რომ უსაქმობას არ პატიობდა. ჰოდა, გადაწყვიტეს სამაგიერო მიეზლოთ...

— კმარა, გაჩერდით!

გოგოს ხმა იყო. აწოწილმა შეხედა და სახტად დარჩა; გოგოს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც იმ დროს, როცა აწოწილს სხვათა თანდასწრებით შეაქებდნენ ხოლმე. ოდნავ უფრო ფერმკრთალი ჩანდა.

ანაზღად თვალწინ გაუელვა: ჯირკუტანამ ისკუბა, ხელი ისე მოიქნია, თითქოს სურდა მისწვდომოდა აწოწილს, კისერზე მეგობრულად ჩამოჰკიდებოდა. მაგრამ ხანჯლის პირივით იელვა იმ „თევზმა“. აწოწილი ტყეცა და ჩაემხო თოვლში. გონს მალე მოეგო, თუმცა მაშინვე ვერ წამოდგა. რალაცა თბილმა მოუბინდა მხერა, დააბრმავა. მერე თავს ძალა დაატანა და წამოდგა. ამ დროს გოგომ მიიბრინა.

— ცხვირსახოცი! — ისე წარმოთქვა გოგომ, თითქოს ქირურგი იყო და ოპერაციას იწყებდა. აწოწილს ჯიბეში ხელი ჩაუყო და ცხვირსახოცს მაშინვე მიავნო, მოუწმინდა თვალები, წარბები, შუბლი და სველი, გასისხლიანებული ცხვირსახოცი ხელში ჩაუჩარა, მერე ხელი აუწია და ჭრილობაზე მიიჭირეო, უთხრა.

„მეთევზეც“ მიუახლოვდა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო, მეგობარი

შეათვალისწინებდა, ჯერ ისევ მძიმედ სუნთქავდა:

— რა ჩემი ბრალია, შემთხვევით მოხდა...

— აკი ვითხარით, გაჩერდით მეთქი, — თქვა გოგომ და ჯირკუტანას მუშტები წაუშინა. — აი, შენ, აი, შენ!

როგორღაც უგერგილოდ გაეცინა და საველეთელს, გოგოს მუშტებს სიამოვნებით უხვედრებდა მხარს.

— მართალია, მართალი, შემთხვევა თოვლშიც კი იმალება, — თქვა აწოწილმა და ამხანაგს თვალი თვალში გაუყარა. დასავლეთელი უმფოთველად შესცქეროდა.

— რა თქმა უნდა, შემთხვევით მოხდა, თორემ... — გოგომ კვლავ გაიწია ჯირკუტანასკენ, ის მოხდენილად შეხტა. გოგო გამომწვევად შეჰყურებდა დასავლეთელს, აწოწილს სწორედ ეს გამომეტყველება მოსწონდა.

— შენც მოიგონე რა თამაში! — ახლა აწოწილს მიუბრუნდა გოგო. — ეგ არაფერი, ჰოიცა, მე და შენ ვაჭამოთ მაგას თოვლი. — გოგო ისე იკავებდა ღიმილს, თითქოს ბავთა კუთხეები სტიქიოდა.

აღრე გოგო ჯირკუტანას შესცქეროდა ასე.

აწოწილს უნდოდა გულგრილი სჩვენებოდა მეგობრებს, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა. ანაზღად გოგოს გუნება შეეცვალა. და ახლა ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც იმ დროს, როცა აწოწილს სხვათა თანდასწრებით შეაქებდნენ ხოლმე (შენ გეგონა, ვერაგინ დაჯაბნინდა!)

— სამაგიეროდ, არავის ვიგრძენით იელის სურნელი, — თქვა აწოწილმა და უცებ, თითქოს პირღებინება აუტყდაო, გული ყელში მოებჯინა, უცნაურმა, თავშეუკავებელმა ხარხარმა შეარყია იმისი წოწოლა ტანი. დანარჩენებმა, გეგონება ამ ნიშანს უცდიდნენო, მუცელზე ხელები იტაცეს და ახარხარდნენ, თითქოს ტყვია მოხვდათო გულგვამში, ერთ ადგილზე ტოკავდნენ, იგრჩებოდნენ, ტრიალებდნენ, მერე ერთ-

ბაშად ჩაჩუმდნენ, ცხვირსახოცები ამო-  
იღეს და ცრემლიანი თვალები შეიმშრა-  
ლეს. აწოწილს ცხვირსახოცი ჭრილობა-  
ზე ედო, ცრემლით სავსე თვალები  
უბრწყინავდა.

— ნუ დაიგვიანებთ, წადით, თქვით,  
რომ ბრძოლის ველზე გმირულად დავე-  
ცი და სისხლისაგან დავიცალე.

ისინი ცოტახანს იდგნენ და ერთ ად-  
გილას იტყებნებოდნენ.

აწოწილს უნდოდა ეყვირა, აქედან  
დამეკარგეთო, მაგრამ შეტრიალდა,  
ზურგი შეაქცია და თოვლზე სისხლის  
მუქი ლაქების წაშლა იწყო. საფეთქლი-  
დან ცხვირსახოცი მოიშორა და დახედა,  
სისხლი შესჩერებოდა, გაეიჟინებულ  
ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო.

როცა მარტო დარჩა, მიმოიხედა, ის  
გუნდა მოიძია, დაიხარა და აიღო, ქუჭ-  
ყიანი, ბატის კვერცხისოდენა ქვა აღ-  
მოჩნდა. მოყინული თოვლი შემოაფშვ-  
ნა და ხელი მოუჭირა. დილანდელ ნაკ-  
ვალევს არ გაჰყვა, დასისხლიანებულს,  
არავისთან არ უნდოდა შეხვედრა და  
მინდვრის შუაგულს მიაშურა, ხელუხ-  
ლებელ თოვლს გაუყვა. როცა გზაჯვა-  
რედინს მიატანა, მინდორი გადაჭრა და  
იმ ადგილთან მივიდა, სადაც ერთმანეთს  
ხვდებოდნენ ხოლმე.

იქ სამი გზა ერთმანეთს ჰკვეთდა: ერ-  
თი ჩრდილოეთიდან მოდიოდა, მეორე  
დასავლეთიდან, ხოლო მესამე — აღ-

მოსავლეთიდან და აღმოსავლეთისაკენ  
ვე მიუყვებოდა.

სამი გზის შესაყართან არსად  
გზის მაჩვენებელი:  
ჩრდილოეთისაკენ...  
სამხრეთისაკენ...  
დასავლეთისაკენ...  
აღმოსავლეთისაკენ...

დათოვლილ მინდორს მხოლოდ მათი  
დილანდელი ნაკვალევი ემჩნეოდა ერთ-  
ხანს და მერე ისიც წაიშალა.

ცოტახანს იდგა აწოწილი, თითქოს  
იღუმალ ხმას უცდიდა, მერე დაიხარა,  
ხელი გაშალა და ის ქვა სამი გზის შესა-  
ყარზე დადო, ხელი თოვლს შეაწმინდა  
და თავის კვალს გაუყვა, აქეთობისას  
რომ დატოვა დილით.

ტყვიისფერი ღრუბლები შესქელდნენ,  
ჩამომჩმინდნენ და თოვლი წამოვიდა.  
ხშირი, დიდრონი ფიფქები ცვიოდა.  
ტრიალ-ტრიალით მოფრიალე ფანტე-  
ლებმა აწოწილს კვლავ მზით დაფერილ  
ფერდობზე მოფარფატე პეპლები გაახ-  
სენა და თითქმის წაშინვე იელის სურ-  
ნელი ეცა. ნედლი, საამო სურნელი...  
აწოწილს ნაღვლიანად გაედმა.

აქნებ, იმ პეპლებს შორის ერთი დღიან  
პეპლებიც ეგოდა, ერთადერთი დღე რომ  
უწყვრია სიცოცხლე. ვინ იცის, რამდენ-  
აა საჭირო, ერთი დღე რომ მთელ სი-  
ცოცხლედ აქციო!

ერთი დღის პეპლები...

თარგმან ჯაბა ასათიანმა.



სამი  
გზის  
მაჩვენებელი  
ჩრდილოეთისაკენ  
სამხრეთისაკენ  
დასავლეთისაკენ  
აღმოსავლეთისაკენ

## სკლასი მიღების...

### ტელეფონმა დარგა.

სავარძელში გაშლართული ლუმანი გაზეთებს ათვლიერებდა. თვალი გადაავლო ერთს, გადასდო და ახლა მეორეს მისწვდა. უგულისყუროდ კითხულობდა. ახალი არფერი იყო: სულ ერთსა და იგივეს წერდნენ. ვიღაცას გეგმა შეესრულებინა, ერთ სპორტსმენს მეორესთვის ეჯობნა, საზღვარგარეთ რაღაც ამბები მომხდარიყო. მერე და მას რა, ვიღაცამ თუ გეგმა შეასრულა? სპორტში თუ ერთმა მეორეს აჯობა, აბა, ლუმანს რით შეეძლო დამარცხებულს დახმარებოდა, ანდა რა იმისი საქმე იყო, რა ხდებოდა საზღვარგარეთ?

ლუმანს გაზეთებში მარტო ის ინტერესებდა, ჩემს ტრესტზე ხომ არაფერს წერენო. და როცა რაიმე ამგვარს წააწყდებოდა, ფანქარიც იქვე ჰქონდა.

— აბა, ერთი ვნახოთ, ეს წურბელა — ჟურნალისტები რას წერენ, — ლუმანი გაზეთს ჩააშტერდებოდა, იმ ადგილს რამდენჯერმე გულდასმით ჩაიკითხავდა, მერე გაზეთს დაავლებდა ხელს და უფროსთან გარბოდა.

ამ ხერხით ორ კურდღელს ერთად იჭერდა: თუ გაზეთში უფროსისათვის უსიამოვნო რამე ეწერა, ლუმანი ერთ ამბავს ატეხდა ხოლმე, „წურბელა — ჟურნალისტებს“ ლანძღავდა და აგინებდა. ასე უფროსს სიყვარულსა და ერთგულებაში არწმუნებდა. ამას გარდა, მისი ხელქვეითები, უფროსთან ლუმანის ამგვარ საუბარს ყურს რომ მოჰკრავდნენ, ალბათ, ფიქრობდნენ, ლუმანი — ყველაზე მოწინავე კაცია, გაზეთებიდან ყველაზე ადრე შეიტყობს ხოლმე ცხელ-ცხელ ამბებს.

### ტელეფონმა კვლავ დარგა.

მთელი დღის უსასრულო სრბოლით დაღლილი მზე ზღვისკენ გადაიხარა, სადაცაა გაუჩინარდებოდა. ფანჯრიდან შემოჭრილი ნარინჯისფერი სხივები ლუმანის ფერხითი ეფინა. გაპრიალებული იატაკი ისე ბრწყინავდა, თავისუფლად გასწევდა სარკის მაგივრობას.

ტელეფონი არ ცხრებოდა.  
— ესმა, არ გესმის? ყურმილი აიღე, — გასძახა ლუმანმა ცოლს, თან ხელისგული მოიჩრდილა, პარკეტს ასხლეტილი მზის სხივები თვალს სჭრიდა.

— შენ ვერ აიღებ? მე აქ ერთ გაწამაწიაში ვარ, — გამოეპასუხა სამზარეულოდან ესმა. — თუ ვინმე გეპატიჟება, არ დაგავიწყდეს, ამ საღამოს სხვაგანა ვართ წასასვლელები.

ტელეფონი რეკავდა.  
— ნეტა ვინ არის? გეგონება ჩვენი ხმა თუ არ გაიგონა, მოკვდება. ღმერთო, მოხვალ შინ დაღლილი, არც აქ გასვენებენ, — ჩაიბურტყუნა ლუმანმა, წამოდგა და ფეხები ფლოსტებში წაყო.

— შენც ვითომ იმდენი საქმე გაქვს, რომ ვერ აუდიხარ. ნეტა რა გლისს, დილიდან საღამომდე კაბინეტში ზიხარ! მე ვიკითხო, ცალკე სამსახურო, ცალკე ბაზარი, ბავშვიო... — ესმა ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა, ლუმანს არაფერი გაუგონია.

— გისმენთ, — გაბმით ამოილაპარაკა ლუმანმა.

— ლუმანი ხარ?  
— მე ვარ, მისტაბეი, მე ვარ.  
— ყოჩაღ, მიცანი.  
— პირველად ხომ არ მესმის შენი

ხმა. შენგან ყურები მაქვს გამოჰედლი-  
ლო.

— მაინც კარგახანია აღარ გსმენია.

— ასი წელი იქნება, — გესლიანად  
ჩაილაპარაკა ლუმანმა.

— ორი თვეა.

— სჯობდა, ორი წელი ყოფილიყო.  
მისტაბეი, შენმა ხმამ, იცი, ახლა ვინ  
გამახსენა? აი, ის ბიჭი, ჩვენს ინსტიტუ-  
ტში სწავლობდა, ხატავდა კარგად, სა-  
ხელი დამავიწყდა, რა ერქვა? გახსოვს,  
დავინახავდა თუ არა, ხვეწნას დაგიწყე-  
ბდა: „მისტაბეი, არც კი იცი, როგორ  
გავხარ მაცხოვარს! შენი რომ ვიყო, გავ-  
შიშვლდებოდი და კედელთან დავდგე-  
ბოდი, მე კი ჭვარცმას დავხატავდი“.

— კარგი, გეყოფა.

— დიდი ხანია არ მინახიხარ, გავე-  
ხუმრე...

— მივლინებაში ვიყავი, მაგრამ ახლა  
ხომ ორივე აქა ვართ. როცა გავგხარ-  
დება, მაშინ შევხვდეთ.

— რალაც უცნაურად ლაპარაკობ,  
ხომ არაფერი მოხდა?

— უბედურება მოხდა.

— მესმის, მესმის, ახლობელია?

— რაც ჩემია, შენიც ის არის.

— ვერაფერი გავიგე. მე ნათესავები  
კარგახანია მივაჩვიე, როცა საქმე სა-  
ავადყოფოს ან ციხეს ეხება, არ მომა-  
კითხონ.

— თუ შენთან გაჭირვების უამს არ  
მოესვლებათ, სინარულში ახლოსაც არ  
გავიკარებენ. ღმერთმა ყველა კარგად  
გიყოფოს, მაგრამ მე არსენზე გეუბნე-  
ბი, ჩვენს არსენს. ეწია უბედურება.

— რომელ არსენს? ა-ა, „კიუ“ რომ  
შეგარქვით?

— ჰო, არსენ სინარბაზე გეუბნები.  
ის მაინც თუ გახსოვს, ვისი შვილი ხარ?

— რა გეწყინა?

— სამი წელი სკოლაში ვსწავლობ-  
დით ერთად, ხუთი წელი — ინსტიტუ-  
ტში, და რომელიაო, მეკითხები?!

— შენ რა, იჯექი და ითვლიდი? არ-  
სენთან ერთად ინსტიტუტში ხუთი კი  
არა, ოთხი ვისწავლეთ.

— ეს კი ნამდვილად ზუსტად ვაიხ-  
სენე.

— არსენმა ველარ დაამთავრა, სწავ-  
ლა ვერ შეძლო და თავი მიანება.

— კარგი, ეგრე იყო, მაგრამ ჩვენზე  
უკეთ ვინ იცის მისი ნიჭის ამბავი. სამ-  
წუხაროდ, ახლა ამეების დრო არ არის.

— გეთანხმები, წარსულის გახსენება  
არას გვარგებს. რაც იყო, იყო, დავიწ-  
ყებას მიეცა. კარგად გამაგებინე, რა  
დაემართა?

— ავარია შეემთხვა. ჩხალტაში ყო-  
ფილა და, ეშმაკმა დალანჯროს ის გზა,  
მუხრუჭებს უმტყუნია. ხომ იცი, რა  
საძაგელი გზაა იქ. ხრამს ზემოთ  
გველივით მიიკლაკნება, ორი მანქანა  
ერთმანეთს გვერდს ვერ უქცევს. მარ-  
თალია, დიდი სიმაღლიდან არ გადავარ-  
დნილა, მაგრამ ხრამში გადაჩეხვა, მა-  
ინც გადაჩეხვაა.

— ჰოდა, ჩემო მისტაბეი, ვინც მარ-  
თვა არ იცის, იმას არც საკუთარი მან-  
ქანა სჭირდება.

ამ ბოლო დროს ლუმანი საკუთარ  
მანქანაზე ოცნებობდა და ახლა წარმო-  
იდგინა, თითქოს უკვე მანქანის პატრო-  
ნი იყო და გზაზე მიაქროლებდა. მას  
შემდეგ, რაც საკუთარ მანქანაზე ფიქ-  
რი შეუძვრა, ავარიებზე საუბრებსაც  
დიდი გულსყურით ისმენდა. წვრილად  
გამოიკითხავდა ყველაფერს და იმაზე  
დაიწყებდა ფიქრს, ასეთ შემთხვევაში  
თავად როგორ მოვიქცეოდიო. ახლა  
მუხრუჭებზე ფიქრობდა: „მართლაც,  
მუხრუჭებზე ბევრი რამაა დამოკიდე-  
ბული, ზოგჯერ სიცოცხლეც კი. ჩემს  
მანქანას ყოველდღე გავუსინჯავ ხოლ-  
მე მუხრუჭებს. იქნებ, მანქანის ყიდვა  
არცა ღირს? ბევრი მართლაც არ არის  
საკუთარი მანქანის ღირსი, მე სხვა  
ვარ...“

— ლუმან, მოიცა, რომელ საკუთარ  
მანქანაზეა ლაპარაკი! ტყესაზიდი მან-  
ქანით გადაიჩეხა. აღარ გახსოვს, არსე-  
ნი ხომ შოფრად მუშაობდა.

ჯუშა ახუბა  
საღვანე მიღაცას...

— გამახსენდა, გამახსენდა: ინსტიტუტს რომ თავი მიანება, მგონი, ჩხალტაში თუ საღდაც წავიდა.

— ჯერ ტყისსაქრელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მერე შოფრობა შეისწავლა.

— როდის მომხდარა?

— გუშინდამ, როგორც კი საავადმყოფოში მიიყვანეს, მეც გავიგე.

— შუალამისას რანაირად ვაიგე?

— გრძნობაზე რომ მოსულა, ჩვენი ტელეფონები უთქვამს. გირეკე, მაგრამ ვერ გაგავიგინე, მთელი ღამე თავზე ვადექი. მანქანა ხე-ტყით ყოფილა დატვირთული.

— როგორ მომხდარა, მანქანას დაჯახებია?

— თვლადმართში მუხრუტებს უმტყუნია.

— ჰო-ჰო, წელან აკი მითხარი. მისტაბეი, მე რომ არ დაგხვედროდი, ესმას ეტყოდი, არსენმა ინსტიტუტს თავი რატომაც დაანება? დაგავიწყდა, ხომ გითხარი, ესმამ ყველაფერი იცის-მეთქი. ცხადია, ისე იცის, თითქოს იმ ქალს მხოლოდ ვხვდებოდი...

— რომელიც შენს მეგობარს უყვარდა...

— უყვარდა თუ არ უყვარდა, ეგ არ ვიცი. ერთი სიტყვით, ვარაუდობოდი.

— ვიცი, რასაც იტყვი, მაგრამ რომ არ გითხრა, არ შემიძლია. არსენი ჩვენ არ გვგავდა. გოგობზე არასოდეს ეჭირა თვალი. ასეთი კაცი თუ ვინმეს შეიყვარებს...

— არ მესმის, ახლა ამაზე ლაპარაკი რა საჭიროა. მისტაბეი, ექიმები რას ამბობენ, ცუდი ხომ არაფერი ელის? გითანაგრძნობ...

— ნეტა, მე რას მითანაგრძნობ? რა, არსენი მარტო ჩემი მეგობარია? აღარ გახსოვს, ერთმანეთს ლუკმას ვუყოფდით! ის ქალი რომ არა, არსენს ავარია...

— მაგასაც ნეტა რა შოფრობა აუტყდა, რაში დასჭირდა?! — ლუმანმა ფეხი ფეხზე გადაიღო და ტელეფონი ახლოს მიიწია.

— ერთის მხრივ, მეგობარი, მეორეს მხრივ პირველი სიყვარული... ხომ ვცდები, ჯერ კიდევ მაშინ დაუცლა ფეხი, კიდევ მაშინ გადაიჩეხა, მწუხარებამ გადაიჩეხა, სმა დაიწყო, მერე ყველაფერს თავი მიანება და წავიდა. მას შემდეგ აგერ, ხუთი თუ ექვსი წელი გავიდა, ძველი ამბავია. იქნებ, არც უნდა გამეხსენებინა, მაპატიე.

— რახან დაიწყე, თქვი, თქვი... ნეტა როდის დაგინდივარ? ჩვენს შორის ხომ მხოლოდ შენ არ ვრიდებოდი სასტიკი სიმართლის თქმასაც კი. მუდამ სიმართლისათვის იბრძოდი. არსენი რომანტიკოსი იყო, ცხოვრება არ იცოდა. შენ კი ყველას მიმართ კეთილი ხარ! „ღე მე ცუდად ვიყო, სხვები იყვნენ კარგად“, სასაცილოა! ჩემო მისტაბეი, სასაცილოა, დამიჯერე! ქალი სწორედ იმისათვის შექმნილა, რომ მამაკაცს ამოს. გაინსენე, საღეთი წერილში რა წერია. თუკი სიყვარული თავს დამაკარგვინებს, ასეთი სიყვარული რაში მჭირდება! სიმართლისათვის ბრძოლა, ხალხის სიყვარული... სასაცილოა!

— შენც ხომ ასე ფიქრობდი, ახლაც რა ღმერთი გავიწყრა.

— მისტაბეი, ყველაფერი ამოა, დამიჯერე.

— არ მეგონა, თუ ამ დღეში გნახავდი. ალბათ, არ ღირს ლაპარაკი...

— თქვი, თქვი, განა ისეთი რა არის, თქმა რომ არ შეიძლებოდეს?

— მართლა რომ გყვარებოდა ის ქალი, აღარაფერს ვიტყოდი.

— შენ რა იცი? რომ არ მყვარებოდა, არც იმდენს ვეარაუდებოდი.

— ვითომ არ გიცნობდე. შენ ის ქალი არ გყვარებია, მხოლოდ ლოგინისთვის გინდოდა...

— არც ეგერა საქმე, ძალიან უხამსად ამბობ. ის მართლა კარგი ქალი იყო. ესმა რომ არ შემხვედროდა, აუცილებლად იმას ვითხოვდი.

— მაპატიე, რომ ყველაფერი გაგახსენე. აკი წელანაც თქვი, რაღა საჭიროა წარსულის ქექვა.

— მთლად გულწრფელი არა ხარ.



რალაცის თქმა ვწაიბა და არ მეუბნები.

— მართალი ხარ. იქნებ არც ღირდეს, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა გითხრა. ლუმან, ნუ მიწყენ და როცა არსენის ამბავი შეგიტყვევ, მაშინვე შენ გამახსენდი. გადაჭრილ ხეს რომ ქარი წააქცევს, ნებით თუ უნებლიეთ, უმალ ის დაგიდგება თვალწინ, ვინც იმ ხეს ნაჯახი დასცა. მარტო შენზე არ ვამბობ, მეც დამნაშავე ვარ. განა რაც შემეძლო, ყველაფერი ვიღონე? ალბათ, არა, ხომ იცი, მაშინ ინსტიტუტისთვის თავი რომ არ მიენებებინა...

— ერთი სიტყვით, კაცი რომ გამხდარიყო, — ლუმანმა ეს ისე თქვა, ცხადი იყო — მისტაბეის სიტყვები მის გულს ახლოსაც არ გაკარებია. ლუმანმა სამზარეულოს გახსენდა, კარი მიხურული იყო, ესმა ვერაფერს გაიგონებდა.

— კაცი რომ გამხდარიყო!.. — სამწუხაროდ, არსენი ჩვენზე დიდი კაცი იყო. ეჰ, მაშინ არ დაცდენოდა ფეხი!

— მაგრად ვერ იღვა ფეხზე.  
— მე და შენ ამას ვერ მივხვდებით.  
— შენ მე რას მედრები.

— ლუმან, შენ კარგად იცი, მთელი ეს წლები არსენი გვემალებოდა. ისე უყვარდი, რომ ვერ გაცვალა. მერე შენს დაკარგვას უფრო განიცდიდა, ვიდრე იმ ლალატს. არ უნდა გაგეწირა არსენი, შენ ხომ ის ქალი არ ვიყვარდა.

— ეგ უკვე მითხარი. რაც არ უნდა მიკობ-მოკიბო, მაინც იმას იტყვი, რომ ვიდრე უცოლო ვიყავი, ერთი ქალი მყავდა... იქნებ, გინდა ესმას უთხრა?..

— ნუ გეშინია. ის ქალი, ჩვენს მეგობარ არსენს უყვარდა.

— მისტაბეი, იცი რა...

ლუმანმა სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, კარი გაიღო და ოთახში ხუთი წლის ქერა ბიჭუნა შემოვარდა. ლუმანმა ყურმილი განზე გასწია და იყვირა:

— რამდენჯერ გითხარი, ფეხსაცმელები გაიხადე და ოთახში ისე შემოღამეთქი! პარკეტი იხაზება მაგ შენი ქუსლებით!

ბიჭუნამ სათამაშოს ხელი დასტაცა და გავარდა.

— ალო, მისტაბეი, გისმენ. ჰო, მარტოლა, რალაცის თქმა მინდოდა...

— კარგად ზრდი ბავშვს, კარგად! ამის მერე ნამდვილად ფეხშიშველი შემოვა.

— არ ვიცი, რისი გაგონება გსურს. რა შემიძლია გითხრა? თუ სადღაც ვილაცას უბედურება ეწია, მე რით ვუშველო? კარგი, მივეხმაროთ, ექიმი მივეყვანოთ. მისტაბეი, ესეიგი ორი თვე მივლინებაში იყავი? მგონი, გუშინ გიკითხა ესმამ, სად დაიკარგა, აღარ რეკავს, აღარ მოდისო. ესმა შენ და არსენს ჩემს საუკეთესო მეგობრებად გთვლით, თითქოს არსენს კარგად იცნობდეს! სჯობია, არსენის ავარიას ნუ გავაგებინებთ. ქალებს ხომ ყველაფერი აინტერესებთ: როგორ მოხდა, როდის მოხდა, რით დაიწყო. აბა, ამგვარი შეკითხვები ახლა რაში გვარგია. შენები როგორ არიან? დაოჯახდი, ძმაო, დაოჯახდი! როგორც კი დროს მოიხელთებ, გამოიძარე, ნარდი ვითამაშოთ, ტელეგადაცემებს ვუყუროთ. ახალი ტელევიზორი ვიყიდეთ, უკანასკნელი გამოშვებაა. ცოტა ძვირი კი დავვიჯდა, მაგრამ, რას იზამ? უნდა შეიძინო.

— კი, კი, რა ფქმა უნდა. ამის თქმა გინდოდა?

— ნეტა რას ჩამაცივდი! არაფრის თქმაც არ მინდოდა! რა თქმა უნდა, ცული ამბავი მოხდა, მაგრამ მე რა ვქნა? კი ბატონო, თუ რამე სურს, მივეხმარები. სულ ჩამოქცეულა ის გზა, ეგეც რას მიეხეტებოდა! იქით ერთხელ ვიყავი, ობიექტი უნდა შემემოწმებინა. რომ მომკლან, მეორედ აღარ წავალ! მარცხნივ გაიხედავ — კლდე, ნაპრალები, ასე გგონია. სადაცაა ქვები თავზე დაგეყრება. მარჯვნივ — ხრამია, თავი გიბრუის. დემრთმანი, საშინელი გზაა. მისტაბეი, ყოფილხარ იქით?

— ორჯერ ვიყავი. და ორივეჯერ არსენის გამო. როცა ინსტიტუტი მიატოვა და წავიდა.

**ჯუმა ახუა**  
საღვაც ვიღაცას...

— ჰო, გამახსენდა! ძალიან ცდილობდი, ინსტიტუტს დაბრუნებოდა არსენი, მე და ის ქალი კი სხვა ქალაქში გადასულიყავით. აქამდე ვერ გამიგია, მაინცდამაინც ჩვენ რატომ უნდა გადავსულიყავით? ჰო, მართალია, ჯერ არსენს ხვდებოდა, მერე კი ერთმანეთი მოგვეწონა და სადამდე შევტოპეთ, შენც კარგად მოგეხსენება. ბოლოს ბევრი რამ შეიცვალა და დავცილდით. ნამდვილად კარგი ქალი იყო. სამწუხაროდ, მგონი მე ვუყვარდი. რას იზამ, ყველას ცოლად ხომ ვერ შეირთავ!

— შეიძლება, მართლაც გულწრფელად უყვარდი. არსენს სხვა ქალაქში გადასვლის საშუალება არ ჰქონდა. დაგვიწყდა, ნავსადგურში მტვირთავად რომ მუშაობდა?

— განა მე და შენ ცოტა გემი გადმოგვიტვირთავს? კარგი, რაც იყო, იყო. მითხარი, სად წევს, მივალ.

— აი, ეს უკვე სხვა საქმეა.

— ამის გაგონება გასურდა?

— სხვას ველოდი, მაგრამ... რას იზამ. არსენმა შენი ამბავი იკითხა.

— ეგ აკი მითხარი, რომელ საავადმყოფოში წევს, რომელ პალატაში?

— შემოიარე და ერთად წავიდეთ. შენ მხოლოდ წასახემსებლად შემოვიტობინე, გუშინდელს აქეთ არაფერი მიქამია; მთელი ღამე თავზე ვადექი. დაგელოდები, მოდი. თუ გინდა, ესმაც წამოიყვანე. თუმცა, შენ არსენს... მაგრამ მე მჯერა! არ მინდა პირში გაქო, მოდი.

— ახლა?

— თუ ახლა არ გცალიათ, დაგელოდებით. მეც დავისვენებ, ამდამაც იქ დავჯდები. გინდა, სახლიდან გამოვვლას რომ დააპირებთ, დამირეკეთ და ქუჩაში მოგიცდით.

— დღესვე, ახლავე? ეშმაკმა დალახვროს! ჩვენს მოკეთებებს ბავში შეეძინათ, უნდა მივულოცოთ. ხომ იცი, ჩვენი წესები: რახან ისინი იყვნენ, ჩვენც უნდა ვესტუმროთ. როცა თემირი გაჩნდა, ძალიან ივაჟკაცეს. ჰოდა, ახლა ჩვენი ჯერია, უნდა მივიდეთ და ბავშვს ბალიშქვეშ ამოვუდოთ საჩუქარი. უსა-

ჩუქროდ კი ახლადშობილი არამც და არამც არ გავიღიმებს. ეშმაკმა წაიღოს იმათი თავი! ხვალ რაღაც კომისიასაც ველოდები! მაგრამ იმედი მაქვს, მაინც ვიპოვი დროს და ვინახულებ. მისტაბეი, იცი რა დავასკვნი: ძალიან ცუდია, როცა საშუალო თანამდებობა გიკავია, არც უფროსი ხარ, არც მთლად პატარა კაცი. კაბინეტში კი ზიხარი და ხელფასს იღებ, მაგრამ ათასგვარი კომისიებისაგან მოსვენება არა გაქვს! თუ სამსახურია, ისეთი თანამდებობა უნდა გეჭიროს, ვერაფერს ბედავდეს შენს შემოწმებას. ან არა და, — ისეთი უმნიშვნელო, არავის აინტერესებდეს შენი შემოწმება.

— აკი ამბობენ, დილით წაფორხილებული სადილობამდე ფორხილობდაო...

— როგორ? რაზე თქვი?

— რა ყველაფერი ერთად დაგატყუდა. არ უნდა დამერეკა. მაგრამ რახან დავირეკე, გეტყვი: არსენი შეიძლება ვერ გადარჩეს, მეგობარს ვკარგავ. თუ მას რამე მოუვიდა, მარტო დავრჩები. ცვლილებას გატყობდი, მაგრამ ასეთ ცვლილებას კი არ ველოდი.

— ისევ დაიწყე შენი ფილოსოფია! სისულელეა, მისტაბეი, დამიჯერე. მალე შენც ჩემს აზრზე დადგები.

— ნაბიჯის ხმა მესმის, ისევ თემირი შემოვიდა?

— არა, სამზარეულოდან ესმამ გამოიხედა და რომ დაინახა, ვლაპარაკობდი, კარი შემოხურა.

— მე კი მეგონა, ოთახში ისევ თემირი შემოვივარდა და პარკეტი დამენანა.

— თქვი, თქვი, გეტყობა, სათქმელი დაგგროვებია. ბოლომდე მითხარი — მოისვენებ.

— არ ღირს. მაგრამ ერთი მაინც უნდა ვითხრა: არსენს რამე რომ მოუვიდეს, უმეგობროდ დავრჩები. ეშმაკმა დალახვროს! მტერს არ ვუსურვებ უმეგობროდ დარჩენას. შენ ხომ იცოდი, როგორ უყვარდა არსენს ის ქალი, შენ კი მხოლოდ ერთობოდი. არ დაგიმალავ, ეს წყენა ლოდად მაწვა, მაგრამ მეგობ-

რად მაინც მიმაჩნდი. ახლა კი, არსენის უბედურებამ ყველაფერი დამანახა. ნუ მაწყვეტინებ, დამაცადე, არ შემიძლია, რასაც ვფიქრობ, არ გითხრა. მთვრალი ხომ არა ვარ? კი, კი, უგონოდ. იმედი მქონდა, როგორც საპირო იყო, ისე მოიქცეოდი, მეგონა, არ დაგკარგავდი. ხომ იცი, რა დამნაშავე ხარ არსენის უბედურებაში. ის ქალი თავად მოვიდა თუ შენ დაითანხმე, უკვე წარსულია. რაც იყო-იყო. ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. კარგი, აღარ გავახსენებ: დამაცადე, მე სულელს, მეგონა: როგორც კი არსენის უბედურების ამბავს გაიგებდი, მაშინვე გავარდებოდი, იმის საწოლთან დაიჩოქებდი და პატიებას სთხოვდი... ეჰ, გულუბრყვილოდ მჯეროდა. სამწუხაროდ, ჩემი შეხედულებები და ცხოვრება ერთმანეთს არ ემთხვევა. იქნებ, უკეთესიც არის, რომ არსენზე აღრე შენ დაგკარგე. მო-

იცა, ნუ მაწყვეტინებ, კიდევ ის მინდა გითხრა, რომ შენ... არა, არა ღირს...  
— ალო! ნეტა რა დაეტაკა დღეს! როგორ დამიკიდა ყურმილი!  
გაკვირვებული ლუმანი ყურმილს ხელში ატრიალებდა.  
— რა ამბავია? — ჰკითხა შემოსწრებულმა ცოლმა.  
— ყურმილი დამიკიდა. დიდი ამბავი, ეწყინა! სიმართლე, სინდისი, მეგობრობა! მღვდელივით სულ ერთსა და იგივეს გაიძახის!  
— ვინ იყო? რა მოხდა?  
— მისტამბეი იყო! თუ სადღაც ვიღაცას უბედურება შეემთხვა, მე რა შემიძლია?! კარგი იქნებოდა, რომელიმე ექიმი მენახა, მაგრამ დღეს ვის იპოვი? ხვალაც ხომ ამ თვისაა, ის კომისიაც რაღა ხვალ მოდის. შენ უკვე იცვამ? — ლუმანმა ცოლს შეხედა.  
მერე სავარძლიდან ზანტად წამოდგა და უხალისოდ დაიწყო ჩაცმა.

თარგმანს ჯაბა ახათიანი.





# ფ ე რ ფ ლ ი

ბუხარში გუზგუზებდა ცეცხლი. თბილოდა. გარეთ კი თოვდა. ბარდნიდა დაუსრულებლივ. დაბას მშვიდი ძალით ეძინა უკვე. მხოლოდ ხანგამოშვებით ძაღლების დავდავი თუ დააჩრდვევდა დამეულ მდუმარებას.

ყაზახუ სკამის საზურგეს მისწოლოდა, ცეცხლისთვის მკერდი მიეშვირა და რომელიდაც წერტილს მისჩერებოდა დაეინებოთ. გრუზა თმა თოვლივით გათეთრებოდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ბებრული იერი სულაც არ ჰქონდა. ეტყობოდა, თავის დროზე ზღაპრულ გოლიათ ადაუს ტოლს არ დაუღებდა.

დაფანჩული წარბები ქუთუთოებზე ჩამოსწოლოდა. არწივივით მოკაუჭებულნი ცხვირი, დაედაეა ლოყები უმკობდა ჭერაც ახალგაზრდულ სახეს. მაგრამ ყველაზე დირსშესანიშნავი თვალები ჰქონდა ყაზახუს, ფიქრიანი, ჰკვიანი თვალები, ამ თვალებში ამოიკითხავდით მისი გულის ყოველ მოძრაობას. მათ უსიტყვოდ შეეძლოთ მოეთხროთ თქვენთვის ყოველივე ის, რაც თავს გადახდომოდა ცხოვრების გზაზე, მაგრამ რომ ამოიკითხო, რა არის ჩამალული სხვის თვალებში, თავად უნდა გქონდეს მახვილი, გამჭოლი მზერა, თავად უნდა შეგეძლოს შეუცდომლად მიხვდე შეფარულ გულისთქმას.

ყაზახუ დროდადრო ირგვლივ მიმოავლებდა მზერას, მერე თითქოს დაიღალაო წარსულზე ფიქრით, ისევ ერთ წერტილს მიაშტერდებოდა.

ყაზახუმ ბუხარში ცეცხლს შეუჩინა და ერთბაშად თქვა:

- დმერთმა აცხონოს მისი სული!
- ა, რაო? — უაზროდ შეეპასუხა

მაშინუ და ზეზე წამოიჭრა, თითქოს თავში რაღაც დაარტყესო. ყაზახუსთან საუბრით გულმოჭვრებულ მაშინუს ბუხრის სითბომ თვლემა მოჰგვარა, მერე ჩაეძინა კიდევ. ყაზახუსაც გადაავიწყდა მისი არსებობა და როგორც ადრე, არა ერთხელ მოსვლია ბუხართან ჯდომის დროს, მოგონებებს მიეცა. ვინ იცის, სად არ წაიყვანა ფიქრმა, სანამ დღევანდელი დასაფლავების ამბავს დაუბრუნდებოდა მისი გონება.

დაფეთებული მაშინუ კი გონს მოეგო. დაწყნარდა. სკამი ისევ ბუხრისკენ მისწია.

— კაი ქალი იყო, საწყალი, — თქვა ყაზახუმ და ცეცხლის ალზე თუთუნს მოუკიდა, მერე ღრმა ნაფაზი დაარტყა და უფრო მოხერხებულად მოიკალათა სკამზე.

— მოდი, მეც მოვწევე! — თქვა მაშინუმ ისე, თითქოს ყაზახუს სიტყვები არც გაუგონიაო და ჯიბეში ჩაიყო ხელი. იქიდან მწიფე ვაშლისფერი თამბაქო ამოიღო, მერე ხელის გულზე მოისრისა და მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ხმა...

— რაც მართალია, მართალია, კეთილშობილი ბუნების ქალი იყო. ოღონდ ეგაა, კაი ამინდი ვერ შეესწრო, მაგ საცოდავს. რა ამინდები იყო, კაცო, აქამდე! გეგონებოდა, ზაფხულიაო. ორ დღეში კი როგორ შეიცვალა.

— ხომ იცი, ვისაც არ გაუმართლებს, იმას ბოლომდე არ გაუმართლებს.

— ეჰ, დმერთო დიდებულო, რა მოკლეა ჩვენი წუთისოფელი! რა მალე ვტოვებთ ამ ცისქვეშეთს, — განაგრძობდა მაშინუ და თან სიამოვნებით აბოლებდა თუთუნს, — დღევანდელ დღესავით მახსოვს მისი პატარძლობა: ტანკე-



ნარი, მოხდენილი ქალიშვილი კუთხეში რომ იდგა და თავზე მანდილი ებურა. რა უწყალოა დრო. რა თვალსა და ხელს შუა გაიქროლებს ხოლმე ყამი.

მაშისხს დაცხა. სკამი უკან გააჩოჩა. ყაზახს მდუმარედ მიმეტერებოდა ცეცხლს.

— იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, — განაგრძობდა მაშისხს ისევ ისე, — გახსოვს, აქედან რომ გადავსახლდით, ჩვენი მამები უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ. ჩვენ უფრო გულცივები ვართ. ჩვენი შვილები კი ალბათ საერთოდ დაივიწყებენ ერთმანეთს.

— სწორი ხარ, ჩემო მაშისხს, სწორი! — თავის ქნევით დაუდასტურა ყაზახს, მაგრამ მაშისხს ნათქვამი მაინცდამაინც არ ებრაიანა. „ნეტაი, რომელ შვილებზე ლაპარაკობს. დალახვროს ეშმაკმა, კაცს ეგონება, მის სახლში ბავშვების ტევა არ არის“, — გაიფიქრა ყაზახს.

მაშისხს საუბრის თემა შეცვალა:

— შენ აწი ახალგაზრდა არა ხარ, ყაზახს, — არიგებდა იგი მეგობარს, — ცხოვრობ აქ, მარტოდმარტო. აქამდე ჭკულიდან როგორ არ გადახვედი, მიკვირს პირდაპირ. ავად რომ გახდე, ახლომანლო წყლის მომწოდებელი არავინაა.

ყაზახს კვლავ ბუხარს შეუჩუჩხურა, მერე ისევ სკამის საზურგეს მიაწვა.

— ჯერაც არაა შენთვის გვიან, — არ ცხრებოდა მაშისხს, — გგონია, შენი ტოლები ცოლს არ თხოულობენ? ხომ იცნობ ბიდა ხურხუმალს, შარშანწინ ქალი მოიყვანა — 75 წლის თავზე. ბიჭი შეეძინა. ახლა მეშვიდე ცაზე დაფრინავს სიხარულით.

ყაზახს ჩუმად იყო.

— ისე, კაცმა რომ თქვას, სამოცი, სამოცდაათი წელი მამაკაცისათვის დიდი ბედენა არაა. შორს რაზე წავიდეთ, აგერ მამაჩემმა 86 წლისამ არ შეიერთო ცოლი?

მე და შენ ცას ხომ არ გამოვეკერებით! ხომ უნდა დავრჩეს ძირი და ფესვი! აბა, რისთვის მოაწყვე ეს კარ-მიღამო, ვისთვის?

„ვისთვის“?

კვლავ მოზღვავენენ მოგონებანი, რომელთაც ის-ის იყო ძლივს დააღწია თავი ყაზახს. აწირალებული თვალე-ბით თითქოს ცეცხლის ალში დაეძებდა რაღაცას, მერე ცეცხლის მხურვალეობამ დაწვაო, განზე წაიღო მზერა:

— ეჰ, ჩვენი დრო წავიდა, ჩემო მაშისხს, წავიდა. — თქვა და წელში გასწორდა, ხელები ერთმანეთს გადააფსკვნა: — როცა დრო იყო, არ შემიერთავს ცოლი და აწი უკვე გვიანაა.

— გვიანაა, გვიანაა... შენ ისევ შენსას იმეორებ. აწი რატომ არ შეიძლება ვითომ ცოლის მოყვანა? თუ უწინდებურად ისევ ისე ელოდები უმშვენიერეს ასულს, რომლის ბადალი დედამიწის ზურგზე არ მოიქებნება, ჰა?

— შენ რომ ამბობ იმისთანა ქალი ქვეყნის უკეთესი მამაკაცის ღირსია! — მიუგო ყაზახს იმავე კალოზე.

— შენი შესაფერი მოქებნე, ყაზახს, შენი შესაფერი. თუ ვინმეს დაადგი თვალი, დროს ნუ დავკარგავთ ტყუილუბრალოდ. სჯობს, უცებ მოვაკვარახჭინოთ საქმე. ისე, სიმაართლე რომ ვითხრა, მიკვირს და გამკვირვებია, შენისთანა წარბოსადეგი ვაჟკაცი როგორ დარჩი ასე...

— ჰო, ალბათ მართლაც საკვირველია. შენ, ჩემო მაშისხს, ჩემზე უფრო გამოცდილი კაცი ხარ და უნდა იცოდე: ბედის ჩარხი ადამიანის ნება-სურვილზე როდი ტრიალებს. ცხოვრება შენ რომ გინდა, ისე როდი აეწყობა ყოველთვის! — უპასუხა ყაზახს და ბუხარს შეშა შეუქცია. ცეცხლი უფრო ავიზგიზდა.

— ეგეც მართალია, ყაზახს, მაგრამ თუ ადამიანმა გულზე ხელები დაიკრიფა, აქაოდა, ერთხელ არ გამიმართლა, მორჩა, აწი არაფერი მეშველებათ, რა გამოვა? თავს დაილუპავს და მეტი არაფერი. კი, მართალია, დროს თავისი მიაქვს, რა ვუყოთ მერე? ერთხელ გიმტყუნა ბედმა, მეორეჯერ უნდა სცადო. ხომ

ნიკოლოზ კვიციანი  
ფრფლი

გაგიგონია, ცლა ბედის მონახვერგაო. სანამ მართლა გვიან არ არის, შენს თავს უნდა მიხედო, შენს თავზე უნდა იზრუნო. მე და შენ უნდა დაეუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ჭერაც სისხლი გვიჩუხჩუხებს ძარღვებში. შენ რომ ბიჭი შეგეძინება, მე ძველებურად ჩამოვუვლია, თ ისე, ახალგაზრდობაში რომ ვიცოდი. ღმერთმანი, მართალს გუუბნები.

— იქნება ასეც მოხდეს. ხომ თითქოს შეგეჩვიე მარტობას, მაგრამ უკვე ვატყობ, აღარ შემეწევს ძალა მარტო ყოფნისა. შენი თქმის არ იყოს, ჩემს კარმიდამოსაც ხომ სჭირდება მომვლელი. თუ დროზე პატრონი არ გამოუჩნდა, ყველაფერი გათხრდება, გაპარტახდება. ოღონდ... ახლანდელი ჩემი ქორწინება უფრო ვალის მოხდა იქნება ცხოვრების წინაშე და სხვა არაფერი.

— რას იზამ, ჩვენ, ყველანი, მოვალენი ვართ დავემორჩილოთ ბუნების კანონს.

— მაგაში არ გეთანხმები. როცა მოწიფულობის ქამს მოგყავს ცოლი, მაშინ სხვა შინაარსი აქვს ქორწინებას, ნეფე-პატარძლის ბედნიერებაც ბუნებრივად გამოიყურება, ხოლო როცა ჩემი ხნის კაცი ირთავს ცოლს, ქორწინება აუცილებლობით არის გამოწვეული, მოვალეობითაა ნაკარნახევი და ამიტომ ნაკლებმომზიდველიცაა.

მეორე ხანს ორივე დუმდა. მეორე სიჩუმე ისევ მაშინვე დაარღვია:

— რაკი სიტყვამ მოიტანა, თუ ღმერთი გწამს, მითხარი ბარემ, თავის დროზე რატომ არ ითხოვე ცოლი? წინ მთელი ღამე გვიდევს. რომც დავწვეთ, ძალით მაინც არ დავგეძინება.



— ფაცხის ჭუჭურუტანებიდან სუსხინი ქარი უბერავდა. ზურგი მეყინებოდა, მაგრამ სამაგიეროდ კერაზე დანთებული უზარმაზარი კოცონი სულსა და გულს მითბობდა.

მე ახლაც მიყვარს, კერაზე წითლად რომ დაღლილებს დაუდევრად დაგდებულნი ჭორკო. ამ ბოლო დროს კი, კერის

ცეცხლი არც ისე გვეპიტნავება მაინც<sup>სა</sup> ღამინც. ესეც არ იყოს, საღამო<sup>სა</sup> ახლა იმოდენა შემას, კერიას რომ ექოს. ტყეებიც ხომ ჩანავდება და ჩანავდება. მაგრამ მე დღესაც ვერ ვძლებ ამ აბრღვიანულული ცეცხლის გარეშე.

იმ ღამესაც ბრიალებდა, როგორც იტყვიან, ნამდვილი აფხაზური კოცონი.

კაი ხნის ნავახშმევი ვიყავით, მაგრამ ძილს არავინ აპირებდა. ანაზღად ჩვენი შუკა აახშიანა საქორწინო სიმღერა „უარიდაღამ“. ამ სიმღერით ხომ პატარძალს მიაცილებენ ხოლმე სახლამდე. მაშამ რაღაც ამბის მოყოლა შეწყვიტა. მე სწრაფად გავვარდი კარში. უკან მომყვა მთელი ჯალაბობა. ეზოს ჭოშკარში სიმღერითა და ყიყინით შემოიჭრა ცხენოსანთა მთელი ლაშქარი.

ასე უცებ, მოულოდნელად მოიყვანა ცოლი ნაპარმა.

— ნაპარმა?

— ჰო, ნაპარმა. ნუთუ არ გახსოვს იგი? თუმცა შეიძლება არც გახსოვდეს. იმ დროს თქვენ უკვე სხვაგან იყავით საცხოვრებლად გადასული.

ნაპარი ერთადერთი ძე იყო მამაჩემის ძმისა. როცა იგი დედათაც და მამათაც დაობლდა, მაშამ თავისთან წამოიყვანა. ჩემზე სამი წლით უფროსი გახლდათ.

დრო მიდიოდა, ნაპარი უკვე საცოლედ შეღვრებული ბიჭი იყო. მას, როგორც ეტყობა, გუნებაში უკვე ჰყავდა შეგულბული ქალიშვილი, მხოლოდ ხელსაყრელ ქამს ელოდებოდა, რომ შევარდენივით დასცემოდა თავს და გაეტაცა. დაეცა და გაიტაცა კიდევ. ქალიშვილს მარტო დედა და უმცროსი და ჰყავდა. რაკი ვერავინ ვერ გამოესარჩლებოდა: ვერც მამა, ვერც ძმა თუ თანამოგვარე, რათა გამტაცებლის ხელიდან გამოეხსნათ, იგი ბედს შეურიგდა.

ასე შემოვიდა ჩვენს ოჯახში ტანწერწეტი, ახალგაზრდა შამისა.

მე ბავშვივით მიხაროდა ნაპარის და ოჯახება. ჭერ ერთი, ამიერიდან რძალი, აფხაზური წესის თანახმად, ჩემს სახელს



არ დამიძახებდა, არამედ სხვას, შერქმეულს.

საშინლად არ მომწონდა ჩემი სახელი. ზუსტად არ მახსოვს როდის იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ბალღობაში გულში ჩამივიარდა სახელი — ახრა. მშობლებმა, ცხადია, სახელი არ გამომიცვალეს, მაგრამ გუნებაში კი ჩემს თავს ახრას ვეძახდი.

მახსოვს, ერთხელ ფეხშიშველა გავრბოდი სოფლის შარავზაზე. წინ მხედარი შემომეყარა. მან ცხენის სადავე მოსწია და ღიმილით მკითხა:

- ვისი ხარ, ყმაწვილო?
- ჰაჯარათ აშუბასი, ბატონო, — ვუპასუხე.

— რა გქვია?

— ახრა! — უცებ მოსწყდა ენას. დღე, ამ უცხო კაცმა მაინც იცოდეს, რომ ასეთი ლაპაზი სახელი მქვია!

— ყოჩაღ, ვაჟკაცი ყოფილხარ, ვაჟკაცი! — შემაქო უცნობმა. მე გავიფიქრე, ამ კაცს უთუოდ ჩემი სახელი მოეწონა-მეთქი. რამდენიმე ხნის შემდეგ შინ რომ მივბრუნდი, ის უცნობი და მამაჩემი კაკლის ძირში ისხდნენ და ტკბილად მუსაფობდნენ. დედაჩემმა ჩემი ნამდვილი სახელი რომ დამიძახა, სირცხვილი-საგან არ ვიცოდი, სად ჩავმძვრალიყავი.

ასე ვათრევდი საქულველ ხახვებს, სანამ ჩვენს სახლში პატარძალი არ შემოვიდა, და ჩემს მიერ შერჩეული სახელი არ შემარქვა. სიხარულით ცას ვეწიე.

ერთი თვის შემდეგ ნეფე-პატარძალს დიდი ქორწილი გადაუხადდებოდა. მოვიწვიეთ მთელი ჩვენი ნათესაობა და ახლობლები.

მე მკლავებდაკაბიწებულ ვეხმარებოდი ჩვენებს. უზომოდ მიხაროდა ნაპარის ბედნიერება, მიხაროდა, რომ ჩვენს სახლში შემოაშუქა მშესავით გოგომ.

მახსოვს, ჩემს დასანახად პატარძალს პირბადე რომ გადაუწიეს — აღტაცებისაგან ენა ჩამივიარდა. თითქოს დავმუნჯდი.

ჩემს სიცოცხლეში ასეთი მშვენება

არ მინახავს. ო, რა ბედნიერი იყო ნაპარი!

ყაზახუ უცებ გაჩუმდა. გარეთ ისევ ისე თოვდა. მაშინვე დღემდა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, სმენდა რომ იყო გადაქცეული.

— ბევრი რომ არ გავაგარძელო, შენც ალბათ, ვახსოვს, საწყალ ნაპარს არ დასცალდა დიდხანს დამტკბარიყო თავისი ბედნიერებით, ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა იგი, — თქვა ყაზახუმ და თავი ჩაქინძრა, — ბევრს არ დარჩენია. ასეა-მეთქი. ზოგს რომ გასწირავს ღმერთი, ბოლომდე გასწირავს. უსიხარულოდ განვლო შამსიამაც თავისი ცხოვრების გზა.

მას შემდეგ, რაც დედ-მამა დამეხოცა და ჩემი დაი გათხოვდა, მივხვდი რომ არ მეცხოვრებოდა ჩემს სახლში. ის იყო აქეთ ვადმოვსახლდი კიდევ. შამსია მარტო დარჩა. სიკვდილის წინ კაცი გამომიგზავნა და შემომითვალა, მე მალე მოვეკვდები. ვიცი, რომ ყოველთვის გამირბოდი, თითქოს რამე დამეშავებინოს შენთვის. ახლა, სიკვდილისწინ მაინც მნახეო.

წავედი. იგი კვდებოდა. შევეცადე, ნუგეში მეცა, გამემხნევებინა.

— ნუ მანუგეშებ. არ არის საჭირო. — მითხრა მან, მარტონი რომ დავრჩით, — კარგად ვიცი, ჩემი დღეები დთავლილია. სიკვდილისწინ კი მინდა გავიგო, რა დავიშავე, რა ბოლი მიმიძღვის შენს წინაშე! როგორ არ ვცდილობდი, რა არ ვილონე, რომ შენი გული მომენადირებინა, მაგრამ ვერა და ვერ ვეწიე საწაღელს. შენ მუდამ გამირბოდი, მუდამ თავს მარიდებდი.

ვიჯექი ელდანაცემი და თვალს ვერ ვუსწორებდი. ან რა უნდა მეთქვა?

— რას ნიშნავს შენი დუმილი, ახრა?.. მე მინდა სიმართლე ვიცოდე.

იგი ფართოდგახელილი თვალებით მომჩერებოდა. და პასუხს ელოდებოდა ჩემგან. ეშმაკმა დამლაზვროს, თუ უცებ არ მომლანდებოდეს ის წამი, როცა პო-

ნიკოლოზ კვიციანი  
დადგინა



რველად შევაგლე თვალი შამსიას მშვენიერ სახეს.

პირბადე რომ გადახადეს, იგი მორცხვად თვალდახრილი იდგა. არ ვიცი, დაიღალა ძირს ყუბრებით, თუ რა იყო, მაგრამ წამით მზერა ასწია. და ჩვენი თვალეები ერთმანეთს შეხვდა.

იმ წამიდან შემეყვარდა შამსია, იმ წამიდან მხოლოდ მასზე ვფიქრობდი დღეც და ღამეც. რას არ ვუწოდებდი ჩემს თავს. როგორ არ ვლანძღავდი, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. შამსია გახდა ჩემი სალოცავი ხატი. ნაპარის სიკვდილის შემდეგაც ვერ ამოვიგლიჯე იგი გულიდან. ჩემი თავი მეჭავრებოდა. ოღონდ სახლში ღამე არ გამეთია და სულ გარე-გარე დავრძწოდი. დედაჩემი ისე მოკვდა, არ გაუგია შვილის გატყუებების მიზეზი.

მერე ის იყო აქ დავსახლდი... რადჯან ვგრძნობდი, შინ არ დამედგომებოდა.

მაგრამ ყოველთვის, მამისეულ სახლში რომ მივდიოდი, შიში მიპყრობდა. მეშინოდა, თვალეებში არ ამოეკითხა ვინმეს ჩემი გულისნადები. ეს შეფარული გრძნობა სიცოცხლეს მიწამლავდა, საშველს არ მაძლევდა.

ამოხდეს, რაც მოსახდენია. გაუუმხელ

შამსიას საიდუმლოს“, — გადავწყვიტე. როცა აღადმყოფი შამსია კითხვით შემომამჩერდა სახეში. არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, მაგრამ ვეღარ მოვითმინე და გავუმყდებენ ამდენ ხანს დაფარული საიდუმლო.

— შამსია, შენ არ იცი... — დღეიწყე და თან ციებ-ციხელებიანივით მაძაგდავებდა. ისე ვჩქარობდი, თითქოს უკან მომდევდნენ... როცა დავამთავრე, როცა გული ბოლოსდაბოლოს დავცალე სამსალისაგან, უცებ შევამჩნიე, შამსიას ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა.

— ახრა! — თქვა შამსიამ და უღონოდ ჩამოუვარდა ჩემსკენ გამოწვდილი ხელი.

— ეს რა ჰქენი, ახრა! მეც ხომ... მეც... — იგი გაჩუმდა. მერე ხმა არ ამოუღია საერთოდ. არც შემოუხედავს ჩემთვის.

ახლოვდებოდა მისი აღსასრულის ეამი.

რცხილდს შეშა ჩანაველდა ბუხარში. მისგან ფერფლილა დარჩა და ოდნავ მბუჭტავი ნაკვერჩხლები.

ოთახში თბილოდა გარეთ კი ისევ ისე ბარდნიდა დაუსრულებლივ.

თარგმან ციალა არღაშელიძე.



საქართველო  
საქმე



მელა ქახიძე

●

რითი შემიძლია ვიაწყო,  
თვალშეუდგამო იალაღო,  
გაცელქებულ ნაკადულთ,  
ტყეში სიმღერებად დაკარგულთ.  
მთებო! წყაროებით დასერილო,  
ნისლო! გამოსულ სასერიწოდ.  
რუხე გადებულ ბოგირებო,  
ტყეში შრიალა ხედ შობილებო.  
მიწაჲ! სიყვარულის საწინდარო,  
მწვანით დატბორილო იალაღო,  
ცაო, მზიანო და ნაწვიმარო,  
რითი შემიძლია ვიაწყო!

## ზ ა მ თ ა რ ი

დაცვივდა ხმელი ფოთოლი თუთას,  
სველი ტოტები, სიშიშვლეს სწუხან.  
მიწას მოედო ჟანგი და ჭირხლი,  
აწ სიცივისგან, ვერავეინ გვიხსნის.  
სულს ჩაბერავენ, უსულო ბუხარს,  
ცოცხლად ბუხარში დაწვავენ მუხას,  
თოფებით წაელენ, ბიჭები ნაშვრევს,  
დაერვეიან ჩხართვებს და შაშვებს,  
შაშვებს ექნებათ ლამაზი ყელი.  
და ჩემი ქმარი, იქნება მკვლელი-  
და მეც მკვლელის ცოლს, სიმკაცრე მმართებს,  
წყალს აღუღებულს დავასხამ ჩხართვებს,  
ღვინოს შემოვდგამ სუფრაზე ლიტრით  
და მონადირის საქებარს ვიტყვი!  
მერე ჩაეძალავ ლოგინში თრთოლვით  
სისხლიან ხელებს უმწეო ცოლი,  
ღონიერ ხელებს, შემომხვევს ქმარი.  
მაღალ ხეებზე იქროლებს ქარი!

შეგვიმყუდროვა სიცივემ სახლში,  
სტვირებად თლიან ქარები ლერწამს,  
გაგბეზრდი ხშირი წვიმების თავსხმით,  
ლამის ბალახებს მუხლამდე შევწვდე.  
ჭალებში ჭრიან მეტყევის ჩუმად  
წვეთივით სწორ და წერწეკა წიფლებს,  
ხე გაშლის დაბლა ფოთლების ჩულას  
და მზედ ჩამოყრის მიაქალოს მწიფეს.  
და უსაქმობით დაღლილი დედა  
თონეში შეწვაავს სოკეკრა გოგრას,  
შემოიხოსხაავს პატარებს ცეცხლთან

და ცუდ ამინდზე მოყვება ოსვრას  
ქარს, ირემივით ჭალებში მყვირალს,  
არ მოწყინდება წვიმების მწყემსვა  
და ყიამეთში აყვია ყინვა  
ჩემს საყვარელ ხეს გაყინავს წელსაც.  
თოვლი სუსტ ნერგებს აქცევს ხეიბრად,  
ბარში ჩამოყრის მყვირალა ირმებს,  
აუცილებლად წელსაც ხელიდან  
გამოგვეცლება ძვირფასი ვინმე.  
— ჯერ კი შინ ვსხედვართ და არხეინად  
ხმას ვუწყებთ გაბმულ წვიმების სიმებს.

## თაგარ პრისტავი

# მ თ ა - თ უ ზ ა თ ი

„ომალის ზოფლის ბოლოზე  
ნაბირს უვაილი ჰყვობხა,  
უთხარით, არვინ მოწყვიტოს,  
მაგის პატრონი ჭავრობხა“

ხალხური

ჰეი, მასპინძელო, გაგვიღე კარი,  
ჰეი, მასპინძელო, საით ხარ!!  
და ხმა ხეობაში დაირსა...  
ფიქალზე ანთია სანთელი მთვარის,  
არ ჩაქრეს ნიაგის მოქროლვით,  
კარი-კარ ლანდები მგზავრის,  
კარი-კარ რაზა და ბოქლომი  
სოფლების თავშიც და ბოლოშიც  
შამბები ჭინჭრის და დოლოსი  
და ხორკლი ბალახთა ველურთა, —

ომალო, ფარსმა და გირვეი,  
ხახაბო, შტროლთა და ჟველურთა.  
ღამეში ლანდები ირევა,  
კარი-კარ ივლიან კაიხანს,  
შენაქო, ხისო და გირვეი...  
ჰეი, მასპინძელო, საით ხარ!!  
ჰეი, მასპინძელო, გაგვიღე კარი,  
გახსენი რაზა და ბოქლომი,  
ფიქალზე ანთია იმედი ხვალის,  
არ გაქრეს ნიაგის მოქროლვით.

## ღართლოვი სახლი იგრაჟა

ფიქალი ფიქალს გაურბის,  
ქვემო ჰლალატობს ზემოსა,  
ნანგრევში ქარი ხმაურობს,  
სიჩუმი ხავსმა შემოსა.

არვინ გვინახავს ქერს მკიდეს,  
ან კარი გამოვლსა,  
„გვიამბე, ელიზბარო,  
რა ამბავ მოხდა ელსა?!“

რა ამბავ მოხდა ფარსმასა,  
ყვავლოს, დანოს და გირევესა?!  
რად გამდურია მხედრული,

ხმალი რაისთვის გილესავს,  
თუ ჭინჭარს შუატოვებდი  
ოხრად ალაზნის პირებსა...



დარბაისელო ვაჟაკებო,  
თუშო მწყემსებო,  
როდესაც ერთად ჩავეურეთ  
ციხე კესელოს,  
თითქოს მიწიდან გამობრწყანდა  
ძველი მონეტა,  
სახე დაგედოთ იმ უძველეს  
მეციხონენთა.

ამ ციხის ჩრდილში ლანდი იწვა  
მძიმე ომების,  
ლანდი ბრესტის და სტალინგრადის  
ბასტიონების.

ამ ციხის ჩრდილში ლანდი იწვა,  
ლანდი ომების...  
და თავდაღმართში წაიყვანეთ  
ცხენი ყოვნებით.

მერე დაბერა გრილმა სიომ  
იალაღისამ,  
თუშურმა ლუდმა საბაასოდ  
ენა გაგისნათ;  
ერთად მოგროვდნენ აჩრდილები  
ბასტიონების,

ალაპარაკდნენ ჭრილობები  
მძიმე ომების.  
ჭალარა მწყემსმა, — ნატყვიარი  
რომ სჭირდა ორგან,  
ერთხელ ოდერი მოიგონა,  
მეორედ, — ვოლგა.

სთქვით: — თუ მოკვდები, უნდა მოკვდე  
მართლა კაცურად, —

და სადღეგრძელო ალაზანმა  
დაგიდასტურათ.

ველარ დამალეთ საკუთარი  
მკერდის იარა,  
და მამა-პაპის ტივილებიც  
ჩაგეზიარათ;  
სთქვით: — ამ ქვეყნიდან  
უომარი არავინ წასულა,  
ფარსმის, გირევის, დანოს ციხემ  
დაგიდასტურათ.

სმა-ჭამა ჩვენში არ ყოფილა  
მარტო სამხევად, —  
ლზინი მოგინდათ, თუ ვეება  
დარდის გამხელა!  
დალოცვილ იყოს, ქართველებო,  
ჩვენი ადათი,  
როცა ლზინია და ღრეობა  
წრეს არ გადადის,  
როცა ლზინია, როცა ღვინოს  
ვხმართობთ საბაბად,  
რომ გულებს შორის თანაგრძნობის  
ძაფი გავაბათ.

დარბაისელო ვაჟაკებო,  
თუშო მწყემსებო,  
მეც თქვენთან ერთად ჩავეურეთ  
ციხე კესელოს,  
მეც თქვენთან ერთად ვადღეგრძელებ  
ღუდა — ბუნება,  
მიწის მადლი და  
მთისკენ პირის შემობრუნება.

დიკლოში ქვა დგას პატარა  
დიდი ბრძოლების თარიღად,  
ქართლის ცხოვრებამ ვარამი  
ამ მთებშიც ჩამოარიგა.

სიცოცხლე სისხლით ვიყიდეთ,  
არ მიგვიღია ნისიად,  
„ვინა სთქვას თუშთა დამცრობა,  
ნაპირ მოტეხა ცისია!“

ირმის რქებივით მაღალო,  
შეღერებულო მთა-ბარო,  
ნაღველს არ დაეჩაგვრინო,  
თმები არ გაიჭადარო!  
იქნება წელი ახალი  
მამლის ყვილიმა გახაროს,  
იქნება მადნით აივსოს  
შენი თცნების მაღარო.

ირმის რქებივით მაღალო,  
შეღერებულო მთა-ბარო,  
შუბებით შემომესრილო,  
ხანჯლებით გადანაბარო,  
გაფრინდაულის ლეგენდავ  
და ალაზნების ზღაპარო,  
ნაღველს არ დაეჩაგვრინო,  
თმები არ გაიჭადარო!

## ლილა სკვილია

### ჩრდილი კედელზე

რომლის ქვეშ ჩვენი ბავშვები  
გაბუტულები ისხდნენ...  
მაღლობა მთვარეს, ოთახში  
შემომიყვანა ის ხე.

მაღლობა აფოთლებისთვის  
მაისს, ივნისს და ივლისს...

ეს ჩრდილი ნუთუ ზამთარშიც  
კვლავ ჩემს ოთახში ივლის?

... ახ... როგორც დამე უმთვარო  
ზამთარი წაშლის სულაც...  
ზაფხულში ჩემს თეთრ კედელზე  
მთვარის მოხატულ სურათს.

დამდება. ტეხურზე ნისლივით  
შემოდის საღამო მეგრული.  
რიჟრაჟი მუქდება ისლებზე,  
მწიფდება ვარსკვლავთა კრებული.  
გამოჩნდნენ ციციანთელები...  
დაბლაკ მოვარსკვლავადა მიღამო...

მეზვევა გაშლილი ხელებით  
„ისისოულ“, „კუჩხა“ და „დიდავოე“!  
დიდ ოდებს ფაცხებით ნაჯავრი,  
ნატანჯი ფანჯრები უნათით...  
და... ჭყონდიდლივით ნაჯაფი  
ხმიერობს მარტვილის გუმბათი!

დასავლეთისკენ მზე მინაპირობს,  
ვით ფრთებს — იკეცავს სხივს თითო-თითოდ...  
რომ გასუსულხარ, ძეგო, რა აპირებ...  
საღამოს ცაო, თქვი, რაზე ფიქრობ!  
რას გამოსტაცებ ღრუბლების ზვირთებს...  
გადმომავწივებ, მთვარეს მაშუქებ  
თუ გადმომავყრი ქათქათა ფიფქებს!?

## ღ ა გ რ უ ნ ე ბ ა

ცის ლურჯი მტვერი, ნანატრი ფერი  
მიმაცილებდეს ნეტავ მარტამდის,  
დღეს ვარსკვლავების თეთრი სიშიშველე  
ნამქერებივით გულზე გადამდის.

ყვითლიან ქარში დის შემოდგომა,  
ვერ იტანს ფიქრი ამ დაბერებას, —

მიჰყვება მკრთალი და ფეხშიშველი  
ლურჯი ხეობის ვიწრო დერეფანს.

ნელი ნაბიჯით მოვდივარ ისევ,  
მხრებს მახვევია მსუყვე სურნელი.  
შენ მაპატიე, ჩემო ქალაქო,  
ხარ გულის ლტოლვა განუკურნელი.

## ი ღ ი ლ ი ა

აჭრჟოლებს ბინდში ქარვისფერ ღერებს,  
მზე ეთხოვება სათიბს და ჭალას,  
ბეწვივით მთვარე გადმოდის ღელეს,  
მოსდევს ბატებით მოფენილ შარას.

მიწყდა ხმაური ზანზალაკების  
და ადრინადად გატკბა გომური,  
ნაჯაფარ ნისლას ახლა ზამთრისკენ  
მიუღერია ქედი ლომური.

## ფ ი ქ რ ი

მე გაღვიძებდი ჩათვლემილს თბილად,  
გეფარა დამის ლურჯი ხავერდი  
და ვაგროვებდი ფიფქებს შენს წილად,  
შორს გრემი იყო და ალავერდი.

ასე ფანტელი ეხვევა ჭადარს,  
ასე რონინით ფარფატებს ფიქრი,

ასე ოცნება აახლებს დადარს,  
ასე ღაღანებს ჰაერში ფითრი.

დაგვძებ, გისმობ ანთებულ ლამპარს,  
თოვლში ტოტივით გადავიხრები,  
ვერცხლის ბეწვები აშლია ზამთარს  
და შეყინვია ჭადრებს ჭირსლები.

ნაზი ქიზია

## ა ხ ლ ა

მდინარის ჩქამი აწყდება მალღობს  
და მიაპობენ ზვირთებს ტივები,  
მე მომეჩვენა ვენახი ახლოს  
და შემომესმა ვაზის ტირილი.  
გრილ ნაჟურს ბეშვით დავცლი ნისლებთან,  
ავედევნები აპრილის ფიფქებს...  
ახლა ჩემს ზემოთ ცა გაიხსნება,  
ამობრწყინდება მამულზე ფიქრი.

თუ კი აკლდება  
 დღეებს ჩემსას ნათელი მცირე,  
 ხომ ემატება  
 ხევში წყაროს წვეთები ცივი.  
 თუ მიაქვთ ნისლეებს  
 მთლად ფარფატა ჩემი კარავი,  
 ხომ აცისკროვნებს  
 მაღალ სივრცეს მერცხლის კამარა.  
 თუ დუმილს ჩემსას  
 შეაშფოთებს ქარი ამაყი,

ვეება ტალღებს  
 ხომ მიარღვევს მტკვარში კალმასი.  
 თუ სული ჩემი  
 დაიღამებს დილას კაეშნით, —  
 ციციანთელა  
 ხომ იბრწყინებს მაინც ღამეში.  
 თუ უსათუოდ  
 ბოლოს მაინც ხმა გამებზარა,  
 ხომ იწკრიალებს  
 უფრო ლაღად ათასი ზარი.

## ათარ სამხარაქე-ჯღამექე

### გაგულო ჩემო

შენი ამაყი, მაღალი სულის  
 იყოს მამულო, ეს სადღეგრძელოც...  
 შენზე მსურვალე,  
 შენზე მცხუნვარე,  
 შენზე ბრწყინვალე მზე სად ვეძებო?..  
 მიეძინებათ წამით ოცნებებს  
 და გაშლა კვირტთა კვლავ დაიწყება,  
 შენ, ჩემო სიყრმის განმეორებავე,  
 შენ, ჩემო მზევ და თავდავიწყებავე!

## ზინა სოლომონივილი

### ნ ა ტ ვ რ ა

ჯიქურ მთაბიჯებს სოფლად დიონისე,  
 ყველა გულს ამღერებს, ქვევრ-მარნებს ახელებს!..  
 აბა, მე რალატომ უნდა ვდიო ნისლეებს,  
 თუ კი მზე აღადებს — ამ ქუჩებს, ამ ხეებს!..  
 სულდგმულთა სიმრავლე მიწას ძალას მატებს,  
 მითომ მსურს, სუყველა ათასჯერ გაბეგრდეს.  
 ნეტავი ეს ქალი უფრო ვალამაზდეს,  
 ნეტავი ეს კაცი არასდროს დაბერდეს.

მწვერვალნი დგანან,  
კორდები სხედან...  
მოათამაშებს მდინარე ჩალას.  
ღობეს მოადგენენ მთვრალი ვაზები,  
ქუდმთვრალეული გაიქცა შარა.  
ახლა ვშმაკის არ მეშინია,  
ყველგან მთებივით კაცები ჩანან.  
და გული ისე მიარღვევს ფიქრებს,  
როგორც გრიგალი ატეხილ ჭალას.

ტატნობს ლირიკული განცდა მოპრევია,  
სიცოცხლის ზეიმით გზები მდიდარია,  
ყოფნის და არყოფნის ცხარე ბრძოლებია...  
ქალაქი ზღვა არის, სოფელი მდინარეა,  
მთები იფერებენ ვულკანების კვილს,  
ზეცა — ვარსკვლავების ლაციცს ლიტანიას.  
მიწა როგორ უძღვებს მთელ მსოფლიოს ტკივილს,  
მე რომ შენი წყენაც ვერ ამიტანია!

## მზია ჩხვიანი

„ვის უნდა ქალი ეთერი...“  
ხალხური

ჩემი ცეცხლი მიიღია  
და ყიჟინი მიჩუმდა...  
ვისი სულის ტკივილია,  
მზეჭაბუკი ვის უნდა!  
გზა შეჩერდა, ცხენი დადგა,  
მკლავი მითრთის ვერანი,  
ჯერ არ მადგას თავზე კუშტად  
ავი წერამწვერალი...  
ეჰე, ჰეი! გამაქროლე,  
ჩემო ფიცხო მერანო,  
ქარს ფეხდაფეხ ამაყოლე,  
რაა წერამწვერალი!

ცაზე ჩემი ცისარტყელა  
ისევე უნდა ელავდეს,

იებში და სისარულში  
უნდა ვიდგე ყელამდე,  
მზის ბადაგი — სიყვარული  
ვსვა ყანწით თუ ხელადით...

ჩემი სულის ყივილია  
ცას რომ შემოგვიდა,  
აბა რა დროს სიკვდილია, —  
მზეჭაბუკი მე მინდა!  
მე სიცოცხლის ფასი ვიცი  
და სიკვდილის ადგილი,  
ქარში ელავს, მზეში იწვის  
ჩემი სულის წადილი!

როგორ განათდა ყველაფერი ჩემს ირველივ, ღმერთო!  
მე დავბრმავდი თუ მოკაშკაშე მთების ნისლია!..  
ხომ კარგად გახსოვს რწმენით სავსე ღიმილი ჩემი,  
მაშ, ეს ცრემლებიც მაპატიე,  
თუ შეგიძლია!

## მერი მილაუჩი

### ბ რ ძ ა ნ ე

ბრძანე და გაგიცოცხლდება არსენა რკინისმკენეტელი,  
ბრძანე და ახლავ აღდგება, როგორც ცოცხალი კედელი.  
ბრძანე და საზღვარგადაღმა იელვებს გველისპირული,  
ბრძანე და აქსე დაგხვდება — ერთგული დოლის პურივით.  
ბრძანე და კრწანისს მოგიწყავს სამიათასი ხევსური,  
ბრძანე და წვიმად წამოვა ნაირსახება ზვესური,  
ბრძანე და აღმა მთებისკენ გატრიალდება არაგვი,  
ბრძანე და ზევაოდ მოსკდება მთვლემარე გრძნობის მარავი.  
ბრძანე და ხმალი ალესე, მზად გახლავს ჩემი კისერი,  
ბრძანე და დარბაზს აწვიე სუყველა დარბაისელი,  
ბრძანე და ვკლის გვირგვინით შემიმკე თავი ისევე,  
ბრძანე რა ხნისაც გამწირე, ისევ იმდენი წლისა ვარ.  
ბრძანე და თავზე წისქვილი დამიტრიალე თავიდან,  
ვიცი, არ შეგეცოდები, რადგან ყველაფერს ავიტან.

### ა რ ა ვ ვ ი

და გაწოლილა არაგვი,  
თითქოს დაჭრილი ვეფხვია,  
ახლა არ გვხვდავს არავინ,  
ნება მომეცი, გემთხვიო,  
ნება მომეცი, გემთხვიო,  
თავისუფლების დამკარგავს,  
თითქოს დაჭრილი ვეფხვია,  
მაგრამ მომაკვდავს არა ჰვავს.





# უმადური

სოფელ წიფნავარაში, ბერეჟიანების საგვარეულო სასაფლაოზე იმდენი ასწელსგადაცილებული ბერეჟიანი იწვა, რომ გუდულის ასი წელი არავის გახსენებია. სხვას კი არა, თვითონ გუდულისაც არ გახსენებია თავისი დაბადების დღე. იგი იმ დილით ღონგინოზა მამალთან ერთად ადგა. ჯერ ფეხებში გაბლანდულ მეზობლის ძაღლს გაეზაასა.

— აბა, შენ იცი, წუწკალია, რამდენ კვერცხს ამაცილი დღეს ბუდიდან. — მერე ქანდარიდან გადმოფრენილი მამალი აავსო საყვედურებით.

— ძილს რომ არ მაცილი და მეფაფხურები ყოველ დილას, იმ დედლებს მიხედო გირჩევნია, არდალიონა ბროკიშვილის მამალი რომ უქაჩავს თვლებს.

— საყვედურს რომ მორჩა, ეზო გაიარა და ქუხნა-სახლში შევიდა. კერი-ასთან დაიჩოქა, ნაცარში გახვეული ნაკვერჩხალი გამოჩხრიკა, ზედ ხმელი ფიჩხი დააყარა, უბერა, უბერა სული და, შუაღამის რომ კარგად გაჩაღა, წყლით სავსე თუნგი მიუდგა. ოდნავ რომ შეთბა წყალი, სარძევე ქოთანში გადაასხა, მარჯვენა მკლავი დაიკაპიწა და ბოსლის კარი შეაღო. ბავაზე მიბმულმა ძროხამ ვეებერთელა თვალები მიანათა პატრონს და დაიზმულა.

— გაგიმარჯოს, ბატონო! — მიესალმა გუდული ძროხას და ხელი დაჰკრა გავაზე. ძროხამ ცოხნა შეაჩერა, ზღაზღვით წამოდგა და მშრალში მიდგა. რძის მისაცემად მოემზადა. გუდულიმ სამფეხა სკამი ლაქებში ამოიღო და ძროხის დამჭკნარ ჭიქანს მიუჭდა. ცოტა მისცა ძროხამ რძე.

— სულ წახვედი ხელიდან, შე უბედურო! — უსაყვედურა ძროხას გუდულიმ და რქაზე ბაწარი შეხსნა.

— რა ვქნა, დაგბერდიო, — იმართლა თავი ძროხამ. გუდულიმ ჭიქარი გაუღო და მოჩაღულ ნაყანევში გადადგინა.

— წადი, შენ გაიარე მშვიერი მგლის უკანალში, ძროხა კი არა, თხა ხარ...

ძროხა წავიდა და უგემურად დაუწყო წიწკნა ქეცმორეულ ბალახს.

●  
— გამარჯობა, გუდული! — გუდული ოდის კიბეზე იჯდა, გვერდით რძიანი ქოთანს ედგა, ორმთაშუა ცნობისმოყვარე ბავშვივით ამოწვირილ მზეს უცქერდა და არაფერზე არ ფიქრობდა.

— გამარჯობა, გუდული! — გუდულიმ იქით გაიხედა, საიდანაც სალამი მოესმა. მსხლის ძირში უჩა მელიმონაძე იდგა და თავს იფხანდა.

— რამდენჯერ უნდა გასწავლო, ბი-

ჭო, მე შენ, გუდულის ნუ მეძახი, გუ-  
დული ბაბუა დამიძახე-მეთქი?!!

— გამარჯობა, გუდული ბაბუა!

— გაგიმარჯოს!

— დედამ შემოგითვალა, უჩას მურა-  
ბა აქამეო!.. — გადასცა უჩამ დანაბა-  
რები. გუდულის გაეღიმა.

— რძე არაო?

— მურაბაო! — გაიმეორა უჩამ.

— აბა, რძეს სანამ არ დაღვე, მურა-  
ბას არ ვაკმევ! — უთხრა გუდულიმ.

— ჩამახდე! — თხოვა უჩამ და ქო-  
თანში თავი ჩარგო. — დედამ მითხრა,  
ნუ სვამ უღლეურ ხბოსავით გუდული  
ბერეკიანის უღულარ რძეს, თორემ  
ბრუცელოზი დაგემართებაო. — თქვა  
უჩამ, ქოთნიდან რომ თავი ამოჰყო.

— რა ესმის, ბიჭო, დედაშენს? არ  
იცი შენ, ყველა ქალის ჭკუა თხამ ბარ-  
დზე რომ მიაჭამა? უღულარი რძით ვარ  
გაზრდილი, მე რომ მიყურებ! — გაუ-  
ჯავრდა გუდული და ქოთანი მიაწოდა.  
უჩამ ამოიხრა და ქოთანი პირზე მიი-  
ყუდა. გუდული უყურებდა, როგორ  
ებერებოდა ბუყბუყით უჩას პატარა მუ-  
ცელი და სიცილს ძლივს იკავებდა. ბო-  
ლოს უჩამ ერთი ამოიქმინა, რძით გა-  
თეთრებული საულვაშე პერანგის სახე-  
ლოთი შეიხოცა და ქოთანი გუდულის  
გაუწოდა.

— მომეხმარე პატარა შენც! — სთხო-  
ვა. გუდულიმ ქოთანი ჩამოართვა და  
მშეს გახედა.

— ბიჭო, უჩა! სკოლაში წასვლას არ  
აპირებ დღეს?

— კვირაა დღეს, — ბედნიერი ღიმი-  
ლით გაუღიმა უჩამ.

— შაბათია, ბიჭო! — წარბი შეიკრა  
გუდულიმ.

— კვირაა! — არ დაიშალა უჩამ.

— ვაი, შენ ჩემო თავო! — დაირტყა  
მუხლზე ხელი გუდულიმ.

— რა იყო, გუდული ბაბუა, შენთვის  
სულ ერთი არაა შაბათი და კვირა?  
კლასში შენ არ დადიხარ და... — დაამ-  
შვიდა უჩამ.

— რიცხვი რომელია?

— რიცხვი 28, დღე — კვირა, თვე —  
ნოემბერი, წელიწადი — 1976, რომელია  
მოუკაცლა უჩამ და ისევ გაუღიმა.

— ვაი, შენ ჩემო თავო! — გაიმეო-  
რა გუდულიმ და ფეხზე ადგა.

გაკვირვებულ უჩასთვის ყურადღება  
არ მიუქცევია, ზალაში შევიდა და თა-  
ვისი საწოლის თავზე მილურსმნულ კა-  
ლენდარს მიაჩერდა. დიდხანს უყურა.  
ბოლოს კალენდრიდან ფურცელი მო-  
ხია, აივანზე დაბრუნდა და ისევ ქვის კი-  
ბეზე ჩამოჯდა.

— რა იყო, გუდული ბაბუა? — გვერ-  
დით მოუჯდა უჩა, იდაყვი კალთაზე  
ჩამოადო და ქვევიდან ზევით ახედა  
ცნობისმოყვარე თვალებით. გუდულიმ  
ხმა არ გასცა, გულისჯიბიდან სათვალე  
ამოიღო, გაიკეთა და ისე, როგორც ეწე-  
რა კალენდრის ფურცელზე, თავიდან  
ბოლომდე ასო-ასო ჩაიკითხა:

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 53-ე წე-  
ლი

28 ნოემბერი — კვირა

მზე — ამოღის 8,06

ჩაღის — 17,32

დღის ხანგრძლივობა — 9,26

ახალი მთვარე 24 ნოემბერს

ამოღის — 10,55

ჩაღის — 20,31

1820 — დაიბადა ფრიდრიხ ენგელსი.

ახლა კალენდრის მეორე მხარეს და-  
ბეჭდილი ამბავი ჩაიკითხა გუდულიმ  
გულდასმით:

იცი თუ არა?...!

ერთ დღეში ადამიანი 20 ათასამდე ნაბიჯს  
გაღის, ერთი წლის განმავლობაში კი ეს ციფ-  
რი 7 მილიონს აღწევს, ასე რომ, 10 წლის  
მანძილზე ნაბიჯთა რაოდენობა შეადგენს 500  
მილიონს. ეს გზა დაახლოებით 384 ათასი კმ  
— უდრის მანძილს დედამიწიდან მთვარემდე.

გუდულიმ ცას ახედა და მზე შეხვდა.  
ახლა დასაუღეთით გაიხედა, დაღუული  
მთვარე დაინახა. მზე და მთვარე ერთად  
იყვნენ ცაზე, მაგრამ მზე იმ წუთში,  
რატომღაც, უფრო ახლოს მოეჩვენა გუ-  
დულის, ვიდრე მთვარე. კითხვა განაგ-  
რძო — 384 ათასი კმ დედამიწის 9 ეკ-  
ვატორზე მეტია, მაშასადამე, 70 წლის



მანძილზე ადამიანს შეუძლია 9-ჯერ გარშემოუაროს დედამიწას. — გუდულის თავბრუ დაეხვა.

— 70 წლის მანძილზე 9-ჯერ, 100 წლის მანძილზე?.. 100 წლის მანძილზე, ალბათ, ათჯერ, თერთმეტჯერ, თორმეტჯერ... — გუდულომ ფეხებზე დაიხედა, მუხლები ოდნავ აუთრთოლდა, საშინელი დაღლილობა იგრძნო უცებ, თითქოს ახლა, ამ წუთში შემოეაროს დედამიწისათვის მეთორმეტჯერ, დაძარღვეული ხელები ძვლადქცეულ მუხლისთავეებზე დაიწყო და დიდხანს, დიდხანს ეფერა, ეფერა, ვიდრე თრთოლვამ არ გაუარა.

— გეყურებთ? რომ გველო ამ 100 წლის მანძილზე მე და თქვენ თურმე: წიფნავგარიდან ოზურგეთზე, ოზურგეთიდან ბათუმზე, ბათუმიდან მოსკოვზე, მოსკოვიდან გერმანიაზე, გერმანიიდან ამერიკაზე, მერე იქითა მხრიდან იაპონიაზე, ოზურგეთზე და ისევ წიფნავგარაზე გავლით, ამ დალოცვილ დედამიწას თორმეტჯერ შემოვუვლიდით თურმე გარშემო. — გუდული დაფიქრდა. — არ მოხერხდა. — გუდულომ სინანულით გაიღიმა, — არ მოხერხდა, მაგრამ მაღალი ღმერთია მოწამე, ამ ხნის განმავლობაში წუთი არ გაეჩერებულვართ მე და თქვენ. — გუდული ისევ დაფიქრდა და კვლავ გაიღიმა. — გამოდის, რომ ამ ხნის განმავლობაში სულ ერთ ადგილზე გვივლია... ისე კი, ბევრი გვივლია. ჰო, რა ბადე გვიქსოვია??? მაგრამ არ ვნანობ, იმისთვისაც მაღლობელი ვარ, ეს 100 წელიწადი ასე დაუღალავად რომ დაგქონდათ ჩემი ძვალი და ხორცი შუკიდან შუკაში, ეზოდან — ეზოში და სამეზობლოში, დიდი მაღლობელი ვარ თქვენი, ბატონო, დიდი მაღლობელი! — თქვა გუდულომ ხმამაღლა და ისევ დაისვა ხელები გამხმარ მუხლის თავებზე

1970 წლის 28 ნოემბერს დილის რვა საათზე 100 წელი შეუსრულდა გუდული ბერეჟიანს. გაახსენდა ეს გუდულის და გული აუფართქალდა უცებ ბუდეში დაჰყრილი ჩიტვიით. გაუკვირდა და

შეეშინდა გუდულის ძალიან. ახალგაზრდობაში ემართებოდა ასე: სოფლის მოედანზე გამოსულს, მიზანში სროლის წინ ემართებოდა, ცხენზე შეჯდომის წინ ემართებოდა მარულაზე. ზოსიმე ქერქაძის ტყუპებთან ჭიდაობის წინ ემართებოდა და მათი დის, თალიკოს დანახვაზე ემართებოდა გუდულის ასეთი გულის ფრიალი, ახლა რომ აუფართქალდა. შეეშინდა გუდული, არ ამომივარდეს გული ბუდიდანო და ხელი იტაცა მარცხენა ძუძუზე. ნახევარ წუთს იფართქალა გულმა. მთელმა ახალგაზრდობამ გაიარა გუდულის თვალწინ ამ ნახევარ წუთში და თითქოს გასხლტა ხელიდანო, გაფრინდა უცებ გული, სუნთქვა შეეკრა გუდულის და ცივმა ოფლმა გამოეყონა შუბლზე. ბუმბულივით მსუბუქი გახდა, თითქოს ჰაერს შეერიაო, მიილია, მიილია და უცებ კვლავ მობრუნდა გული ჩიტვიით ბუდეში, ფრთები გაისწორა, კარგად დაიბუდა და დაიწყო თავისი ჩვეულებრივი, მიყრუებული, მაგრამ ზომიერი და დინჯი საქმიანობა. შეკრული სუნთქვა გაეხსნა გუდულის. ფილტვები გრილი, კამკამა ჰაერით აევსო, ცივი ოფლი სახელოთი მოიწმინდა, შვებით ამოისუნთქა და გაიღიმა.

— მაღლობელი ვარ, ბატონო, შენი, დიდი მაღლობელი! — თქვა მან და გულს ხელით მოეფერა.

ბერეჟიანებისათვის ღვთით ნაბოძები 100 წელი შეასრულა ერთი საათის წინ და ახლა თავისი შნოთი და მარიფათით სასიცოცხლო ასმეერთე წელიწადს შეუდგა გუდული ბერეჟიანი.



ეზოში ჩავიდა გუდული, ღარისაკენ მიმავალი ბილიკი გაიარა, შუა ნაყანევში მივიდა და თავის კბილა მსხლის ჩრდილში დაჯდა. უჩა თან მიჰყვა.

— აგი წალდი არ ტკივა ამ მსხალს, გუდული ბაბუა? — ჰკითხა უჩამ და ხიდან ნიკურტით დარკობილი წალდი ამ-

ნოდარ დუმბაძე  
შმაღური

ბიძე ანტონ

თაძრო. „დაიწყო, გაიფიქრა გუდულომ, — მზის ჩასვლამდე ახლა მილიონ შეკითხვას მომცემს“.

— ხე თუ წალდს და ნაჯახს გრძნობს, უჩა ბაბუა, დაღუპულა ჩვენი საქმე და ისაა, ტყუილა ცდილობს მაშინ კაცი ცოდვების მონანიებას ღვთის წინაშე. —

გუდულო ახალი კითხვისათვის მოემზადა, მაგრამ უჩამ არაფერი არ ჰკითხა, წალდის აპარპალეტულ პირს ფრთხილად დაუსვა ცერი და თვითონვე უპასუხა თავისსავე კითხვას.

— გრძნობს, აბა არ გრძნობს?! — თქვა და გვერდით მოუჭდა. გუდულო დაფიქრდა და უჩას ცეცხლივით წითელ თავზე ხელი დაადო.

— უჩა, ამ დილით შენს გუდულო ბაბუას 100 წელი შეუსრულდა.

უჩამ მოხედა გუდულოს და გაუღიმა.

— რა გაციენებს, ბიჭო?

— ასი წლის არ იყავი, გუდულო ბაბუა, შარშან და იმის წინ?

— შარშან და იმის წინ ასის რავა ვიყავი, შე მამაძაღლო! — ეწყინა გუდულოს.

— აბა, რამდენის იყავი?

— შარშან ოთხმოცდაცხრამეტის, იმის წინ — ოთხმოცდათვრამეტის. დღეს გავხდი ასი წლის.

— სულ ასეთი არ იყავი? — გაუღიმა ისევ უჩამ.

— ნუ იცინი, ბიჭო, უღდეურით, სულ ასეთი მამაშენი იყოს, თუ კარგია!

— დედამ თქვა შენზე, მაგას ხანი არც ემატება და არც აკლდება, დრო გააჩერა მაგ შეჩვენებულმაო. — გუდულომ თვალუბში ჩახედა ბავშვს და შიგ თავისი ჭინკასავით ბავშვობა დაინახა, მერე თვალი აარიდა უჩას და ისე ჰკითხა, თითქოს სხვას ეკითხებოთ:

— არ კვდებო, აბა?

— არაო.

— დრო გააჩერაო?

— კი, გააჩერაო.

— დროს მე კი არა, ასი უღელი ხარკამეჩი ვერ გააჩერებს, უჩა ბაბუა. — სინანულით გაიქნია თავი გუდულომ.

— აბა, რა გააჩერებს დროს? — დაწერეს და უჩა.

— დრო მოვა და მისით გაჩერდება ალბათ. — თქვა გუდულომ და თავისსავე ნათქვამზე გაეცინა. უჩამაც გაეცინა და მოლზე გულაღმა გაწვა.

— შეხედე, გუდულო ბაბუა, მზე და მთვარე ერთადაა ცაზე! — გაახედა უჩამ.

— ენახე, ბაბუა, უჩვე!

— როგორაა მერე, მაგი, დღე და ღამე რომაა ერთად ცაზე? — ჰკითხა უჩამ.

„გადამრევს ეს ბიჭი“, — გაიფიქრა გუდულომ და წაუყრუა.

— როგორაა? — არ მოეშვა უჩა.

— ეს ცა ღვთის თვალია და ყველაფერს იტევს დალოცვილი დღესაც და ღამესაც. — აუხსნა გუდულომ.

— როგორაა ღვთის თვალი?

— ნუ გაიკრიფე, ბიჭო, ენად! — გაჯავრდა გუდულო.

— როგორაა? — არ დაიშალა უჩამ. გუდულოს სასტიკად დაცხა და საყელო შეიხსნა.

— როგორაა და, შენ ხომ გაქვს თვალი? — ჰკითხა უჩას უცებ.

— აბა, რაა ეს? — მიიტანა საჩვენებელი თითი თვალთან უჩამ.

— დახუჭე, აბა! — უჩამ სწრაფად დახუჭა თვალები.

— რა ქნა?

— დაღამდა.

— გააღე! — უჩამ გააღო თვალები.

— ახლა?

— გათენდა — თქვა უჩამ და გაიღიმა.

— ჰოდა. ასეა ღვთის თვალიც. — ამოისუნთქა შეგებით გუდულომ.

— მერე, მე და მაგი ერთი ვართ? — ჰკითხა უჩამ და წამოჭდა.

— ერთი ხართ, ბაბუა აბა, რა ხართ! შენია ეს ქვეყანა და რა დადის ზედ შენი ფასი?! — დაუმტკიცა სამყარო გუდულომ და უჩას თავი გულში ჩაიკრა ცეცხლმოკიდებული ჭირკვიით. უჩას კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა გუდულოსათვის, მაგრამ გუდულომ ხელი ააფარა დაბჩენილ პირზე და დაემუქრა:

— აღარ მკითხო არაფერი, თორემ შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავ...

— კიდევ ერთს გკითხავ და მეტს არა! — გამოიბღღვნა ყელი უჩამ.

— მიდი, ოღონდ ერთის მეტი არ მკითხო! — გააფრთხილა გუდუღიმი.

— დედაჩემმა მითხრა ამ დილით, მამაშენი დიტოიე მელიმონაძე ყაჩაღია, აბრაჯი, ხვადაჯი და ძაღლისშვილი, მკვლარია მაგი ჩვენთვისო. მართალია? — გუდუღლის პირი გაუშრა, რა უნდა უთხრას ახლა ამ ლუკვივით პატარა ბიჭს, აბრიალებული ჭირკვივით რომ აქვს მისი თავი მკერდზე მიხუტებული, ბებერ ძვლებს რომ უთბობს და ცნობისმოყვარე თვალს არ აცილებს!

— მართალია, ბაბუა, მაგრამ შენ არ უნდა გაიმეორო მაგი, მაინც მამაა შენი. — ძლივს მოაბრუნა ენა გუდუღიმი.

— რატომ?

— შენისთანა ბაღანას რომ მიატოვებს კაცი და ქალს რომ გაეკიდება სტაეროპოლში, ხვადაჯია, ბაბუა, აბა, რაა? — უჩამ არაფერი აღარ ჰკითხა გუდუღლის, ადგა და ჭიშკრისაყენ წავიდა თავჩაღუნული.

„არ უნდა მეთქვა. მაგას მამამისი ანგელოსი ჰგონია. რა იცის ქრისტეს ძვლის მკვერელი რომაა.“ — გაიფიქრა გუდუღიმი და გული აეწვა.

— ბიჭო, უჩა! — დაუძახა გუდუღიმი. უჩას არ მოუხედაია. — მობრუნდი, უჩა ბაბუა! — უჩა გაჩერდა, მაგრამ უკან მაინც არ მოიხედა. — მოიხედე, ბიჭო, ხვადაჯი კი არა, ტარიელია მამაშენი, ფრიდონია და ავთანდილი. ხუმრობა არ იცი, შე მამაძაღლო?! — უჩამ უნდობლად გამოხედა გუდუღლის წარბებ-ქვეშიდან, ხომ არ მატყუილებსო, გუდუღიმი გაუღიმა. — მოდი, ბაბუა მოდი! — დაუქნია ხელი. უჩა ნელი ნაბიჯით დაიძრა გუდუღლისაყენ და უცებ გუდუღლი გაშტერდა... ჯერ ეგონა მეჩვენებო. მაგრამ რომ აღარ შეწყდა ეს შემადრწუნებელი შეგარძნება მდუღარე-სავით რომ ეღვრებოდა გაციებულ სხე-

ულზე, გუდუღლი მიხვდა, რომ ეს დასასრულის დასაწყისი იყო.

— ღმერთო, ნუ მიზამ ამას! — სთხოვა ღმერთს გუდუღიმი, მაგრამ ღმერთი უღმობელი იყო. გუდუღლი ბერეჟიანი შემზარავ სისველეს გრძნობდა ლაჯებში.

— უჩა, ბაბუა, მიშველე! — აღმოხდა მისდა უნებურად გუდუღლის და ვიდრე უჩა მიირბენდა, იგი ორთავე მუხლზე დაეშვა ხის ძირში მლოცველივით და აქვითინდა.

გავიდა ერთი საათი. გუდუღლის დაკარგული ხმა დაუბრუნდა.

— წადი, ბაბუა, შენ და დამტოვე მარტო!

— წავალ და დედას დავუძახებ, აგერაა კოტოულაში, სიმინდის ანაგერაზე.

— არაფერი არ მჭირს მე, ნურავის დაუძახებ.

— წავალ მე და დედას ვეტყვი.

— არაფერი არ მტკივა, ბიჭო!

— აბა, რატომ ტიროდი, თუ არ გტკივა?

— მოგატყუილე და გამოგცადე, ვნახო ერთი, თუ უყვარხარ უჩას-მეთქი.

— დღეს რავეა, სულ მატყუილებ?

— რა ვქნა, გამოვბეჭუტურდი ბერიკაცი. წადი აწი და დამტოვე მარტო, დასვენება მინდა ახლა მე. — უჩა წავიდა. ჭიშკართან მაინც ჰოტრიალდა.

— წადი, ბაბუა, წადი! — უთბარა მშვიდი ხმით გუდუღიმი და უჩა გადავიდა ეზოდან.

იღგა გაუძძრეველად, ხეს მიყრდნობილი გუდუღლი და გაშტერებული დასცქეროდა დედამიწას. იგი არაფერზე არ ფიქრობდა. მისი გონება დაშრეტილიყო სრულებით და მხოლოდ უზარმაზარი სიცარიელე ესვენა შიგ. ირგვე-

ნოდარ ლუმაბაძე  
უმაღლრი

ლივ ყველაფერი სდუმდა. სოფელი, საქონელი, მცენარე, ცაც და დედამიწაც. გუდული ხედავდა, როგორ ცვივოდა მის თვალწინ მსხალს ნაყოფი და როგორ სკდებოდა მოლზე დაცემისას, მაგრამ ხმა არ ჰქონდა. გუდული ხედავდა, როგორ გადმოდიოდა ღარიდან წყალი და არ ჩხრიალებდა. ხედავდა, როგორ ათამაშებდა ჩალის ფუჩეჩს ნიავი, მაგრამ შრიალი არ ესმოდა. ხედავდა, როგორ ეძახდა ჰიმნარზე მომდგარი კისერწაგრძელებული ძროხა და ზმუილი არ ესმოდა, ხედავდა, როგორ იბათქუნებდა გვერდებზე ძლიერ ფრთებს, ღობეზე გასული, ლონგინოზა მამალი, თვალეზადმოკაკულული როგორ აბეინდა პირს, მაგრამ ყივილი არ ესმოდა. მკვდარი იყო ყველა და ყველაფერი. იყო მხოლოდ მოლოდინი, სულის მძრუნელი, გაუთავებელი, დაუსრულებელი, მუშტად შეკრული, შიშნარევი და სადღაც შუბლთან გაჩხერილი მოლოდინი. მხარით ხეს მიყრდნობილი, მკლავებჩამოყრილი და გაქვავებული გუდული თავად ჰგავდა ხეს: დაკოყრილს, ბებერს, გამობრულს, ჰიანს, რომელიც უკვე საუკუნეა დგას და ნაჯახიან კაცს ელოდება. — ავია, გუდული ბერეყიანო, ავია!

ადარ ახსოვს გუდულის, რამდენ ხანს იდგა ასე. გონს მხოლოდ მაშინ მოეგო ისევ, როდესაც იმ შიშნარევი მოლოდინსა და ტკივილს. ერთი წვეთი იმედი ჩაედგარა. ჩაედგარა იმედი და ისევ აუფართქალდა გული. იმედი მოფრინდა საიდანღაც, ბუდეში ჩაუჭდა გულს და ოდნავ მიაჩოჩა. იმედმა გაუხსნა კარი ყველაფერს. ჯერ საკუთარი გულისცემა გაიგონა გუდულიმ, მერე ფუჩეჩის შრიალი, მერე ძროხის ზმუილი, მერე წყლის ჩხრიალი და ლონგინოზა მამალის ყივილიც გაიგონა ბოლოს.

— ასე, თქვე დალოცვილებო! — ჩურჩულთ თქვა გუდულიმ და გაუბედავად დაიძრა ადგილიდან. ოდისაკენ წავიდა. არაფერი არ მომხდარა, მზეს გახედა, საგრძნობლად გადახრილიყო მზე დასავლეთით. არაფერი არ მომხდა-

რა, არ განმეორებულა, ალბათ რაღაც უნებურად, შემთხვევით მოხდა ყოველი... შეიძლება სულაც არ მომხდარა.

გუდული კიბეზე შედგა. ერთი საფეხური აიარა, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე საფეხურზე შედგა გუდული და ისევ მოკვდა ყველაფერი გარშემო, ისევ გაჩერდა დრო და სამყარო.

— დრო გააჩერა მაგ შეჩვენებულმა! — გაახსენდა უჩას დედის ნათქვამი და სიმწრის ოფლმა დაასხა.

ხელმეორედ იგრძნო შემზარავი სისველე ლაჭებში გუდული ბერეყიანმა და მუხლმოკვეთილი დაეშვა ქვის კიბეზე.

● — გამარჯობა, გუდული ბატონო! — გუდული გამოერკვა.

— რა იყო, ქსენია? — არ ესიამოვნა გუდულის უჩას დედის დანახვა ახლა, ამ წუთში, როგორც არასდროს, ისე უნდოდა მარტო ყოფნა.

— უჩამ მითხრა; გუდული ბაბუა მგონი ცუდად არისო!

— არაფერია, ჩემო ქსენია. გული ამიჩქოროდა პატარა და გადამიარა უკვე.

— რამე ხომ არ გნებათ, გუდული ბატონო. ექიმს დავეუძახებ ავერ.

— არაფერი, ქსენია! — დაიწყება აწი ექიმში, ექთანში და საავადმყოფოში — დენივით გაუარა ტვინში გუდულის.

— ვალერიანის წვეთები გნებავს იქნებ?

— არა, ქსენია! — „გათავდა ცხოვრება, ვის რად უნდა ვალერიანის წვეთებით შენახული სიცოცხლე“?

— ვალიდოლი?

— არც ვალიდოლი!

— რა ვქნა, აბა, რა წყალში ჩავევარდე? — „ეს პირველია, აწი შეწუხდება ქვეყანა, მტერი და მოყვარე,“ — გაიფიქრა გუდულიმ.

— წადი, ქსენია, შენ საქმეს მიხედე, მე არაფერი მიშავს.

— რალაცა უთქვამს იმ არგასაზრდელს სიკვდილის თაობაზე, ვითომ მე

მეკადრების, ენას ამოვადრობ, გულუ-  
ლი ბატონო, შენ თუ მეტყვი!

— როგორ გეკადრება, ქსენია! —  
„რამდენი ლაპარაკი ცოდნია ამ ქალს,  
ადრე არასოდეს შემომჩნევია“, — გაი-  
ფიქრა გულუღი.

— ვისი პირიდან გაიგონა მაგ შეჩ-  
ვენებულმა, ამის პირს დაეყარე მიწა-  
— „როგორ იმეტებს თავს, მე ხომ ვი-  
ცი, მაგისი ნათქვამია, უჩა ტყუილს არ  
მეტყოდა,“ — გაიფიქრა გულუღი.

— ნუ იწყევლები, ქალო, წადი სახ-  
ლში და საქმეს მიხედ! — შეკრა წარ-  
ბი გულუღი.

— ასი წლის გამხდარხარ დღეს, გუ-  
ღული ბატონო, ღმერთმა კიდევ ას  
წელს ასე ჯანმრთელი და საღ-საღამათი  
გამყოფოს, როგორც ახლა ხარ. — და-  
ლოცა ქსენიამ.

— გმადლობთ, ქსენია. — გული  
აეწვა გულუღის.

— თქვენები არ ჩამოვლენ, გულუღი  
ბატონო, ქალაქიდან? ასი წელი არაა ასე  
წასაყრუებელი თარიღი...

— კი ჩამოვლენ, ქსენია!... — „ერთ  
თვეს, ორ თვეს, სამ თვეს, მერე ავადმ-  
ყოფი არავის არ უყვარს,“ — გაიფიქ-  
რა გულუღი.

— შეილები მყავსო, შენ უნდა თქვა,  
გულუღი ბატონო, ერთი—ბათუმში, მე-  
ორე — ფოთში, მესამე — ქუთაისში,  
მეოთხე — თბილისში, ოსმალის ჯარი-  
ვით, აღებული აქვთ მთელი საქართვე-  
ლო, ყველა ლაშაზი, ყველა ნასწავლი,  
შვილიშვილი რამდენი გყავს, გულუღი  
ბატონო?

— წელს 23 ვახდა შვილიშვილებია-  
ნად, მაგრამ რად გინდა? ჩემთვის არც  
ერთი არ ღარჩა...

— მაინც ბედნიერი კაცი ხარ, გულუ-  
ღი ბატონო.

— კი ვარ ბედნიერი, კი!... — „ღმერ-  
თო, როდის გაათავებს ლაპარაკს ეს და-  
ლოცვილი.“

— წავალ ახლა მე და უჩას გამოგიგ-  
ზავნი.

— ნუ შეწუხდები, ქსენია პატარას  
დავისვენებ და მე თვითონ გეახლები.

— თუ დაგვირდე, არ მომერიდო,  
გულუღი ბატონო, როგორც შენ  
შვილს, ისე დამიძახე.

— არ მოგერიდები, ქსენია!

— მშვიდობით ბრძანდებოდე, აბა!

— ავაშენოს ღმერთმა! — ქსენია წა-  
ვიდა. გულუღიმ თვალი გააყოლა. იგი  
მილიოდა სადი, ჯანმრთელი, სავსე და  
ასხმული მსხმოიარე ხესავით. გულუღი  
კი იჯდა ქვის კიბეზე ჩირივით და უკა-  
ნასკენელ სინედღეს ატანდა დასავლე-  
თისაკენ გადახრილ მზის სხივებს.

რა უბედურებაა. მოხუცი კაცი ჯან-  
მრთელ და ახალგაზრდა კაცს რომ დაი-  
ნახავს, მაშინ გაახსენდება საკუთარი  
სიბერეც და სატყვივარი. მოხუცი და  
ავადმყოფი იმედია, შვებაა, რაღაც შე-  
ღავათია, ახალგაზრდა და ჯანმრთელი  
კი სიმართლე, სინანული და გულის-  
ტკივილი წასული დროისა და ახალგაზ-  
რდობის გამო. პირიქით კი უნდა იყოს  
თითქოს. დღეს, უჩა რომ გულში ჰყავ-  
და ჩაყრული, ასჯერ მაინც ინატრა  
უჩუმრად:

„ღმერთო, ოღონდ ახლა ამის ხნის  
მქენი და წაიღე რაც გინდა იმ დღეების  
საფასურადო.“ — ახლა ქიშკრისკენ მი-  
მავალ ქსენიას რომ უცქერდა იგივე  
გაიფიქრა: — „ღმერთო, ახლა ამ ქალის  
ხანი მომეცი და რაც გინდა მთხოვე ამ  
თხოვნის საფასურადო.“ გულუღიმ  
იფრძნო, როგორ აენტო სირცხვილისა-  
გან ლოყები, შერცხვა გულუღი ბერე-  
ჟიანს, არაფრად რომ არ ჩაუთვალა  
ღმერთს ის ასი წელი, შერცხვა და მა-  
ინც ინატრა.



მზის ჩასვლამდე კიდევ სამჯერ იგრ-  
ძნო გულუღიმ შემზარავი სისველე ლა-  
ჯებში. მაშინ ადგა გულუღი ბერეჟიანი,  
პირი ჩამავალი მზისაკენ ჰქნა და რო-  
დესაც მზე ჰორიზონტზე დაჯდა და პი-  
რჩაღმა და მხობილ ახალგამომწვარ  
დერგს დაემსგავსა, მდაბლად დაუკრა  
თავი და მუხლი მოიყარა მის წინაშე.

ნოღარ ღუშაპო  
შმაღსრი



— მშვიდობით, მზეო ბატონო, დიდი, უზენაესი და უმაღლესი მადლობა შენ!

— რისთვის? — გაუკვირდა მზეს.

— ყველაფრისათვის, მზეო ბატონო, თუნდაც იმისათვის, ასი წლის ყველა დამე რომ გამითენე! — გაახსენა გუდულომ.

— ალალი იყოს შენზე! — არ დაამალა მზემ და ჩავიდა.

— მადლობა, მზეო ბატონო, უზენაესი მადლობა.



გუდულომ ჭიშკარი გაუღო ძროხას და ბოსელში შეუძღვა. ძროხა ბოგირზე შედგა. გუდულომ დაფიქრდა, მერე ბაწარი მიწაზე დაავლო, ძროხას ქედნიდან გავამდე ხელი დაუსვა, ლორწოიანი დრჟინიდან ფუჩქი ააცალა და ლამაზი შუბლი მოეხანა. ძროხამ შეხედა და რძის მისაცემად მოემზადა.

— დღეს არ მოგწველო, დაწეი და დაისვენე, ისედაც მადლობელი ვარ შენი, ბატონო! — უთხრა გუდულომ.

— რისთვის? — ჰკითხა გაკვირებულმა ძროხამ.

— თუნდაც იმისათვის, ყოველ დღით თითო ჭიქა რძეს რომ მაძლევდი.

— შეგარგოს ღმერთმა! — უთხრა ძროხამ და დაწვა.

— მადლობა, ძროხავ ბატონო, უზომოდ მადლობა...



ოდის უკან გავიდა გუდულომ და დაბუდრებულ ქათმებს ვიდრე კარიას მიუხურავდა, ლონგინოზა მამალს ბიბილო მოქანა. ლონგინოზამ შაურიანების სისხლი თვალები ააპარპალა და ბიბილო შეათამაშა.

— ხვალ რომელ საათზეც გინდა, იმ საათზე იყივლე, ლონგინოზ ბატონო, ახლა კი მშვიდობით ბრძანდებოდე და მადლობელი ვარ შენი. დიდი მადლობელი.

— რისთვის? — გაუკვირდა ლონგინოზა მამალს.

— თუნდაც იმისათვის, ყოველ დღით რომ მაღვიძებდი.

— ალალი იყოს შენზე! — უთხრა ლონგინოზმა და დაიძინა.

— დიდი მადლობა, ბატონო ლონგინოზ, უღრმესი მადლობა.



გუდულომ ჭრაჭი ქვაზე დადგა. ფაქიზად შემოაჭრა თიხა ჭურჭლთავეს, ბელტები თიხის გვერდით დაალაგა. ჭურჭლის წინ მუხლზე დაეშვა და ფრთხილად ახადა როგო. მძაფვრად ამოისუნთქა ოცდაათფუთიანმა ჭურჭლს და შეშხუნა ცოლიკაურის ძლიერი ჭავლი შეაორთქლა გუდულოს სახეში. გუდულომ ღრმად ჩაისუნთქა თვალისა და გონის დამაბინდებელი ჰაერი და ჭურჭლი ჩაიხედა. მაცდური თვალით ამოხედა ჭურჭლს. გუდულომ კოპე აიღო, ჭურჭლი ჩაუშვა და ხელის კანკალით გვერდი წაუქცია. ღვინომ ბუჭბუყით აავსო კოპე.

— დაილოცოს შენი ზედაშე, შენი ფსკერი, შენი როგო და შენი მაცოცხლებელი ვაზი, ბატონო. მადლობელი ვარ შენი, დიდი მადლობელი! — ჩასძახა ჭურჭელს გუდულომ და კოპეს ტუჩი შეახო.

— რისთვის? — ამოსძახა ვანცვიფრებულმა ჭურჭლმა.

— იმისათვის, რომ ამ ასი წლის მანძილზე ყველა ლხინი და მწუხარება შენ გამაცილებინე პატიოსნად..

— ალალი იყოს შენზე! — თქვა ჭურჭლმა და ღრმად ამოისუნთქა.

— მადლობელი ვარ, ბატონო, უსახლეგროდ მადლობელი!



დაბალ სუფრას უზის გუდულომ, ხელში ღვინით სავსე ჯიბი უჭირავს, აივნის ბოყვზე მიმაგრებული ჭრაჭის ნათელი შარავანდედივით ადგას თავზე, ჩამქრალ თვალთავან ჩამოღენილი ცრემლი ნიკაპთან ესკენება და სუფრაზე დაწყობილ ნაცრის კვერსა და ნახევარ წველა ყველს შესანდობარვით ეღვრება ტირის გუდულომ ბერეკიანი.



მთელი კარმიდამო დაიარა გუდულომ ერთი საათის წინ. გუთანი ნახა — გაცვეთილა გუთანი. ნაჯახი ნახა — ყუბზე დასულა ნაჯახი. ნამგალი ნახა — განახევრებულა ნამგალი. ბარი ნახა — საბონივით გალეულა ბარი. დანა უღვეს გუდულის სუფრაზე, ჩავლადრის დანა, ქალღღივით თხელი და სიფრიფანა ვაი შენ, გუდულის თავო, რკინა გაცვეთილა, რკინა და კაცს რაღა მოუვიდოდა?!!

ამ ღვინის მადლს ფიცავს გუდულო, სიცოცხლე არ ენანება, დრო ენანება, დრო, რომელიც სიკვდილზე ფეჭრში ეხარჯება. იცის გუდულომ ავად რომ არ არის, არაფერი სატკივარი რომ არ აქვს. უბრალოდ, გათავდა გუდულო და მეტი არაფერი. იმ გუთანივით გაცვდა გუდულო, იმ ნაჯახივით დავიდა ყუბზე, იმ ნამგალივით განახევრდა, იმ ბარივით გაილია, იმ ჩავლადრის დანასავით თხელი და სიფრიფანა გახდა.

ცას და მიწას, სახლსა და კარს, ფერასა და სხივს, ხესა და ბალახს, ძაღლსა და ღორს, ყველაფერს დაემშვიდობა დღეს გუდულო. ყველაზე დიდხანს მის კბილა მსხლის ხეს ემშვიდობებოდა გუდულო.

— მშვიდობით, ბატონო! — უთხრა გუდულომ მსხალს და ხელი შეახო — ყველაზე სრულყოფილი და სრულქმნილი ჩვენს შორის შენ ხარ, ხეო! ფესვი დღდამიწის გულში გიდგას მხრებზე ცა გებჯინება, ასჯერ დაგბელუ, ასჯერ ამოიყარე, მარტო ჩემს, სამი თაობის ნაგრამს უჩრდილობე და ვინ იცის, კიდევ რამდენს უჩრდილობებ.

რამდენი წელია ნაყოფს იძლევი დაჯერ ტანში ჭია არ შეგჯდომია. მთელი სოფლის ნახევარზე მეტი ფრთოსანისა და მგალობელის სახლი და საყდარი ხარ. სინედლე, ფილტვი და გული ხარ ჩემი სახლ-კარისა, მადლობელი ვარ შენი. ბატონო, დიდი მადლობელი. — რისთვისო, არ უკითხავს ხეს, ხემ იცოდა თავისი ფასი, უბრალოდ — ალალი იყოს შენზეო, უთხრა და თვალი მილულა.

„იდიდე, ბუნებაო, რა ბედნიერებაა

ყოველივე ეს რომ რჩება ქვეყანაზე და კაცთან ერთად არ კვდება“, — გაიფიქრა გუდულომ.

ახლა გულს ლოცავდა გუდულო თავისას, მარჯვენას, თვალს, ყურსა და გონებას.

— მადლობელი ვარ, ბატონო, თქვენი, დიდი მადლობელი.

— რისთვის? — ჰკითხა გაკვირვებულმა გულმა.

— როგორ თუ რისთვის? — გაუკვირდა გუდულის. — ასი წელი რომ თვალი არ დამშრეტია, ყურს არ დამკლეობია, მკლავი არ გამხმობია, გონი არ დამიკარგავს და ერთხელაც არ ჩაგიმუხვია შენ, ეს არაფერია?..

— ალალი იყოს შენზე, გუდულო, ალალი! — უთხრა უსომოდ დაღლილმა გულმა და დასასკენებლად მოემზადა.

— დიდი მადლობა, ბატონო, უზენაესი მადლობა!



ახლა ადგება გუდულო და იმ ბავშვის და მის დედას დაემშვიდობება. დაუძახებს, მაგრამ რომ აღარ ახსოვს გუდულის იმ ბავშვის დედის სახელი? ღმერთო, გაახსენე, ღმერთო, გაახსენე, რა ჰქვია იმ ბავშვის დედას! იმ ბავშვის მინც რაღა ჰქვია? ღმერთო, ნუ უზამ გუდულო ბერეჟიანს ამას, ნუ დაუკარგავ ცნობიერებას და გონს, რა ჰქვია იმ ბავშვს, გაახსენე...

ულმობელი იყო ღმერთი, არ გაახსენა გუდულის არც ბავშვისა და არც ბავშვის დედის სახელი...

მაშინ ადგა გუდულო, მკერდზე ყველა დილი შეიხსნა და აივნის მოაჯირს მიადგა.

- მეზობელო! — დაიძახა მან.
- გისმენ, გუდულო ბატონო!
- რომელი ხარ?
- ქსენია ვარ, გუდულო ბატონო, ვერ მიცანი? — „ქსენია, ქსენია, ქსენია ჰქვია დალოცვილს.“

ნოდარ აფხაძე  
უმაღლრი



— ბავშვი სახლშია?

— უჩაზე მეკითხები, ბატონო? —  
„უჩა, უჩა, რა ბედნიერებაა, უჩა ჰქვია  
იმ მამაძაღლს, უჩა...“

— ქსენია, ჩემ სახლში ახლა რაღაცა  
მოხდება და ბავშვი არ დაგეზაფროს..

— რას ბრძანებ, გუდული ბატონო?!

— გაფიცებ ქალობას, არ გამოუშვა  
ბიჭი და არ აჩვენო ჩემი თავი, სანამ  
სოფლას კაცები არ მოვლენ.

— რას აპირებ, გუდული ბატონო?  
ხუმრობ ალბათ, მაგრამ რომ არ იცოდი  
ადრე ასეთი ხუმრობა?..

— მშვიდობით, ქსენია, ღმერთია მო-  
წამე, ყველა მიყვარხართ და მაღლიერი  
გარ ყველასი, უზომო მაღლიერი.

— გუდული ბატონო!

გუდული ოღაში შევიდა და კარი გა-  
იხურა.

— გუდული ბატონო, გუდული!..

ბერეჟიანების ეზოში თოფი გავარდა...  
ხმა ისეთი ძლიერი იყო, მთელი სოფ-  
ლის ფანჯრებმა ზრიალი გაიღეს.



მილეთის ხალხი დაესწრო გუდული  
ბერეჟიანის დაკრძალვას. ჭირისუფა-  
ლიც არ აკლდა, მაგრამ თავს ტირილით  
მინცდამინც არაფერ იკლავდა. ის კი  
არა, გუდულის უფროსი ვაჟი დიმიტრი  
იმის მაგივრად, ნიცვალბულის სასახ-  
ლესთან მდგარიყო, მსხლის ძირში იდ-  
გა დაიღლიავებული, ვატერლოოზე გა-  
წვილებული ნაპოლეონივით, და მოსამ-  
ძიმრებებს იქ იღებდა.

— ვიზიარებ თქვენს ღრმა მწუხარე-  
ბას, დიმიტრი ბატონო! — მივუსამძიმ-  
რე მე და ხელი გაუშწოდე.

— არ მითხრათ, ბატონო ნოდარ, არ  
მითხრათ, მოგვჭრა თავი მაგ უმადურ-  
მა. ურჯულთა თათარი არ მოექცევა  
ქრისტიანს ისე, მაგი რომ შეილებს მო-  
გვექცა...—

— დიახ, კია ცოტა მოულოდნელი  
ამბავი, — ჩაფურთე სიტყვა

— მოულოდნელი კი არა, სიარაკო,

ბატონო, რა პირით ჩავიდე თბილისში?  
რითი ავხსნა ეს ამბავი? არ ინგებებოდა  
თან ცხოვრება, დედათქვენი საფლავს  
ვერ მივტოვებო... ძროხაო, ქათამიო...

— რა გახდა, ბატონო, ეს გაძვალტყავებუ-  
ლი ძროხა, დაფეხვილი მამალი და წაქ-  
ცეული სახლი?.. უჩას ვერ შეველევიო,  
ბატონო, ისიც კი მკადრა შარშან..

— უჩა ვინაა, ბატონო? — ვკითხვ  
ზრდილობისათვის.

— ვიცი და არ ვამბობ? მეზობლის  
ბავშვია. მაგან კი არა, მამამისმა მია-  
ტოვა მუცელში და ეს რა ჭირისუფალი  
გამოიჩნდა ასეთი?.. ესეც რომ არ  
იყოს, უჩა მელიმონაძე ვის დაკარგვია,  
მასეთი უჩა რვა მყავს სახლში...

— დიახ, მძიმე სურათია! — დავე-  
მოწმე და წასვლა დავაპირე.

— კლებოდა მაინც რამე, — არ გამი-  
შვა დიმიტრიმ. — ამ ზაფხულს ჩემმა  
ცოლმა თბილი საცვალი ჩამოუტანა პა-  
რიზიდან, ჩაცმა გინდა, დახურვა... ვის  
ღირსებია ასეთი დასაფლავება ამ სო-  
ფელში?.. მაგრამ უმადური იყო მისი  
ღლე და მოსწრება და ასე უმადურად  
გაათავა სიცოცხლეც...

— არც კი ვიცი როგორ განუგეშოთ,  
დიმიტრი ბატონო! — შევწუხდი მე.

— არა, ბატონო, ჩემი ნუგეში არ შე-  
იძლება, მაგრამ თქვენი მაინც მაღლო-  
ბელი ვარ, რომ არ დაიზარეთ და შეწუ-  
ხდით...

— რა საკადრისია, მშვიდობით ბრძან-  
დებოდეთ!..

— რას ბრძანებთ, აგერ სეფაში მიბრ-  
ძანდით და ბოლომდე დავგაფასეთ ბა-  
რემ, მიტუშა, მიხედე სტუმარს, — ჩაა-  
ბარა ჩემი თავი დიმიტრიმ მთვრალ მე-  
რიქიფეს.

ბატონი დიმიტრი ხმამაღლა ლაპარა-  
კობდა იმიტომ, რომ დაკრძალვა რადი-  
ოფიცირებული იყო, მსხალზე ჩამოკი-  
ლებული რეპროდუქტორი კი, ცოტა არ  
იყოს, ხმამაღლა უკრავდა მოცარტის  
რეჟიემს და გუდული ბერეჟიანის სა-

ტირლად მოსულ ხალხს ლაპარაკში  
ხელს უშლიდა.

როგორც იქნა, ხელიდან დავუძვარი  
მთვრალ მითუმას და შეუმჩნევლად  
ჭიშკრისაკენ გავიპარე. ზედ ჭიშკართან,  
ღობის ძირში ჩამჯდარ, შევიდიოდე  
წლის წითელთმიან ბიჭს მოვკარი თვა-  
ლი. მას მუხლებში ჩაერგო თავი და  
გულამოსკენილი ტიროდა.

— რა გქვია, ბიჭიკო, შენ? — ვკი-  
თხე და თავზე ხელი გადავუსვი.

— უჩა მქვია მე, მელიმონაძე! — ამო-  
მხედა მან, მერე თავისი ჭორფლიანი  
ცხვირ-პირი ისევ მუხლებში ჩარგო და

ტირილი განაგრძო. მუშტის ბურთი მო-  
მაწვა ყელში და ძლივს გადავყლაპე  
ცრემლთან ერთად.

— გაიზარდე დიდი ბიჭი! — დავ-  
ლოცე და ეზოდან გადავედი. უკან რომ  
მოვიხედე, ახლა სხვას უყვებოდა დი-  
მიტრი რალაცას, მაგრამ მსხალზე ჩამო-  
კიდებული რეპროდუქტორი, ცოტა არ  
იყოს, ხმამაღლა უკრავდა მოცარტის  
რეკვიემს და ვერაფერი ვერ გავარჩიე.

1978 წ. 31 XII.  
გ. ხ. 37 წ.  
თბილისი.



## დღეს ყოველ ქართველს

გამალებული წუთები გმოსავს,  
 მოსამეკელია აზრი ნათესი,  
 მუშას, მშენებელს, გლეხსა და მგოსანს  
 რწმენა მოგიხმობს უღიადესი.  
 ზე ამალღდება როცა მთებზე მზე  
 და საქართველოს აღვივებს ზეცას,  
 ბნელ ხვევებში და მწვანე ზეგნებზე  
 წარსულ ხიმდიდრის აჩრდილებს კეცავს.  
 მიმოიარე სამშობლო-კუთხე,  
 მიმოადარე წარსული აწმყოს,  
 ჩამოუდგე შენს თავს და უთხარ,  
 რომ მას იქმ, რაც დღეს სამშობლოს აწყობს.  
 შენი ქვეყნისთვის ქმნიდე სიკეთეს,  
 ეს იყოს შენი ხვედრი და წესი,  
 მომავალის გზა მოაპირკეთე  
 თუ მკლავი გერჩის უმაზაცესი.  
 მკლავი სჭირდება გადაბრილ ვაზებს,  
 მკლავი სჭირდება ვნგურის მნათობს,  
 მკლავი, ვინც ბედლებს დოვლათით აესებს  
 ან საძოვრებზე აწვიმს და ათოვს.  
 როგორც უხდება გუგუნე მუხებს,  
 დროც ისე უნდა აახმიანო,  
 შენი სწორი გზა არსად არ უხვევს,  
 დიდი მომავლის ადამიანო.  
 გამალებული წუთები გმოსავს,  
 მოსამეკელია აზრი ნათესი,  
 მუშას, მშენებელს, გლეხსა და მგოსანს  
 რწმენა მოგიხმობს უღიადესი.

## ღამის გზა

მიძინებულო მტკვარის ზვირთვებო,  
 ბნელი ხეები გიქსოვენ ნანას,  
 ღამის სიღრმეში მთვარით ირთვები  
 და მნათობები ქალწულებს გვანან.  
 ქალწულებს გვანან, ნაძვების ზემოთ  
 და შუქს აბნევენ ნაძვების ტყეში,  
 სადგური, როგორც პორტში დგას გემი  
 და გადაჰყურებს მდინარეს ბნელში.  
 მოკრძალებული დუმილი გვაესებს,  
 ხვალ კი თბილისი გველის ბებერი,  
 შორს, როგორც შუქით აესილი თასი,  
 ისე გამოჩნდა მატარებელი.

# ს ღ ვ ე ლ ი ზ ა მ თ ა რ ი

მტვერს მიდენის ქარი გზაზე, გზას მიჰყვება უხეებოს,  
თვალეებს მაინც არ დავხუჭავ, ცრემლიანო უბებო.  
ჩემს მშობლიურ ცას და მიწას ამ თვალეებით მინდა ვესამდე,  
ასე მშრალი ეს ზამთარი რომ მასსოდეს გაისამდე.  
ქარის ფრთებით გაწეწილო, აღარ უჩანს შენს სელას ბოლო,  
წყალი დგას თუ აღმა მიდის უსახლკარო ბუხრის ბოლი.  
უჩვეულო ზამთარია, ბროწეულის მესერებით,  
ამომშრალი ჭაობებით, დაქცეული ეწერებით,  
ქარს მიაქვს და ისევ მოაქვს, მზის შუქი და გზებზე ხრეში,  
დათარეშობს ზენა ქარი შემოდარცულ ეკლის ტყეში,  
მინდორველად უკაცრიელ გზას მიჰყვება უხეებოს,  
თვალეებს მაინც არ დავხუჭავ, ცრემლიანო უბებო...

## სოფლის საღამო

ხავაზში კვამლი და ბინდში ეზო,  
დაღლილ საქონელს მოსდევს ხბოები,  
აჭარის მთების კალთებს შეეწყო  
მუჭი ღრუბლების ხარაჩოები.  
შეპყრობილი ვარ, ცაჲ და ხმელეთო,  
გაეძლებდი, მაგრამ რად მინდა გაეძლო,  
უამერეთომ, უიმურეთომ.

## რამ მოვაგონა

გარედან ღამის ხმები ისმოდა,  
ჩაფურფლილ ცეცხლთან  
ღვინო ისმოდა,  
იყო შრიალი ჭიის და ბჟოლის,  
კვლავ დამესიზმრა  
შუქით ის იღა  
მოგონებას და სინანულს შორის.  
ნეტავ იქ არის  
ახლა ის იღა,  
შემოვლებული ღამაშ რიკულით,  
რამ მომაგონა,  
რაც დროს მიჰქონდა,  
დროის ხილრმიდან გამორიყული.



## ბოროტად

კიდევაც გამოჩნდა... ბრწყინვალე დარბაზისა რა მოგახსენოთ, ბრწყინვალე შეხვედრისაც აბა რა ვითხრათ, მაგრამ მაინც ის ოთახი მთლად ცარიელი არ იყო, იღვა აუცილებელი, ძველებური, შინაკეთები კაკლის აფეჭა და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი დიდი ხალიჩაც ეკიდა კედელზე, ერთიც ძირს ეფინა, ისიც დიდი, მთლიანად ჰვარაგდა იატაკსა. ერთი საგარძელი გორგოლაქებზეც იღვა, იქ იჯდა ქალბატონი ეფემია. იქ გახლდათ, სტუმრები რომ ეახლნენ, არც წამომდგარა რა თქმა უნდა, არა წესისადა, არამედ იმიტომ, წამოდგომა რომ არ შეეძლო, წელქვევით მოეწვივებოდა და მბლასა, წელქვევით მოეწვივებოდა, ოღონდ წელზევითაც თითქმის აღარ იყო, გაეჩანაგებინა ურვასა. ავიწყდებოდა სად იყო, ავიწყდებოდა, ვინ იყო, ღროდაღრო ავიწყდებოდა, იბინდებოდა, იკარგებოდა, მერე მოეგებოდა გონსა, მოეგებოდა და ინატრებდა, მიკარგულიყო, მაგრამ ეს არ გახლდათ იმის ნებისადა, მიიკარგებოდა როცა არ უნდოდა, მოეგებოდა, როცა არ უნდოდა. იმჯერად მეტისმეტად შეფიცებულყო ან უეცრად შიშმა გადაჰკრა შავი ფერები, რამეთუ ხელი რომ განიწორდა მისალმებისადა თუ მისაამბორებლად, განიწორდა და მანვე გაიტაცა ზურგსუკანა, გაიტაცა მეორე ხელიცა. ცოტახნის მერე მხოლოდ მარჯვენა გამოიჩინა და

შენიშნა

გაგრძელება. დახაწიხი იხ. „ცისკარი“ № 1, 2.

გრძელი ფრჩხილები ლამის ნიკაპში ატაკა წინწამდგარ ლეკოსა, არცთუ შეიმჩნია ლეკომა, თავაზიანად ჩამოართვა ხელი, ცერებზე აიწია და ისე ეამბორა, ისევეც შეაგება თანამგზავრსა ხელი თუ. ისიც მისწვდა საამბორებლად, აზბორაკო ცხადია, ოღონდ თვალს რაღაცა ეუცნაურა, ჩაქდნულიყო თითები, მუქი ზოლები შემოვლებოდა, — ბეჭედები თუ წაეძრო, ბეჭედებს თუ მალავდა ზურგსუკანა. და უცებ თითქოს რაღაცა იაზრა ქალბატონმა ეფემიამო, გაიკისკისა უცნაურად, უკანვე გაიტაცა მარჯვენა ხელი და ორივე რომ გამოჩინა, ორივეზე უბრწყინავდა მშვენიერი ბეჭედები, კიდევაც გაიკისკისა, თქვენი რატომღა შემეშინდაო, მაგრამღა რაო, შიში გვბატონობს, გარჩევა დაეკარგეთო, ღრმა ამოთხერას ამოაყოლა.

დაეკარგეთო, დაუდასტურა ლეკომაცა და მოადგვნა მაშინვე ესეცა, — ფაფისგან დაშინებული, დოს უბერავდაო.

— ამაზე თქმის... — ქალბატონმაც დაუდასტურა, ქალბატონმა ანუ თუ რიდასმა ქალბატონმაო, ამა ძველისძველციხედარბაზს თუ შემოჰფარებოდა, ისიც ძიძას ხათრიოთა, ან იმიტომაცა, ჯერ რომ მაინცდამაინც არც მოენდომებინათ ის დარბაზები, თუ მოინდომებდნენ. ძიძაც ვერ უშველიდა ვედარაფერსა, ვერა, ვერ უშველიდა, როგორც ვერ უშველა იქითა, იმ ახალ სასახლეში; თუმცა იქ არცთუ გადაპლობია ვინმესა, არც გადაპლობია და ვერც გადაელობებოდა; —



დაიტაცეს, გაძარცვეს მდიდარი სასახლეები, ამის თვალწინ გაძარცვეს, გამოშინეს, გამოაცარიელეს ხორხოცი, გნისათა, აურზაურითა, ამას წარბიცი არ შეუხრია, არც სინანული ამოჰფენია, გადაჰფარებოდა მხოლოდ ეფემიასა, გადაჰფარებოდა და შთააგონებდა უთქმელადა, ნურც გაიგონებ, ნურც განიცდი, გაქვავდი ასე ჩემსავითაო. უკეთესად ვერც ვერაინ შთააგონებდა, გაქვავება მაინც ვერ მოხერხებინა ეფემიასა, ჩაკუნტულიყო გორგოლაჭებიან სავარძელშია, ყურები დაეცო ცერებითა, დანარჩენი თითებით ისრესდა თვალებსა, ისრესდა და კანკალებდა, ციებიანივითა კანკალებდა; ანთუ უარესადაც კანკალებდაო, თლონდ გაჰირდება გამოძებნა შედარებისა, გაჰირდება და ისევ ეს იყოს, როგორც ითქვალა, მაგრამ თუ მაინც წარმოიდგენთ რაიმე უარესსა, წარმოიდგენთ აკეპილი ადამიანი, ის ისაა აკეპილი და აჩეხილი, როცა ჯერ ისევ თახთანებს ხორცი, ძაგძაგებს, ძრწის, ჯერ ისევ თბილია და ისევე თახთანებს. ასე გაუძლო, გაძლებად თუ თქმის, ძარცვას გაუძლო, უმოწყალო ძარცვასა, გაუძლო მანამდე, ბიბლიოთეკამდე, ბიბლიოთეკამდე გაუძლო მხოლოდდა... იქ ველარ გაუძლო, ვერა, ვერ გაუძლო ტყავის ყდები რომ შემოაფლრთეს უძველეს ხელნაწერებსა თუ უახლეს გამოცემებსა, სიფრიფანა ფურცლები რომ ააგლიჯეს წიგნებში ჩატანებულ სურათებსა და იქვე წეკო რომ ჩაახვიეს იმა ფურცლებშია, ჩაახვიეს და ჩაიხითხითეს, გააბოლეს და ჩაიხითხითეს ვასაოცარი ნეტარებითა, ველარ გაუძლო და დაიწვილა, რასა სჩადიხართ, ველარებო, დაიწვილა და შეგორდა ბიბლიოთეკაში გორგოლაჭებიანი სავარძელითა რაღა თქმა უნდა, შეგორდა და დაეწოდა მოღავებულ წიგნებსა, დაეწოდა და ისროლა, სტყორცნა აქეთ-იქითა, ესროლა ყველასა, ვისაცთუ მისწვდა, ვისაცთუ უწია, სტყორცნა წივილითა, წყევლა-კრულვითა, ამოიფხრიწა ყელი, ხმადაბალ საუბარს მიჩვეული ყელი. მერე რას იზამდა ძნელი სათქმელია ან

ვითომ ისეთს ნეტავი რას იზამდა, თლონდ ისიც არ დასცალდა, რაც უნდა ყოფილიყო, — ვილაცამ ასწია ვეება ფენი, ტატყი ასწია და სდრუზა სავარძელსა, გორგოლაჭებიან სავარძელსა სდრუზა ცხადია და გავარდა სავარძელი, კარი გაგლიჯა და იქითა ოთახში შეასკდა კედელსა, შეასკდა და წამოპირქვავდა, ქვეშმოიყოლა გულწასული ქალბატონიცა.

მერე აქ მოეგო გონსა, მოეგო და ვერც მოეგო, აღარაფერი ეცნობოდა, მხარი მოჰქცევოდა, ველარაფერი გავეგო შერუჭული კედლებისა, ძიძაც არაფერს ეუბნებოდა. მითხარო, ჩააცივდებოდა ძიძასა, ჩააცივდებოდა და ცნებაც აერეოდა. ძიძა უყვებოდა ცნებადაკარგულსა, ზღაპრებს უყვებოდა, ბავშვობისას რომ მოეთხრო ჭუამრავჯერა, ახლაც მოუთხრობდა უამრავჯერა, ისევ ზღაპრებით გამოიყვანდა, გამოაბრუნებდა, შემოატრილებდა ამ ქვეყნისაკენა, — ზღაპრებითა და ელიზბარის წამლებითა. აღარც აღარავის იკარებდა ელიზბარის მეტსა, ახლობელნი ჰო აღარ შერჩენოდა და აღარა. უცნაური ბედი დაპყროლოდათ კათარელებსა, ყველა დევნილისა და გაძევებულის მსლებელნი გახლდნენ უძველესი საუკუნეებიდან რომ არ შემოგვყვით, ჩამოსათეღელად ისიცა კმარა, რომ ისინი ეახლნენ არჩილ მეფესა, ვახტანგ მეექვსესაც, ისინი გაჰყვნენ ალექსანდრე ამილახვარსაც. იმათ უერთვულეს ყველაზე მეტის თავგამოდებითა, ალექსანდრე ბატონიშვილსაც ისინი დაჰყვებოდნენ, ისინი გადაასახლეს იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებთან ერთადა და აგერ ახლა, დღეი ხანი არ არის, იმ უბედურებსაც ისინი გაეკიდნენ. ეს ყველაზე მწარე გამოდგა, გამოდგა მაშ რაო, — ერთნი თუ სამშობლოდან დევნილთა და გაძევებულთა მსლებელნი იყვნენ, მეორენი, მეორენი აქა რჩებოდნენ, აქვე ხარობდნენ, კიდევა ზრდიდნენ ერთვულ

ოთარ ჩხიმიძე  
პორიანი

შვილებსა, ახლა აღარავინ დარჩენილ-  
ყო, მობრუნების პირიც აღარავის  
უჩანდა, გაწეწილიყო, გაქარწყლებულ-  
ყო ოდესღაც ძლიერი, მრისხანე გვა-  
რი და მოსთქვამდა ქალბატონი ეფე-  
მია, — თუმცა ვიღასი ქალბატონი, რი-  
ღასი ქალბატონიო, მაგრამ სწორედ  
ამას მოსთქვამდა, რომ აღარც ვიღასი  
ყო, აღარც რიღასი იყო, ცრემლიღა  
ვახლდათ, ვალღიღა ვახლდათ დაღუ-  
პული გვარისა, ერთგულებაში დაღუ-  
პულისა.

და ვალღებში... მიიკარგებოდა  
და გამობრუნდებოდა. გამობრუნდა და  
ბეჭდები დამალა, მიიკარგა და აღარ  
გაეგებოდა, ვინ მისულიყვნენ, რა უნ-  
დოდათ, რა პირს აღებდა, რა ხელებს  
იქნევდა ეს წინ წამომდგარი კაცი, კა-  
ცი თუ ურჩხული?!

— აააააააა... ჰაააააა... იწივ-  
ლა ქალბატონმა ეფემიამ, იწივლა და  
გადასავსავდა, მანამდის მოასწრო, კავ-  
ებში ჩახლართა თითები და მოებდ-  
ღვნა ჩიხტი-კობი, ლეჩაქა-ბაღდადი.

ესენი შეერთნენ, უკან დაიხიეს, მე-  
რე თითქოს მიხვდნენ, უნდა მივეშვე-  
ლოთო, ხელები გაიწვდინეს, წაიწიეს  
წინწინა, მაგრამ თავი შეარხია ძიძამა,  
ქუსად გამოჰხედა, თქვენს ქერქში და-  
ეტიეთო, შებრუნდით და გადაეყუდეთ  
ფანჯრის რაფასაო. ასეც მოიქცნენ,  
თუმცა ვინ უწყის, ამდენიც არ უნიშ-  
ნებია ძიძასა, ოღონდ რაც უნდა ყო-  
ფილიყო თუ რამდენიც უნდა ყოფი-  
ლიყო, იმათი ჩარევა არ უნდოდა და  
არც ჩაერინენ. იყვნენ ეგრე გადაყუ-  
დებულნი, არც არას ამბობდნენ, არც  
არასა ფიქრობდნენ, მხოლოდ შიშობ-  
დნენ, კიდევ რა სეირს დააწევს გორ-  
გოლაკებიანი ქალბატონიო. ესენი ში-  
შობდნენ, ოღონდ იმას სასეირო აღარ-  
აფერი დამართვინა, თვალი დაეწმინდა,  
ფიქრი დაეწმინდა, გამობრუნდა, გამოტ-  
რიალდა, არც ის დავიწყებია, თვალთ  
რომ აემღვრა და ურჩხულად მოეჩვენა  
ლეკო თათაშელი, არც დავიწყებია, არც  
დაუშლავს, გამოუტყდა, ასე მომეჩვენ-  
ნეთ, გამოუტყდა, როცა მოშორდნენ

ფანჯრის რაფასა და იმის წინ ჩამოსხრ-  
ნენ, ჩამოსხდნენ ცოტა არ იყო მოშო-  
რებითა, თუმცა მოსარიდალი აღარაფე-  
რი ეტყობოდა ქალბატონ ეფემიასა,  
მშვიდად მისვენებოდა სავარძელსა, კა-  
ვები თუ ჩიხტი-კობი გასწორებოდა,  
ვერცხლისფერი ბაღდადი მოხდენილად  
გამოკვანძოდა ნიკაპქვეშა. გულისპირიც  
ვერცხლისფერივე ჰქონდა, კანაცა.  
ლეჩაქი გამოქათმთებულოყო ვერცხ-  
ლისფერიდანა და გადაჰქათმთებდა  
ვერცხლისფერსა. მუხლებზე ატლასი  
ეფინა, ისიც ვერცხლისფერი და ოქრო-  
მკედანიო. საზეიმოდ გამოწყობილ-  
ყო, საზეიმოდ გამოწყობილიყო, მიინც  
დაეკარგა მთავარი ცნება, გონთ დაე-  
კარგა და მიიკარგა, — შენ გამიგებო,  
შენ არ გებოდინებო, — ეუბნებოდა  
ლეკოსა, — ამ ყმაწვილთანა მაქვს სა-  
ბოლიშო, მაგრამ ალბათ ესეც გამი-  
გებს, ისეთი ვალი დაჰკისრებია. ყვე-  
ლაფერი უნდა იცოდეს, ყველაფრის გა-  
გება უნდა შეძლოსო.

— მე... ქალბატონო... — ამოილულ-  
ლულა სტუმარმა და ცოტა არ იყო  
მწყრალად გადაჰხედა ლეკოსა.

— მართლსა ბრძანებთ, — დაუ-  
დასტურა ლეკომა, — უიშვიათესი ად-  
ამიანია, ყველაფერი გაეგება, ყველას  
თანაგრძნობა შეუძლიან, ყველას მი-  
უხვდება, თქმა რად უნდა, თავისთავად  
მიუხვდება, და თანაუგრძნობს. ჭერ  
შენ თვითონაც არ იცი თუ რა გინდა,  
ეს უკვე მზადაა, ხელი წამოგაშველოს.  
მე თუ ლეკო თათაშელი ვარ, ადამი-  
ანის გამოცნობაში არ შეგვცდები და  
ჩემს ხმას დავაწევ იმ ღირსეულ ადამი-  
ანებს, ვინც ესოდენ ღიღებულო ვაყ-  
კაცი ამოარჩია საშვილიშვილო საქმი-  
სათვისა. — ასე გამოსთქვა და ხელები  
აღაპყო ლეკო თათაშელმა, ხელებიც  
აღაპყო, თვალებიცა, თან ტუჩები  
აცმაცუნა, თითქოს ვიღაცას ესაიდუმ-  
ლოებო, რალა ვიღაცასა, თვით ღმერთს  
ესაიდუმლოებო.

თითქოს მოინუსხა სტუმარი, თით-  
ქოს აღარაფერი გაეგებოდა ამ ყოვ-  
ლად გაგებულსა, უარი ვეღარ ეწამე-



ბინა, ვინ უწყის წახდეს ეს საიდუმლო  
გასაუბრებლად.

თვალეები აღეპყრო ქალბატონ ეფ-  
ემიასაცა, სასოებით აღეპყრო და შეს-  
ჩორჩულებდა, საშვილიშვილო საქ-  
მისთვისაო, საშვილიშვილო საქმის-  
თვისაო, ჭერს შესწორჩულებდა, დალ-  
აქავებულსა და შებღღულ ჭერსა.

— მე ყოველთვის მჯეროდა, — განაგ-  
რძობდა ქალბატონი ეფემია, — მჯეროდა,  
რომ მაღელ თავს დავაღწევდი ამ სა-  
ბედისწერო გავგნებასა, მჯეროდა და  
აი ახლა! ღმერთო შენითა! ღმერთო  
შენითა!..

— ახლა!.. — უცხო ხმით დააწია  
ლეკომა. სტუმარს რომ უცხოდ მოე-  
ჩენა, ეგ არაფერი. თვით ლეკომაც  
მიმოაცეცა თვალეები, ნეტავი ვინ იყო,  
მე თუ სხვა ვინმეო.

— მე ყოველთვის მჯეროდა, —  
ისევ დუდუნებდა ეფემია თავისასა, —  
მჯეროდა, მჯეროდა... მჯეროდა, რომ  
იარსებებდა ჩვენი, ენა, მჯეროდა და  
აი ამიხდა, უჩიობა ვაჰბედა, მაშ იარსე-  
ბებს, მაშ იარსებებს, უეჭველია, ის იარ-  
სებებს, ვისაც ძალა შესწევს უჩიობისა.

— უძვირფასესი სიტყვებია... —  
შესძახა ლეკომა.

— ცხონებულმა მამაჩემმა იცოდა  
ასე. — თავი გამოიღო ეფემიამა.

— ცხონებული პაპაჩემიც ხშირად  
ძმორებდა ხოლმე. — ლეკო შეეპასუხა  
მოკრძალებითა.

— პაპისპაპს არ მოესწრებოდა, —  
გორიზად გადმოიხედა ეფემიამა, —  
თორემ ალბათ იმისგან გავიგონებდი.

დასთმო ლეკომა, აბა ნუ დასთმო-  
და, — ისევ ასავსავდებოდა ეფემია  
ქალბატონი, ლეჩაქს მოიბღღენდა,  
მოსტყორცნიდა ჩიხტი-კოპსა და დაიგ-  
რიხებოდა, დაიხლართებოდა, დაიბრან-  
ქნებოდა ისე, ძვლები დაწვლათ შემ-  
ყურეთა; იმიტომაც დასთმო, ძიძა წამო-  
დგა არც არა უთქვამს, არც შეუხედა,  
მაგრამ ისე წამოდგა წინა, იგულსხმე-  
ბოდა. ახლავე გაგიყვანთ, გამომწვევად  
თუ ელაპარაკებითო. გამოწვევა არც  
უნდოდა ლეკოსა, მხოლოდ ტრახახი

უნდოდა და არც გამოიღევდა სატრახა-  
ხოსა, დაე ეს ეთქვას ამის მამასა თუ  
პაპისპაპსა, თავისიანებს სხვა რამეს  
ათქმევინებდა, უფრო ბრძნულსა, უფ-  
რო ომახიანსა, ათქმევინებდა კიდე-  
ვაცა, გააკეთებინებდა კიდევაცა, ენა-  
ზე ჭალი არ მოედებოდა, ეფემიაც არ  
აუხირდებოდა, სტუმარს რაღა ექნე-  
ბოდა თავგამოსადები, ან ძიძა რას  
შეებმოდა პირში, — ჰოდა ჩაღრმავდებო-  
და, გაიგანებდა, აიჭაფებდა პირსა, ყინს  
მოიკლავდა ტრახახითა... ყინს მოიკ-  
ლავდათ და კიდევაც მოიკლა, მხოლოდ  
სტუმარი შეებასუხა რამდენჯერმე, თუმ-  
ცა განა შეებასუხა, — შეახსენა, დაგვა-  
გვიანდებო. შენც არ მომიკდე, ყურად-  
ღება არ მოუქცევია ლეკოსა, ის მაინც  
არ გამოჰპარვია, ეფემიამ რომ მოადევ-  
ნა, რა გეჩქარებათო. მართლაცდა რა  
ეჩქარებოდათ, ლეკო მაინც საით მიეშუ-  
რებოდა? არც არსათა, არ აწვიმდა და  
არ ათოვდა, არა სციოდა და არა სცხე-  
ლოდა, დანაყრებულცი იქნებოდა, ცოტა  
ეს იყო, სასმელი მოსურვებოდა და ეს-  
ეც გამოჩნდებოდა, ენა გამოაჩენდა, ენა  
მოიტანდა, ენას შესძლებია ყველაფერი,  
კვლავაც შესძლებდა. და მოაგონებდა,  
თუ როგორი მასპინძელობა იცოდნენ  
კათარელებმა, რა მარნები ჰქონდათ,  
როგორ ღვინოებს აყენებდნენ. კახური  
ღვინოები ხო საქვეყნოდ განთქმულია,  
კათარული იმათი ბადალი იყოო. ზოგ-  
ჯერ მეფეები კათარულს არჩევდნენ,  
დიდი ელჩობის დროს იმითი გამოადებ-  
დნენ, თავსაო. ძველ მეფეებზე ვაბობო,  
განუყოფელ საქართველოს მეფეებზე,  
თორემა რომ განვიყუთ და გავნაწი-  
ლდით, ამას იქით გზა არცა ჰქონდათ  
ქართლის მეფეებსაო. ეთანხმებოდა  
ეფემია, სახეგაშუქებული, თვალანთე-  
ბული ეთანხმებოდა, საშავალითო  
გადმოცემებს მოაღვეენებდა, საგვარე-  
ულო ისტორიაც მოითხოვდა და იქიდან  
უკითხავდა დიდად თავგამოსადებ ამ-  
ბებსა. ჰო საგვარეულო ისტორია მოი-  
თხოვა, დასალევი არაფერი მოუთხოვია,

მთარ ჩხვიძე  
ზორიანი

არც ძიძას გამოუჩენია თვალები, არც კრინტი დაუძრავს რაღა თქმა უნდა, ხელნაწერი მიაჩრავს და მიჯდა ისევ კუთხეში, — მიჯდა თუ მიეყუდა კუთხესა ან დაესვენა, როგორც ქანდაკება რამ მარადიული უძრავობისა. ხოლო ეფემია ჰყვებოდა თრთოლვითა და ძრწოლითა, რომ სამი საუკუნე სწერდნენ იმისი წინაპრები საგვარეულო ისტორიასა, სამ დიდ ტომად შეედგინათ და დაეკაზმათ ვეფხის ტყავშია, სამივე ტომი ხანძარში ჩაბუგულიყო და ახლა ეს აღდგენდა ზეპირადა, ძველს აღდგენდა და ახალსაც მიუმატებდა, აღდგენდელი დღეც შევა ამ ისტორიაშით.

ეს იქნება ქეშმარიტი ისტორია, შესძახა ლეკომა, მე ვარ წინამძღოლი აღდგენდელი დღისათ.

წავიდეთო, კიდევ შეახსენა სტუმარმა. მაშინ უკვე უდროუდროოდ შეახსენა, — მწუხრი მოსწოლოდა კათარელთა ძველისძველ დარბაზებსა, კუთხეები ჩაბინდულიყო და აღარა სჩანდა ქანდაკება მარადიული უძრავობისა, მაინც გამოჩნდა, გამოერჩა ჩაბინდულ კუნძულსა, კარი გამოაღო და სარაზავზე შეაცივა ხელი. არ გემშვიდობებითო, სთქვა ქალბატონმა ეფემიამა და სიამოვნებით ჩაახველა ლეკომა, რა თქმა უნდაო, რა დროს გამომშვიდობება არასო, ჩაახველა ამ აზრითა, თანაც თვალი ჩაუკრა სტუმარსა, — აჰა, აღსრულდა, ვიხილავთ კათარელთა მასპინძლობასაო, ანიშნებდა თვალის ჩაკვრითა ძიძასაც უთხრა გულთბილი სიტყვები, იმ იმედითა, შორეულ დარბაზამდის არ გვატარებ, აქვე სადმე იქნება სუფრა გაშლილიო; იმედინად უთხრა და იმედინადაც აედგენა. იმანაც ატარა, მიახვევ-მოახვევინა, აიყვან-ჩაიყვანა, კარი გაუღო და პუბლუს; ვარსკვლავებმა ჩახჩახჩახათ თვალებში. ვიდრე გამოერკვეოდნენ, ჰერი აგვხადეს თუ რა არისო, კარი მოიგმანა და ურდული ჩაიჭედა შიგნიდანა. ლეკო მაშინვე ეძგერა კარსა, მაგრამ გვიანდა იყო, აღარ იჭეროდა კარი, ძველისძველი მაგარი კარი, ძელებისა და ლოდსატყორცნებისათვის

რომ გაეძლო ისეთი მაგარი. ლეკოს მუშტებისა რა უნდა ეგრძნო, ან ყურებისა რას გააწყობდა, — გულს თუ მოიოხებდა; ან როგორ მოიოხებდა გულსა, — გარეთ დამდებოდა, შიგნით გაეგდოთ ურდული.

— კარი გააღე, შე კუდიანო, როკაპო დედაბერო, — მაინცა ჰყვიროდა ლეკო, — კარი გააღე შე ქაჯების ჩამომავლო, შე არნაუტო, შე ღრძო, შე მუდო, შე ქვის ქვეშ ამოსადებო, შე ქას-ქანჯილო... შე.. შე... კარი გააღე მანდ დაგვჩა...  
— აქ არის... — ნულარა ჰყვიროო, ამ კილოთი უთხრა სტუმარმა. მართლაც იქ იყო, კართანვე იდო ნიკოს ჩანთაი.

მხრები ჩამოჰყარა ლეკომა, მხრები ჩამოჰყარა და კბილები გაახრჭიალა სხვა რაღა ჩარა ჰქონდა; კბილები გაახრჭიალა, ოღონდ ვერც გაახრჭიალა, სადღა იყო ვაჟკაცის კბილები. ცა ჩახჩახებდა, ისევე ჩახჩახებდა, როგორც მაშინ, ეს რომ ვაჟკაცურად აკრაჰუნებდა კბილებსა, ან როგორც მაშინ, კათარელებს რომ ქარი უქროდათ და ბრწყინავდა ეს დახავსებული ციხე-დარბაზი, ბრწყინავდა მეტისმეტი ბრწყინვალეობითა, ანდა როგორც მაშინა, დღემიწაზე ჯერ სიცოცხლევ რომ არ იყო ანუ როცა აღარც სიცოცხლე იქნება და აღარც დემიწა, ჩახჩახებდნენ და იჩახჩახებენ:

## IX

ჰო, ჩახჩახებდნენ და იჩახჩახებენო, — საიდან სადაო, მაგრამ საიდანაც უნდა ყოფილიყო, ამდაგვარმა ფიქრმა წამოჰკრა ლეკოსა, ხავსიან ქვის კიბეზე რომ ჩაიკეცა სიბრაზისაგან სასოწარმეულმა; ამდაგვარმა ფიქრმა წამოჰკრა და მაშინვე გამოუკეთდა ხასიათი; ხასიათი გამოუკეთდა და მყისვე წამოდგა, გამოეცალა ხავსსა.

— აღამიანი არავის არ უნდა აჰყვეს, — ვანაცხადა ლეკომა, — წუთისოფლის სტუმრები ვართო, ნათქვამი რომ არის, კიდევაც უნდა იყვეს სტუმარივითა, ილალოს, იმხიარულოს, გაახაროს თავისი ყვაილი, ვინც რა უნდა თქვას, ვინც რა უნდა იღონოს, არავის



გამოეიდოს, იაროს თავისი გზითა... —  
განაცხადა ისე, რომ ალბათ კარგახანს  
ილაპარაკებდა კიბის თავზე წამომარ-  
თული, ხელებგაშლილი, წამოხურული  
ვარსკვლავიანი ციბა, მაგრამ დრო ეხე-  
ლთა და აღარ დააცადა ნიკომა:

- ვიაროთ ჩვენი გზითა...
- რომელი გზითა?!
- რომელსაც დავადექით.
- აჰ! ვინ იცის გგონია, შენს გზას  
აედევნებივარ?! ნუ გეგონება, მე ლეკო  
თათაშელს მეძახიან და რახან შევასხე-  
ნე ჩემს თავსა, შენი გზით უნდა იარო-  
მეთქი, მაშ უნდა გაიყაროს ჩვენი გზე-  
ბი, რადგან შენ თუ წალმა მიდიხარ, მე  
უკულმა უნდა ვიარო, შენ თუ უკულმა  
მიდიხარ, მე წალმა უნდა ვიარო, შენ  
თუ ალმა მიდიხარ, მე ღალმა უნდა ვი-  
არო, შენ თუ გალმა ვადიხარ, მე გამოლ-  
მა უნდა დავერჩე.
- რასა ბრძანებთ?!

— რაც გაიგონე. მე ჩემი მოვასხენე,  
ახლა შენსას მოვისმენ და მერე წილი  
ვყაროთ.

— მმმმმე როგორც ვავიგე. ჩჩჩჩჩე-  
მმმმი მიტოვება გნებაუთ... — ცოტა  
არ იყოთ ენა დაება ნიკოსა.

— ისეთი ვონიერი ყმაწვილი ხარ,  
სხვაგვარად ვერც ვაიგებდი.

— მერე მე რა წყალს მიცვე?!

— შენ იცი, — შეშფოთება არად ჩა-  
უგდო ლეკომა, — მრჩეველად ვერ გა-  
მოვადგები. ღამიან ყოველთვის ქერ-  
ქვეშა ვყოფილვარ და ღამის გზებისა  
არაფერი გამეგება. შენ ღღისით გამო-  
საჩენი პირი არა გაქვს, მე ღამღამობით  
ხეტიალი არ მეპიტნავება. წუხელის რაც  
იყო, იყო, შეგარგოს ღმერთმა, ახლა გა-  
ვიყაროთ... ბრძანა ლეკომა და მკვირ-  
ცხლად ჩაათავა ხავსიანი საფეხურები.  
— ცის ქვეშა მტოვებ?! ჩაედევნა ნი-  
კოცა რალა თქმა უნდა.

— მიწის ქვეშა ძნელი, გაუსაძლისო,  
თორემ ცის ქვეშ რა ვაგიჟირდება; რაც  
უნდა ვაგიჟირდეს, ღამხმარე მაინც  
გამოგინდება, ცის ქვეშ ხელის ვაწო-  
დება შეიძლება, მიწის ქვეშ არა, ნწ,  
არა.

— აქ ვინ გამომიწოდებს ხელსა?!

— გამოჩნდება, უნუგეშოდ არ დარ-  
ჩება ადამიანი. — იდაყვზე მოუთათუ-  
ნა ხელი ლეკომა, — ვინმე გამოჩნდება,  
სხვა თუ არა, ეგ ურჯუი დედაკაცი მა-  
ინც გამოჩნდება, მე წავალ თუ არა, მა-  
შინვე ვაგილებს კარსა.

— არა მგონია, — შეეპასუხა ნიკოი,  
შეეპასუხა წყნარადა, ფიქრიანადა, —  
სწორედ ისე გამოგვისტუმრა, როგორც  
დავვითქვა ელიზბარ ხეთერელმა.

— მე რა ვითხარი!.. — აყვირდა  
ლეკო თათაშელი, — მე რა ვიბრძანე?!  
ვიბრძანე თუ არა, აღარ მიხსენო ელიზ-  
ბარ ხეთერელი-მეთქი!..

- მიბრძანე...
- მერე?!
- წამომცდა...
- მერე?!
- აღარ წამომცდება...
- აღარც გუნებაში ვაივლებ!
- აღარა..
- მაშ წავიდეთ.

ასე შერიგდნენ მოულოდნელად ანუ  
ლეკო შეურიგდა და ნიკოც აედევნა  
ტუსტუსითა. აედევნებოდა, მაშ არადა,  
თავს გამოიდებდა რას მიყვირიხარ, რა  
აბუჩად მიგდებო. სხვაგან, ვინ იცის,  
თავიც არ ვაეყადრებინა, მაგრამ აქ რა  
ექნა, სხვა რა ელონა, მეტი რა ჩარა ჰქო-  
ნდა! მიჰყვებოდა ფეხდაფეხა, ვიდრე  
ლეკო ბილიკს მისდევდა თუ მიდიოდა  
ალოლბედდა. ის მალე შარავზაზე ვაგი-  
და... ასეც იტყვიან ხოლმე, გზაშარა-  
ზე შედგაო, ოღონდ ამას ქალზე იტყვი-  
ან, კაცზე არ ითქმის, ისეთი ნიშანი დას-  
დება; ქალზეა მორგებული, ხოლო კაცი  
თუ შარავზაზე ვაგიდა, ეს მართლაც  
გზაზე ვასვლასა ნიშნავს, ღიდ გზაზე,  
ფართოსა, სწორსა, ვატყვილ გზაზე,  
ოღრო-ჩორლორებსა, ორწოხებსა, ფლა-  
ტებსა თუ ღაღაღდას თავს რომ და-  
ღწევს და ამოისუნთქებს შვებითა. თუმ-  
ცა აქ არ ითქმის, ნიკომ ამოისუნთქა  
შვებითაო. არა არ ითქმის, არა, როგორ  
ითქმის, როცა პირიქით მოხდა, მაშინვე

ოთარ ჩხვიძე  
ზოკიანაძე

გახსენდა შეგონებანი ელიზბარ ხეთურელისა. სხნთქვა გავმინდა და თვალები დააცეცა; შეგონებანი გაახსენდა, ოღონდ სწელრ გადაიგდო გონებიდანა, ემანდ ენაზე არ წამომივარდესო. არც წამოუვარდებოდა, არ დააციღდა ლეკოი, გატაცებულყო თავისი სიტყვითა, სიტყვითაც გატაცებულყო, გზითაცა ანუ აღმოჩინა სახსარი ვხს შემოკლებსა და ამითი აფოფინებულყო: მხარში ამომიდგქით პირველყოვლისა ასე უბრძანა, გზა განიერია, ორსაც დაგვიტევს მხარდამხარა, ორჯერ ორსაცა, ოთხჯერ ოთხსაცა და მეტსაცაო. მეტსაცაო, — ერთიმეორეს რომ არ ვეხლებოდეთ, ერთიმეორეს რომ არ ვაწყდებოდეთ ოჩანი ხარებვიითაო, ჩვენ მაინც დაგვიტევს, რამდენიც უნდა მივეხლოთ თუ მივეჯახოთ ერთმანეთსაო, ჰოდა, მხარდამხარ მომყევი, ყური მომაპყარი გულმოდგინეთა და არც დაიდლები, არც გაბეზრდები, ის ნაწყენობაც გაგივლის, თუმცა შენ არაფერი გწყენია, მაგრამ გულს მაინც რადაცა დააჩნდებოდა, თავისთავად დააჩნდებოდა, დაედებოდა ოდნავ ლაქადა, მცირე წერტილად დაეცყობოდა და იმ ლაქასა თუ წერტილს ამოგაცილისო. ერთი სიტყვითა, მომაპყარი ყურნი და დაიხშე ბაგეო. ჰო, ასე უბრძანა პირველყოვლისა და მერე განაგრძნო ანუ წამოიწყო:

— ეგრე ყოფილა და ეგრე უვლია კათარელებისა და ოცხელების მეზობლობასა, ვისაც კათარელები აიბუებდნენ, ოცხელებთან მივიდოდა. ერთმანეთსა მტრობდნენ კათარელები და ოცხელები და მეგობრობდნენ ერთმანეთის მტრებსა. ეგრე ყოფილა, ეგრე უვლია ამათ მეზობლობასა. ოდესღაც ახლო ნათესავეებიცა ყოფილან. ოცხელი: სათვის მიუთხოვებით მშვენიერი ასული კათარელებსა. ქალი ძალიან ჰყვარებიათ და შორისად რომ ვერ გაუშეტებიათ, აქვე უბოძებიათ სოფელი, აქვე დაუსახლებიათ. ეგრე ევე, საით მიგიღერებია კისერი?! ეგრე ევე, ძაღლების ყეფა რომ მოისმის ცოტა შორითა, აქვე ჯერ ისევე კავთისია, მანდ ბევრი ძაღ-

ლი ჰყეფს, დიდი სოფელია, ის ეგრე დიდი ვერ არის. ყური მიუგდე, ამისნაზი ხევარი ძაღლის ყეფა არ მოისმის, ამის ნახევარიც ვერ იქნება, მაგრამ კარგი სოფელია, დოვლათიანია, გონიერია და თუ კაცი გონიერია სოფელიც ღონიერია, მეტი არც არაფერია სანატრელი ამ ცოდვილ წუთისოფელში. ის თავდაპირველი ოცხელიც გონიერი გამოდგა, გონიერება არ აკლდათ შთამომავლებსა, ოღონდა სადღაცა, რომელიღაცა შთამომავალი შემოსწყრა კათარელებსა თუ რომელიღაცა თათბის კათარელებმა ამოიძულეს ოცხელი, ახლა ამის გარჩევამი ვერ შევალ და თუ ძალიან გაინტერესებს, როცა მოიცალო, კვლავაც ეწვიე ქალბატონ ეფემიასა და წვრილად მოგიყევა, ან ამოგიკითხავს ზეპირად აღდგენილ ისტორიაში. ამას იმიტომ გეუბნები, ცნობისმოყვარეობა რომ დაიოკო და სიტყვით ჰო არ მედობები, ფიქრითაც არ შემეშალო ხელი, თორემამე თუ სხვა ვთქვი, შენ თუ სხვა იფიქრე, მეც გამეჭეცევა სიტყვით, შენც დაგეკარგება გულისყური და თავბოლოს ვეღარ მოვაბამ სათქმელსა, ხოლო თუ უკვე არ დამკარგვია სათქმელი, იმას მოგახსენებდი, რომა ვერ გეტყვი თუ როდის ამოიძულეს ერთმანეთი კათარელებმა და ოცხელმა-მეთქი, ოღონდ იმას მაინც არ დაგვიმალავ, რომ ვისაც კათარელები ამოიბუებდნენ, ოცხელს მიეკედლებოდა, ვისაც ოცხელი ამოიბუებდა, მიძუნძულდებოდა კათარელებთანა. არც დაგვიმალავ და თავშივეც ვითხარი, კიდევაც გეტყვი, კიდევაც გაგიმეორებ, აბა ისე როგორ ჩავადგო გულისხმაშია?! ჰოდა, კიდევაც რომ გეტყვი, ესეც იცოდე, კათარელებს ყოველთვის კათარელებად რომ მოვიხსენიებ, ხოლო ოცხელები არ წამომცდენია, ამასაცა აქვს თავისი მიზეზი: კათარელები ყოველთვის ბევრნი იყვნენ, ხოლო ოცხელები არცა ყოფილან. ოცხელი ყოველთვის ერთი განლდათ; ყოველთვის ერთი ძე ჩამოუვიდოდათ, დანარჩენი ქალები იყვნენ ან ქალებიც არ გამოერეოდნენ, ძე იქნებოდა ერთადერთი, გვარს განაგრ-

განაგრძნო



ძობდა, შურსაც განაგრძობდა კათარელებისა ან ახლა იმას გადაეღებოდნენ კათარელები და ისე ზედმიწევნით გაიმეორებდნენ წინაპრების ნაქმნარსა თუ ნათქვამსა, თითქოს არც შეცვლილიყვნენ, იყვნენ იგივენი, უკვდავნი, ნირუშლონი. აჰა, ესეც უკვე გითხარი. ახლა რაღა მოგახსენო?! ის უნდა მოგახსენო, რაც უნდა მომეხსენებინა: ყოველთვის ერთი ოცხელი იყო-მეთქი და კიდევაცა ბრძანდება ერთი ოცხელი, სახელად გიორგი ჰქვიან, სწავლული — მეტსახელადა. ამხანად უფრო სწავლულად მოიხსენიებენ, გიორგი რომ იკითხო, ეგება ვერც მიგიხვდნენ თუ რომელი გიორგი ვინდა. შენც თუ იკითხო, სწავლული იკითხე, გამოსაცნობად ნუ გაიხდი საქმესა. მე კითხვაც არ მინდა, სახლი ვიცი და კარო. აი ასე თვალუჭულს მივალ, თუ ვინდა დავნაძღვედეთ!.. თუმცა არა, რამდენიმე წლის წინათ დავენაძღვებოდი უყოყმანოდა, ახლა არა, ნუ, არა, ერთი ფეხი რომ ამერიოს, პირდაპირ ამათში ამოვყოფ თავსა. ბჭვე არიან, იჭვე, იმავე სახელში. სახლი დიდია, ძველებური სასახლეა ოცხელებისა. არცთუ ძალიან ძველებური, ამ წინა საუკუნის ყაიღისაა, ოღონდ რომელი ყაიღისაც უნდა იყოს იმისი თქმა მინდა სახლი დიდია-მეთქი, მაგრამ სწავლული ერთ კუნტულშია მიჭედოლი, დანარჩენში ესენი გაპარბაშებულან. მიჭედოლი რომ არის, ესეც თავისი ბრალია ან თავისი ნებაა. გერმანიაში ფილოსოფია ისწავლა და იქიდან ჩამობრუნდა თუ არა, რაც რამ მამული ებადა, რაც რამ საქონელი თუ სამუშაო იარაღი ებადა სათემოდ გამოაცხადა, სახლიც სათემოდ გამგეობას გადასცა, თვითონ მიიკუნჭა ერთ მხარესა, ეგ თქვიან და ეგ ყველაფერიო, რაც ვინდათ ჰქენით, როგორც გენებოთ ისე მოუქციეთო; მე აქეთ ვიქნები ჩემთვისა ჩემს წიგნებთანა და ჩემს ფიქრებთანაო; ჰო, აქეთ ვიქნებიო და აქეთაც არის, ანუ იქით არის, შარა გზიდან, მთავარი შესასვლელიდან ესენი ბრძანდებიან, ის იქით გახლავთ, მოქცეულა

პირუკუთა. თავისი ნებით მოქცეულა-მეთქი, ამიტომაც მოგახსენებ, თუმცა სულ ლერთია, აქამდის თუ დაახანებულა, ესენი მოაქცევდნენ სწორედ იმდაგვარადა იმისი შორსმჭვრეტელობა მხოლოდ ისაა, რასაც ესენი ძალად დამართებდნენ, დაიმართა თავისი ნებითა, ძალადობასაც გადარჩა და იოლადაც ვერ უზღდავენ ვერაფერსა. ან რაღა უნდა გაუზღდონ, წასართმევი აღარაფერი გააჩნია. თუმცა რატომაც არაო, აუარებელი ფულტკარი ჰყავს, მაგრამ ალბათ მიხვდება და იმაზეც თავისით აიღებს ხელსა, ჯერ თუ არ აუღია, მალე აიღებს. არც დთანაღრდება, არც არად ჩაგდება, ვერც ვერაფერს შეატყობ, ვერას ვაიგებ, სწყისს რამე თუ უხარიაო, მხოლოდ ერთი ვაჯი ჰყავს და მზე და მთვარეც იმაზე ამოსდის. მეუღლე მშობიარობას გადააყვა და ისე იღარდა, აღარავის ეგონა თუ კიდევ ექნებოდა სამჭევყნით პირი. მინც გამობრუნდა, გამოაბრუნა პირმშოს სიყვარულმა, ცოლი აღარ შეურთავს, ვინ უწყის, ქალსაც აღარ გაჰკარებია, აღარც შავი გაუხდია იმის შემდეგა. კაცებმაც იციან ასეთი ერთგულება, მით უმეტეს თუ ცოლი მშობიარობას გადააყვა. უღედო შვილიც უყვართ განსაკუთრებული სიყვარულითა. შვილის სიყვარული შვილის სიყვარულია, რა თქმა უნდა, მაგრამ სხვა ყოფილა სიყვარული შვილისა დედა თუ მშობიარობას გადააყოლია. თუმცა, ვინ იცის, რა ყოფილა, არც ჩვენი საძიებელია, არც ჩვენი ჭკულის საკითხავია. ისე, უღარდელადაც რომ ვიყვით, ხოლო ახლა მით უმეტესად, ძალას ნუ დავატანთ ჭკუასა, მუნღის დავატანოთ ძალია, ე გზა მალე დაკვეცოთ და მალე მოვექცეთ სადმე ქერქვეშა. თუმცა ამაზე ჩქარი სიარულიც აღარ შეიძლება, ცოტაც თუ ავუჩქარეთ, სირბილი გამოგვივა და ეჭვებს ვედარსაით გავქცევა ორი მორბენალი კაცი ამ ღამიანა. ნუ გეგონება უთვალოდ დავრჩენილიყვნეთ ან უყუროდა, ნურც ახლა გეგონება, ნურც ნურასოდესა ნათქვამიც არის,

ტყე უყურთ ნუ გგონია და მინდორი  
უთვალთ, ნათქვამიც არის და მართა-  
ლიც არის; ჰოდა, რახან ნათქვამიც არის  
და მართალიც არის, ცოტა რომ მოვუყ-  
ლოთ, უკეთესი იქნება, ვინ უწყის, ვინ  
შეგვეფეთოს და რად უნდა ვაფიქრებო-  
ნოთ, ე ვინ არიან, საით მიეშურებიანო.  
არც მივეშურებით, არც არაფერი გვე-  
დარდება, მოვსიერნობთ და მოვმასლა-  
თობთ, კარგი საღამოა უნადველო სა-  
უბარი უყვარს ასეთ საღამოსა. რამდე-  
ნიც უნდა ვინადველოთ, მაინც ვერაფერს  
შევშლით განგებისაგან აწყობილ წუთი-  
სოფელში. მოგვწონს თუ არ მოგვწონს,  
უნდა მივეყვით იმის ნებასა, ვიდრე აქა  
ვართ, ხოლო როცა იქით გადავბარგ-  
ლებით, გავარსკვლავება თუ გვიწერია,  
ჩვენც მივეკრობით ამ განახახებულ  
ზეცასა, გადმოვიხედოვთ მაღლიდან და  
გაგვეცინება, ნეტავი იქ, დაბლა ვიღანი  
არიან, რასა ფართიფურთობდა, რა ღო-  
ბუ-ყორეს ედებიანო. ჯერ ისინი ვად-  
მოგყურებენ და დაგვეცინიან, მერე  
ჩვენც ვიცინებთ იმათსავითა. ჯერ იმა-  
თი ჯერია, ჯერ ჩვენა ვართ სასაცილონი,  
ჩვენამდის სხვანი იყვნენ, ჩვენს მერეც  
იქნებიან სხვანი და სხვანი, ეს გვაძლე-  
ბინებს, ეს აგვატანინებს, თორემ ისე  
ვინ აიტანდა... გახსოვს?! მე თვით ვა-  
ნოსთავის მომისმენია, მანდ მომისმენია,  
კათარელთა სასტუმრო დარბაზში. უჩ-  
ვეულო რამ დარბაზი იყო, რაც იყო,  
იყო, მანდ მომისმენია. აკაკის მთაწმინ-  
დაც მომისმენია, ილიასაც მანდ შევხვედ-  
რივარ; ვიდას აღარ შევხვედრივარ, რა-  
ღა აღარ ვადამხედა. ერთი, წისქვილის  
ქვა არ დაბრუნებულა ჩემს თავზედა,  
თორემ დანარჩენი ყველაფერი გდამი-  
ტანია. ასლა აგერ შენზე ვადამკიდა ბე-  
დმა, მოვმასლათობთ უნადველოდა, უდ-  
არდელადა, არც არავისი გვეშინიან, არც  
არაფერი გვეფიქრება და, წისქვილის  
ქვაც რომ დაბრუნებულყო ჩემს თავ-  
ზე, ალბათ ამაზე გაუსაძლისიც არ იქ-  
ნებოდა. რაც უნდა იყოს, ცოტაცა და ჰა.  
მოგვქცევით ჰერქვეშა. კათარელები  
ვისაც აიბუბდნენ, ოცხელის კალთა  
გადაფარებოდა-მეთქი, ვითხარი და

კიდევაც ვიმეორებ, ამქამინდელი თქვე-  
ლის ამბავიც მოგახსენე და მისევე  
ლისაცა, თუმცა არა, შევილინ  
ფერი მითქვამს, ბევრსაც ვერაფერს  
გეტყვი, ოღონდ ერთი რამ მაინც  
იცოდე. ისიც ფილოსოფიის სასწავ-  
ლებლდა სწევვია გერმანიასა, ხო-  
ლო იქიდან რომ დაბრუნდება, არც  
ვასაცემი ექნება რამე, არც დასარიგე-  
ბელი, ფილოსოფიაც არავის ენდომება  
და ადგილს ვერ იპოვის თავის მიწა-  
წყალზედა... ასე იცოდე, ასე დაიხ-  
სომე, თუმცა გინდა დაიხსომე და  
გინდა არა, მე არ მენადვლევა და არა  
მგონია, შენც მეტი არაფერი გქონდეს  
სადარდებელი. ჩუ!.. ვილაცა მოგვ-  
დევს ფენდაფება. ისიც თუ შეჩერდა,  
აღარ ისმის... ან ეგება ჩვენზე ჩქამი  
მომეჩვენა ვილაცის ფეხის ხმადა?! ნუ  
გავიკვირდება, კაცი თუ დამინდა, იმაზე  
საცოდავი აღარაფერი; სხვაგვარად თუ  
ვიტყევით, დამინებული კაცი და ცხოვე-  
ლი აღარაფრით განირჩევა ერთმანეთი-  
სგანა, ხოლო ვაცხოველებული ადამი-  
ანი თუ რა იქნება, შენ თვითონვე მიხვ-  
დი, მე ამდენი ახსნა აღარ მომიხერხდე-  
ბა. ისე, არ იფიქრო შიში ვაჰკარებოდეს  
ჩემს გულსა, არა, არ იფიქრო, არც არ-  
ასოდეს ვაჰკარებია და არც ვაეკარება  
არასოდესა, ახლა მხოლოდ შენთვის შე-  
ვფიქრებანებულვარ და იმიტომ ვიხედე-  
ბი უკან-უკანა. შიშია უკნიდან იცის წა-  
მოპარვია, პირდაპირ არ შეგჩვენება,  
ლაჩარია და პირისპირ შეხლა იმიტომაც  
არ შეუძლიან. ლაჩარია და თუ წამოგე-  
პარა, თუ დაგიჯანა, მორჩა, ველარაფე-  
რი გიხსნის. დრო თუ ვიხელთა, ლაჩარ-  
ზე მივინგარი, საშინელი, გაუტანელი  
არცა ყოფილა, არც იქნება, და რაც  
რამ უბედურება დატრიალებულა ამ  
ქვეყანადა, ლაჩართაგან დატრიალებულა.  
დრო გამოხდება ისე აირვეა აზრი, ლა-  
ჩრები გმირებდა მოგვევლინებიან, მტა-  
რვალეები მხსნელებდა, მწვალელები  
წმინდანებადა. ქვეყანა რომ თავდაყირა  
დადგება, ტვინი გადაბრუნდება და გა-  
დაბრუნებული ტვინისაგან ან მეტს რას  
უნდა მოელოდე, ჰა?! არა, ნურას მომი-

გებ, ძალას ნუ დაიტან, თუ რამე მოგადგეს ენაზე, წამოაგდე თუ არა და ნუ დაიტან ძალასა. ხსენის მეტი არაფერი გამოვა ძალისძალად გამოწველილი ტვინიდანა. მე ასე მითქვამს და მე ლეკო თათშელს მიწოდებენ ანუ რაც მითქვამს, ჭეშმარიტი მიბრძანებია, მაგრამ თუ არავისა სჯერა, ვაი იმათა, იმა ურწმუნოთა, თორემ მე რაო, მე რას დავკარგავ, რა გამაჩნია? არც არაფერი, რაცა ვარ ესა ვარ და რაც გამაჩნია, თან მბაღია. წავიდეთ! ჩუ!.. რა გქნა, რა არის, მოგეყვება ვინმე თუ ჩვენი ფეხის ხმა, ჰა?! იყოს, რაც უნდა იყოს, მოგეყვეს თუ მოგდევს, ხოლო თუ ჩვენივე ჩქამია, ცოტა უფრო ფრთხილად ვიაროთ და ჩამოგვეცილებება, დავგანებებს თავსა. ვიაროთ აბა!..

და იარეს. ბევრი თუ ცოტა იარეს, ვადაუხვიეს შარა გზიდანა, — ლეკომ ვადაუხვია და მიჰყვა სტუმარიცა. თუმცა ისიც სტუმარი გაზღდათ, ესეცა, ოღონდ იმან იცოდა თუ სად მიდიოდა. ამან არა. თუ რამეს იფიქრებდა, ალბათ იტრიელებთან მივიღვიართო, ამას იფიქრებდა. ამასობაში ეზოს კარი შეაღო ლეკომ; კარი შეაღო თუ არა, რაღაცეები გამოვიდნენ ბზის ბუჩქებიდანა, ეძგერნენ და ფეხებზე შემოეხვივნენ ამასაცა, იმასაცა. ამანაც შეჰყვირა, იმანაცა, ოღონდ ლეკო მალე მოეგო გონსა, ნუ გეშინიანო, მონადირე ძაღლებია არაფერს დაგვიშავებენო. ჰო, ნუ გეშინიანო და თან დაიხარა, ხელი ვადაუხვია ძაღლებსა. ამისი გასროლილი თოფი არავის გაუგონია, მაინც ვერ შელევია მონადირე ძაღლებსა, ორი თუ სამი ყოველთვისა ჰყავს, ალბათ მარტოობას იქარგებს ამითო.

— ვისთან მოვედით?! — იკითხა ნიკომა.

— რა საკითხავია?! — ძაღლებს შეეშვა ლეკო. გაცივიდნენ ძაღლები, კიბე აირბინეს, გაშლივიდნენ აივანზედა, მერე გაინახნენ, წაიწყმუტუნეს, თითქოს ვიღაცას რაღაც აუწყესო, ჰო, წაიწყმუტუნეს და ისევ ჩამოცივიდნენ, ისევ აეგლისნენ ამათა.

— ჩემთვის საკითხავია... — ველ-

რებასავით ჩაიდუღუნა ნიკომა.

— განა კიდევა?!

— ეს არის მოვედით და...

— ჰოდა, მოვედით.

— ვისთანა?!

— ვიზეც გელაპარაკე აკი ვითხარი, ოცხელს შეეფარებოდა, ვისაც კათრელები აიბუებდნენ—მეთქი. ტყუილად დავილაღე ყბები?! იმდენი ვითხარი და ამდენიც ვერ გამიგე. ვაიმე, ვაიმე, რა მთქმელი ვყოფილვარ, ან რა გამგონე შემხვედრია!

— რატომ, რატომ. მე კარგად გავიგე, მაგრამ ჩვენ ცუდად არ მივეუღვიართ ქალბატონ ეფემიასა.

— სამავიეროდ ცუდად გამოგვისტუმრა.

— ძიძამ...

— აბა, მაშ შენა გგონია, ი უცხვირპირო დედაკაცი რამეს ჩაიდენს ეფემიას უნებურსა?! ნუ გგონია, ახალგაზრდა ხარ, მაგრამ არც ისე ახალგაზრდა ბრძანდები, ყოველშემთხვევაში ბავშვი მაინც აღარა ხარ, ნუ გგონება ასე, გეგონოს ჩემსავითა და ჩემსავით რომ გეგონება, იმასაც მიხვდები, ეფემიამ უკვე იცის, ვის კარსაც მივღვიმართ. უკვე იცის და იწყევლება იწყევლება ისე მწარდა, რომ ერთი მაინც არ აგეცლება. წამოგვეწევა სადმე და გვაკოლინებს.

— ვაგებრუნდეთ...

— იქ ვისაც ამოიბუებდნენ, აქ მოვიდოდნენ—მეთქი.

აქ უკვე აიფინიდან მოისმა:

— ვინ არის?! მოდი თუ მოდიხარ! — მოისმა მკაფიოდა, მზრძანებლურადა, თანაც მასპინძლორი გულხალვათობითა.

— ვინ ვიქნები...

— ლეკო იქნები, კარს შემოაღებ და მერე ვადაღებ თავბატიყსა, ლეკოს ვარდა სხვა ვინ იქნები?

— მარტო არა ვარ...

— მობრძანდით!..

მობრძანდითო და ჩამოეგება მასპინძელი, ჩამოეგება და წამოაღვა, ორივე დაჰფარა სიმალითა, ცოტა კიდევაც

ოთარ ჩხვიამ

აორიამ

მხობრილიყო, ეს გარეთვე შეიმჩნეოდა, იქაცა ჩახჩახებდა ზეცა, ჩამოდვრილიყო ღამეული ნათელი თუ ანარეკლი მზისა, მთვარე—გარსკვლავებს რომ მოუტაცნიათ, შუქი არა აქვთ თავიანთი, ოღონდ უხვად აფრქვევენ სხვისასა. რა ენადღვლებათ?! ან ვინ უწყის, ძალიანაც ენადღვლებათ, მაგრამ არავინ უწყის და ჯერ მხოლოდ იმას ამბობენ, რაც უწყიან, — მზისაა ყველაფერი, მზისასა ფლანგავენო. მზისა იყოს, ვისიც იყოს, ვისიც უნდა იყოს, იქაცა ფლანგავდნენ, აფრქვედნენ ბედოვლათურადა, ჩახჩახებდა, ეზო, იქით საფუტკრე ჩახჩახებდა, იქით ბაღი. ჰო, მაღლა თუ არ აიხედავდი, გეგონებოდა, ეზო და ბაღი აფრქვევს ნათელსაო, მასპინძელიც ნათელივით ჩამოესვეტა, ხოლო ლეკო, ჰო მანამდისაც ერთო კელეპტარივითა. ასე ავიდნენ, შუქად ავიდნენ გაშუქებულ აივანზედა, შუქათ შევიდნენ შიგნითა. დღესავითაა, ლამპაც არ ამინთაია, მასპინძელმა ბრძანა; ის აღარ უთქვამს, არც საჭიროაო, მაშინვე აანთო და ძნელი სათქმელია, მოიმატა თუ მოიკლო შუქმა ოთახში. ისედაცა სჩანდა ასხმული წიგნები იატაკიდან ჭერამდისა, ყოველი კედლის გაყოლებითა; ისედაც სჩანდა გრძელი ოთახი, გადაყოფილი თეჯირითა. იქით აღბად საწოლი მოეწყოთ, აქეთ სასადილო თუ სასტუმრო, სულერთია, რაც ერქმეოდა. იდგა მაგიდა, გარეშემო სელის სკამებითა, სხვა ნურაფერს ნუ მოიკითხავდით, მხოლოდ წიგნები გამოიცქირებოდა, აქედანაცა იქიდანაცა, თეჯირსაც წიგნები გადმოჰყურებდა.

ჰო, მასპინძელმა ლამპარი აანთო და მოიბოდიშა, ცოტახანს უნდა დაგტოვოთო. ალბათ ვახშმის თადარიგისათვისაო, იყნოსა ლეკომა, იყნოსა და თვალი ჩაუკრა ნიკოსა. ნიკო ვერ მიუხვდა, მხრები ასწურა. მაშინ ხელი ჩაიქნია ლეკომა, წამოდგა, ამას აღარ მოუხდია ბოდიში, ისე გაედევნა მასპინძელსა. გაედევნა და რაღაც უთხრა, რაღაც ისეთი, რომ მერე მოღუშული შედგადიოდა მასპინძელი. თუ რამეს იტ-

ყოდა, იტყოდა მოზომილადა, ფრთხილადა, დუნუნდა, მხოლოდ ფრთხილადა არას მიუგვებდა ენაწყლიან ლეკოსა, ზედაც აღარ უყურებდა იმის თანხმლებსა. თუ აუცილებლად უნდა მიემართა, ვთქვათ, მიირთვითო, ჭერს აპხედავდა და ისე მიმართავდა. ცხადია ეს მაშინა, ვახშამი რომ გაიშალა, ხოლო ვახშამის მოთაგებისას თვალიც გაუსწორა და სიტყვაც არ დააკლო.

— არ ვიცი ვინა ბრძანდებით, — დაიწყო ასე, — არც მინდა ვიცოდე. შეღამებისას შემომეხმაურეთ, დაგაპურებთ და მოგასვენებთ, თუ აქვე ინებებთ მოსვენებასა, თუ გზას განაგრძობთ, თქვენი ნებაა, ხელი მოგიმართოთ ღმერთმა; თუ მოისვენებთ და მერე ჰო მანინც განაგრძობთ გზასა, განაგრძით, ეწიეთ თქვენს საწადელსა; მე ჩემდათავად არც დაგიმხსოვრებთ, ვერც ვიცნობთ, სადმე რომ ვადაგეყაროთ. ასეა, ჩვენ სხვადასხვა აზრისანი ვყოფილვართ. მე პატივსა ვცემ საწინააღმდეგო აზრსაცა, მაგრამ ყველა აზრი აზრი როდია, ზოგი აზრსა ჰგავს, ოღონდ პიტალო უგნურებია უგნურებას არც გამოვედავები, დავგმობ და გავეცლები. თქვენც ნუ ეცდებით, გამომედავოთ, მხოლოდ მომისმინეთ, თუნდა დამიჯერეთ, თუნდაც არა, მხოლოდ მომისმინეთ, მერე ეწიეთ თქვენს გზასა. ნურც იმას ეცდებით, შემახსენოთ ციცერონის ნათქვამი, კაცი თუ პოლიტიკური მოღვაწე არ არის, სახედარია და მეტი არაფერიო. აქ უადვილოა ამის გახსენება, ციცერონი რომაელი ვახლდათ, რომაელებს სახელმწიფო ჰქონდათ და რომაელი სახელმწიფო მოღვაწე უნდა ყოფილიყო აუცილებლად, გარდაუვალად, გადაწყვეტილად, ათენელებს სახელმწიფო ჰქონდათ და პლატონი სახელმწიფო მოღვაწე უნდა ყოფილიყო, პოლიტიკური მოღვაწე უნდა ყოფილიყო, უნდა ეოცნება ფილოსოფოსების სამეფოზე და გასაკვირველიც არ არის, ჰგონებოდა სიცილიელთ ტირანები აუნდენდნენ უდიდეს იდიალსა, თუმცა ისეთმა ძვირფასმა მეგობარმა, როგორიც იყო დიონისო პირველი, მონადაც გაპყადა მაინც არ დაცხრა, გამოსყიდეს თუ არა



მონობიდანა, იმის შეილზე, დიონისო მერეზე ვადაიტანა ოცნებანი, მხოლოდ იმიტომ, ერთხელ კიდევ რომ გაცრეხებულიყო, მაგრამ მაინც არ დასცხრა, ვერც დასცხრებოდა, რადგან ათენელი ვახლდათ. ათენელებს სახელმწიფო ჰქონდათ და უნდოდათ. შენ რაო?! თუმცა შენ შენი იცი, არას გეკითხები, არას გედავები, ჩემსას მოვახსენებ, არაფერი რომ არ გამაჩნია და არც არაი ძალ-მისს. თუ შემძლებოდა, ჩავერეოდი იმათ შორისა, მოთავეობა რომ იკისრეს და ვერც რაი ვააგებინეს ერთმანეთსა, ხალხსაც ვერაფერი ჩაუდეს თავში, პო, ჩავერეოდი-მეთქი, მაგრამ ვერ ჩავერეო-ვერა; მე აქ ვერ ჩავერეო, შენ აქ ნუ გაივლებ გულში, ციკერონი მტრებსაცა მეგობრობდა კეისრისა და მეგობრებსაცა კეისრისაო, ნუ გაივლებ, რამეთუ სხვა ვინმე ვახლდათ ციკერონი, შესაძლებლობანიც ვაჩნდა სხვადასხვაგვარი. წერასაც აეტანა პატივმოყვარეობისა, მე არც რა გამაჩნია, მცირე რამ თუ მქონდა, სოფელს ვადავეცო, პატივმოყვარეობისაც ვერაფერი ვაგიგე, ხოლო უამისოდ, ვერა, ვერ იფარგებ სახელმწიფო თუ პოლიტიკურ სარბიელზედა. მე ასე მგონია, ჩემი თავის, ჩემი არსების, ჩემი საძრაობის ანალიზისაა ეს აზრი, სხვას თუ სხვანაირს ვერაფერ დამაჩერებს, ვერა, ვერაფერა, პოდა, ნურას შეეცდებოთ თქვენცა, ნუ, ნურას შეეცდებით ტყუილუბრალოდა... არც ვიცნობთ, არც მინდა ვიცნობდეთ, პური მთხოვეთ და გამოგიწოდეთ, მოსვენებასაც თუ ინებებთ, მოისვენეთ, ყაბულს ვიქნებთ, წასვლა თუ ვინდათ, ვასწით, იარეთ კალთებს არ ჩამოვახვეთ, მოიცადეთ-მეთქი, თქვენი თქვენ იცით. მე არაფერი ვიცი თქვენი.

უსმენდა სტუმარი ჯერ დაბნეული, მერე გაოგნებული, მერე თითქოს გამოერკვაო, პირი გააღო სათქმელადა, მაგრამ აუქნია ხელი მასპინძელმა, აუქნია მძულვარედა თუ მრისხანედა, შენი ხმის გაგონებაც არ მინდაო, არაო, ოღონდ მაინც ვაპზედა ნიკომა:

— მე... მე რალაც არ მესმის... — ასე ვაპზედა.

— მე უკვე ვუთხარი... — ლეკომ გაუღიმა შეთქმულივითა, შეთქმულივითა თუ ვამცემივითა, სულერთია თუ როგორ გაუღიმა, უფრო მეტად დააბნია, უფრო ვააოგნა სტუმარი.

— რა უთხარი?! — შესძახა და სახეზე შემოირტყა ხელები, შემოირტყა და შეჩერდა ასე წახრილი, თავჩაღუნული, ხელებაკრული პირსახეზედა.

ის იყო ხმაც მოისმა გარედანა, მასპინძელს უხმობდნენ, გაეგება მასპინძელი, შელაპარაკებაც მოისმა, ალბათ გაიგონებოდა მთლად სოფელში, ისეთი სიწყყარე იდგა, ისეთი მდუმარება.

„ვილატები ვყოლია...“ ამბობდა მოსული, ვითომც უბრალოდა ვითომც სიფრთხილითა, ხოლო ნამდვილად მუქარის კილოთი.

„ლეკოა...“ მიუგებდა მასპინძელი, დინჯადა, აუმღვრევლადა; ვითომც მუქარა არც უგრძენიაო.

„რას დაძრწის?!“

„შემოღამებია და შემომეფარა...“

„დაეტეოს თავის სოფელში...“

ვაიცა ბრძანებდა, აღარც აღარაფერი ითქმულა ბრძანების შემდეგა, აღარცა თქმულა, აუჩქარებლად შემობრუნდა მასპინძელი, დამის სტუმარი თუ დამის გულშეგიც ვავიდა ეზოდანა ალბათ ვავიდა, შუკაც ჩაიარა, ალბათ ჩაიარა, გაშორდა იქაობასა, ხმა აღარ მისწვდებოდა, ალბათ აღარ მისწვდებოდა და მაშინ აყვირდა ლეკო:


— ჩემი სოფელია, მთელი ქვეყანა ჩემი სოფელია, არავის ვაკითხებ, სად დავიღამებ თუ სად ვავითენებ, ყველა დაეტეოს თავის ქერქშია და მეც დამინებონ ჩემი ქერქი... ჩემი სოფელია, მთელი ქვეყანა ჩემი სოფელია!.. — აყვირდა და წაეტანა საღვინესა.

— მეტიც მოგსვლია... — ხელი დაუქირა მასპინძელმა, თან ვადაპზედა ახალგაზრდა სტუმარსა ო, რა თანამზრახველი გიპოვნიაო, ო, როგორ შემუშრდება ყველა დროს მოღვაწესაო. — დაეხსენი... მოისვენეთ... წასვლას თუ ინებებთ, თქვენი ნებაა..

ოთარ ჩხიძე  
ბრძანაჲ

შენთან დამრჩომის ასე და ისეო, შენსძახა ლეკომა, რახან შესძახა, ცხადია, აღარც გაჩერდებოდა, თუმცა ვინ უწყის, მაშინვე აშლოდა სინანული, რადროს გულფიცხოზა, რომ მიიწევ, საით მიიწევო. სინანულს მაინც ვეღარ მოერეოდა, ცოტა შემთვრალიყო და იმიტომაც ვეღარ მოერეოდა, ეთაილებოდა თანამგზავრისაცა. ჰო, რა თქმა უნდა, ეთაილებოდა, ამიტომაც გაიმეორა მკახედა, შენთან დამრჩომის ასე და ისეო, ხელი მოატანა სტუმარსა, აღე, გამომყევი, არც გამოემშვიდობო. იმანაც ვერ მოასწრო გამომშვიდობება. მაისპინძელი აივნამდისაც არ მიპყოლია, სამაგიეროდ, ძაღლებმა გააცილეს. ისინი შეეგებნენ, იმათვე გააცილეს, ჰიშკრამდე როდი, — არა, იქით როდი წასულა ლეკოი, — ბაღს ბოლომდისა. იქამდის მიპყენენ ძაღლები, იქვე დაუშინდნენ, რადგან ბეგთან ჩაიმუხლა ლეკომა, ნებვირად წამოწვა მხარეთქოზედა. შენც ამასვე გირჩევო, მიმართა თანმხლებსა, მიმართა უკვე დამშვიდებულნი ხმითა. ცოტა კიდევაც წამოამთქნარა, ახლა ძილს აღარაფერი ემჭობინებო.

— ასე იცის გულფიცხოზამა, — მშვიდადვე დასძინა ლეკომა, — სიფიცხეს თუ არ ავყოლოდი, ლოგინში მოვისვენებდით, ჰერი გვეფარებოდა, დილის საუხზე გველოდებოდა. ახლა აღარ ვიცით, რა გველოდება, რა გვიწერია. სიფიცხემ მიმტრო, შენც მტრად გადაგიდექი ჩემი სიფიცხითა. სხვა დროს აინუნშიც არ ჩავადგებდი, რაც უნდა ეთქვა მასპინძელსა. არ იფიქრო, გულფიცხოზა არა მჩვევოდეს, მაგრამ იქ გავფიცვებდით, სადაც გამივიდოდა. აქ რაო, რა გაგივა, მე შენ გეტყვი კალთებს ჩამოგახვეს, რა დროს წასვლაო. როგორც ვენებოსო, ქართული აღარაფერი შერჩენია მაგ მამაცხონებულსა. ყველა ეგრეთთა უცხოობაში ვინც გაზრდილა. ხელად აიღებენ უცხო ზნესა, ხელად დაჰკმობენ მამაპაპურსა, გამოიცვლებიან, ვადასჩავფერდებიან. მტრად გადაგიდგებიან და ამას უძახიან ამაღ-

ლებასა, „ინტელექტუალურ“   
 ლაც ამაღაგარ ამაღლებასა. ამჟამად  
 ლა ეგ ოცხელების ჩამომავალიცა ვიცი, რა უკმენიც არის, ვიცი და ვერიდები, მაგრამ ჰკუაკითხული კაცია, ამ ჩვენს საქმესაც ჰკუაკითხული ხალხი უფრო გამოადგება, ჰა, არა?! მე ლეკო თათაშელს ასე მივარაუდნია, არც არასოდეს გამტყუნებია ვარაუდი, მე, ლეკო თათაშელსა. ჰკუაკითხულის ვარაუდს ვამბობ, თორემა, აყოლით რომ ჩვენ არ ავყოლია, შენც იხილო, მეც დავინახე თვალნათლივადა. ისიც მართალი ბრძანა, არც არასოდეს არავის ავყოლივარო, ფილოსოფოსობასა ჩემულობს, წმინდა ფილოსოფოსობასა წმინდა ბერივითა, პოლიტიკურ მოვლენებში არ გავერევიო. თუმცა ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ის მაინც გამიგია, გამიგონია და გამიგია თურმე ჰქეყნად არა ყოფილა ისეთი ფილოსოფოსი, პოლიტიკაში რომ არ გარეულოყოს, აქ არა ყოფილა, ამ ჰქეყნადა, ხოლო სადმე სხვაგან თუ ყოფილა, ჯერ იმისი არაფერი იციან, მეც ვერავისგან გავიგონებდი, რახან ვერ გავიგონებდი, ვერც გავიგებდა. მაგან საიდან ვაიგო ან საიდან ვაიგონა, ვერას მოგახსენებ, ამას მაინც ბეჯითად გეტყვი, ბეჯითად გამიგონია და ბეჯითადვე მოგახსენებ, რომ ფილოსოფია თუ რწმენა არც არაფერია ისე თავისთავად, მხოლოდლა საფარია პოლიტიკური ბრძოლებისა, ხოლო თუ მეზრძოლი არა ხარ, ფილოსოფოსიც არ იქნები, ასე გამიგონია, ასეცა მკერა. რამდენი წიგნიც უნდა წაიკითხოს, ნწ, არა, ფილოსოფოსი არ გამოვა მაგისგანა. ისე ჰკუაკითხული კაცი ჰკონიათ, კიდევაც ეკითხებიან ჰკუაასა, მე ჩემდათავად არასოდეს არაფერს დავკითხვივარ, არც დავეკითხები, მხოლოდ ერთხელ წავიკითხე მაგისი წიგნი, ერთხელ მაინც უნდა წამეკითხა მეტს აღარაფერს წავიკითხავ მაგის დაწერილსა, თუმცა აღარც სხვათა ნაწერებისაკენ მიმიწევს გული, ყველაფერს თავისი დრო ჰქონია, ჩემი ფიქრებისთვის ვეღარ გამართმევია თავი, სხვისათ რაღას



ავფორიაქდე, არ ვიცი, მე და ჩემმა  
 ღმერთმა!.. შენ როგორც გენებოს, იცი-  
 თხე, იზუთხე, რაც გინდა ჰქენი, ხოლო  
 მერე, როცა ვერავისგან ვერაფერს გაი-  
 გებ, ჩემს ჭკუაზე შესდგები, თანაც  
 იცოდე, უკეთესია თუ მალე შესდგები  
 ჩემს ჭკუაზედა.. არა, ამისი თქმა არც  
 მინდოდა, არა, არც მინდოდა, ენას ძვა-  
 ლი არა აქვსო, ნათქვამია, ენაზე ჭალი  
 არ მოედებაო, ისიც არის ნათქვამი და  
 ჩემზეა ნათქვამი, — ვამბობ რაც არ  
 უნდა მეთქვა, მაგვიანდება, რის თქმაც  
 მინდოდა. თუმცა ვითომ საით მივეშუ-  
 რებით, — ყველაფერს მოვასწრებთ.  
 ამასაც, იმასაც, ოღონდ ჯერ ეს იყოს:  
 ჰოდა, იმისი თქმა მინდოდა, ერთხელ  
 წავიკითხე მაგისი წიგნი-მეთქი და ერ-  
 თი ფილოსოფოსისა არ იყოს, იმისი  
 წიგნი რომ წავიკითხეო, რაც გავიგე ჰო  
 ბრძნულზე ბრძნულია, რაც ვერ გავი-  
 გე, მომეტებული სიბრძნე იქნებაო, გა-  
 გივინდა, არა?! გავეგონება, ისიც გავა-  
 სენდებოდა თუ რომელი ფილოსოფოსი  
 ბრძნდებოდა, რომლის წიგნზე ბრძა-  
 ნებდა, თუ არ გავახსენდება ევეც არა-  
 ფერი, ავერ მე არ მახსენდება, არც არა-  
 ფრად ვავლებ, ის არ იტყოდა, სხვა იტ-  
 ყოდა, ახლა ის სადღა ვიმარჩიელო, ვინ  
 იტყოდა-მეთქი, ჰა, საღ ვემკითხაო?!  
 მთავარი ისაა, რომ მეც ისე დამემართა,  
 იმ ფილოსოფოსივითა ანუ ამ ჩემნი მა-  
 სბინძლის წიგნი რომ წავიკითხე, რაც  
 გავიგე ჰო უაზრობა იყო, რაც ვერ გა-  
 ვიგე, მომეტებული აბდაუბდა იქნებო-  
 და. მე ასე მითქვამს, მე ლეკო თათა-  
 შელს მიძახიან შენ ეს კარგად მოგეხ-  
 სენება. ჰოდა, რახან ლეკო თათაშელს  
 მიძახიან და რახან მე მითქვამს, ქეშ-  
 მართებაც იქნება. ეჰე, როგორ შემომ-  
 ცქნივიან ე ძაღლები, თითქოს ერთ სი-  
 ტყვისაც არ დაჰკარავენ, ყველაფერს  
 მიურბენინებენ პატრონსაო, მიურბე-  
 ნინონ, მევე წავალ და პირში ვეტყვი.  
 წამოიწია.

დასწია თანამგზავრმა, — თუ მივ-  
 ბრუნდებით, ბოდიში გვმართებსო.

შემოსწყრა ლეკოი, თავს მივანებებ  
 თუ კიდევ გამავონე ასეთი რამო. პასუ-

ხისათვის აღარ მოუცდია, ადგა, ავიდა  
 ბეგზედა, აიქარა, ისკუპა, გადაეცლ-  
 რუსა და იქითა ბეგზე აიშარათა, აიშარ-  
 თა გაჩახჩახებულ მთვარის ქვეშა: ამა-  
 ნაც ისკუპა, მაგრამ ვერ მოზომა, ფეხი  
 მოუღიპდა, მკერდით დაეცა ბეგსა, და-  
 ეშვა, ჩასლიკინებდა. ჩავარდებოდა  
 რუში, წყალში ჩავარდებოდა. ბევრი  
 არაფერი დიდი რამ ფათერაკი არ იქ-  
 ნებოდა, დასველებოდა, ამოიწუწუბ-  
 და, ამოიჭყუშალებდა, ოღონდ გადარ-  
 ჩა ამასაცა, ხელი დაატანა ლეკოსა, ქე-  
 ჩოში ჩავლო და ამოსწია, ამოიფხოწი-  
 ალა. ძაღლები იქიდან გადმოჰყურებ-  
 დნენ, გამოაცილეს, გაიყვანეს სამშვი-  
 დობოსა და ემშვიდობებოდნენ კულის  
 ქიციინითა, ესეცა სჩანდა მთვარიანში,  
 კარგადა სჩანდა ჩახჩახა მთვარის ქვე-  
 შა. ვარსკვლავებს აღარ მოვიხსენიებთ,  
 იქავე ბრძანდებოდნენ, რა თქმა უნდა,  
 ისევე ბრწყინავდნენ თავიანთ სამბრძანე-  
 ბლოში. თავიანთი შუქითა ბრძანდებო-  
 დნენ თუ სხვისი შუქითა ე ამათ ჰო  
 გზას უნათებდნენ და სავარაუდოა, არ  
 აუტეხდნენ დავიდარაბასა, არ წამოიწ-  
 ყებდნენ საასტრონომიო საუბარსა. არც  
 სხვა რამ სასაუბრო გამოსჩენიათ ანუ  
 ლეკოს აღარ დაუძრავს კრინტი ისე  
 გადაიარეს ვეება კორდი, მერე მუხნაოს  
 შეერივნენ, მერე გავიდნენ ისევე კორდ-  
 ზედა, ხოლო იქ, ვეება გორა წამოემარ-  
 თათ კორდის შუაგულზედა. რა იყო  
 თუ რისგან იყო, ამას არ უკითხავს, იმა-  
 საც არაფერი უთქვამს, ოღონდ იცოდა,  
 რა თქმა უნდა, რაც იყო თუ რისგანაც  
 იყო; იცოდა, ოდესღაც იქ რომ გადაჰი-  
 მულიყო ციხე დარბაზი მამკურელთა,  
 ოდესღაცა, ძველთა-ძველ დროსა, რო-  
 ცა ჯერ კიდევ კათარელთა გასაგისიც  
 არ იყო აქეთ მხარესა, ხოლო ოცხელთა  
 სახელი მონაგონიც არა ყოფილა. ზეობ-  
 დნენ მამკურელნი, განმგებლობდნენ  
 მამკურელნი, მაგრამ უღმობელად გა-  
 დაბრუნდა იმათი ცხოვრების ჩარხიცა,  
 ზოგი ბრძოლებში გაწყდა, ზოგი სხვამ  
 დაჩაგრა, ზოგიც თვითონ ამოიჭამეს

ოთარ ჩხიძე  
 ბორიანი



თავი, შეირყა დედამოძი გვარისა, ჩაიქცა ჭერი, ჩაიქცა დიდებული ციხე — დარბაზი, ძეძვი გათამამდა, ეკალბარდმა გადაიარა, შეიკრა ძეძვის მთადა, გაუვალ მთადა, ვედარც ვერაინ შესულიყო, გამომსვლელი ვილა იქნებოდა, თუმცა რატომაც არაო, — ხარობდნენ ფრინველნი, ხოლო ქვეწარმავალთა სიხარულისა რა მოგახსენოთ, ისე კი, ბლომად ბრძანდებოდნენ ერთნიცა და მეორენიცა.

მაბჟურნელთა გვარისანი მაინც შემორჩენილიყვნენ. მიმოღავებულიყვნენ, მიმოფანტილიყვნენ, აღარ მოსდევდათ ძველი დიდება, არცა ჭონება, მხოლოდ სიამაყე შემორჩენოდათ, დაუთმობლობა შემორჩენოდათ, გულისანი იყვნენ, უფიქრელად შეასკდებოდნენ, ჩიტის კვერცხივით შეასკდებოდნენ, ვინც უნდა გადასდგომოდათ წინა. ერთ იმათგანს იქვე დაედო ბინა, გორმანის ძირას აეგო პატარა შენობა, ალიზის შენობა, ისევე მიწის პირადა. ხასხასებდა ალიზის სახლი, ხასხასებდა პატარა სახლი და ლეკოც იქით მიხასხასებდა. მიხასხასებდა და მიხასხასდა. შეუძახა, თანაც ჩაახველა თავისებურადა, სხვა არ გვეგონოთო, მე ვასლავართო. მაინც არავინ აპირებდა გამოხმარებასა, იღვა მღუმარება ისეთივე, ძეძვიან მთაში რომ ჩამარბულიყო. არც ლეკო ეშვებოდა, გიგოო, შესძახებდა თითქოსდა საიდუმლო ხმითა, ჩახველებასაც მიაცილებდა. ფრთხილდა, ნაპარევდა. თანდათან უნდა შეემალლებინა. მაგრამ რატომღაც უღაბლებდა და უღაბლებდა, ისეთი სიჩუმე იღვა, ისე მიწყნარებულყო ირგვლივ ყოველი, ჰკაფიოდ გაისმოდა ოღნავ ნათქვამიცა. თანაც ნათქვამია, იღუმალი ჩურჩული უფრო გამოიხმობს მიმალულსა თუ მიჩქმალულსაო: ნათქვამია თუ არც არის ნათქვამი, სულერთია, ჩურჩული უფრო გამოადგა ლეკოსა. ვინ არისო, გამოეპასუხნენ, ოღონდ ქალი გამოეპასუხა და ცოტა არ იყოს შეაფიქრინა ქალის გამოპასუხებამა. წინასწარ ქალს არ გამოუშვებდა მამაკაცი, დღისი-

თაც არა, მით უმეტეს ამ დღეებში... შინ თუ არ იყო მამაკაცი. ვინ წასულიყო ან წაეყვანათ; სადაც უნდა წაეყვანათ, თუნდა წასულიყო ნებისადა, მერე რაო, ვითომ ლეკოს რაო, რას გამოადგებოდა ამის გარჩევანი, — შინ არ შეესვლებოდა, ეს იყო, რაც იყო, სხვა დანარჩენი წყალსაც ეზიდა; ჰოდა, ეზიდა, ამოიხვენდა და გამობრუნდა, მიაჩერდა თანამგზავრსა მხრებანურული, უსასოო, ენაჩავარდნილი.

თანამგზავრსაც ენა ჩავარდნილია, მიმხედარიყო, უთავებოლო მეგზურს რომ გადაჰყროდა; ამას მიმხედარიყო, მაგრამ იმას მაინც ვერ გაიგებდა, როდის ექნებოდა დასასრული ამ უგზო-უკვლობასა, როდის მიადწევდნენ იტრიელებამდისა. მონატრებოდა იტრიელები ასე მოღლილსა, ფეხზეჩამოშვებულსა. თავდაპირველად არ მოსწონდა ელოზბარის რჩევანი, დაბრუნება არ უნდოდა, მაგრამ ახლა ჭკუაში დაუჭდა, თუმცა დაუჭდა თუ არ დაუჭდა, გზა არა ჰქონდა ლეკოს იქითა, ხოლო გზა ლეკოს იგრიხებოდა, იხლართებოდა, იწეწებოდა უაზროდა, უთავბოლოდა, უმი-სამართოდა. ბოლოს მაინც სადღაც მიდიოდნენ, მიადგებოდნენ ვილაცის კარსა, მაგრამ ნეტავ ან რად მიდიოდნენ, ან რად გამოეცლებოდნენ ან ახლა აქ რად ასუსულიყვნენ, როცა არავინ ეხმარებოდა?..

თუმცა მოიცა... ჩაიჭრიალა კარმა, ოღნავ გაიღო, ოღნავ გამოჩნდა ქალის სახეცა, ვინა ბრძანდებითო, ესეც გაისმა ოღნავადა, ოღონდ ლეკოს პასუხი ჰქვასა ჰგავდა, — ლეკო გახლავართო, ლეკო თათაშელიო. თავისსავე ხმას მიჰყვა აფოფინებული, სტუმარსაც წაავლო ხელი, რა თქმა უნდა. ერთად მიადგნენ კარსა. კარი მომეტებულად არ გაღებულა, ქალის სახემაც დიწია უკან-უკანა, უფრო გამკრთალდა, ან აღარც მოსჩანდა. გიგოს ამბავი გეცოდინებო, ესეც მოისმა უფრო ჩუმად, ჩუმივე ამოკვნესითა.

— არ გამოსულა აქამდისა?! — გაწყრა ლეკო.



— ვინ გამოუშვა?! — გაოცდა ქალი, ოღონდ სახე სულ აღარ მოსჩანდა, კარსუქნიდან ეპასუხებოდა.

— სხვები გამოუშვეს, ვინც დაწერა გაზეთში, ვგმობო, გამოუშვეს...

— იმან არ დაწერა...

— დაწეროს.

— არ დაწერს.

— დაწეროს!..

— არ იცი რა ახირებულია?!

— რა დროს ახირებაა, ხალხი გვპირდება, გარეთ უნდა გამოვიდეს ხალხი, როგორც იქნება უნდა გამოვიდეს, დაწეროს, ვითომ რა არის ნაგლეჯი ვაჭეთისა, მთელი რა არის, ნაგლეჯი რა იქნება...

— ეჰ, რამდენჯერ შეეუთვალე...

— კიდევ შეუთვალე.. ახლა სხვა არის, ჩამოსულია ისეთი კაცი... — საოცარი იდემალებით ჩაიჩურჩულა ლეკომა და წინ წასწია თანამგზავრი, ოღნავ წასწია და კარებს მიახალა შუბლითა, კარი არ იძვროდა, შეჩერებულიყო ოღნავკერილად, კაცი ვერ გაეტეოდა.

უცბად გაიღო, უცბადვე შევიდნენ და ჩაიკეტა კარი, უცბად ვერც ვერაფერი გაარჩიეს, გარეთ მეტი სინათლე იდგა. იქაც გაშუქდა, სანათს ჩამოფარებული კოლოფი აიტაცა ძლიერმა ხელმა. პირველად დედაბოძი გაანათა სანათმა, მერე ხელი კოლოფი რომ აიტაცა, მერე ხელის პატრონი, ჯმუხი, წარბებწამოხურული მამაკაცი. გახსნილი პიჯაკიდან, რევორვლის ტარი მოუჩანდა. სანათმა დაადგა თვალი, ამათაც დაადგეს თვალი, იმანაც შეისწორა, შიგნით შეიწია, დაბრძანდითო განაცხადა და წამოსწია დაბალი, სამფეხა ჩამოსაჯდომები, ჩამოსხდნენ...

— ჩემი ძმა... — თითქოს შეავედრო, ისე თქვა ქალმა.

— ვიცნობ პეტრე ვარაზელსა... — ვიცნობო, ან რა თქმა უნდოდა, ვიღას არ იცნობდა ლეკოი. იმ ბავშვებსაც იცნობდა სათითაოდ, კედლის გასწვრივ დიდ ტახტზე რომ ჩარიგებულნიყვნენ. იმათი შემოსვლისას თავი წამოსწიეს,

წამოყეცყელავენენ, აახამხამეს თვალები და ისევ დაცივიდნენ ბალიშებზე და; იმ ბავშვებსაც იცნობდა, ყველა იცოდა დიდბატარიანადა, იცოდა, ვისი ვინ იყო, ვისი რა იყო, საქონელი თუ ძაღლი, კალო-საბძელი თუ ბაღ-ვენახი, მარანი ჰო ყველასი იცოდა, ყველა მარანის შინაური გახლდათ. მხოლოდ ესაა, აქ არ ეგულებოდა მარანი, გიგო მამკურელი ვერაფერი მემარნე თუ მევენახე იყო, ვერც მხენელ-მთესველად გამოიჩნეოდა. სამაგიეროდ, უკეთესს ვერ ინატრებდი ამფსონადა, ჩინებული მომლხენი გახლდათ და სხვაგან დიდი მომლხენის შემდეგ ბოლოს აქაც შემოუვლიათ, აქ მოუთავებიათ თუ მოთავებულან, მარანი თუ არა, ორიოდ ხელადა მაინც ყოველთვისა ჰქონდა საამისოდა; ჰო, მოუთავებიათ თუ მოთავებულან, მიმოლაგებულან ვინ სადა და ვინ საითა, ველარ გაუგიათ, აღარცა ხსოვნებით, სად მოთავებულან თუ საიდან მოლაგებულან, სხვებს არა ხსოვნებით, სხვებსა და სხვათა. თორემ ლეკოს არაფერი გამოჩნებოდა, მაშინვე რომ ჩაკარგულიყო, გამოფხიზლდებოდა თუ არა, წამოუტივტივდებოდა ყველაფერი, ეს ციყვებივით წამოყუნცული ბავშვებიცა... თუმცა უკვე დაცივიწულიყვნენ ბალიშებზე, ფშვინვა ამოეშვათ. ეფშვინათ, გამოეძინათ გულიანადა, ვიდრე ესენიც ვადაეყრებოდნენ მოუსვენარ ღამეებსა, ეფშვინათ თანზომიერადა, ეძინათ ღრმადა, უსიზმრებოდა.

— მართლა თუ არის რაიმე ნიშნები, მაშინ.. — ჩაიბუბუნა პეტრემ, ზმირი წარბები უფრო მოქუშა და ევრე მოქუშული წარბებიდან გამოანათა თვალეზი. — მაშინ...

— არის!.. — მგზნებარედ შესძახა ლეკომა.

— მაშინ.. — იმავე ხმით განაგრძო დამხდურმა, — მაშინ... გამოგიტყდებით, უკვე გზას ვაღეჭი, ბორჯომს ვადავიდოდი, იქიდან ახალციხესა და მერე... — ხელი გაიქნია შორეული და

ოთარ ჩაიძმ  
გორიანი

ბუნდოვანი გზის ნიშნადა. — მაგრამ თუ არის იმედი, სულ ცოტა იმედი, ფოჩხილისოდენა იმედი თუ არის, მაშინ დავრჩები. — აქ ასეა წარბები, თვალი გაუსწორა იმა უცნობსა, იმედები რომ მოჰქონდა ლეკოს თქმითა. ამათ გაუსწორა თვალი, იმხანაც გაუსწორა, აღარ დაიბნეოდა, გამოცდილიყო, გაეგებოდა, რასაცა გულისხმობდხენ, მიუგებდა, მუსიკოსი რომ იყო და არაფერი ესაქმებოდა ამ პოლიტიკურსა თუ სახელმწიფოებრივ დავიდარაბასთან.

— იცით, რა... — თუ იტი შეჰკრა და შემართა ხელი, უნდოდა, რაღაც ისეთი მტკიცე სიტყვა ეთქვა, მაშინვე დაერწმუნებინა ეს უცხოები თუ ეს-ესაა გაცნობილი ადამიანი, ესეც დაეოჯახებინა, ეს ურწმუნო თუ ახირებული კაცი, უნდოდა, მაგრამ უცბად ვერ იბოგნა 'მესაფერისი სიმტიცის სიტყვა, შემართული მუშტიც დაეჭვა ძირსა, ხოლო ბაგემ იგივე გაიმეორა, — იცით, რა...

— მეც გადავაჭარბე. — მონანიების კილოთი გამოსთქვა ლეკობა, — დავალება დავალება... საგახგებო დავალება...

— გასაგებია, — ჩაიჩურჩულა დამხდურმა, დახარა თვალები, — ჩემი შიში ხუ გექნებათ... არა არაფერსა გთხოვთ, ისე ხუ გექნებათ-მეთქი ჩემი შიში, ლეკომ იცის, ლეკო არც გამოიმტყლებოდა, რომ არ იცოდეს: ჰო, ნუ გექნებათ-მეთქი ჩემი შიში, იმედი გქონდეთ..

— ვანა თქმა უნდა?! — გაიკვირვა ლეკობა.

— ამისთვის ვამბობ...

— ეგ ჩემზე იყოს. — უფლებამოსილად განაცხადა ლეკობა.

— შენ იცი... — იღიმის დამხდური, იღიმის თითქოს უნდობლად, — მართალი გითხრა, არ მეგონა, შენც თუ...

— ჰა, ჰა, ჰა... კიდევ ბევრ ვინმეს გააკვირვებს ლეკო თათაშელი. შენ ჰო მაინც იცი, ლეკო თათაშელს რომ მიძახიან!..

— სხვა რაღა ვიცი?!

— შენც კარგად დაიხსომე... — მიუბრუნდა თანამგზავრსა.

— იცი, რა... — დრო იხელთა თანამგზავრმა, — ეგ დავიხსომე...

— ავაშენოს ღმერთმა, მეტიც არაფერი მინდა, — თითქოს უფრო გამხსნევდა ლეკო, — ბევრი რამ იღუმალება ვიცი ვიცი, თუ როგორა ბრუნავს ჩარხი წუთისოფლისა და მინდა აღმა ვუხამ პირსა, მინდა დაღმა დავატრილებ.

— ჰა, ჰა, ჰა... — ძალისძალად გაიცინა დამხდურმა. — ნუ გეიოლება, მარანი არ გეგონოს, თუმცა გეგონოს, მარანსაც ბევრჯერ დაუციხარ ძირსა.

— მეეეე?!!!

— შენა...

— მეეეეეე?!!!

— შენცა, სხვანიცა, სხვანიცა, ვინც შესჭიდებია..

— სადაც სხვანი, იქაც მე...

— ეგეც არის, ეგ გვაჩერებს, თორემ წინააღმდეგობა ახლა მეტისმეტად გაძნელებულია, აღარა სჯობს და სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ნათქვამიც არის. მაგრამ ვის გავეცალოთ, რას გავეცალოთ?! ვინც გაეცალა, რა მოიგო?! ეს მაფიქრებს რამდენი ხანია და შეეყოვნებულვარ. ესეც ძნელია, უმოქმედობა სიკვდილზე ძნელია; ან ვინ უწყის, რა სიძნელისაა სიკვდილი, ვინ გამობრუნებულა, ვის გაუგებინებია, ეგება ადვილიც არის, რაც უნდა იყოს, უმოქმედობაზე ადვილი იქნება.

— იქნება... — დაუბეჯითა ლეკობა.

— იქნება... — დამხვდურმაც გაიმეორა ფიქრიანადა, — მოქმედება გვმართებს, საძრაობა გვინდა. ყველა მოქმედებს უკეთესისთვისა, ჩვენ ჩვენისთვის უნდა ვიმოქმედოთ, ჩვენისთვისა, ჩვენანდისთვისა, მერე აპყვება უკეთესობის ღონისძიებაცა.

— აპყვება, აპყვება!... — შეუფიცხა ლეკობაცა.

მაგალითად რომ მოვიტანოთ, ბედნიერი ხალხია, თავიანთი დღენი უკეთესი ხელისუფლებისათვის იბრძვიან. დიდი ერები დიდნიც არიან და ბედნიერნიცა. ჩვენა? ჩვენი დღენი ჩვენი ხელისუფლებისათვის ვიბრძვით, ჯერ ეს რა



არის, ჯერ ეს რა უბედურებაა და ახლა ამისი სახსარიც წაგვრთმევეია. რა დაგვმართნია, ილაჯი აღარა გვაქვს, განვრთხულვართ საბოლოოდა, სამუდამოდა, პა?!

— არ დამორჩილდე ასეთ ფიქრებსა.  
— შეუტია ლეკომა.

— იცი, რა... — მსწრაფლ დასძინა ნიკომა, დასძინა და მუშტიც შემართა, შემართა უფრო გაბედულადა, ალბათ მოსძებნა უმტკიცესი სიტყვა, შეუვალი, ზემომქმედი, დამამორჩილებელი, მაგრამ ისევ დაუვარდა ხელი, დაუვარდა მაშინვე, დამხვდური რომ წამოვარდა და ფანჯარას ეცა. წამოვარდა, რადგან თქარუნი მოისმა. არც ისე შორს ლანდებად გაიქროლეს ცხენოსნებმა, ლანდებად გაიქროლეს, ოღონდ ძლიერი ხმაური გამოსცეს. შემამუფთოთი ხმაური.

ხმაური გამოსცეს და მიეფარნენ, მიეფარნენ და წარიტანეს ხმაცა, ვინ იყვნენ ძნელი სათქმელია, სად მიეშურებოდნენ, — მით უფრო ძნელი. სხვანიც გამოჩნდებოდნენ თუ იგივენი შემობრუნდებოდნენ, — არც ამისი მიხვედრა ძალუძდათ, მხოლოდღა ეპვი თუ დაეროდათ და კიდევაც დაერიათ ეპვი. ეპვი დაერიათ და ერთმანეთს დაუბრიალეს თვალები ანუ დამხვდურმა დაუბრიალა თვალები ლეკოსა, რევოლვერიც წამოსწია წინა, როგორა ფიქრობო, ვინ იქნებიანო. მხრები ასწურა და ხელები გააცანცარა ლეკომა, აბა საიდან მეცოდინებაო, ამასობაში კიდევ მოისმა თქარუნი და ამათ პირდაპირ, ვრცელი კორდის თავზე შემობრთწიალდა, ცხენი, შემობრთწიალდა და ამათკენ გამოემართა. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მეორეც მოჰყვა, მესამეც ასევე. დამხვდური მოსწყდა ფანჯარასა, დამხვდურიო, ვამბობთ, ამათ რომ დახვდა, იმიტომა, თორემა იმათ დახვედრას აღარ აპირებდა, — მოსწყდა ფანჯარასა, მომყევითო, ბრძანა, ეცა გვერდით კარსა, შეაღო შევარდა. შევარდა და შეჰყვენენ, ბოსელში გავიდნენ იმ კარიდანა, ბოსელს სანათური ძეძვიანისკენ დასტანებოდა, იმა სანათურს ეძგერა დამხვდური ანუ ამჟა-

მად წინამძლოლი, აიწია, გაძვრა, უკეთესია ითქვას, გავარდა ისარივითა. ლმკოს გაუჭირდა, მაგრამ ძალა შიშმა, ხელი დასტაცა, ვადავადო. ნიკო გაიჭედა, აღარც აქეთ იყო, აღარც იქითა, ამასაც არ მოჰკლებია შიში, მაინც ისე ვერ დაეტანა, ისინი დაეტანენ, გასწიეს, გაითრიეს. მერე ძეძვიანს მისცეს თავი. იქაც ბევრი საძრომილო შეხვდათ. იქაც ისარივით ერჭობოდა თუ მახათივით ეყრებოდა დამხვდური — ახირებულიც არაფერი ვარგებულა, რიდას დამხვდური, ვარბოდა და გაქცეულად ითქვას, წინა გაქცეულადა. მიმყოლებს უჭირდათ, ძალიან უჭირდათ, მაგრამ სხვა რა ეღონათ არ იცოდნენ და ეკიდებოდნენ გაჭირვებასა.

მუქარა მოსდევდათ, მუქარა მატებდათ ძალასა, იქ იმუქრებოდნენ, ვინ იყენენ შენთანაო, არავინაო, შესტირთა ქალი, მოვასწრებთო და ვაი იმათაო, ვაი შენცათო.. უჭირდათო, რა სათქმელია, რა გაჭირვება დააბრკოლებდათ?..

ზეცა ქათქათებდა, შუქსა სცრიდა ძეძვნარშია; გაცრილი შუქი ეფინებოდათ ძეძვნარს შეფარებულთა.

XI.

მთვარის განაცერი იმდენი არაფერი, მზის განაცერმა გამოაღვიძათ. აქეთ-იქით მიყრილიყვენენ, არც სად ქვეშაგებთო, არც სად საბანიო, არც სად სასთუმალიო. ნათქვამიც არის, ძილმა სასთუმალი არ იცისო, მართლაც არა სცოდნია სასთუმალი; სასთუმალი რომ არა სცოდნია, ეს იმდენი არაფერი, არა სცოდნია არცა შიში, თორეჲ რა დააძინებდათ, იმდენ ხანს დათქარუნობდნენ ცხენოსნები, იმდენხანს ისმოდა თოფის სროლა. ვინ იყვენენ, ვის ესვროდნენ, რა თქმა უნდა, ამათ არ გაეგებოდათ, არ გაეგებოდათ, არც უნდოდათ გაეგოთ, არც გაეგონათ, ყურებიც დაიხშეს და ვინ იცის, მაშინ ჩაეძინათ, სწორედ მაშინა ყურები რომ დაიხშეს, მაშინ ჩამოიარა ძილმა უსას-

ოთარ ჩხიმიძე  
ბორიანი

თუმლოდა, უქვეშაგებოდა, უსაბნოდა, ჩამოიარა და გადაეფინა, მიჰყარ-მოჰყარა აქეთ-იქითა, სამივენი მიჰყარ-მოჰყარა, თუმცა დილით რომ გაეღვიძათ, თავი რომ გადააცილეს მზის ანაცერსა და გაჰხედეს ერთიმეორესა, ორნიდა იყვნენ, მხოლოდღა ორნი — ლეკოი და ნიკოი. უთქმელად დააცეცეს თვალები. წამოყელყელავდნენ, გაიხედეს, გამოიხედეს, არავინა სჩანდა, არც ხმა ისმოდა არავისი, მხრები აიჩჩინეს და გაიზმორნენ შემცივნულებივითა — დილა გრილი იყო, მიწაცა გრილი, შეამცივნებდათ, თუმცა იცრებოდა მზეი, დილის მზეი, ადრე დილისა.

მზე მალე იმძლავრებდა, გაახურებდა ძეძვიანსა, ნანგრევების ქვებს გაახურებდა, თავსაც გაახურებდა ლეკოსი, იაზრებდა თუ რა ეღონა, ახლა რომელიდა გზას გასდგომოდა, ეს მერე. მზე რომ გაახურებდა თავსა, ხოლო იმწუთს გონებაც შემცივნოდა ტანშემცივნულსა ან რახან პეტრე ვარაზელს გადაეყარა, იმას ჩააბარა სტუმარიცა, თავისი თავიცა და იმასვე ელოდა, იმას ეცა თავში, გაეყვანა აქედანა, როგორც შემოიყვანა, ისევე გაეყვანა. კარგია, ზრუნვა რომ აგეყრება, სხვაგვარი შვება იცის ზრუნვაყარილობამა, შვება იცის და ზრუნვაში შებმა აღარავის ეხალისება. ჰოდა, რახან აღარავის ეხალისება, არც გაემტყუნებოდა ლეკოსა. მაგრამ გამქრალიყო პეტრე ვარაზელი, ან არც გამოჩენილიყო, მხოლოდ მოლანდებოდათ და არღას არგებდათ ლანდის ლოდინი. არაო, თავი შეიბერტყა ლეკომა, რის ლანდიო, რა ლანდიო, მართლა პეტრე გახლდათ და თუ ველარ მობრუნდება, უამბოდ მაინც არ დაგვყრიდაო. არც უმტყუნა იმედმა, ძეძვნარი რომ გახურდა, თვალები ახამხამდა იმა გახურებულ ძეძვნარშია, ახამხამდა ვაცრილი მზის ქვეშა, ახამხამდა წუხანდელივითა, საბნებიდან რომ წამოეყოთ თავი. იმათგანიც გახლდათ, უფროსთაგანი. გამოძვრა ძეძვებიდანა, ქოთანი და პურები გამოიტანა, შუაში

ჩაუწყო პურებიცა, ქოთანიცა, თან და აყოლა სხაპასხუბითა, ბიჭუნასათ, თქვენათ ღმერთმა ხელი მოგვიხაზითო, ხოლო მეო, სადაც დამიძახებთ, იქ გავჩნდებითო, თუ არ დამიძახებთო, თუ არ დაგვირდებითო, მევე ვწვევი ჩემს გზასაო. ჰო დააყოლა სხაპასხუბითა და ბოლო სიტყვა რომ ისევ გაისმოდა, თვითონ აღარა სჩანდა, ჩამალულიყო ძეძვიანშია.

ესენი არ გაჰკიდებიან, რა თქმა უნდა, ხმაც არ დაუდევნებიათ, ერთმანეთს გადაჰხედეს უამურადა, მერე ქოთანს დაადგეს თვალი. ლეკომ აჰხადა სარქველი — პური გამოექრათ და ჩაეჭვლათ სარქველად — აჰხადა და ამოჰყამალა ღომა. მოიყუდა, მოსვა, მოსვა მადიანადა. ნიკოს არ მიუვიდა გული, ჯერ ისედაც არ იცოდა დოს გემოი. მერე მით უმეტეს არ მიეტანებოდა, თერთად რომ შემოეწუწუა წვერ-ულვაში ლეკოსა, შემოეწუწუა, დაეკიდა თეთრი წვეთები. მაინც დანაყრდნენ ანუ დანაყრდა ნიკოცა, პური მოეწონა, თბილი, რბილი ახლადამოყრილი თონიდანა, ცარიელა პური იკმარა, ხოლო ლეკომა, რახან არ გინდაო, ღმერთმა ნუ მოგცეს, რაც არ გინდაო, ლაჯებში ჩაიდგა დოს ქოთანი, პური ჩაიყარა და გამოიბესტაკაი გვარიანადა. ამით მოთავდა დილის საფიქრალი, დაიწყო დღისა, დიდი, მხურვალი დღისა, მარიამობისთვის დღისა. ძნელი რამ საფიქრალი გახლდათ, მაგრამ ეტყობა ნიკომ ადვილად გაართვა თავი, რადგან პირველად იმან წამოიწყო:

— ჩვენ ახლა უკვე მტკიცედ უნდა მოვილაპარაკოთ.

— მოვილაპარაკოთ... — უნდილად გამოეხმაურა ლეკოი.

— თქვენ რატომღაც გგონიათ, თითქოს რაღაც საიდუმლო დავალეგებქონდეს. რატომა გგონიათ, საიდან მოიტანეთ? აი რა მინტერესებს, პირველ ყოვლისა. ვიდრე თქვენს აზრსა ბრძანებდეთ, ეგება კეთილი ინებოთ და ისიც განმიმარტოთ, ვთქვათ, მართლაც





რა წესია, ყველა შემხვედურს გაუმხილოთ, რა წესია?! მაკვირვებს და ვერც გამომიტყვამს ჩემი გაკვირვება, რადგან მოულოდნელ ყოფაში ამოყვავი თავი, რაღაც საოცარი შიშის, უნდობლობის, უპირთულობის გარემოში მოვექეცი და მხოლოდ ერთი სურვილი დამეუფლა, როგორმე მალე დავაღწიო თავი აქაობასა. ასევე მირჩია... ნება მომეცით ვახსენო ელიზბარ ხეთერელი...

— ახსენე... — გამოიპასუხა დუნედა.

— გმადლობთ! ასევე მირჩევდა ელიზბარ ხეთერელი, გზაც დამისახა თუ როგორ გამეღწია თავი. და მიკვირს, რატომ ავცდით იმ გზასა?! აი რამდენი რამ გვაქვს სათქმელი. ეს უნდა გადავწყვიტოთ, მტკიცედ უნდა მოვილაპარაკოთ თუ არა და...

— თუ არა და?! — გამომწვევად შეეხმინა ლეკოი.

თვალეები ჩაუქრა ნიკოსა, გზნება ჩაუქრა ან რა გზნება იყო?! რაც იყო, იყო ისიც ჩაუქრა, ჩაქინდრა თავი, მერ ძლივძლივს ამოიღუდუნა:

— იცით, რა...

— რა?! დამცინავდ მიაჩერდა ლეკოი, — რაი და არაფერი! არაფერი ვიცით არცა შენა, არცა შენა, გამოვქედლივართ ამ ძეძვიანში და რა წყალს მივეცეთ არ გაგვეგება. ჭერ ეს გავარკვიოთ როგორმე, ჭერ თავიდათავი გავარკვიოთ, მერეღა იყოს დანარჩენი. მე ლეკო თათაშელს მიძახიან მეთქი, ბევრჭერ მითქვამს, ნულარ გამამოკრებინებ; ჰოდა, რახან ლეკო თათაშელს მიძახიან და მართლაცა ვარ ლეკო თათაშელი, ვიდრე თავიდათავი არ გადაგვიწყვეტია, ვიდრე არ გავგიღწევია აქედანა, არც არაფერს გიპასუხებ და არც არას შეგვეკითხები. თუმცა ერთს მაინც მოგიგებ: გზა თუ აგვრევია, აგვრევია ემაგ შენი ელიზბარისაგანა როდის იყო, რომ ღამღამობით დავებეტებოდი?! ღამისა მე არაფერი ვიცი, დღისა ვიცი, მხოლოდღა დღისა და დღეს მივეცემი...

დღეს მივეცემიო და მიეცა დღესა, ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მთა არ გადაუვლიათ, სულ ვაკე-ვაკე იარეს, არც შარას მორიდებიან, არც საურმე გზასა, არც მოკლებსა, არც არავინ შეჭფეთებიათ, არც არავინ გამოხდომიათ, სასალმოდაც არავის გადაპყრიან, ეგრე მიატანეს არჯვენისა, არჯვენელების სასახლესა. შესაძლოა ოდესღაც არჩევანი ერქვა, მეპატრონენი არჩევნელები გახლდნენ, მაგრამ ჭერ ეს არავის გამოერკვია, ხოლო ამით ჰო არც ეკითხებოდათ, გამოირკვედნენ თუ ასე დარჩებოდა გამოურკვევლადა. სტუმარს მხოლოდ ის ეკითხებოდა, ნატბისს მოვედით თუ არაო. უკეთეს ადგილას მოვედითო, ლეკო მიუგებდა და ზარსა რეკდა შინდისფერ ალაყაფის კართანა. მეტის თქმა არც მოხერხდებოდა, ვინ იცის, რამდენი ქოფაკი მოწყდომოდა კარსა, ერთად მოწყდებოდა, შეყალყულიყო ყველა ერთადა, ან ერთიმეორეზე გადადიოდნენ, ერთიმეორეზე მეტსა ცდილობდნენ, გადაეგრიათ კარი, ეგრევე, ცოცხლივ გადაეყლაპათ ის ვილაც მოსულნი თუ მოვარდნილნი, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ არა, რა თქმა უნდა, — სხვას რას იფიქრებდა ძაღლი, ერთგულობისა თუ სიფრთხილის დიდებული მაგალითი, მაგალითი ექვისა, — სხვა არც არაფერისა, სხვა რა ყოფილა ძაღლის ფილოსოფია თუ არა ეჭვი. აღმფოთებულიყო ეჭვი და ღამის დაწყვეტილიყო უმტკიცესი ანჯამები, ღამის გადმოვარდნილიყო ალაყაფის კარები. მაგრამ იქ ვილაც დაერია გაალმასებულ ქოფაკებსა, დაირეკა შელალა საძაღლეში, მერეღა გააღო კარი, მობრძანდითო, შეაგება, ისე რომ არც უკითხავს ვინა ხართ და ვინა გნებავთო. რას ეკითხავდა?! ვინ არ იცნობდა ლეკოსა? — ძაღლებიც იცნობდნენ, ხოლო თუ მაინც გაალმასებულებიყვნენ. კარის გამღებიც იმ უცნობ ახალგაზრდას მი-

ოთარ ჩხიმიძე  
ზორიანი

სჩერებოდა, ისე ეპასუხებოდა ლეკოსა.

ლეკოს შეკითხვები არ ელოდა, პასუხებს ვრცლად მოითხოვდა, მაგრამ ვერა და ვერ წააქეზა მოპასუხე, „დი-ახს“ მიუგებდა ან „არასა“, ხანდახან „ჰოსაც“ გამოუჩერებდა. ზოგჯერ მიაჩერდებოდა ისე, თითქოს შეკითხვა ვერ გაიგო, სამაგიეროდ, ელოებოდა გულმოდგინედა, საითაც გაიწევდა, გზას მოუჭრიდა, აქეთ არაო, იქით მიბრძანდითო. ატარა ასე ჩაღობილად, სასახლის ბოლოს ვიყვანა, აუძლვა პატარა აივანზედა, იქვე სათითაო ოთახი მიუჩინა, ახლავე გაჩნდება ტაშტი, თუნგი, საპონი, პირსახოცი, მტვერი ჩამოიშორეთ, დაიწმინდეთ, დაისვენეთ და მერე მოვასხენებ დიდ ქალბატონსაო.

— შენმა ქალბატონმა რომ იცოდეს...ჰმ! ჰმ, ჰმ, ჰმ... — მრავალმნიშვნელოვნად გამოსთქვა ლეკომა.

— ბატონო ჩემო!.. — გულმოსულად შესძახა ნიკომა. აკანკალდა, სახე მოეფშვინა.

— არაფერი... არაფერი... წადი!

ის წავიდა, აქ სიტყვა აღარ გაგრძელებულა, ნიკომ აღარ ინდომა ლაპარაკი, აჩქარებით შეაღო პატარა ოთახის კარი, იქვე ტახტი დახვდა, დავარდა ტახტზედა, დავარდა, გასავათებულა, ფიქრგაყრილი, აზრგაყრილი, ძვალგაყრილი ხორცისაგანა, გამშრალი, გამოფიტული; დავარდა ტახტზედა ანუ დაეფინა მტვერი, გახურებული მტვერი გვალვიანი ქართლის გზებისა. გახურებული მტერის სუნი დადგა გრილსა და სუფთა პატარა ოთახში. თვითონ ვერა გრძნობდა, რაღა თქმა უნდა, თვითონ მოიყოლა ან თვითონვე ქცეულიყო მტვრად, განა მიწადა, მტვრადა ქცეულიყო. არ გაეგებოდა თუ სად მისულიყო, არ გაეგებოდა, ცხადია და ცხადზე ცხადია, რად მისულიყო, ესეც აღარ გაეგებოდა, არც არა ესმოდა, დასწობოდა სმენა, მახვილი სმენა. აქამდის ათასგვარი ხმა უდგა ყურშია, ათასგვარი საგალობელი მოესმოდა, მრავალგვარი მელოდია თუ ჰანგი, განავონს

აღიდგენდა ან გარდაქმნიდა, მოისმენდა მოსასმენსა, მოიგონებდა, ვერაფერა გადუმოილო, ასეთი დუმოილი, მდუმარება, სიმშვიდე უცნაური და უღმობელი. ამისთვის სიმშვიდეც უღმობლობადა ქცეულიყო ან სიმშვიდისაც აღარაფერი გაეგებოდა, აღარ ახსოვდა მოცარტი თუ როსინი, აღარცა ბეთჰოვენი, აღარცა შუბერტი თუ შუმანი, ფალიაფილი თუ არაყიფილი, ასე განსაჯეთ, აღარ ახსოვდა აღარც თავისი მასწავლებელი; თუმცა რაღა მოსათვლელია, მტვრადა ქცეულიყო, რაღა უნდა გაეგო, რაღა უნდა ხსომებოდა, მტვრადა ქცეულიყო და იღგა სუნი, სუნი მხურვალე მტვერისა მანამდის გრილსა, სუფთასა, წყნარ ოთახშია. მხოლოდ სიწყნარე არ დარღვეულიყო, გვერდითი ოთახიდანაც არაფერი მოისმოდა, ან ისიც ესევე დაგდებულიყო; ან გასულიყო, დაბორილებდა სადმე; დაგდებულიყო, თუნდაც ებორილა, ოღონდ აქ აღარ შემოსულიყო, აღარაფერი ეთქვა, ჩამოჰხსნიდა მიეტოვებინა. თუმცა ამას აღარც ამდენი გაეგებოდა, ეს წელანდელი სურვილი გახლდათ, გახურებულ გზაზე რომ მოდიოდნენ. აქ უფრო ისურვებდა, ამ წყნარ ოთახში, თუმცა თვითონ აღევსო მტვერითა და მხურვალეობითა, მაინც ისურვებდა, მაგრამ ვაგლახ, აღარაფერი ჩაესმოდა, გაყრილიყო სურვილთაგანა, გაყრილიყო, გარდაქცეულიყო თავისთავად, არ მონდომებოდა ამოძახილი ვაებითა, მიწა იყავ და მიწად იქეციო, მტვრადა ქცეულიყო ჭირისუფალთა ვაების გარეშე, უფრო სწრაფად გარდასახულიყო, უფრო მალე განსორდებოდა ამ ცოდვით სავსე დედამიწასა, ოღონდ დაებერა ქარსა, ძლიერ ქარსა, ახლავე დაებერა, დაექროლა ან თუნდაც სიოს შემოენავარდა, სიო წაიღებდა, გაჰფანტავდა, გაანიავებდა, ჩაჰკარგავდა უსასრულობაში უხილავ ნაწილაკებადა, ახლავე ჩაჰკარგავდა, რაღას მოეცადა თუ თვით დედამიწაროდის იქცეოდა იმავეგვარ უხილავ ნაწილაკებადა, გამოუცნობ ბაცილებად



რომელიმე ახალი პლანეტისა, სადაც სიცოცხლე გაღვივებულიყო, ახალი სიცოცხლის ბაცილებადა. როდემდის მოეცადა, რად მოეცადა, როცა უკვე ქვეუღიყო მტვრადა. მაგრამ არსად ქარიო, არსად სიოო, იდგა სიწყინარე, უშფოთველი, დაუნდობელი, გაუსაძლი- სი, და ეფინა მტვერი, მხურვალე მტვე- რი ქართლის გზებისა.

თვით ლეკომ აიბზუა ცხვირი, კარი რომ შემოაღო.

დაწმენდილიყო, დახვეწილიყო სა- ხიან-სამოსიანადა.

დიდი რამ ყუთით არ იცის დომა, მოშივნოდა, თუმცა სამხრობა გადასუ- ლიყო კარგახანია, ვახშამიც აღრე იყო. მაინც იმედოვნებდა, ნამგზავრნი ვართ. სუფრას ვაგვიშლიანო.

თანამგზავრიც უნდა დაეეიმედებინა. არ იძვროდა თანამგზავრი, მტვრად ეფრქვია ტახტსა, იდგა სუნი მხურვა- ლებისა, მტერის სუნი იდგა-

უთხრა, აღექი, გაიბერტყე, დაიბანე, მალე გვიხმობენო, უთხრა ტუბილადა, როგორც მახლობელსა და საფეროსა.

ოღნავადაც არ აფუქვლებულა მტვერი.

ლეკო გავიდა, ღიად დააგდო კარი, ორქარი დაჰკრავს, გაბერტყავს მტვერ- საო.

არც სად ორქარი, არც სად ოღნა- ვი სიო..

არც მოძრაობა, არცა სუნთქვა თუნდაც მცირედო, თუმცა სუნთქვის რა იცოდა მტვერმა.

ისევ ლეკო შემოიზუზა, ისევ აიბზუა ცხვირი. მაგრამ მუცელი ამოსძახოდა ვალალასა, ველარ ივლი- და ცხვირის ნებაზე.

მოშორებით ჩამოჯდა, ჩამოჯდა ფანჯარასთანა, სიო არ იძვროდა, მაინც ფანჯარასთანა სჯობდა, წინ ზვარი გამოილიყო ლამაზად, თუმცა ლეკო ვერც ამჩნევდა ზვარსა, მხო- ლოდ კიბეს მისჩერებოდა, აცა, ვინ ამოჰყოფს თავსა, ვინ გამოჩნდება ჩვენი მხმობელიო. ვინც გამოჩნდებოდა, იქაც შევიდოდა, მაგრამ დროზე შე-

მჩნევაც დიდი რამ ყოფილა, წამიც დიდი რამ ყოფილა, სიცოცხლეც წამისაოო ნათქვამია და ცოტა გგო- ნია, თუ მოშივნულხარ, კიდევაც მიხვ- დები, რაც ყოფილა წამი.

ბეერს უმსჯელია დროსა და სი- ვრცეზე, ლეკოც თუ ჩაერეოდა ამ მსჯელობაში, სწორედ აქედან დაი- წყებდა, თუ მოშივნულხარო.

მაგრამ იქ მოკამათე არ იყო, მსმე- ნელიც არ იყო, მაინც უნდა ეთქვა.

უნდა ეთქვა და ჩამოჯდა მოშო- რებითა, ოღონდ ახლოდან დაიწყო:

— მე რო ლეკო თათაშელს მიძახი- ან, განა ტყუილად მიძახიან, არაფერს დავიფიწყებ, არაფერს დაუშვებ ძირსა, დროზე გავიხსენებ და დროზე გავახსე- ნებ, ამიტომაც მიძახიან ლეკო თათაშე- ლსა. უნდა მტკიცედ მოვილაპარაკოთ, მიბრძანე, თუმცა ჩემი მბრძანებელი ჯერაც არ გაჩენილა ამ ქვეყანადა, მა- გრამ მაინც ასე ვამიხსენებია, მიბრძა- ნე-მეთქი. მაშინ არ აგყევი, ახლა დადგა დრო მტკიცე და საგულდაგულო მოლა- პარაკებისა. მე ლეკო თათაშელს მიწო- დებენ და არაფერს მოვითმენ ჩემს გა- რშემო ბუნდოვანებით მოცულსა, ამიტომაც მიწოდებენ ლეკო თათაშე- ლსა. აქ ხელს არაეინ შეგვიშლის... დროც დადგა და კარგ ილაგსაც მოვი- მყუღროვით, არაეინ შემოგვექრება, ვერაეინ გავაძევებს, მოულოდნელი არაფერი დაგვემართება, მოვილაპარა- კოთ, გავარკვიოთ ერთხელა და სამუდა- მოდა, თუ რამ შეგეაკავშირა და რის- თვის ვიღვწვიო, ხოლო მანამდე, რამდე- ნადაც მომეხსენება მოლაპარაკების წეს-ჩვეულებანი, უნდა იცოდე თუ სად მოსულხარ, ადგილმა ადგილისა იცინს, სიტყვა-პასუხიც თავისებური იცის, არჩევანიცა, თანხმობაცა თუ უარყო- ფაც ადგილმა იცის. ადგილი დიდი რა- მია, ადგილი დედაა ზნეობისა, ხასიათი- სა, შენ როგორ იტყვი? თუმცა მოითმა- ნე, ჯერ ის გაიგე, სადა ხარ და რა ადგი-

ოთარ ჩხიძე  
გორიანი



ლია. გურანდუხტის სასახლეში ხარ, გურანდუხტ არჩვენელია. არ გაგიგონია? სსსს... არ წამოგცდეს, არ გაპატივებს, არც დაიბნე, როცა მიგვიწვევენ, კარგა გვარიანად ჩამწიფებული დედაბერია, ადვილად გამოარჩევ სხვა ქალებშია; გამოარჩევ და პირდაპირ იმისკენ გაემართე, მუხლი დახარე, არა, ნუ ჩაიმუხლებ, ისე დახარე მუხლი და მოკმუნულ ხელს რომ გამოგიწვდის, პირთუქან არ წაიღო, მოწიწებით ეამბორე დაკმუნულ ხელსა, ეამბორე და მერე მოიკითხე, როგორა ბრძანდება თქვენი უსათნოესობა-თქო, მოიკითხე ხმადაბლა, არ დაგაიწყდეს, ხმადაბლადა, თორემ ხმას თუ აუწიე, იფიქრებს, ყრუ გგონივარო, გაანჩხლდება, როგორთუ ყრუ გგონივარო, გაანჩხლდება და ზურგს გიჩვენებს, მერე მორჩა, აღარ შესდგება ჩვენი მოლაპარაკება, აქ აღარავინ დაგვაყენებს. სადმე მაინც მოვილაპარაკებთ, მაგრამ მერწმუნე აქა სჯობიან, მერწმუნე და შენც ძალიან ხმადაბლა მოიკითხე, გამოესაუბრე ხმადაბლა, თუნდაც შეატყო, რომ არაფერი ესმის, მაინც ნუ აუწევ ხმასა. ესაა პირველი შეგონება, პირველი და თავიდათავი, თუ გინდა, აქ გაგვაჩერონ რამდენიმე ხანი, თუ გინდა წარმატებით დაიწყოს ჩვენი მოლაპარაკება, წარმატებითაც დაიწყოს, წარმატებითაც დამთავრდეს. კვლავ შეგაგონებ, რიცხვით ეს მეორე იქნება: გურანდუხტის გარშემო ქალები იქნებიან, მხოლოდ ქალები, ყველა ასაკისანი, ყოველგვარი სახისანი, არ შეიმჩნიო თუ ულამაზესიც შეგეფეთოს, უმახინჯესიცა, გამოჩრჩვეით არავის მიაცქერდე, არც გამოჩრჩვეით გამოელაპარაკო, არავისთან განცალკევდე, არავის დაუწყო ცალკე კურკური. გურანდუხტი - ამას არად ჩაავდებს, მაგრამ სხვები არ მოგიწონებენ და თუნდაც ერთმაც რომ ავითვალისწინოს, მორჩა, აღარავინ გამოგესარჩლება, აღარც გვედგომება აქა... ესაა მეორე შეგონება, მეორე და თავიდათავი, კარგად დაიხსოვებ თავიდა-

თავია, ყველაფერი თავიდათავია, რიცხვმა არ ავიტრელოს თვალში, ყველაფერაც შეგაგონებ, რიცხვი ეს მესამე იქნება: დაკმუნულ ხელებს დაუკოცნი თუ არა გურანდუხტსა, მოიკითხავ თუ არა, იქვე მოახსენე, რომ დიდებულად მიგვიღეს და დიდებულად დაგვაბინავეს, რომ ჩვენს წინ საუცხოო სანახაობაა, აქ კაცი სხვას ვერაფერს ინატრებს, — თვალი მომცა და მაიქტერინაო. ამგვარი არ უთხარი, უკეთესად უთხარი, ოღონდ ამ აზრის იყოს, მაშინვე მოგიჩვენებ სხვა ადგილსა, უკეთეს მოგიჩვენებ თორემ აქ, ამ საკანში მოლაპარაკებას რა მადლი ექნება?! დამერწმუნებ, არ ექნება მადლი, არცა აზრი, წარმატებაც საუკველია. დიდი დარბაზი გვინდა, მრგვალი მაგდა, ნუ გეფიქრება, რამდენიმე დარბაზი არის ამ სასახლეში, თუნდაც საბილიარდო ავირჩიოთ. დიდი რევოლუცია დაწყებული საბილიარდოში, ისტორიული მოლაპარაკებაც გაიმართება. შურის ციხეც იქიდან მოსჩანს, არ აგერიოს, ეს სხვა შურის ციხეა. ჰო, არ აგერიოს და კვლავაც შეგაგონებ, რიცხვით ეს მეოთხე იქნება, მეოთხე და თავიდათავი: დაკმუნულ ხელებს რომ დაუკოცნი გურანდუხტსა, არ დაგავიწყდეს, ბეჟა უქე. ბეჟა არ იცი?! ღმერთო ჩემო, ეგ არ შეგეტყოს, არც შეგეტყობა, ახლავე გაცოდინებ — შვილიშვილია გურანდუხტისა, ძე ნაზიბროლასი, მამისას არაფერს გეტყვი, გურანდუხტს თვალში არ უჯდა სიძეი, გამეცალე, გადაიკარგე და შენს ძეს ვალიარებ არჩვენელთა მემკვიდრედაო? ისიც გაეცალა, გადაიკარგა და ბეჟა მემკვიდრეა არჩვენელებისა, რამეთუ სხვა ძე არ ესვა გურანდუხტსა, მარტოდენ მარტო ასულნი, განა ერთი, განა ორი, განა სამი, განა ოთხი, განა ხუთი, განა ექვსი, შვილნი ასულნი, რომელთაგან ექვსმა ჯიშზე იარა, მხოლოდღა ნაზიბროლამ შვა ძე და მასზე ვალავიდა გვარიცა, მამულიცა არჩვენელებისა. გურანდუხტმა ინება ასე, ბეჟაა სასო-

ება გურანდუხტისა და უქე ბექა, ენით უთქმელია ღირსება მისი-თქო, ისაა იმელი გამოხსნისა, გადარჩენისა, ჩვენი იმელი, იმელი ერისა-თქო. უთხარო ასე და რამდენ ხანსაც უნდა გავრძე- ლდეს ჩვენი მოლაპარაკება, ვისაც უნდა მოვაბუზროთ თავი, ტუჩს ვერავინ აგვი- ბზუებს, ბუზსაც ვერავინ აგვიფრენს. ახლა ისიც იცოდეთ თუ რატომ ვერავინ აგვიფრენს ბუზსა: საბილიაროდან ასე ჩრდილო-დასავლეთით შურის ცი- ხეს რომ დაინახავ ბექობზე, დროშაც გეცემი თვალში... მოიცა, მოიცა, მო- იცა!... კვლავაც შეგავგონებ, რიცხვით ეს მეხუთე იქნება, მეხუთე და თავიდა- თავია: დაქმუჭნულ ხელებს რომ დაუ- კოცნი გურანდუხტსა, დროზე ისეც მო- ახსენე, საზღვარს გავარდნილა შე- შენი დროშის ამბავი-თქო, ქვეყანა ამაზე ლაპარაკობს, ყველას პირზე აკერია- თქო. გურანდუხტმა მოქსოვა და მოქა- რგა ის დროშა თამარის დროშის და- რადა: გამართა და აკურთხებინა, მერე დიდხანს ესვენა ნაკურთხ კუ- თხეში, გამოჩნდება ვინმე ღირსეული ის დროშის ამბავი-თქო, ქვეყანა ამაზე და ჩავაბარებო. მაისის მთავრობამ შე- მოუთვალა, აჰა, გამოვჩნდით და ჩავა- ბარებო. დიდხანს იყოყმანა, იყოყმანა, მერე სხვა მოქსოვა, მსგავსი გადაიღო და გაუგზავნა. გაუგზავნა თუ არა, აიყარნენ ისინი, გადაიხვეწნენ და თან წაიღეს, ოღონდ ასლი წაიღეს, ლანდი წაიღეს, ნამდვილი აქ დარჩა, ბექას ჩააბარა: შურის ციხეზე გამოუკიდნია ბექასა, თვითონაც იქ გამოკეტილა, ტყვი- ამტყვევები გადმოუდგამს და მრის- ხანებს ცოფმორეული, საარჯვენოში ფეხს ვინც შემოდგამს, ველარ გაა- წევს ცოცხალიო. შენ ნუ შეგეშინდება, ჩვენ არას გვერჩის, ის არას გვერჩის და ვერც ვერავინ აგვიფრენს ბუზსა; ის ახალ მოწესებებს ემუქრება, თქვენ აქ ვერ შემოხვალთ, მე დავიძრები აქედანაო, მე შემოვატარებ თამარის დროშას თამარის საზღვრებზედაო. რა იქნება, ვინ იცის, ვის უწერია ეს

ბედი, ვინ უწყის, ვისა, მხოლოდ ესაა, ჯერ აქ ვერ შემოსულა ახალი მოწესე- ბედაც ვერავინ აგვიფრენს ბუზსა. დაე, დიდხანს გასტანოს ჩვენმა მოლაპარ- კებამა, ნუ გეფიქრება, ვერავინ შეგვი- შლის ხელსა. კვლავაც შეგავგონებ, ეს იქნება რიცხვით... მოდი, ჩამოვეხსნათ რიცხვებსა, შეგონებას სათვალავი არა აქვს, ყველაფერს ერთად ვერც დაიხ- სომებ, სხვას თავის დროზე გე- ტყვი, თავის დროზე ავიხსნი, მხოლოდ ერთი მაინც აქედანვე მიუმატე იმა დანარჩენთან: როგორც გენებოს და- ჰვარე თავი, იტრბახე, რომ მუსიკოსი ხარ, დაუკარი, იმღერე, ამღერე, ჩაი- წერე, დაჰპირდი ოპერაში გადავიტან- თქო, დაჰპირდი ყველა აქამყოფსა, გააბრუე, თავბრუ დაახვიე, ოღონდ გურანდუხტს გამოუტყდი; არაფერი და- უმალო გურანდუხტსა, თორემ ჩვენი მოლაპარაკება არ შესდგება. აქ არ გა- ვაჩერებს... ნუ, ნუ დასთმობ აქაობა- ს, აქ კარგია, ძალიან კარგია, აი, ნახავ, გვიხმონ ვახშადა.

მაგრამ არა სჩანდა მზომბელი.

მზე დავიდა, ჩავიდა, აიკრიფა სხივები. არა სჩანდა მზომბელი, არც ჩქამი ესმოდა.

მტვერიც იღო, იღო ნაცარი, გა- ფუებული და გამტკნარებული; თუ ნაცარი იყო, სადღაც გულში პატარა ნაპერწკალი მაინც ექნებოდა შენახუ- ლი, გადაიყრებოდა ნაცარი და გამო- პწკილდებოდა, თუ მტვერი იყო, მხურ- ვალე გზებზე ახვეტილი მტვერი, თვი- თეული პწკალი მიემგვანებოდა ნაპერ- წკალსა, მაგრამ რაც იყო, იყო, დანო- ტიოებულყო, იღო ნოტიო მტვერი, სუნიც დამდგარიყო ნოტიო მტვრისა.

XII

მტვერს ველაპარაკებო, გაიფიქრა ლეკომა, სახე მოჭმუნა და მიუყჩღა; წამოპკრა რაღაც აზრმა და დამცინავად

ოთარ ჩხიძე  
გორიანი



გადაეფინა მოქმუნხულ სახეზე: ჩემი დღენი მტვერს ველაპარაკები, მტვერია ყველა, მეც მტვერი ვარ ქარს აყოლილი, ამ აზრმა წამოჰკრა, ეს გადაეფინა მოქმუნხულ სახეზე. მერე სიცილი მორთო, იცინა, იცინა, ცრემლი წამოსცივივდა, იქამდის იცინა. თანამგზავრი მაინც არ გამოეხმაურა ანუ არ შეირხა მტვერი, არ აბორიალდა. მაშ ეგრეთ, გაგულსდა ლეკოი, ახლოს მიუჩოჩდა, ტუჩები გაბერა, სული შეუბერა, შეუბერა რაც ძალი და ღონე გააჩნდა, მაინც არ იქნა, არ აფუვლდა მტვერი. არც მოეშვა, მისჯდომოდა და უბერავდა, უბერავდა და იცინოდა. იღო მტვერი, ეფინა კვლავაც შეუბრეველდა, ლეკოს სული, თუ არა ჰყოფნიდა, ან მტვერი ქვეულისყო ქვადა. ქვას ველარ დასძრავდა სული კაცისა, ქარიც ველარ დასძრავდა. ქვისთვის შეიძლება წვენი გამოედინათ, მაგრამ ეს მხოლოდ ნაცარქექიას მოუხერხდებოდა. ნაცარქექიას ვინ იცის ქვებიც დაეძრა სულის შებერვითა, ვინ იცის, ვინ უწყის, მაგრამ არ არის ზღაპარში ასეთი ამბავი და ალბათ იმასაც არ მოუხერხდებოდა, თორემ ვინ გამოსტოვებდა, ვინ არ დახარბდებოდა, მოეთხრო თუ როგორ უბერავდა ნაცარქექია, თუ როგორ იფშვნებოდა ტინის მთები, როგორ იფრქვევოდა ლოდები სეტყვასავითა, როგორ იფუჭებოდნენ დევები... ამოდ დამშვრალიყო ლეკოი ან არცთუ ამოდ დამშვრალიყო, გაბეზრებულიყო ლოდინითა, ერთობოდა.

აღარც მზე იდგა ზვარში, ჯერ არც ბინდი ჩამოწოლილიყო, არც ჩქამი ისმოდა, ოღონდ უტებ ვაისმა ჩქამი პატარა ფეხებისა და მოკლე, სწრაფი ნაბიჯებისა. ლეკო აიშართა მაშინვე, გასწორდა, წელზე შემოისვა ხელი, უფრო დავიწროვებოდა ისედაც ვიწრო წელი.

მოახლე შემოფანცალდა, ქალბატონი გიხმობთო. თრივე ხელის თითები შეატყუბა ლეკომა, დაიკოცნა ზრთიცა, მეორეცა, ჯერ ერთი ესროლა მოახლესა, მერე მეორე, კიდევაც წაიწია, მაგრამ გაასწრო, გაფრთხა, გედარც მიაღვენა თვალი თუ საით გაჰქრა. ვერც

მიაღვენებდა, ვერც გაეკიდებოდა. გასჩენოდა დიდი რამ საზრუნავი, რაღაცაზე მე უნდა დაეძრა ეს მტვერი თუ გაქვავებული მტვერი, ისე ვერ წარუდგებოდა ქალბატონ გურანდუხტსა. მაგრამ არ დასჭირებია დიდი რამ ღონისძიება, გადაბერტყილიყო მტვერი, კაცი წამოდგარიყო ან გამომძვრალიყო მტვერის ტომრიდანა, გამომძვრალიყო დაქანცული, უილაჯო, სავთმიხდილი, კიდევ უფრო გაფერმკრთალებული ისედაც ფერმკრთალი... ასეცა სჯობდა, გამოჩენისთანავე მოინადირა გული ქალთა კრებულისა, მოინადირა ფერმკრთალი სახითა, მინისლული თვალებითა, აუკვირველობითა: მართლაც საოცარი აუკვირველობითა, სიდინჯითა, ზომიერებითა, მაშინაცა, გურანდუხტის დაქმუნხულ ხელს რომ ეამბორებოდა, მაშინაცა იმის მარჯენივ რომ დაიხარა და დაეტანა გულქანის ხელსა, გურანდუხტის ერთერთი ქალიშვილის ხელსა... გულქანისათ, მაგრამ ადვილად იტყვის ენაო, — ჩიხტიკომპში გამოწყობილი მაიმუნი დასკუბებულიყო მაღალ საზურგიან სავარძელზედა, დასკუბებულიყო თავმომწონედა, გამომწვევდა, სწორედ ისედათა, საგანგებოდ გაწვრთნილ მაიმუნებს რომ სჩვევიათ, ასეც იგულისხმა, მაინც უშფოთველად დაეტანა გრძელ მტევანსა, საოცრად გრძელსა, საოცრად მგვანსა იმ მტევანისა, ის-ის იყო რომ ეამბორა, მგვანსა სიგრძითა, მოყვანილობითა, ოღონდ ნაკლებად დანაოკებულსა, ეს რომ გადიტანა, მერე ასაზიზებელი არაფერი გახლდათ, — მარცხნივ კიდევ ორი ასული უჯდა გურანდუხტსა, ერთიმეორეზე სანდომიანი, ერთიმეორეზე თვალმისიავალი, ნაზიბროლა, დედა ბექასი, და ელენე, დედა ხუთი ასულისა, რომელთაგან ოთხი დარბაზის ბოლოს, კედელთან ჩამჯდარიყო.

ჰო, ოთხი ჩამჯდარიყო, მეხუთისაც უნდა თქმულიყო, თუმცა იქ არ გახლდათ, არც შემოვიდოდა, გათხოვილიყო, ქმარი ახალ მოწყესეთა შორისა ტრიალებდა, აღარ უშვებდა ძველ ოჯახშია. გუ-

რანდლუხტს ისიც ამოეღო გულიდანა, ამოშალა შვილიშვილთაგანა, როგორც ამოშალა თავისი ასულები მარი, ეკა, ანიკო, ელისო შვილებიანადა, ქალიშვილებიანადა; ყველას ქალიშვილი შესქენოდა, ჯიშზე ეართათ თუ გვარზე ეართათ, ასე მოსვლოდათ, ასე დამართოდათ. თუმცა განა ამიტომ გასწყრომოდა გურანდლუხტი? არა, რა სათქმელია, თვითონ დედა ვახლდათ შვიდი ქალიშვილია, სხვას აბა როგორ დასაყვედურებდა! არა, რა თქმა უნდა, თუ უსაყვედურებდა, თუ აეყარა გული, იმათ აეყარათ გული, დავიწყებოდათ დედაცა, მამაცა, გვარიცა, ტომიცა, სხვადასხვა ჯურის ჩინოვნეცა და ოფიცრებს გაპყლოდნენ, გადახეწილიყვნენ ჯერ რუსეთშია, მერე გაეტაცა რევოლუციის ქარსა და გაეტყორცნა ვინ უწყის ვინ საითა, ვილა მიაკვლევდა, ვილა გაიგებდა იმათ ასავალ-დასავალსა? ყოველშემთხვევაში, ვერას გაიგებდა გურანდლუხტი, შემთხვევითაც რომ გადაპყროდა, რომელიმე ასულის შვილიშვილსა, ვერ მიხვდებოდა თუ იმისი სისხლი ედგა ძარღვებში, ვერ მიხვდებოდა, ვერც ვერაგინ დაარწმუნებდა. ჰოდა, ამოეღო გულიდანა, რა ბედენა იყო, გულში ჰყოლოდა და ეკანკალა იმათთვისა?! ესენიც გყოფოდნენ საღელველადა, საჩქროლველადა, აი, ესენი: გულქანი, ნაზიბროლა, ელენე თავისი ოთხი ასულითა.

ჰო, ოთხი ჩამომგდარიყო, მეხუთესი ითქვა და კიდევ ითქმის, ამათიც ითქმის... ახლა ამათ რაც შეეხება: ისე ისხდნენ, რომ ერთიმეორეს აპყროდნენ ზეინაბი, მერი და ირინე, სალომე გამოცალკეებულყო, იჯდა გოროზადა, ურხევადა, ამპარტავნულადა, თითქოს არც დაუნახავს თუ ვინ შემოსულიაო, თუ როგორ ჩამოურიგა ხელზე ამბორი გურანდლუხტსა, ვულქანსა, ნაზიბროლასა, ელენესა, ან ამათ როგორ ესალმებო; ჰო გამოცალკეებოდა, გამოპყოფოდა, დანიშნულიყო, დღედღეზე ელოდა დანიშნულსა, მზითევსა და ქორწილსაც დაპირებოდა დიდედა გურანდლუხტი, ქორ-

წილის ოცნებას მისცემოდა ისედაც ვოროზი, ამპარტავანი, გამომწვევი. სტუდენტი მარი მაინც ვერ გამოიწვია, ამას არც შეუმჩნევია, რამდენნი იყვნენ, როგორნი იყვნენ, შორიდან მიესალმა ისე, არცერთი სახეც არ გამოურჩევია, მიესალმა და ჩამოჯდა მოშორებითვე, ოღონდ ჩამოჯდა ისე, რომ მოჰყვა ვულქანისა და ირინეს გასწვრივა, სიმახინჯისა და სილამაზის გასწვრივა, სიბერისა და სიქორფის გასწვრივა. სხვას ეს უმაღვე შეეტყობოდა, მორიდებით მაინც გააპარებდა თვალსა სილამაზისკენა. მორიდებით მაინც ჩაიჩოჩებდა, ჩაიჩოჩებდა სილამაზისკენა, სიქორფისკენა. ამას თავიც არ შეურხევია, არ გაუხრია თვალი, იჯდა წელამართული, იჯდა წინა კიდებზე სელის სკამისა, იჯდა ისე. თითქოს აპაა, უნდა წამოხტესო. თავის ფეხრებში ჩაძირულა, თავის ფეხრებსვე უნდა გაეკიდესო, მაგრამ ყურადღებაც არ დაპყარგვია, ეპასუხებოდა თუ ეკითხებოდნენ, თავს უქნევდა თუ ეთანხმებოდა, ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად უქნევდა თავსა, თვალებსაც ოდნავად მიჰხრიადა მოლაპარაკისკენა და რახან მხოლოდ სიბერე ლაპარაკობდა, სიბერისაკენ მიჰხრიადა თვალებსა. ჩამიჩუმი არ ისმოდა სიქორფისკენა, სილამაზისკენა, სიტყვა არ ჩაურთავს არც გორთზ სილამაზესა, სალომეზე მოგახსენებთ, არც ანჩხლ სილამაზესა, მერიზე მოგახსენებთ, არც შემპარავ სილამაზესა, ზეინაბზე მოგახსენებთ, არც ხალას სილამაზესა, ირინეზე მოგახსენებთ; სიქორფეც ჰო ირინე ვახლდათ, ახლად შეთვალებული, შეღწერებული, შენივთებული უბიწო ოცნებებსა. მაშინაც ოცნება შემოპბუროდა ან იმას თუ იგონებდა, მომჩვენებია თუ არა ეს ქაბუკიო. ზეინაბი არაფერს იგონებდა, არც მერი იგონებდა არაფერსა, მხოლოდ ფრთხილად ზვერაოდნენ ერთმანეთსა, ქაბუკსაცა ზვერაოდნენ, ჩვენ ორთავან რომელზე შეაჩერებს თვალსაო. სალომესი რა გითხრათ, არ

ოთარ ჩხაიძე  
გორიანი



მოსწონდა ეს საიდანაც მოვლენილი ჭაბუკი, არც არავინ მოსწონდა თავისი დანიშნულის გარდა, არც უნდოდა, იქა მჯდარიყო, მაგრამ არ იქნებოდა, უნდა დასწრებოდა მიღებას; თორემ, ვინ იცის, განრისხებულყო დიდდა გურანდლუხტი, მერე მზითევი? მერე ქორწილი? მიტევება არ იცოდა დიდდა გურანდლუხტმა; თუმცა არა, მიუტევებდა მცირე შეცოდებას, მაგრამ მაინც საქმე რად გაეხადა საჭოჭმანოდა თუ საბო-  
დიშოდა? იქნებოდა ასე, გოროზად გა-  
დაავლებდა თვალსა, რა თავი გამოვიდ-  
ვია, ათასი შენებრისათვის მითქვამს  
უარიო, ასე გადაავლებდა თვალსა და  
დასტკებოდა სიამაყითა.

დამტკბარიყო, ეს ჰო ამათქენ არც იხედებოდა, გურანდლუხტი ლპარაკობ-  
და, გულქანი ჩაურთავდა ჭირვეულ სიტ-  
ყვებსა, ნაზიბროლა დედას ეთანხმებო-  
და, ელენე იჯდა აუკვირვალადა, ამაყა-  
და, თუ იტყოდა, ქმარს მოიგონებდა, ახ-  
ტრიალდებოდაო. არ ედავებოდნენ, და-  
აცდიდნენ და განაგრძობდნენ თავიანთ-  
სასა ანუ გურანდლუხტი განაგრძობდა,  
ხოლო გულქანი აწვალებდა ენის წვერ-  
ზე, ისიც იყო, მაინც უკუღმა ტრიალებ-  
და ყველაფერიო, ოჯახიც თავდაყირა  
დაეიტოვა და თუ ჩვენ არა...—აწვალებ-  
და ენის წვერზედა, ჯერ მხოლოდ უღ-  
რენდა, დალოდებოდა შესაფერის დრო-  
სა, რომ უფრო მწარედ მოერტყა გულში,  
მოერტყა და გაეპო; ამ საიდანაც მოვ-  
ლენილი ჭაბუკის სათქმელსაც დალოდებ-  
ბოდა, რომ შეჰბმოდა პირში, არ მოს-  
წონებოდა, უნდოდა შეჰბმოდა პირში,  
გაეხელებინა, გაემწარებინა, დაერღვია  
ეს მოგონილი სიღინჯე თუ მართლა სი-  
ღინჯე, აერია დახვეწილი, ფერმკრთა-  
ლი სახე და ის შემზარავად მოხდენილი  
თითები აესავსავებინა ჰაერშია; დალო-  
დებოდა, ოღონდ ვინ უწყის; თუ რო-  
დემდის მოუწევდა ლოდინი. ლეკოს და-  
ეგდო ბურთი და მოედანი, ლეკო მიუ-  
გებდა გურანდლუხტსა, ამიდებდა, ამ-  
ხნევებდა, კაყვივით ქალი ხარ, დიდხანს  
იცოცხლებ, ბევრს შეესწრები, ყველა-

ზე კარგსა, ყოვლად სანეტაროს მკვლარებო.

— ფუქი იმედი სასოწარკვეთაზე უარესია, — მკვახედ გამოსთქვამდა გურანდლუხტი, — სასოწარკვეთა მიჯობნებია ფუქი იმედისთვისა... — კიდევ ბევრ რამეს გამოსთქვამდა, ვერც გაიმეორებლეკოც არ უთმობდა, შესდავებოდა, შესჯავახებოდა:

— ახალგაზრდები სხვაგვარადა ფიქრობენ, ჩემო კეთილო, — ასე, ამნიარად შესჯავახებოდა, — ხოლო მე თუ ლეკო თათაშელი გახლავარ, დიდებულად უნდა გამეგებოდეს იმათი ფიქრები. აი იმათი წარმომადგენელი, შეჰხედეთ და გჯეროდეთ, რომ არაფერი დაკარგულა, გჯეროდეთ, გწამდეთ, არც დაკარგულა, არც დაიკარგება, გჯეროდეთ, გწამდეთ, რამეთუ სწამს ლეკო თათაშელსა და რაცა სწამს ლეკო თათაშელსა...

— გურანდლუხტი იმას არ იწამებს.  
 — არცა გულქანი! — მოსჭრა გულქანმა და თვალნი მღვრიენი აძგერა დებასა, გაიმეორეთ თქვენ თქვენის მხრითაო; თვალნი მღვრიენიო, შემამფოთნო, მაინც სხვა გამოსთქვა ნაზიბროლა, ვამაყობ ბექას დედა რომ ვარო, აი რა გამოსთქვა, ელენეც ამას გაეპასუხა, ვაუკაცებს არ დაუვარდებიან ჩემი ქალოშვილებიცაო.

გულქანმა გაიცინა მწივიანა ხმითა, ვერცენ მიუხვდა, რად გაიცინაო, ვერც ვერავინ ჩაეძიებოდა, მხოლოდ იტვრინეს, გატვრენა მართებდათ.

— მერედა რატომა?! — ჰკვირობდა ლეკო — ჰოოო... ყოველთვის ასე მეურჩებოდით, ჯერ მეურჩებოდით, მერე მთანხმდებოდით.

— არასოდესა, აააააარასოდესა!... — გაწიწმატდა გულქანი.

— გაახსენო?! — შეება ლეკო, — ჯერ ერთი: როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდობა მეთქმოდა, მეორედ დაგქვრივდი, მეორედ ქორწინება რომ მოვიდნომე შენს დასთანა, ეკასთანა, შენ ქვა ააგდე და თავი შეუშვირე, დაგიჯერა იმანაცა, მე უარი მტკიცა, მე, ლეკო თათაშელ-





სა, და ვილაც ჩიტირეკია ოფიცერს ჩამოეკიდა კისერზე. მერე ჰო ინანეთ?! ეს ერთი... მეორე...

— ჯერ ერთი მოინლე, — შეუტია გულქანმა, — არც გახსოვს, ეკა როდი, ანიკო მოგწონდა...

— მერე რაო, — არ დაიბნა ლეკოი, — ისიც გაეკიდა ვილაც ჩიტირეკიასა...

— კმარა!... — მტკიცედ განაცხადა გურანდუხტმა, ისედაც მკვეთრი ხმა ჰქონდა, უფრო აუწია, მოსჭრა კამათი. — ყველას მართალი ჰგონია თავი, მაგრამ ყოველთვის ერთია მართალი, ხოლო ვინაა იგი, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

— ღმერთმა და ლეკო თათაშელმა...

— ცუდია გახუმრება ღმერთთანა, — გურანდუხტმა ბრძანა, — თანაც, კარგახანია გავიგეთ, რომ ლეკო თათაშელი ბრძანდებით და არა დავით აღმაშენებელი.

გულქანმა გაიცინა, ნაზიბროლამაცა, ელენემაცა, სალომემაცა, სხვებმა არა. თუმცა არა, ლეკომაც გაიცინა, ყველას წააჭარბა, თვალბეშვიც ამოისვა ხელი, ვითომდა რაო, ცრემლი მომივიდა სიცილისგანაო, თანაც დასძინა:

— ისიც ვერაფერი შევილა, დაწერა „გალობანი სინანულისანი“, ვითომ რაო, „ვეფხისტყაოსანი“ ჰო არ დაუწერია?!...

— საქართველო დაწერა, ვილა გამოჩენილა ასეთი მწერალი?! — მოსჭრა გურანდუხტმა და წამოდგა, სავაზმოდ გავიდეთო; წამოდგა და ხელი გაუწოდა ლეკოსა, შერიგების ნიშანიც იყო, თანაც მიმაცილე მაგიდამდისაო.

ნიკოს გულქანმა გაუწოდა ხელი...

ხელიც გაუწოდა და გვერდითაც მოისვა, თუმცა ჯერ გურანდუხტი მიუჯდა, მაგიდასა, მერე ლეკოი, მერეღა გულქანი და ნიკოი, ნაზიბროლაც იქვე ჩამოჯდა, მოპირისპირე მხარეს — ელენე თავისი შეილებითა. მაგიდა უფრო გრძელდებოდა, ძველი მკვიდრი, კაკლის მაგიდა. იქ ორმოცდაათ კაცზე ნაკლები არასოდესა სადილობდა დიდი არჩევანის დროსა, მაგიდა ორმოცდაათზე მეტისათვის გაჭიმულყო, იმ სი-

გრძელ არცა შლიდნენ სუფრასა, ერთ კუთხეში მიიკუნჭებოდნენ და, ცარიელ მაგიდას რომ გაჰყურებდნენ, წარმოდგენდნენ თუ ვინ სად იჯდა, ვინ როგორა ხუმრობდა, ვინ როგორი სმა იცოდა, ვინ როგორი ჭამა, ვინ ჭინკული იყო, ვინ ამტანი, რასა დავობდნენ ან რა იყო გასართობი; წარმოდგენდნენ, მოიგონებდნენ, ან მიატანდნენ ცრემლსა, ან იცინოდნენ, ან წაკინკლავდებოდნენ ესენიცა თუ სხვადასხვაგვარად დახსომებოდათ, დები წაკინკლავდებოდნენ, აცდიდა გურანდუხტი, აცდიდა, აცდიდა და რომ იტყოდა, ველარავინ გადაუჭრიდა სიტყვასა, ვერ გადაუჭრიდა თვით გულქანიცა. სადაო იწყებოდა დიდი ჯიხვიდანა, მოიგონებდნენ თუ ვის როდის დაელოა ის დიდი ჯიხვი, — გულქანი ამტკიცებდა, არავის დაუცლია დიდი არჩევანის გარდაო, ნაზიბროლა და ელენე სხვებსაც მოიგონებდნენ, ელენე, მაგალითად, თავის მეუღლესა პირველყოვლისა, ნაზიბროლა ვერა ბეღავდა მეუღლის ხსენებასა, მეჯვარეს ასახელებდა, ცხადია, თავის მეჯვარესა. დავა გრძელდებოდა, ბოლო არ უჩანდა მტკიცებასა, ხოლო ჯიხვი გამოტილიყო კარადის თავზედა, დიდი კარადის თავზედა, თავიდან ბოლომდის გადაშოტილიყო, ვინ იცის, როდის აქეთა აღარავის მიეტანა ტუჩთანა. ბევრი სხვა ჯიხვიც აღარავის მიეტანა ტუჩთანა, იმასთან შედარებით მომკრონი, მაგრამ თავისთავად მოზრდილნი, შემაშინებელნი. ისინი კარადაში ეწყვნენ, ის ჯიხვთა, ყანწთა კარადა გახლდათ. რა ზომის ყანწი არ შეგხვდებოდათ. რა სევადისა, ძნელია ჩამოთვლა, თუმცა, არც ისე ძნელია, ყოველშემთხვევაში ჩემთვის არ არის ძნელი. თქვენთვისაა მოუთმინარი. აღწერილობანი გამხდარა მოუთმინარი. ჰოდა, რატომ გავიწყვითოთ ძაფი მოთმინებისა, რატომ ჩამოგყვე თუ რა სევადისანი იყვნენ ის ყანწები, რომელ და როდიმდელ

ოთარ ჩხიძე  
ზორნიაჟი



ისტატა ნახელავნი, როდის შეძენილნი, სად შეძენილნი, ან მორთვეული როდის და ვისგანა? რომ ჩამოვყვე, ისტორია გამოვა გვარისა, ჭიხვირა არის, ყანწი რა არის, იქიდანაც ამოვა ისტორია გვარისა. დავენსნათ თუ ესეც მოუთმინარია, ვიკმართ: იღვა დიდი კარადა, ეწყო ჭიხვი, ყანწი უამრავი ზომისანი, უამრავი, უმომხიბლავესი სევალისანი. სხვა კარადაც იღვა მომორებითა, იქ თიხის სასმისები ეწყო: ჭამები, მარნები, კულები, ქინკლები, სხვადასხვაგვარად მოყვანილნი, უამრავნი. იღვა ბროლის სასმისთა კარადაცა, ვერცხლის სასმისთაცა. ჭურჭლეულისას არაფერს გეტყვით, რადგან ლეკო მხოლოდ ამ კარადებთან მიდიოდა, აქედან გამოჰქონდა სასმისები, სხვადასხვა სასმისი სხვადასხვა სადღეგრძელოსთვისა, გამოჰქონდა მოზრდილნიცა, მომცრონიცა, გამოჰქონდა თამამადა, ეშხიანადა, მხოლოდ თვალიც არ აუყოლებია კარადის თავზე გადაზორებულ ჭიხვამდისა.

ლეკო თამადობდა, რადა თქმა უნდა, თამადობდა და ორატორობდა, არა ჭირვეულობდა, ღვინოს არ აძალებდა არავისა, არცა ქალებსა, არცა ნიკოსა. სხვა არც არავინ გამოჩენილა, თუნდაც გამოჩენილიყო, არ დააძლებდა, არა სჩვეოდა გამოდევნება თუ გამოჯიბრება, სეამდა თვითონა. ვიდრე შეეძლო, წვეთს არ დაიკლებდა, რომ აღარ შეეძლო... ჯერ შეეძლო, ადღეგრძელა ყველა სათითადა, მოიგონა მიცვალებულნი, ცრემლიც ამოიწმინდა, ზოგზოგებისათვის ისე დასწვოდა გული, მოიგონა დაღუპულნი ან გადაკარგულნი, გულქანის საქმრო მოიგონა ვანსაკუთრებულის მღელვარებითა, ბარძიმ ზედახეველი მოიხსენია, საარაკო ვაჟკაცი გარეგნობითა, სიმარდითა, სიმახვილითა. ბრმად დაიღუპა, ჯირითში დაიღუპა, მერედა გამოაცხადა გულქანმა თავის საქმროდა, შავები ჩაიცვა, აწირვინა, ვინ უწყის, რამდენჯერ გადაიხადა პარაკლისი, ხატად დისვენა იმისი სურათი, გულზეც დაიკიდა შიბითა, ვინ უწყის, რამდენჯერ გამოიტირა და

კვლავაც მისტროდა იმის სუფლსა, მერთოლაც, ვინ უწყის თუ რამდენჯერ დაბრუნდა საფლავში საწყალი ბარძიმი, მაგრამ ვერავის შეებედნა გულქანისთვისა, დაეხსენ, ნუ აწამებ, საიდან სადაო, რამ მოგაფიქრაო, — ვერავის შეებედნა, ლეკო ვითომ ისეთი რა რაინდი ბრძახდებოდა, არ დაელოა სადღეგრძელო ბარძიმ ზედახეველისა, ნუგემინი არ ეცა აცრემლებულ გულქანისთვისა, თუხდაც ეგარძნო თუ ერთხელ კიდევ როგორ გადაბრუნდა საფლავში უღვთოდ უბედური ბარძიმ ზედახეველი, უღვთოდა, უწყალოდა, ჰეშმარიტადა.

ლეკო თამადობდა და ლეკო თვრებოდა... დათვრა. და რახან დათვრა, ველარც ადგილზე მოისვენებდა, აცუნცურუკდებოდა. ჰოდა, აცუნცურუკდა, ახტა, დახტა, ირინესა და მერის შუა ჩახტა. მყისვე წამოდგნენ ისინი, გურანდუხტმა ანიშნა და წამოდგნენ, თავი დაუკრეს ლეკოსა, გამოემშვიდობნენ, გაფრთხილდნენ. მოიცადეთო, რადროსიაო, სად მიდიხართო, შეიცხადა ლეკომა, მაგრამ არც გამოეპასუხნენ, არც მოიცადეს, ამანაც არად ჩაავდო იმათი წასვლა, ახტა, დახტა, ზეინაბისა და სალომეს შუა ჩახტა. აიშალნენ ისინიცა, გურანდუხტმა ანიშნა და ისინიც აიშალნენ მყისვე, თავი დაუკრეს, გამოემშვიდობნენ. რა დროსიაო, ნუთუ საძილედ მიეშურებითო, ბალები ჰო არა ხართო, დაარცხვინა ლეკომა, მაგრამ არ დაირცხვინეს, არც მოიცადეს, არც ამან ჩაავდო არაფრად, ახტა, დახტა და ელენესთან ჩახტა, კიდევ არაუჭირს რა, ხანში შევიდა, მაგრამ მოსდევს ძველი ეშხითა. ეს გაიფიქრა, ოღონდ ხელის გამოღება ვერ მოასწრო, თავი დაუკრა ელენემაცა, გავიდა ღირსეული თავდაჭერილობითა. ამას თვალიც არ გაუყოლებია, მაშინვე ახტა, დახტა და ნაზიბროლასთან ჩახტა, ჩახტამაც ვერ მოასწრო, გავიდა ნაზიბროლაცა. ამღვრეული თვალები მიმოატარა ლეკომა, კვლავაც უნდა ამხტარდამხტარიყო, მაგრამ არც ისე ამღვრეოდა თვალები, რომ ისევ გულქანისა

და გურანდუხტის შუა ჩამბაროცო;  
ყინი ამღვრეოდა, სურვილი ამღვრეო-  
და, ვერც ამდენი გაეხდნა, ვაჰკიდებო-  
და გასულუბსა, თითები ეხლართებოდა,  
ეხვლანჯებოდა ამღვრეულ თვალებთა-  
სა, თითქოს თვალები უხდა ამოიყაროს  
ან ლაწევები ჩამოიხოცოსო, მაგრამ არ  
მიჰკარებია არცა თვალთა, არცა ლაწ-  
ევებსა, მუშტებად შეჰქარა ის დახვლან-  
ჯული თითები და იყვირა, ჯერ ჰო მთა-  
ყარი სადღეგრძელოები არც მითქვა-  
ძსო.

— ბრძანე... — გამოეპასუხა გურან-  
დუხტი.

— ვბრძანო? — გაიკვირვა ლეკომა,  
მიმოატარა ამღვრეული და გაკვირვე-  
ბული თვალები, ვითომდა რაო, ვილა-  
სთვისა ვბრძანო, სუფრა გაიკალათ.

— დროა მოსიგენონ ქალიშვილე-  
ბმა... — განუმარტა მტკიცე ადათის  
მიმღევარმა დიდდამა.

— ქალებმა?!

— იმათთვისაც დროა... უკვე  
დროა! — ეს ისე გამოსთქვა, მალე ჩვენც  
ავღვებთით.

— მოიცათ! — შესძახა ლეკომა, შეს-  
ძახა და ეძგერა ჯიხვების კარადასა,  
არა, აბურდა, ვერ გამოარჩია, ვერ გა-  
მოერჩა, ალბათ თვითონაც შიგ ჩარჩე-  
ბოდა, გულქანი რომ არ მიშველებოდა:

— რას ეძებ? აიხედე! — მიეშველა  
ამ სიტყვებითა, იმანაც აიხედა, სახე გა-  
უნათდა, აიხედა თუ არა, სწორედ ამას  
ვეძებო, შესძახა და ცერებზე აიწია, ჩა-  
მოიღო ვეება ჯიხვი, ტუჩები მოუკო-  
ცნა, მერე ორივე ხელი შემოაქლო მო-  
კოცნილ ტუჩებზედა, ჰვირტიოთ დაა-  
ყრდნო იატაკზედა, გამიგვითო ბრძანა.  
ნიკომ გაუვსო, გაუვსო და შიშით გა-  
მოეცალა, შორს გაიწია, გავიდა გრძე-  
ლი მაგიდის ბოლოსა, შორიდან ნაკლებ  
საშიშად მოსჩანდა ჯიხვი.

— მე ახლა ვიწყებ, — რიხიანად გა-  
ნაცხადა ლეკომა, განაცხადა და გადმო-  
კარკლა თვალები, თითქოს დაბეჭდა  
თავისი ნათქვამით, — აქამდის რაც  
მოგახსენებ, ის ჰო იყო და იყო, ამი-  
რინდნ რასაც გეტყვით, აი, ის იქნება, რაც  
იქნება. მე გამოცანების თამიდა არა ვარ

და აქედანვე მოგახსენებთ თუ ვისი სად-  
ღეგრძელოა, ბექას სადღეგრძელოა...  
თქვენი ბექასი, ჩვენი ბექასი. დედა უნ-  
და ისმენდეს ამ სადღეგრძელოსა, მაგ-  
რამ რაზან მოსვენება ინება, ინებოხ,  
თქვენ მოისმინეთ და გაიგონეთ კარგი  
ყუბრათა; თქვენ გაიგონეთ ქება ბექასი,  
მალე რომ გამოვა თავისი ციხე-სიმა-  
გრიდანა, ზარებს ჩამოჰკარავს და გაუ-  
წყევებს აღდგომასა. უკვე მარტოდ აღარ  
ითვლება, აგერ ჩვენი სტუმარი, ეს მო-  
კრძალებული ყმაწვილი ამოუღებდა  
მხარში,

— ბატონო ლეკო!.. — ნიკო წამოი-  
ქრა, ვედრების ხმა აღმოხდა და ხელე-  
ბიც ვანიწოდა ვედრებისადა.

— ნუ გეშინიან, — დაამშვიდა ლე-  
კომა, — აქ უცხო არაფერ არის, ნუ  
გეშინიან, მე ლეკო თათაშელს მიძახიან  
და იმიტომაც მიძახიან ლეკო თათაშე-  
ლსა, რომ უადგილო ადგილას არაფე-  
რი წამომცდება, აქ ითქმის და მეც ვა-  
მბობ, თუ რა მოვალეობა დავკისრებია,  
რა მოვალეობა აგვიღია კისრადა. დიახ,  
ავგილია, რადგან მეც შენთანა ვარ, მეც  
თქვენთანა ვარ და მე ვიცი, სად რა უნ-  
და ვთქვა...

— ბატონო ლეკო!  
— დამაკადე!  
— ველარ დაგაცდი...  
— დამაცდი!  
— ვერა!..

— მშ, აჰა, შენა თქვი, შენთვის და-  
მილოცნია ეს ჯიხვი... — ასწია ორივე  
ხელითა და გაუწოდა; ან რაღა აწივე  
უნდოდა, ისედაც გულის კოვზამდისა  
სწვდებოდა.

— უმაგისოდ ვიტყვი. ტყუილია, არ  
არის მართალი, რაღაც გაუფებრობაა,  
არ ვიცი რაღა, არ ვიცი როსგანა, მე  
არაფერ შუაში ვარ, საამისო საბაბი  
არავისთვის მიმიცია, რად მომახვიეს  
თავზე, არ ვიცი, ან რა მომახვიეს, გე-  
ფიცებით, არც ეს გამეგება, მე მხო-  
ლოდ სიმღერების შესაკრებად ჩამოვედი.

— ჯიხვი ჩამომართვი...

ოთარ ჩხვიძე  
პირიანი

— მე მხოლოდ სიმღერების შესა-  
კრებად ჩამოვედი, მაგრამ ამიხსნა ელი-  
ზბარ ხეთერელმა...

— ჯიხვი ჩამომართვი-მეთქი!..

— მაგრამ ამიხსნა ელიზბარ ხეთე-  
რელმა, რომ ახლა არ არის საამისო  
დრო და მირჩია გავცლოდი აქაობასა.

— ვის გაუბედია ამდენი ლაბარაკი  
უსასმისოლა?!

— მირჩია გავცლოდი აქაობასა, მეც  
მინდა გავეცალო, ვერ გავცლივარ და  
ჩემს გარშემო იქნება რაღაც ზღაპრე-  
ბი, დაუჭერებელი ამბები...

— სასმისი-მეთქი... ჯიხვი-მეთქი...  
ისე როგორ იქნება ლეკო თათამელის  
სუფრაზედა?!

— ... დაუჭერებელი ამბები... ბატო-  
ნი ლეკო უნდა შშველოდეს, უნდა ვა-  
მიფანტოს ეს ზღაპრები, მაგრამ ეგ  
ბირით...  
— კმარა!

— არა! მე ვითხარი ბოლოსდაბო-  
ლოს მტკიცედ უნდა მოვილაპარაკოთ-  
მეთქი...

— მეც ვითხარი და ადგილიც დაე-  
თქვით... აქ სუფრაა, სადღეგრძელოე-  
ბია, მე ახლა ვიწყებ და ვინც არ და-  
დუმდება, ღვინოს შევასხამ სახეში...

— ლეკო! — ხმას აუწია გურანდუ-  
ხტმა.

— მამ გაჩუმდეს... — მოლბა ლე-  
კოი.

— გაჩუმდები, ოღონდ იცოდეთ,  
რომ მხოლოდ სიმღერების შესაკრებად  
ჩამოვედი.

— კეთილი... ვითომცა ვეჭერა... ეგრე  
იყოს, მე ვსვამ ბექას სადღეგრძელო-  
სა... — და განაგრძო ქება ბექასი ანუ  
რა განაგრძო, ძნელი გასაქორებელია,  
რადგან აქ იყო აღრეული ქება სხვათა-  
დასხვათაცა, განსაკუთრებით საკუთარი  
თავისა; მოგონებანიც იყო, მოგონება-  
ნი სხვათადასხვათა, განსაკუთრებით  
მოგონებანი საკუთარი თავგადასავალი-  
სა. ეს თავგადასავალი გმირული გა-  
ხლდათ, რა თქმა უნდა, თვითონ ყოვე-  
ლთვის მხსნელი იყო, ცხადია, და ცხა-  
დზე უტყვადესია: კიდევ რაღაც-რაღა-  
ცები გამოერგოდა თვითქებასა თუ

თვითალტაცებასა, ბოდვისმაგვარი გზა-  
მოერეოდა და ბოლოს მთლად ~~მთლად~~  
იქცა. ტორტმანებდა სიტყვა, ტორტმა-  
ნებდა კაცი, ტორტმანებდა ყანწი, რო-  
მელიც დიდხანია აღარავის დაეცალა,  
ან არც არავის დაეცალა არასოდესა, ხო-  
ლო წვალებით აქამდისაც ბევრს ეწვა-  
ლებინა, კიდევაც ბევრი გააწვალებდა  
ამიერიდანა... ოღონდ ჯერ ისევ ლე-  
კოს ეპყრა ხელთა, დაჰყურებდა ლალი-  
სფერ, ატორტმანებულ ღვინოსა, და-  
ჰყურებდა და ბოდავდა, ხოლო საბოდ-  
ვარი რომ დაეღია, როგორღაც გამო-  
სთქვა მკაფიოდა, თუ გამოამტვრია კბი-  
ლებში, ისე მტერი დაგეცალოთო, რო-  
გორც ეს დავცალოო, გამოამტვრია და  
დაეწაფა; ჰო ეგონა დავეწაფეო, ეგო-  
ნა, თორემ ჩამოიღებდა, რადგან ერთი  
ყლუბი თუ ყელში გადასდიოდა, დანა-  
რჩენი ეღვრებოდა მხრებზედა, გულ-  
ზედა, ორტოტად ეღვრებოდა, უბეც  
ეესებოდა, მკლავზე ჰო მოჰხვეოდა და  
მოჰხვეოდა გრილდა. დიოდა ასე, დი-  
ოდა სამ ღარადა, ერთი ყელშია, ორი  
მხრებზედა, დიოდა და თითქოს არც  
არაფერი აკლდებოდა, მოდგაფუნებდა,  
მოტორტმანებდა, მოღელავდა, მობუ-  
ტბუტებდა, მერე ისევ დაიდგაფუნე-  
ბდა, გადაეღვრებოდა ცხვირიპირზედა,  
თვალეებს ამოუქსიებდა, დაიწვილებდა  
ნესტოებშია, დიოდა კიდევაც, მოჰქრო-  
და, მოჰქონდა სუნი შორეული მღვი-  
მეებისა, შორეული და გრილი მღვი-  
მეებისა, ისეთივე გრილი, თვითონ რომ  
იყო, ღვინოს რომ უნდოდა მცხუნვარე  
ღღებში შესანახადა; მოჰქონდა სუნი,  
მოჰქონდა სიგრილე და იღუმალება,  
მოდგაფუნებდა, მობუტბუტებდა, დი-  
ოდა მხრებზედა, ყიჰყიჰებდა ყელში...  
დაბრუნდა, დატრიალდა ჯიხვი, აღარცა  
დგაფუნეო, აღარცა ბუტბუტეო, აღარ-  
ცა ყიჰყიჰეო, აღარცა იღუმალება შო-  
რეული, გრილი მღვიმეებისა, მხოლო-  
და ბრუნდა დაუთფლა ჯიხვსაცა, კაც-  
საცა. დატრიალდა, დატრიალდა ჰერი-  
ცა, იატაკიცა, მაგიდა ავიდა ჰერზედა,  
თავდაყირა გადმოჰხედეს გურანდუ-  
ხტმაცა, გულქანმაცა, მერე თვითონ  
მოექცა ჰერსა, ქვემოდან ნიკო ევედრე-



ბოლა, ჩამოდიო, არ ჩამოვარდეო, ხმას აღარ გავცემო, აღარ ავიხიბდებიო, მერე... მერე აღარაფერი დაუნახავს, აღარაფერი მოსჩვენებია, დაასკდა იატაკსა, ყანწმა დაიტანა, დაესვენა გულზედა და კვლავ ჩაპბუტბუტებდა სიყვარულითა, ჩაპბუტბუტებდა, ოღონდ ამას აღარ გაეგებოდა არცა ბუტბუტუტევისძველი ჯიხვისა, არცა სიჯრილე იღუმალი მღვიმეებისა, აღარ იყო წუთისოფლისა... იდგა ლალისფერი გუბე, იწვა ლალისფერ გუბეში.

XIII

ყოველთვის იქ არ იწვებოდა, რა თქმა უნდა, ასწიეს და ჩაიყვანეს, ან უფრო, ჩაიტანეს მისთვის განკუთვნილ ოთახში, ჩაიტანეს, გაახადეს ამოწუწულ სამოსი და წააფარეს საბანი. თავს ადგანოცა, მერე დაბორიალებდა აივანზე, უნდოდა ეთქვა, უნდოდა საბოლოოდ გადაერწმუნებინა, მაგრამ იცოდა, ვერ ჩააგდებდა გონებაშია და დაბორიალებდა აივანზედა, მეტი რა ჩარა ჰქონდა? ეგება ქალებთან მიბრუნებულყოფა? არა, არ იქნებოდა, გამოემშვიდობნენ, ღამე ნებისა უსურვეს, ბოდიშიც მოუხადეს ლეკოს საქციელის გამო, მღელვარედ მოუხადეს ბოდიში, ვეღარ მიუბრუნდებოდა, ვეღარ შეაწუხებდა... მაგრამ როგორღაც სხვაგვარად გამოდიოდა იმა ბოდიშიდანა, ყველაფერი ეს მართალია, ცხადია მართალია, ოღონდ ღუმილი მართებს ლეკოსაო, — ასე გამოდიოდა გულქანის ნათქვამიდანა; ხოლო გურანდუხტი თითქოს საყვედურსაც შეაპარებდა, განა რა დასდგომია ენაზე ლეკოსა, ნუთუ არ იცნობდი, არ უნდა გაგემხილაო. მართლაც შეაპარა, აივანზე რომ დაბორიალებდა მაშინლა მიხვდა, თორემ წედან მხოლოდ ბოდიში ჩაესმოდა, ეს რა გვიყო, რატომ გავგიფუტა ტკბილი საღამოთ, მაგრამ თქვენი გაცნობა მაინც ისეთი სასიამოვნოა ჩვენთვისა, მსგავსი უხერხულობანი არაფრად ჩასაგდება, ოღონდ თქვენ მოგვიტყევეთ, ოღონდ თქვენ ნუ შეწუხდებითო, — ასე ჩაესმოდა, ასე ამბობდნენ, საყვედური საიდანღა შე-

მოაპარეს? — იფიქრა, იტერია თავი, ვერადავერ გაიგო; ან რალად უნდოდა გაეგო თუ როგორ შემოაპარეს, — ჰო შემოაპარეს, ჰო სჯეროდათ, რომ შეხვდნენ შეთქმულსა, აჯანყებისა თუ რალაც ამგვარის მოთავესა? ჰა?! სჯეროდათ?! დაიჯერეს?! როგორ ეუარა, შეეჩიდა ლეკოსა, რა მკაცრად შეუძახა, შეუყვირა, ასე არასოდეს აღელვებულა, ასეთი ცილისწამება არასოდეს შეჰხვედრია, როგორ შეშფოთდა, მაინც დაიჯერეს?! იმას დაუჯერეს და ამას არა, მცდარს დაუჯერეს და მართალს არა?! როგორ იქნება, როგორცა, რანაირადა?! როგორ გადაარწმუნოს?! ეგება ჯერ არც დაუძინიათ, ეგება ისინიცა ფხიზლობენ, მსჯელობენ, ეგება არც უნდათ, ფარული ზრახვების აღამიანი რომ შეჰფარებია იმათს ჰერსა, ეგება ვერც მიორიგებულან თუ როგორ მოიწყვიტონ თავიდანა, ეგება უნდათ, ძალიანაც უნდათ და უკვე აფრინეს კაცი ბექასთანა?! ჰა?! ე რა დავიდარბაში ამოჰყო თავი. რა ჰირში ჩავარდა?! რას მიქვიან თუ უკვე უსურვეს ძილინებისა, რას მიქვიან წესები თუ უხერხულობანი, ახლავე უნდა აუხსნას, ახლავე უნდა გადააჯეროს, გადაარწმუნოს, გადააფიქვოს, თორემ მერე და მერე უფრო გაძნელება, ეჭვად იქცევა, ფეხს გაიდგამს, გაიჯეჯილებს, ვეღარ ამოფხვრის გაჯეჯილებულ ეჭვსა, ახლავე უნდა...

და გადაეშვა, მართლაც გადაეშვა, ერთი ნახტოზით გადაეგლო რამდენიმე საფეხურიან კიბესა, გადაეგლო და მოთავდა ამითი; თუმცა არა, რა მოთავდა, — კაი გვარიან გულისხმეთქებას გადაეყარა: რალცა წამოიფაფრა და ეძგერა, იქიდან მეორე წამოიფაფრა, წამოვიდა მეტის მრისხანებითა. ეს დაზიდა შიშმა, შიშმა დაავდო ძირსა, მაღლობა ღმერთსა ძირს დაავდოთ, ამდაგვარი შიში გამოდგა, აიყვანა და დაახეთქა, თორემ არის შიში სხვაგვარიცა, გაქცევა იცის იმა შიშმა, სხვაც იცის,

ოთარ ჩხიძე  
ბორიანი

ბევრი რამ იცის, ოღონდ იმჯერად, ვაქცევისა თუ აღმოჩნდებოდა, მშვიდობით წუთისოფელოთ, ნაკუწ-ნაკუწებადლა თუ აკრეფდნენ ახალგაზრდა კომპოზიტორსა, მოგზაურსა ხალხური სიმღერების შესაკრებადა, არჯევნელთა სტუმარსა; დაფლეთდნენ არჯევნელთა ძაღლები, დაფლეთდნენ, დაანაკუწებდნენ, გასცილდნენ ძვალსა და ხორცსა. ჰოდა, მადლობა ღმერთსაო, ძირს რომ დაავდო შიშმა. ძაღლებიც დაყუნცდნენ, დაელოდნენ აფოფრილნი, აძაგრულნი, მოზიდულნი. წაქცეულს არ დააცხრებოდნენ, არა, შერჩენოდათ ეს წესი, ეს სული რაინდული, ყველა შეცვლილიყო, გადასხვაფერებულისყო, ესენი არა, კვლავაც ფეხზემდგომს შეეკიდებოდნენ, ჩამოეხსნებოდნენ ჩაფერხილსა, ღირსეულად ჩამოეხსნებოდნენ, ღირსეულადვე დაელოდებოდნენ, სული მოითქვას, ძალა მოიცეს, დაცემულთან ბრძოლა რა ვაუკაცობიაო. ეს ვინ უწყის, როდის მოითქვამდა სულსა თუ ძალასა, როდის მოიფიქრებდა თუ რა ეღონა, — ანკი რას მოიფიქრებდა, შინ შებრუნების მეტსა, მაგრამ შებრუნებასაც წამოდგომა უნდოდა, ხოლო წამომდგარს ისევ დასცემდნენ, ან არც დასცემდნენ ეგრევე, ზეზეულა აუგებდნენ ანდერძსა. ერჩივნა, გღებულისყო ეგრე ურხევლად, გღებულისყო კიბეხთანა, მოკუნტულისყო, მოხრილისყო, სხე ჩაემალა როგორმე ისე, რომ გადარჩენოდა, სახე მაინც გადარჩენოდა, თუ ვთქვათ ტანს გააცლიდნენ, მოთმინება დაელოდათ და გააცლიდნენ ტანსა; ერჩივნა, გღებულისყო ეგრე და ენატრა, მოთმინება არ დაელიოთ არჯევნიანთ ქოფაკებსაო, წესს არ გადავიდნენ, არ გამოეფიტოთ რაინდული სულიო.

შიში მაინც გააქრობდა, გააქრობდა მაშ რაო, — განა ვატერენილიყვნენ ქოფაკები, განა გაქვავებულისყვნენ და ისე დალოდებოდნენ. არა, რა სათქმელია, იღრინებოდნენ განუწყვეტლად, იღრინებოდნენ ხმადაბლადა, ოღონდ შემზარავადა, ხანდახან კბილებს გააკაუუნებდნენ, გამწკლატუნებდნენ ენასა, თითქოს თბალი სისხლი მოხვდათო, გა-

ამწკლატუნებდნენ და მოადვენებდნენ დაგულულ ღრენასა. წინწინ ვინ ვინ ვდნენ, სადაც დაყუნცდნენ არ იძვროდნენ იქიდანა, მაგრამ დროდადრო ასწევდნენ წინა ფეხებსა, აიმაართებოდნენ და გადავადმოქანდებოდნენ, შეკანკალებოდნენ, შეიზრიალებდნენ. გაძლება უნდოდა, ატანა უნდოდა, როდემდის გასძლვბდა, წინ იღო ღამე, არცთუ ნათელი ღამე, ღრუბელი თუ წამოფოფრილიყო, თუმცა რა ბედენაა, როგორი იქნებოდა ის შემზარავი ღამე, ბნელი თუ ნათელი, რა ბედენაა!

და მოულოდნელად ღრენას დაეხსნენ ქოფაკები, ღრენას დაეხსნენ და აწკმუტუნდნენ სიამისადა, მისალმებისადა, მუქარისასაც არ იგიწყებდნენ, თითქოს ვიღაცას ატყობინებენო, აგერ აქაა, გვიბრძანე და გავათავებთო. ამან გადიწყვიტა ბედი. და ბედი რომ გადიწყვიტა, ხმა მოეხმა ადამიანისა:

- რომელი ხარ?
- მე ვარ... — წაიზმუქუნა, თავი მაინც არ აუღია.
- ვინ შენა?!
- სტუმარი...
- ჰოთო... რა მოგვხლია?
- არაფერი... ოღონდ ძაღლები...
- ჰოთო... — ოღნავ გაიცინა, — ნუ გეშინიან. ადექი...

აღვა. საშიში მართლაც აღარაფერი იყო, მორჩილად დაყუნცულისყვნენ ქოფაკები, შეპყურებდნენ ახალმოსულსა, ეს აღარც ახსოვდათ, ან ეგედრებოდნენ, ოღონდ გვიბრძანე, ოღონდ ამის ჯავრს ნუ შეგვაჭმევო. არაფერი უბრძანებია შინ შევიდეთო, სთხოვა სტუმარსა. შევიდნენ. უფრო ბნელოდა ოთახში, გარეთ ვერ გაარჩია, შიშმა არ დაანება, შიგნით მითუმეტეს ვერ გაარჩია, ვინ იყო თუ როგორი იყო ის მოულოდნელი მხსნელი. ვინც უნდა ყოფილიყო, მადლობა მართებდა და მოიმართა მადლობისადა.

— რა სათქმელია... — გაუქარწყლა მოსულმა. — არის თუნდაც მისხლისოდენა სიმართლე ლეკოს ნალაპარაკევი, ეს გამაგებინე...

— არც იოტისოდენა...

— არა?!

— არა! ღვთისგულისათვის, თქვენ მაინც დამიჯერეთ, არ ვიცი, ვინა ბრძანდებით, მაგრამ რახან მეკითხებით, უნდა მოგახსენოთ, რომ უცნაურად გავიხლართე რაღაც ზღაპრებში, ვიღაცის მაგივრად მიმიჩინეს, ან უბრალოდ დაიბნენ და მომაწერეს ჩემთვის გაუგებარი და უცნაური რამ. — ძიაცარა ფიცხლად, სულსთუთქმელად, ფიცხლადვე განაგრძო, — ჩემი განზრახვა ჩვეულებრივია, ანუ მუსიკოსისათვის ჩვეულებრივია, ხალხური სიმღერების შეკრება მოვიწოდებ და, როგორცა სჩანს, მოვიწოდებ უღრუღროსა, ეს კარგად ამიხსნა ელიზბარ ხეთერელმა, ამასვე მანიშნებდა ჩემი მასწავლებელი გიორგი ყანჩაველი. მე გიორგი ყანჩაველის მოწაფე ვარ. შეგიძლიანთ შეატყობინოთ, ის განვიმარტავთ... არ ვიცი, რას ამბობს ლეკო თათაშელი, ან სხვას რა მოეჩვენა, ან რა ზდება, ან რა უნდა მოხდეს, არაფერი ვიცი, მხოლოდ მუსიკა ჩემი საქმე, სიმღერა, მელოდია, მხოლოდ... მოიცათ!

კარი გაიგლო უტნობმა. ეს გაედევნა:

— მოიცა-მეთქი!.. ვიღაცამ ჰო უნდა დამიჯეროს?! უნდა ვიცოდე, გჯერათ თუ არა...

— მჯერა... — კიბიდან მოისმა, — გეყოფათ!..

შეჰყეფეს ძაღლებმა, თითქოს დაბეჭდეს ნათქვამიო; ძაღლებმა შეჰყეფეს და ესეც შებრუნდა ცივცხელად, შიშიც შემოთუბრუნდა, ემანდ შინ არ შემომიცივოდნენ ქოფაკებით: შემოთუბრუნდა და გაუბრუნდა, მიხვდა, შინ არ შემოუცვივოდნენ, თუმცა არც გარეთ გაუშვებდნენ, მაგრამ ჭანდაბას, ოღონდ შინ არ შემოსცივინოდნენ. გარეთ არ გაადგამდა ფეხსა. არც გაუდგამს, არც მოუსვენია, იბორიალა იმ პატარა ოთახში, იბურღლუნა, იდავა, ეკამათა ლეკო თათაშელსა, რამდენჯერმე გამტყუნა, მოაბოდიშა, ფიცი დაადებინა, რომ დილა აღრიან გაეშურებოდნენ იტრიელებთან და მერეღა წამოწვა დამშვიდებული,

ვითომ მართლა მოებოდიშოს ლეკო თათაშელსა, ვითომ მართლა აღეთქვა ხვალ უკვე იტრიელებთან ვიქნებითო. ყოველშემთხვევაში ერთხელ კიდევ გაიმეორა წარმოსახული კამათი და თუ ხვალ სწორედ ისევე მოხდებოდა. მორჩა, წინააღმდეგობის ძალა აღარ ექნებოდა ლეკო თათაშელსა... ამ იმედით წამოიჭრა დილა აღრიანდა, წამოიჭრა ღა შეეჭრა, ელოდა მკაცრ შეპასუხებასა, მკაცრივე სიტყვები მოეშაღებინა. ამით გამოდგა ეს სამზადისი, ღრმა ძილით ეძინა ლეკო თათაშელსა, ეძინა დამშვიდებული სახითა, ტკბილად, ნებივრად, ეძინა, როგორც ყოველდ კმაყოფილ კაცსა, ვისაც არაფერი სტყენია, არაფერი წახდენია, არ დაჰკარგვია, არც დაჰკარგავს, არც წაუხდება; ავი არა სმენია მახლობელთა, არც ვაიგონებს არასოდესა, არავისთვის უწყყინებია, არც ეს განაწყენებულა არავისგანა, მხოლოდ განცხრომაში ყოფილა, მხოლოდ განცხრომა ელის მარადისა; თუმცა, ვინ უწყის როგორა სძინავს ასეთ აღამიანსა, არავინ შეხვედრია, არავის უთქვამს, არავის დაუხატავს, არცა ყოფილა, აღმათ არა ყოფილა, — არ იქნებოდა, არც ძილი იქნებოდა ისეთი; მაგრამ ეს მაინც ისეთსა ჰგავდა, თუ იქნებოდა, ასეთი იქნებოდა, ასეთი წყნარი, ნეტარი, ნებიერი.

და დადრკა ნიკოი, დადრკებოდა მამრო, რას შეჰბედავდა ასეთ სიმშვიდესა?! დაღრკა და გამობრუნდა ფეხაკრეფითა, კართან რომ მივიდა, ერთიც გადაჰხედა, გადაჰხედა და შეყოვნდა: თვალი გაეხილა ლეკოსა. ამას არ შეჰყურებდა, არც არაფერს უცქეროდა, თითქოს ფიქრებს შეაღერებოდა, ტკბილ ფიქრებსა, ლაღსა, სანეტაროსა. არავინ უნდათ ასეთ დროსა, სიმარტოვე უნდათ, რომ განანგრძლივდეს გაბრუნება, გაიგანოს ტკბობამ ნეტარი ფიქრებითა: ჰო, არავინ უნდათ, მაგრამ ეს მაინც არ გავიდა, შემობრუნდა, იქვე ჩამოჯდა და ასე მიმართა:

მთარ ჩაეფთხენი... უნდათ იმეფიღა ბორონიანი

— ბატონო ლეკო, მომიტევეთ, რომ გაგაღვიძეთ, ცოტა ავლელი და ამის ბრალია. მართალი რომ ითქვას, ჩემს აღელვებაში თქვენც მივიძღვით წვლილი, მაგრამ მაინც არ უნდა გამეღვიძებინეთ, უნდა მომეცადა. იმედია მამატივებთ! ახლა, თუ რატომ შემოვედი: რაც მოხდა, მოხდა... არ ვიცი ეს როგორ იმოქმედებს შემდეგა, რა კვალს დასტოვებს ჩემში, ოღონდ რაც უნდა იყოს, ახლა დაწინარებული განსჯა მმართველს და წყნარ განსჯას იმ დასკვნამდე მიყვებარ, რომ მკაცრად მოგთხოვოთ, დამთავრდეს ჩვენი ეს უთავბოლო მგზავრობა, შეასრულოთ, რაც გითხრეს, რის პირობაც დასდეთ, პირობა პატიოსანი კაციისა, ხოლო თუ მაინც გაჯიუტდებით, მაშინ იძულებული ვიქნები ჩამოგცილდეთ და მევე ვეწეო ჩემს გზასა. ეს უკვე გადაწყვეტილია, ჩვენ უნდა განვშორდეთ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ თქვენ უკვე დაგავიწყდათ, ვინ ვარ და სად უნდა მიმიყვანოთ; თუ გახსოვთ, თუ თქვენი სიტყვის პატრონი ხართ, აბრძანდით და გაუდგეთ გზასა. ახლავე, ამ წუთში, მხოლოდ ის ხანი დავაყოვნოთ, გამომშვიდობებას რაც უნდა. რას იტყვით?

არაფერსა... იგივე მშვიდი სახე, მშვიდი, წყნარი, თითქოს არასოდეს აღშფოთებულაო, იგივე ღია თვალები, აღსავსე ფარული ნეტარებითა. ეს შეშინდა, ჰო არ გათავებულა, მიცვალებულს ჰო არ ველაპარაკებო. მაგრამ წელან მიეღულა თვალები, მერე გააღო, თანაც სუნთქავს, აი, სუნთქავს მშვიდადა, ოდნავადა. არა, მიცვალებული არ უნდა იყოს, არც უნდა უსმენდეს, აბუჩად იგდებს?!

— აღმაშფოთებელია! — თქვა ნიკომა, თავისთვისა თქვა მოგუდული ხმითა, უფრო ხმამაღლაც გაიმეორა, არა არ შერხეულა ლეკო თათაშელი, თვალიც არ დაუხამხამებია, მხოლოდ რაღაც ოდნავა ფერმა, გადაჰკრა სახეზე, უამურობის ფერმა, გადაჰკრა და გადაუარა, ჩრდილიც დაეფინა ერთი წამითა, მქრქალი ჩრდილი, ისიც გადაშორდა. —

არ მოგწონთ ჩემი ნალაპარაკები? — იკითხა ნიკომა, — არ მოგწონებთ, ვიცი, ყოფ, ასე ადვილად ვერ შემეღვიძებოდა, ასე სასარგებლო იბოვნეთ ჩემში, სასარგებლო თქვენთვისა, თქვენი გართობისთვისა. ხმებს მივრცელებთ, ტრახახობთ, თავს იდებთ და დროს ატარებთ. აქამდის ვერ მივმხვდარიყავი, ისარგებლეთ ჩემი ნდობითა. ეს არ არის... ეს არ არის, ასე ვთქვათ... ან არც ვიტყვი, რაც არის და რაც არ არის, არ ვიტყვი, რა საჭიროა, ცხადია, ოღონდ იმას მაინც მოგახსენებთ, რომ აღარ გენდობით და ველარც გამომიყვინებთ, რაღა აზრი აქვს თავის მომკვლანურებასა? ადექით, წავიდეთ, ან მე წავალ! — თქვა და შეიცადა, მითხრას, წადიო. არაფერი უთქვამს, მხოლოდ მიღულა თვალები. ნელა, ნელა დავიწროვდა ჭრილი ქუთუთოთა და მიიღულა.

— აღარც თქვენს თანხმობას დაგელოდები, — გაწყრა თანამგზავრი ანუ ამიერიდან გზაგაყრილი, — აქამდისაც ბატონ ელიზბარის ხათრი მყოფნებდა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!.. — გამოსთქვა უღრმესი წყრომითა და გავიდა.

გავიდა, მაგრამ მე შენ გეტყვი, მაშინვე გზას გაუდგებოდა — აივნამდისინ მიჰყვა ის რიხი, იქვე გაეცალა, მიანება შიშსა, ძაღლების შიშსა, თუმცა არსად იყო იმათი ჰაჰანება, არც ხმა ისმოდა არსაიდანა. მაინც არ შესცდებოდა, გამოეცადა, ასე არ იყო წუხელი-საცა — კიბეს გადაევიდა და სად იყო, სად არა, ამოძვრა ერთი, ამოძვრა მეორე, ამოძვრა მესამე, ვინ იცის, რამდენი მოცვიდებოდა, არა, აღარ ისურვებდა იგივეს გამოეგობასა, მაგრამ მოთმენდა რომ აღარ შეეძლო, რომ გამოეგომებოდა?! იმან არც შეიმჩნია, ალბათ ფიქრობდა, ამაოდ ამჩატებულა, გზა არა აქვს ჩემს იქითაო... უმწეობა მეტიც არაფერი ყოფილა, სწორედ ამდაგვარ ყოფაში განუტლიათ სიმწარე უმწეობისა, თორემ სული თუ ხდებათ, მაშინ სხვა სიმწარეა, — განშორებისა, ამოებისა. ერთიც მწარეა და მეორეცა,





ოდონდ ჭერის არ განეცადა, ამას კი განიცილა, ველარცა ბობოქრობდა, ველარც გულს ასკვებოდა, აღარც მკაცრი სიტყვები მოსდიოდა, ნებისყოფა გამოჰქრობოდა, არეოდა თვალი, თითქოს ქოფაკები ისხდნენ ზეარშია, განა ვაზები, ქოფაკები ამართულიყვნენ, ქოფაკები ხასხასებდნენ ლურჯადა.

უნებლოეთ ჩაცუქქდა, ჩაიყუნტა უცერადა, წუხანდელმა შიშმა თუ წამოჰკრა, იმანვე წამოავდო, შიგნით შეიყვანა... ცოლო იყო, შესაბრალისი იყო, მაგრამ ვინა ჰხედავდა, ვის შეჰბრალებოდა, ვინ დაიხსნიდა?!

საუზმე მზად არისო, მოახლემ მოახსენა, ხსნაც ეს გახლდათ, გამოსავალიცა, ხიდიც აქედან გაიდებოდა, გაუღებოდა გზასა. — რა გზასა თუ რომელ გზასა — გაირკვეოდა, აუხსნიდა ქალბატონი გურანდუხტი. მაგრამ სასაუზმოდ გურანდუხტი არ დახვედრია, არც მიერ გამოჩენილა. არც სხვანი დახვედრან, არც გამოჩენილან, არც მართო დაუგდიათ, გულქანი შეეგება, გულქანი ღიასახლისობდა, სთავაზობდა, რას მოაკლებდა. ეს ელოდა, ელოდა, არაფერს აკარებდა ხელსა; ან რად ელოდა: პატარა მაგიდას უსხდნენ პატარა აივანზედა, ვაზმობგეულ აივანზედა, შეთვალბული მტევნები რომ ჩამოჰხუნძლოდა. მაგიდა ორისათვის გაეშალათ, ორის საუზმე მოეტანათ, ორის ჩაის ჭურჭელი, ხოლო ნაყენი იდგა რამდენიმეგვარი; ეს ალუბლისაათ, ეს ვარდისა, ესაო პიტნისა, ეს ტარხუნისა, რომელს ინებებთო, — გულქანი სთავაზობდა, — დილით კარგია, მით უმეტეს ისეთი ვახშმის შემდეგაო, თუმცაო იმდენიც არ დაგილევიათო, მაინც კარგიაო, აი მიყურეთო. და მოსვა ტარხუნის ნაყენი საოცარი სინაზითა, გამორჩეული კდემამოსილებითა. ჭიჭიანად გადაეყლაპა, უფრო დამშვენდებოდა, მაგიდაზეც რომ შემხტარიყო, მიერ-მოერიო, ზოგი გადაეყარა, ზოგი გაექანებინა პირისკენა თუ კუდუსუნისკენა, უფრო შეეფერებოდა, ისე არ ეხამუშებოდა ამ აზუზულ სტუმარსა, სხვებს

რომ ელოდა, ოდონდ გულქანის ანაბარა გახლდათ. გულქანის ანაბარა გახლდათ და ესეც დამორჩილდა ბედსა, ისიც დამორჩილებოდა: ღია კარიდან მოსჩანდა ვეება სურათი, იატაკიდან აყოლებული ვეება, უებრო ვეეკაცის სურათი, ზეთის ღია ფერებით შესრულებული სურათი ბარძიმ ზედახვევლისა, ღია ფერებითა, შუქის ფონზედა: ასე უბრძანა მხატვარსა, გულქანმა უბრძანა, ჩემს გულში ცაცხლობს და მარადიული შუქი დაჰნათისო, დამორჩილებოდა, ამართულიყო გულქანის ოთახში და სახენათელი ეგებებოდა არაქვენელთა სტუმრებსა. არც იმას უნდოდა, ალბათ არ უნდოდა, მაგრამ სხვა გახლდათ ნებისყოფა გულქანისა, არც იმას უნდოდა მამა უცხონდა თუ არ უნდოდა, სხვა გახლდათ ნებისყოფა გულქანისაო ანუ დაედვედა უმწეობასა, ხოლო უმწეო ყველას ტყვეაო.

მაინც უნდოდა გამოსხნილიყო ტყვეობიდანა, ცლა ბედის მონახვერეაო ტარხუნის ნაყენი მოსვა და ერთბაშად განაცხადა:

— უნდა წავიდე.

— ქალბატონი დედა ბრძანებს, — მოახსენა გულქანმა, — ალბათ ლეკო სულ ცოტა ორ დღედაღამეს მაინც გამოიძინებს ასე გადაბმულადა და იძულებული იქნებით თქვენც შეიცადოთო.

— ორ დღედაღამესაო?! — თვალეზი გაუფართოვდა სტუმარსა.

— ქალბატონი დედა ბრძანებს, ლეკოსაგან ეს მოსალოდნელია, რახან ამდენხანს არ გაულევიდაო.

— მაშ მე რა ვიღონო?!

— იძულებული იქნებით, შეიცადოთო.

— შეგაწუხებთ... — სხვა ველარაფერ მოახერხა სტუმარმა.

— ქალბატონი დედა ბრძანებს, სტუმარი ღვიისაათ. — დაამშვიდა გულქანმა, თან კარაქი გადაუწია, თაფლი მიუღდა, ჩაის როგორს ინებებთო, რძიანსაო, ურძიოსაო, უშაქროსაო თუ მაინც

ოთარ ჩამიძი  
გორიანი

როგორსაო, ხოლო ჭერ-კიდევ გასინჯეთ სხვა ნაყენიცა, თუ მოგწონთ, ისევ ტარხუნისაო.

— გამაღობთ...

— ქალბატონი დედა ბრძანებს, სტუმარი თუ არაფერს მიირთმევს, მასპინძელს უმადურიაო.

— ო, არა, რასა ბრძანებთ, ისეთი მაღლობელი ვარ, თანაც წუხანდლის შემდეგ... ისე უხერხულია...

— ქალბატონი დედა ბრძანებს, უხერხულობის ვახსენება, ორმაგი უხერხულობააო.— ჭიქაც შეუვსო, მიირთვითო, ყველს ჰო არ ინებებთ, გუდის ყველიაო.

— გამაღობთ...

— მაგის შესახებ უკვე მოგახსენეთ.

— დიახ, დიახ! მაგრამ ჩემთვის ისე აუცილებელია წასვლა...

— მაგის შესახებაც მოგახსენეთ... მიირთვით!

და თვითონ გულიანად მიირთმევდა, აპყვებოდა სტუმარი, თვით უაღრესად მორიდებული ადამიანებიც აპყვებოდნენ, მალა გადაედებოდათ, გადაედებოდათ აუცილებლად, გულისამრევი რომ არა ყოფილიყო იმისი ჭამაყლაპა: ტუჩები ჰო ვერ ეკუმებოდა, დიდი, გამოჩრილი, თოხა კბილები ისედაც წინ წამოეყარა, ხოლო ჭამის დროს სცვივოდა ნამცეცები, ნამცეცები იმდენი არაფერი, გაღეჭილი ლუკმები სცვივოდა, თუ ლაპარაკობდა, მოსდიოდა საფანტივითა, ხელს მიაშველებდა, იყრიდა უკანა, სცვიოდა ისევა, ისევ მიიყრიდა, მოეფინებოდა ტუჩებზედაცა, მოჩქარებით მოიწმენდა, წაუვიდოდა ლოყებზედაცა. ვახშმად ამდენი არ შეუმჩნევია, გვერდით უჯდა, მისთავაზებდა კერძსა, მერე თავის თეფშს დაჰყურებდა ან ქალიშვილებს მიღვენებდა თვალსა. საუშმედ აღარ გამოჩენილან ქალიშვილები, აღარც სადილადა, აღარც ვახშმად, გულქანს შერჩა, ის იყო ამისი თანამესუფრე, მოსაუბრე, გნებავთ სოფელსაც დაგათვალაიერებინებდო, კიდევაც შესთავაზა, ჭადრაქს თუ ინებებთო,

ქალაღლიც გაუშალა, არა უჭირს რა გასართობადაო, როიალიც აუხადოდა მისი მიყვარსო, აუხადა, დააკრევიანა, მოუწონა, არ მომწყინდება, ასეთ კარგ დაკვრას რომ ვისმენდო. ესეც უკრავდა, ერჩივნა დაეკრა. ვიდრე იმის პირდაპირა მჯდარიყო სუფრასთანა ან სოფელი დეთვალაიერებინა თუ ქალაში გასულიყო იმასთან ერთადა, ესეც უკრავდა; ერჩივნა დაეკრა, ეგება სხვანიც გამოეფინონო, რა მომხდარა, ნუთუ ამის მეტს არავის უყვარს მუსიკა ამდენ ქალებში, ან ნუთუ ბევრად დახვეწილი სმენისანი არიან, ნუთუ არ მოსწონთ?! ბევრს მოსწონს, სხვა თუ არაფერი; მოსწონს გიორგი ყანჩაველსა, ესენი რად არ გამოჩნდებიან; მაინც უკრავდა, ასე ერჩივნა, ასე დაილია დღე, ერთი დღე დაილია, მხოლოდ ერთი, როგორც იყო, ჩაილია, ჩაკვდა, რაღა ჩაჰკლავდა მეორე დღესა, თუ მხოლოდ ორ დღელამეს იკმარებდა ლეკო თათაშელი, მაგრამ ვინძლო ერთი-ორი დღე კიდევ მოენებებინა, მერე! ქალბატონი დედა ბრძანებს, შევსწრებივარ, სამი დღელაღამეც რომ გადაუბამსო, დაამშვიდა გულქანმა.

ველარაფერი აწამა სტუმარმა, მხოლოდ შეევედრა, ღამისა რა გითხრათ, ოღონდ დღისით მაინც ნუ გამოუშვებთ ძაღლებსაო. გულქანმაც აღუთქვა, ღამისა მართლაც რა მოგახსენოთ, ხოლო დღისით, იყავნ ნება შენო...

## XIV

აღუთქვა და აღუსრულა, რაც არა თქმულა, ისიც აღუსრულა; არა თქმულა, რომ არ ეამებოდა იმასთან საუზმე თუ სადილ-სამზარი, აღარც მიუწვევია, შინ მოართვეს, მარტოდ დასტოვეს და მაშინ სიმარტოვე გამოდგა უამური თუ აუტანელი. ვიღასთვის შეეჩივლა, ისევ ნეტარად განისვენებდა ლეკო თათაშელი, ისევ გატვრენილიყო ზვარი, იქვე კაკლის ხეებს ჩამოეყარათ ტოტები, შეეკრაც ცაი — კაკლები ჩანდა, ზვარის კალთა და მეტი არაფერი. თუმცა არა, ერთხელ ფარშავანგამაც ჩაიგოგმანა, ინატრა, ნეტავი კიდევ ჩამოიგოგმანოსო,



მაგრამ ინატრა ამოღდა, აღარ ჩამოუფოგ-  
გმანია; ოღონდ ლეკომ გამოიღვიძოსო,  
ესეც ინატრა, ამოღ ინატრა, რაღა თქმა  
უნდა, ვეღარც შეიხედა იმასთანა, ვერც  
შეიხედავდა, ეგონა, ისევე შემომამტე-  
რებს თვალუბსაო, რაღა თვალლიად მძი-  
ნარი და რაღა მიცვალებული თვალდი-  
აღაო; სხვაც მოისურვა — იმ ასულთა-  
გან რომელიმე, თუნდაც ყველანი ერ-  
თადა, ოღონდ ვერ ისურვა გაბედულა-  
და, ხოლო თუ ასრულებულა, ასრულე-  
ბულა მხოლოდ გაბედული სურვილი, გა-  
ბედული, თამამი, შეუპოვარი, გაუბე-  
დავი გაქარწყლებულა. ერთხელ თით-  
ქოს კოდალაც ახმინადა კაკალზედა, ეს-  
ეც ივარგებდა, გამოადგებოდა გასარ-  
თობადა, მელოდიაც ამოვიდოდა ან გა-  
უხმელდა ჩიტის ფიქრებსა, ჰო ახმიან-  
და და მიწყნარდა მაშინვე, ალბათ ფუ-  
ღურო არ უფარგა, ან შეამჩნია მოყუ-  
რადე, ალბათ შეამჩნია, მოყურადე არ  
უყვარს კოდალასა; ერთხელ კაკალიც  
ჩამოვარდა, ერთხელ არა, რამდენჯერმე  
ჩამოვარდა, ოღონდ ცვივოდა ჭიანი,  
ცვივოდაა ნაჭიანადა, ხოლო ის ერთი  
ბატომლაც საღი ეგონა, ასე უნდოდა  
და ასე ეგონა, ჩავიდა ეძება, ეძება, ჩას-  
რისა ჭიანი, შემხმარნაჭიანი კაკალი სა-  
ღი ვერც ჩასრისა, ვერც მიატანა თვა-  
ლი, მაინც დადიოდა, მაინც ძირს გახლ-  
დათ, მერე ზვარისკენაც წაიწია, ჩაჰყვა  
ზვარსა, ჭალაში გავიდა, ჭალიდან რიყე-  
ზე, რიყიდან... თუმცა ჯერ რიყისა თუ  
ჭალისა მოთავდეს, ითქვას, რომ ეს უკ-  
ვე გართობას მიემგვანებოდა და მოჰ-  
ყვა სწორედ იმ კაკლის ჩამოვარდნასა,  
საღი რომ ეგონა.

იმ კაკლის ჩამოვარდნას მოჰყვა... გო-  
გონა მისდგომოდა მოღუნულ ტირიფსა.  
ტირიფს ტოტები რიყეზე ეყარა, ფეს-  
ვები ჭალაში, რიყიდან მხურვალეებს  
იწოვდა, ჭალიდან გრილოსა, თუმცა  
ჯერ ჰო გოგონა გამოჩნდა? რა თქმა უნ-  
და, გოგონა იხილა, სხვა არაფერი, ისე  
ჩაათავა ჭალაი, ხეც არ დაუნახავს, არ-  
ცა ბუნჩქი, არცა ყვავილი, მწერებისა  
რაღა მოგახსენოთ, მიემურებოდა, მიე-  
ქანებოდა, უკან აღარ იცქირებოდა რა-

ხან გარეთ გამოადგა ფეხი; მიექანებო-  
და და შედრკა, გოგონა რომ იხილა  
გოგონა წამოხრილ ტირიფთანა. მხატ-  
ვრისათვის ეგება თემადაც გამომდგა-  
რიყო: „გოგონა დახრილ ტირიფთანა“. აქეთ რიყე, იქით ჭალა, შუაში კუზი ტი-  
რიფისა, კუზზე დანდობილი გოგონა,  
ჭალა თავისი ფერებითა, რიყე თავისი,  
გოგონა თავისი კაბის ფერითა, მაგრამ  
მომიტევეთ, გოგონა ფანქრითა ჰხატე-  
და, ტირიფის კუზზე სახატავი ალბომი  
ედო, ციხეს გასცქეროდა, არგვენელთა  
ციხესა, რიყის იქითა, არცთუ შორსა,  
არცთუ მაღალ მთაზედა, გასცქეროდა  
და იხატავდა. ვინ იცის, მერამდენედ  
იხატავდა, მერამდენედ იწუნებდა, მე-  
რამდენედ უწყრებოდა თავსა. ამიტომ-  
ცა ჰქონდა თვალეზი წყრომისადა, ამი-  
ტომაც მოიხედა წყრომისადა, კენჭებ-  
მა რომ ჩაიხჩხრიალა.

— თქვენ?! — გაიკვირვა სტუმარმა.  
— თქვენა?! — მიაგება დამხდურმა  
და გადაიყარა წყრომის იერი. ირინე  
გახლდათ, უმცროსი დაი იმ მღუმარე  
ასულეებისა, ამან რომ იხილა ვახშმადა,  
მხოლოდ იხილა, ხმა იმათი არა სმენია,  
ბოლოს ერთისა მაინც გაიგონა. სულ უმ-  
ცროსისა, მთლად ქორფა ასულისა,  
ხმითაც ქორფისა, თვალტანადაცა, ის-  
ისა შეთვალებულისა.  
— ჰხატავთ?  
— არა... ისე...  
— შეიძლება?  
— ინებეთ...

სტუმარიც დაენდო ტირიფის კუზსა,  
ალბომს დაჰხედა, ციხე დახვდა, ციხეს  
დაჰხედა და სთქვა კარგიაო. მერე ჩა-  
ფურცლავ ალბომი — არაფერი იმავე  
ციხის ვარდა, მხოლოდ ის იყო, მხო-  
ლოდ იმავე მხრიდანა, ოღონდ მაინც  
თითქოს სხვადასხვანაირი გახლდათ,  
ზოგან არც მოთავებულიყო, ზოგან  
ღრუბლებიც ეხვია, ზოგან ეფრქვია სხი-  
ვები მზისა, ეფრქვია უხვავა, ზოგან  
ბინდში ალანძულიყო, ზოგან ასულიყო,

ოთარ ჩაიმიო  
აღიკაჟო მილო უნგ აძინდომენ ცან

სულ მადლა, ზოგან ჩადაბლებულიყო.

— ისევ... ციხე, ისევ... — ილიძობა და ფურცლავდა სტუმარი — ციხის ხატვა ვისწავლიათ...

— ვერა... — სინანულით გამოსთქვა ირინემა.

— ვერა?!

— ვერა. აი, შეჰხედეთ, რა ზვიადია ციხე, მე ვერ მივაგენი, სიზვიადე ვერ გადმოვიღე. — და ალბომს მისწვდა მობოდისებრითა, მოჩქარებით ჩაფურცლა, — ვერა... არ არის, აბა სად არის?! აქ თითქოს, მაგრამ არა... არც იქა, არა... არა... არა... ვერ მივაგენი.

— ჰვავს... — არ დაეთანხმა სტუმარი.

— კედლები, კოშკების განლაგება, თანზომიერება, მაგრამ... მაგრამ სიზვიადე?

— ზვიადი ადამიანია.

— ყველაფერია, რასაც ზვიადი ადამიანის ხელი ატყვია, ქვაშიც გადადის ადამიანის სული, მე ასე მგონია, ხესაც ეტყობა, ვისი დარგულია.

— უნდა წამეკითხოხს რაღაც მაგგვარები.

— მე არ წამეკითხავს.

— არ შეიძლება.

— რატომ გგონიათ, რომ მე...

— თქვენ ისე პატარა ხართ.

— მომიტყევით, დიდებს ამაზე არც ველაპარაკები, მომიტყევით თუ... — ჩახურა ალბომი, შებრუნდა სანახევროდა.

— მითხოვთ?!

— მე გამოგიტყდით, თქვენ არ დამინდეთ...

— ბოდიშს მოვიხდი, — შეწუხდა სტუმარი, — განზრახვით არ მომსვლია, უნებლიე წამომცდა. ასეთნაირად განსწავლულნი ლაპარაკობენ.

— პირველყოფილი ადამიანები ლაპარაკობდნენ.

— ავი არ წამეკითხავსო?! — გაიხზარა სტუმარმა, მოსწრებულად გამომივიდაო. გოგონამ იწყინა, ოღონდ არ შეეტყყო კრიალა სახეზე, მხოლოდ უფრო დაღუნა თავი.

— წამეკითხავს, რომ გულუბრყვილონი იყვნენ პირველყოფილი ადამიანე-

ბი და თუ წამომცდება რაიმე გულუბრყვილო, იმათ უფრო მიეწერებოდათ განსწავლულთა, დაბრძენებულთა, წიგნებით განათლებულთა. იმათი წიგნი ბუნება გახლდათ.

— მართალსა ბრძანებთ, მართალსა. ჭეშმარიტსა, — მსწრაფლ დაეთანხმა სტუმარი, თავიც აარაცრაცა მეტის დაბეჯითებისთვისა, — ბუნება იყო და ბუნება გახლავთ დიდი წიგნი, ყველაზე დიდი, მარად საკითხავი, ცხოვრებაც წიგნია, სხვა წიგნები მხოლოდ იმისთვისაა, რომ ეს ორი ჭეშმარიტი წიგნი როგორმე წაიკითხოხს ადამიანმა. არა?

— დიახ... — თავი ასწია გოგონამა.

— გგონებ შევრიგდით?

— დიახ... — გაიღიმა გოგონამა და ალბომი გაუწოდა, რადგან ხელი გაუშვირა სტუმარმა, გაუწოდა თავისი ნაფიქრი; ისევ მიენდო. — ეს ციხეც წიგნია და რასაც ვკითხულობ, ვერ გადომიციია.

— ახლა გავიგეთ...

— გმადლობთ...

ალბომიდან ფურცელი დაცურდა, ჩაისრიალა, დავარდა იქვე. მოიბოდინა და ისე დაეწოდა სტუმარი; დაეწოდა, აიღო და ჩააცქერდა, რა თქმა უნდა ჩააცქერდებოდა, აღნიშვნაც არ უნდა ასეთ რამესა, მაგრამ ზოგს ყურადღება არა ჰყოფნის ან სიტყვა გაიტაცებს, ასეთი ფურცელი ადვილად გამოირჩება. იმას სათქმელი აღარა ჰქონდა და, რომ დააცქერდა, იმითომაც დააცქერდა, საბაბი მომეცემო, მართლაც მიეცა: ბატები იყო გამოხატული, რიყე და ბატები, მშრალი რიყე, უმდინარო რიყე, სადღაც ვინ იცის, პატარა გუბე თუ იდგა. ისე დაძაბულიყვნენ ბატები, მივაგნებთ თუ არაო, სიცხის ლულში დაძაბულიყვნენ, აეწურათ კისერი, ისე აესავსავებინათ თავი, სიცხის ლულში არიანო, მოგეჩვენებოდათ, იგრძნობდით და აგეწვოდით მხრები. მხრებიც აეწვა და რიყესაც გაჰხედა, გაჰხედა იმა უმდინარო რიყესა, ვრცელ რიყესა, არსად წყალი რომ არ მოსჩანდა, დაწყვეტილიყო. დაწრეტილიყო, სადღაც ზევით, მთებშივე



როგორ გამოვხატო, ველარ მიმხვდარ-  
ვარ.

- მიხედვებით...
- ალბათა...
- ის როგორ გირჩევს?
- ბეჭი? ველარცა ვხედავ...
- არ ჩამოდის?
- არა...
- განა წუხელის არა ყოფილა?!
- არა... არ ვიცი...

თვალი მოარიდა, ეგება კიდევაც გაბრუნებულიყო ციციხელადა, არ უნდა შეჭკითხოდა, თითქოს გამოსცადაო, თუმცა განზრახვით არ მოსვლია, მაინც გამოცდასა ჰვავდა, თავისთვის უნდა დაედასტურებინა თუ ვინა სწვეოდა წუხელისა; არც ეეჭვებოდა, ბეჭა იქნებოდაო, მაშინ არც უფიქრია თუ ვინ იყო, არც შეშინებია, გამოიხსნა ისეთი შიშინანა, არ მოეკიდებოდა იმისი შიში, მაგრამ ასე უცებ მოუხდა გაეგო, ასე შეაპარა, მაინც ვერ გაიგო, აღარც ჩასციებია. ვინც უნდა ყოფილიყო, გამოიხსნა და ვინც უნდა ყოფილიყო, აღარც მოაკითხავდა, მოთავდა, მორჩა, არა ჰგავდა სხვებსა, რომ არ უჯერიდნენ, ჩასციებოდნენ, ვილაცა მიაჩნდათ, ემორჩილებოდნენ ან ერიდებოდნენ. ან აპკვიატებოდნენ ასე, ლეკო რომ აპკვიატებოდა, ჰო არა ჰვავდა, მაშინვე გაუგო, დაუჯერა, წავიდა, აღარც გამოუჩინდებოდა. იმისი შეხვედრა მაინც არ ეწყინებოდა, უკეთესად გააცნობდა თავსა, და ვინ იცის, ფიცვერცხლიც ეჭამათ.

— იქ ჰო არა ყოფილხართ? — მერე ეს იკითხა.

— ვყოფილვარ... ვყოფილვართ, ავდიოდით ხოლმე ყველანი...

- ახლა?
- არა... აღარა... თქვენ ჰო არ აპირებთ?

— არა, არა, არა! — მსწრაფლ დაატანა, — ისე... თქვენთვის ვამბობ, ეგებ ახლოდან მიაგნო-მეთქი... — შეშინდა, თითქოს რალაცაში გამოტყდაო, თითქოს

დაწრტილიყო, ქვევით-ქვევით ველარ ჩამოედწია, ცხელ გაზაფხულსვე ჩამოეწოვა ჯიქანი, ჩამოედინა ღონივრალა, ერთბაშად, მთლად ჩამოეშრო მხურვალე ზაფხულსა. იცის ასეთი მდინარეები კავკასიონმა, პატარა მდინარეები დიდრონი რიყეებითა, გაზაფხულობით აღავსებს ხოლმე იმ რიყეებსა, ხოლო ზაფხულობით დაპყრის ხოლმე უპატრონოდა და იხრუტებიან უმოწყალოდა. შეუბრალებლად, გამეტებულად, იხრუტება ქვიშაცა, ქვაცა. ქვაც იწვოდა იმისი ცოდვითაო, ნათქვამი რომ არის, ალბათ უწყლო რიყეზეა ნათქვამი. ქვა თუ იწვოდა, რა დაემართებოდათ ბატებსა?

— ასე მგონია, ცეცხლი წაეკიდებათ ბატებსა. — აღმოთქვა სტუმარმა ვაკვირვებითა და მოწონებითა.

— აღმური იგრძნობა... — უბრალოდ დაატანა ირინემა.

— მხატვარი ყოფილხართ... არა, არა, ასე არ უნდა მეთქვა, — თითქოს დაიბნა თუ შეეშინდა კიდევ არაფერი მიწყინოსო, — მე ჰო არ ვიციდი, მხატვარი რომ ბრძანდებოდით? სად დახელოვდით?

— რა მოგახსენოთ, ჯერ წესიერი მასწავლებელი არცა მყოლია.

— ალბათ მოგდგამთ, თქვენი დებიც...

— არა, არა, დები არა... დიდედა გურანდუხტი ქარგავს.

— ვამიგონია...

— რა თქმა უნდა... უცხოეთის გამოფენებზეც გაუტანიათ დიდედა გურანდუხტის ნაქარგები, თქვენ ალბათ...

— არა... თუმცა ვინ იცის... ერთი სიტყვით ბატონი ლეკო ბრძანებდა, დროშაო... აბა, სად არის ის დროშა? — ნახატს დააჩერდა, ისე დააჩერდა, თითქოს მიაგნო სიზვიადის ნიშანსაო.

— შარავზიდან მოსჩანს, აქედან არა...

— იქიდან რომ გადაგხატათ?

— არა, არა, სხვა რალაცა, — თვალეები დახუჭა ირინემა, — აი თითქოს მეჩვენება, ასეც მეჩვენება, შევხედავ, მაშინაც მეჩვენება, მაგრამ რისგანაა ან

ოთარ ჩხიძე  
გორიყაძე

გამოსცადა წრფელმა გოგონამა, გამოსცადა ასე მოხერხებულადა, თითქოს დასტყუა საიდუმლოო; შეშინდა და აღარც დაფიქრებულა, საჩქაროდ მოუყვა, თუ როგორ მიიჩინეს ვიღაც საგანგებო დავალების მქონე პირადა, თუ რა გადახდა, თუ რა განიცადა, რაოდენ მოულოდნელი იყო იმისთვისა, იმ ადამიანისთვისა, მუსიკის გარდა რომ არაფერი ახსოვდა ამ ქვეყანადა. სხვა არც არაფერი ელანდებოდა, არც ესმოდა სხვა არაფერი; თუ როგორ აუხსნა ელიზბარ ხეთერელმა, თუ როგორ არ ერწმუნა და როგორ აუხდა ყველაფერი — ჭერკიდევ სად არის, ვინ, იცის, კიდევ რას გადაეყარო ლეკო თათაშელის ვადამკიდეო.

— ბატონი ლეკო უცნაურია... — გაიღიმა ირინემა.

— მაშ მაგას რად ვადამკიდა ელიზბარ ხეთერელმა?!

— არავინ არას ერჩის ლეკო თათაშელსა...

— მე ვინ რას მერჩის?!

— გარჩევა აღარ არისო, დიდედა გურანდუხტი ბრძანებს.

— ბატონი ლეკო თუ გაურჩევიათ?!

— აღარც მაგას გაარჩევნო...

— დიდედა გურანდუხტი ბრძანებს?

— დიდედა გურანდუხტი ბრძანებს.

— და თქვენ ყბელას გჯერათ...

— ყველასა გვჯერა. თქვენც გესაუბრათ, გჯერათ თუ არა?

— რა მოგახსენოთ... ყველასი მჯეროდა, ახლა დავიბენი, თითქოს რაღაც ქსელში ვისლართები, თითქოს ველარ დავადწევ თავსა, თითქოს მარწუხი მოიწვეს, მოიწვეს და აი საცაა მწვდება ყელშია. მხოლოდ ერთი სურვილი დამუფლებია, როგორმე ჩავადწვიო თბილისში, ჩემს მასწავლებელს დავაყრდნო თავი მხარზედა და ამოვიკენესო ღრმადა, ამოვაყოლო ქვითინი, ქვითინი გულამომკდარისა. ეს სისუსტეა, ვიცი, ამას არ უნდა გეუბნებოდეთ, რაიმე უნდა მოვიგონო, გმირული უნდა ვთქვა, უნდა მოგხიბლოთ ზღაპრული ამბებითა,

მე უნდა ვიყვე გმირი იმა ზღაპრებისა. თუმცა ახლაც ზღაპრები ვეხსლართე, მაგრამ რახან ვერცხსმეგა ლეგია ეს ხლართები, გმირიც არა ვარ. თქვენ გმირი მოგხიბლავთ, ყველასა ხიბლავს გმირი. ვაგლახ რომ ვარდასულადრო გმირობისა.

— დრო ყოველთვისაა, ოღონდ გმირები არ არიან ყოველთვისა. ნუ მეტყვით, რომ სადღაც წამიკითხავს.

— არა, არ გეტყვით, გამოგიტყდით, გაგენდეთ, აღარაფერს გეტყვით გამომწვევსა. თუმცა წელანაც არ მითქვამს გამომწვევადა, მე რომ ქალიშვილებს ვიცნობ. იმათ უხარიათ, როცა ეტყვიან, ბევრი წაგაკითხავთო. ამიტომ იყო, რაც იყო, იყო, ნულარ გამიწყრებით, ნურც მომაგონებთ...

გაიღიმა ირინემა, გრძელი წამწამები ააცამცამა, აღარ მოგაგონებთო. აღარც მთაგონებდა, თანაგრძნობაც მოეკიდა ამ ფერმკრთალი სტუმარისადმი, ასე რომ გაწვავლებულა, ასე წრფელი რომ ყოფილა, თანაგრძნობა მოეკიდა, მაგრამ შეწვენა არ შეეძლო, ისიც ჰო სტუმარი გახლდათ, ხშირი სტუმარი, ოღონდ მაინც სტუმარი დიდედა გურანდუხტისა, რომელიც არავის არაფერს აკითხებდა, ბავშვებს არ გაურევდა არა საქმეში, ხოლო ბავშვად მიიჩნევდა განა მხოლოდ ირინესა, თვით სალომესაცა, რადგან ჭერ ქმარი არ აღვა თავზე. და ვინ უწყის, გულქანმაც ამიტომ ამოიჩემა, საქმრო დამელუბაო, რომ ბოლოსდაბოლოს როგორმე დაედწია თავი ბავშვობისთვისა. სხვა ჟინიც წამოჰკრავდა, ესეც იქნებოდა ან დაე, მიეწეროს ესეცა. ირინე მაინც ვერ გაერეოდა საიდანლაც მოვლენილი ყმაწვილის საქმეში, ვერას შეჰბედავდა დიდედა გურანდუხტსა, თან ეცოდებოდა ლეკო თათაშელის ანაბრადა.

— დედა გულქანს რომ გავუხილო?

— განა რას იღონებს?

— ვინმეს ვაგაყოლებთ... თუმცა, ცოტახანს რომ შეიცადოთ? განა აქაც ვინმემ ვაწყენინათ?..



— არა, არა... აქ კარგია, მაგრამ მე  
ჰო აქ ძალად სტუმარი ვარ, ძალად სტუ-  
მარი თათარზე უარესიაო.

— რომ არ იყოთ თათარზე უარესი?  
— თათარი ვიყვე?

— არა, ქრისტიანი...

— მინც დარჩენა არავის უთხოვნია.  
ელოდებიან ბატონ ლეკოს გავლიძეებას.

— ჰა, ჰა, ჰა... ვინ უწყის როდის გაი-  
ღვიძებს ბატონი ლეკო?!

— დიდი-დიდი სამი დღედაღამეო...

— ჰა, ჰა, ჰა... რომ გამოიღვიძებს,  
განა არ შეიძლება, კიდევ ისე გამოთვ-  
რეს ბატონი ლეკო?!

— არ დანებებს დიდდა გურანდუხტი.

— დეიდა გულქანს რომ გაენდო?

— განა რას ჩაიდენს დედის უნებუ-  
რსა?!

— გასართობადა?! ასეთ რამეს ჩაი-  
დენს, გართობა უყვარს დეიდა გულქან-  
სა.

— არც ამდენი, ჩემო კულრაქა გო-  
გონი, — მოისმა მკაფიოდა, მკაფიოდვე  
გამოერჩა გულქანი ბუჩქნარსა. ვიწრო  
ბილიკი მოძვრებოდა იმ ბუჩქნარშია,  
გაჰკვირდებოდათ თუ როგორ გამო-  
ტეულიყო ვეება ქალი, თუმცა ფეხები  
ვიწრო ჰქონდა, ვიწრო, აწოწილი,  
მაგრამ ტანი ვეება შესდგომოდა აწო-  
წილ ფეხებსა, ტანი და თავი ერთმა-  
ნეთზე გასწორებული, ხოლო ჩამო-  
გრძელებული ნიკაბი ჰო გულზე ედო,  
ჩამჯდარიყო გულშია; გაჰკვირდებო-  
დათ თუ არა, ან ისინიც გაჰკვირდნენ  
თუ არა, რა ბედენაა, ე გამოეტია და  
წაადგა თავსა, — არც ამდენი-მეთქი... —  
გამიერთა ცოტა უფრო მკაცრადა, —  
ახლა გაცუნტულდი.

— დეიდა!.. — თითქოს იუკადრისა  
ირინემა, იუკადრისებდა მამ რაო,  
გნა ამასაც ახსნა უნდა?!

— გაცუნტულდი, ჩემო გოგონი! —  
ტუჩების მოვიწროება სცადა გულ-  
ქანმა, კბილები უფრო გადმოუცვივდა,  
უფრო მწვევდაც გამოუვიდა, ვითომც  
ილერსივით წარმოსათქმელი.

თითქოს შეამცივნა ირინესა, თვა-  
ლებიცი მილულა, ისე მოაფათურდა  
ალბომი ტირიფის კუზზედა.

— ჩვენ... — ესლა გამოსტევა, სხვა რა  
მოედევნებინა, აღარ იცოდა სტუმა-  
რმა, ეგება ასული მომეშველოსო,  
ერთი წამი მოაცილა თვალი და რომ  
მიუბრუნდა, იქ აღარ გახლდათ, გა-  
მქრალიყო მწყყალი, ვაბუტული, გა-  
ბუსხული.

— თქვენ შეიცდით, — მიატანა გულ-  
ქანმა, — ორ სიტყვას გეტყვი: ჭერ  
ერთი, ახლა ზეინაბის ჭერია... თქვენ  
ეს იციო, გული ვითქვამთ იმისთვისა,  
თქვენ წესიერა ახალგაზრდა ბრძანდე-  
ბით, გონიერული განზრახვა გავქეთ და  
მხოლოდ ვაბედულება გიშლიო ხელსა,  
ამიტომაა რომ ბავშვს განდობილხართ,  
ბავშვს ელაპარაკებით. ჩვენ ბავშვს არ  
ვანდობთ ასეთ ამბებსა, იმან ჭერ ეს  
არ იცის და ნებასაც არავის მივცემო,  
უდროუდროოდ აღმღვრიოს გული.  
ამაზე უფრო ჩვენ უნდა გველაპარა-  
კოთ, ჩვენ ვიორგი ყანჩაველს შევუ-  
თანხმებთ თქვენს განზრახვას და გადა-  
ვწყვეტთ წესისამებრ.

— მე ქალბატონო!.. — შეიცხადა  
სტუმარმა, მაგრამ ველარც განაგრძო,  
ისე მოუჭრა გულქანმა.

— დიან, თქვენა!.. ნუ შიშობთ. ამი-  
სათვის არავინ ვაგვიწყრებათ, გასათხო-  
ვარი იმისაა, რომ ითხოვს, ვისაც მოე-  
წონება, ხოლო ვაჰყვება იმასა, ვისაც  
აირჩევს, ვისაც აურჩევს. ამ არჩე-  
ვანში უარს მიიღებს ბევრი, ბევრჯე-  
რაც მიიღებს, ეს არაფერია, მამაკაცი-  
სათვის ჩვეულებრივია, თქვენ ამისი  
ნუ გეთაკილებათ.

— მე ქალბატონო...

— ჭერ მე არ დამიმთავრებია, — კვლავ  
ჩაუჭრა გულქანმა. — ეს ერთი და მე-  
ორეც ეს იქნება, ძალიან რომ არ გა-  
გვიჭიანურდეს საუბარი, ძალღებს ისევ  
გამოთუშებენ.

მთარ ჩხიძე  
ზინდიაძე

— ახლავე?! — შესძახა სტუმარმა.

— შინ მისვლას მიასწრებთ... — და-  
ამწვიდა გულქანმა და მერე მშვიდა-  
დვე გაჰყურებდა, თუ რა ფაცხაფუ-  
ცხით მირბოდა სტუმარი, როგორ  
იხლართებოდა ბუჩქებშია, ბილიკი  
როგორ ეკარგებოდა, მერე სულაც  
დაიბნა ზვარშია, არჩვენელთა სასა-  
ხლე აქეთ დარჩა, ის სადღაც იქით  
ისევ ქალასა და რიყეზე აღმოჩნდა:  
ჰო მშვიდადვე გაჰყურებდა, თუმცა  
მიეფარა თვალთავანა, მაინც გაჰყურებ-  
და, რადგანაც იცოდა თუ როგორ დაიბ-  
ნეოდა, როგორ აერეოდა გზავალი,  
სად იბორიალებდა უთავბოლოდა,  
იცოდა და იქითაც გაჰგზავნა მხმობე-  
ლი, მოაყვანინა, მიაგნებინა თავისა  
ოთახი. ამან არ იცოდა, რა თქმა  
უნდა, ვისი წყალობით დაბრუნებულ-  
იყო, ვითომც შემთხვევით შეჰხვე-  
დროდნენ, ვითომც შემთხვევით გამო-  
ეყვანოთ, ჰო არ იცოდა, არც გაუმხელ-  
და, არც არავის გაამხელინებდა  
გულქანი, ასე სჩადიოდა სიკეთესა,  
არა ზრუნავდა სახელის მოსახვეჭადა.  
ეს არც იკითხავდა, თუმცა მაინც იკი-  
თხა, ოღონდ სხვა იკითხა, ძაღლები  
ჯერ ჰო არ გამოუშვიათო, ჯერ არაო.  
და დამშვიდდა.

## XV

დამშვიდდაო, მაგრამ ვაი იმ და-  
მშვიდებასა, ისევ მარტოდმარტო  
გამოემწყყვრა პატარა ოთახში. იარა,  
იბორიალა ანუ იტრიალა თითქმის  
ერთ ადგილასა თავბრუ დაეხვა, მი-  
აწყდა საწოლსა, მიაწყდა და მიეგდო,  
ნერე ფიქრს მისცა თავი, ვერც ვერა-  
ფერი მოიფიქრა, ვერც მოიგონა,  
აზრის მაგვარიც არაფერი წამოეშვე-  
ლა, გაწამდა, გუნება აეწეწა, ხოლო  
ცოტა რამ რომ მოიაზრა, ისევ ლეკო  
თათაშელის იმედი მიეცა, ბოლოსდა-  
ბოლოს გაიღვიძებს, ბოლოსდაბოლოს  
ისევ ეს გადამარჩენს, თორემ სასიძოობა  
საიდანღა გამომიგონეს, ეს რაღა უბე-  
დურებაა ჩემს თავსაო, ჰო, ისევ ეს

თუ გადამარჩენსო, კარგია თუ ავიწრო,  
ამის ანაბარიო, ანაბარი ვარაუდობა  
იცისო, სხვა შესაფერისი ანაბარე-  
ბიც მოიგონა და მიწყნარდა, ოღონდ  
გაიღვიძოსო, ოღონდ გაიღვიძოსო.  
მაგრამ ვაგლახ, თითქოს აღარ ეწერა  
გაღვიძებო, ის დღეც ჰო დააღამა, ის  
ღამეც ამოიღო თავქვეშა, საღაც სამა-  
რთალია იმ დილით ფეხზე უნდა  
მდგარიყო, არა გეტყინოთ რაო, ბა-  
იბური არ ისმოდა იმისი ოთახიდანა,  
შეუძახა, მიუკაჟუნა, კარიც შეაღო,  
არავინ შეპასუხებია... ასეთ დროს  
იფიქრებთ, ვინ იცის ადგა, წავიდა,  
ეს აღარც ვახსენებია, ან გაახსენდა.  
მაგრამ მობეზრდა და დაავდოო, ან  
განგებ დასტოვავო, ყველაფერს იფიქ-  
რებთ, ამდაგვარს იფიქრებთ, რომ  
უფრო უმწეოდ დარჩეს სტუმარი  
ან გაეხას სასიძოობის ორომტრიალში,  
ველარ დააღწიოს თავი, დიდხანს ვერც  
ვერაფერი გაარიგოს, ბოლოს რო-  
გორც იქნება გაჩადდეს ქორწილი  
და სხვა, და სხვა, და სხვა, — იფიქ-  
რებთ, ოღონდ გიჯობთ არ იფიქროთ,  
ნურსაით ნუ გადაგძლევეთ ფიქრი,  
რადგან არ გაეპარებოდა ლეკო თა-  
თაშელი, ვერაგობას არ ჩაიდენდა არც  
განგება, არცა უნებლიედა, არ გაი-  
პარებოდა, არც გაპარულა, გაშოტილ-  
იყო იმავე საწოლზედა და, ამან რომ  
შეიქვირიტა, იმანაც მიაფეთა ღია თვა-  
ლები, უაზროდ ღია, ღია უსიცო-  
ცხლოდა, ამომშრალ ამოწმენდილი,  
ამოხვეტილი.

ეს შეშინდა, ვინ უწყის, აღარც  
არის, ამაოდ ველოდები ამის გაღვიძე-  
ბასო, უნდა ეთქვა, უნდოდა შეეძრა  
ყველანი, მაგრამ აივანს რომ გადაადგა,  
ეს რომ აქედან გადაადგა, იქედან  
ამოიყალყნენ ქოფაკები, ამოიყალყნენ  
და ამოჰღრინეს, ვისთვის რა გაეგე-  
ბინებინა, არავინ მოსჩანდა, არაფერი  
მოსჩანდა თვინიერ ზვარის ვიწრო  
კალთისა და ტოტებგადაშლილი კა-  
კლებისა. ხანდახან დაირაკუნებდა  
ჭიანი კაკალი, სადღაც ზეით დაირაკუ-





ნებდა, წამოვიდოდა რაკა-რუკითა, ძირს გააღენდა ზღართანსა. ერთი ცენახოთ კიდეც დაიწყო რაკუნი ჭიანჭაკაალმა და ამასაც ეახლნენ, ქალბატონი გულქანი გისმობთო, რაღა დააყოვნებდა, გაეშურა, შეეტყობინებინა თავისი ეკვები. იმან არ ათქმევინა, ამას სალამიც რომ დააეწყდა, იმან შეახსენა, მერე შეიწვია ბარძიმის ოთახში, დაბრძანდით, სავარძელი შესთავაზა, თვითონაც მახლობლად ჩამოჯდა. იქვე სხვაც ელოდებოდათ, ისიც ახალგაზრდა გახლდათ, ნიკოს კბილა იქნებოდა, უფრო მალალი, ზრგე, შავ ხალათს მოსწოლოდა კუნთები, მხარ-ბეჭი, ლამის გადაეფხრიწა, ფეხებიც აქეთ-იქეთ გადაეყარა, ვეება ფეხები, სკამის სიმაღლე არა ჰყოფნოდა. სახე თხელი ჰქონდა, მალალი ცხეორი, ხშირი, გადაბმული წარბები, მწვავე გამოხედვა, კანი გამომწვარი მხურვალე მზეზედა, აკრიალებული, ცოტაოდნავ ალაპლაპებული... ასე იმიტომ დააკვირდა, ვინ იცის, ამასაც ჩემსავით გამოაცვლევიანს სამოსით, (თუმცა თვითონ უკვე გამოწყობილიყო წესისამებრა, გამოესკვნა შავი ბაფთაცა), ვინ იცის, ესეც უდროუდროოდ მოვლენილა ჩემსავითა, ან მუსიკოსია, ან მხატვარი, ან პოეტი, ან რაიმე ამის მსგავსით. თუმცა ვერ გაარკვევდა, მსგავსი სხვა რაღა უნდა ყოფილიყო, ოღონდ იმან მაინც მიხვდა, თბილისიდან არ უნდა იყოს, აქაურია, გლეხიაო.

აქაური უნდა იყოსო და აქაურიც გახლდათ, ოღონდ არა არჯვენელი, ეს არცა ჰგონობდა, უსათუოდ არჯვენელიაო; გლეხი უნდა იყოსო და გლეხიც გახლდათ, სახელად შაქრო ან შაქრია, გვარად ცისკარაშვილი, ელიზბარ ხეთერელს გამოეგზავნა. ეს რომ გაიგო, ლეკოც დააეწყდა, გულქანიცა, რაც გადაჰხდენოდა, ისიც გადაჰქრა აზრიდანა. წამოვარდა, ჩამოართვა ორივე ხელი, ჩამოართვა

და ჩამოჰქნია, მერე აისუსა და მიჩერდა, ვითარცა მსხნელსა. ის ჩქარობდა ან ეთქვა თავისი, დანაბარები გადაეცა, ელოდა, აქ რაღას იტყვიანო. არც გულქანი ჩქარობდა, ბარძიმის ოთახში მოეწვია სტუმარი, ჯერ მიხედ-მოიხედა, კარგად დაჰკვირვებოდა სურათსაცა, იმის იარაღსაცა, — თოფებსა, დამბაჩებსა, ხმლებსა, ხანჯლებსა, იმის სამოსსაცა, — ჩოხებსა, ქულაჯებსა, ნაბღებსა, ევროპულ კოსტუმებსა, იმის მწვერებსაცა, ფიტულეზად იდგნენ ყოველ კუთხეში, იმის მოკლულ დათვებსაცა, — ძირს ეფინა ტყავები, ირმებსაცა, — კედლებზე ეკიდა რქები, ირმის რქებს ასხმოდა იარაღიცა, სამოსიცა, სანახავადა ჰღირდა, მიეხედ-მოეხედა, ეკითხა, მოესმინა პასუხი ყურადღებითა, ნუთუ არას დააკვირდებოდა, ნუთუ არას იკითხავდა?! კეთილი, ნურას იკითხავდა, თვითონაც არ მოუყვებოდა, თუ რა უბრალოდ დაიღუპა ბარძიმ ზედახეველი, რა მომავალი ელოდა, როგორ შესტრფოდა ყველა, ვინც იხილავდა თუნდაც ერთხელა, ხოლო იმას როგორ უყვარდა, მხოლოდ გულქანი, როგორ გაენდო, როგორ დაინიშნა, როგორ უნდა გადაეხადათ ქორწილი და სწორედ ქორწინების წინა დღესა... დემრო ჩემო, რა არის ბედი!.. არ ეტყვის ცხადია, თუ არ უნდა, არ ეტყვის, ოღონდ გულში მაინც გაიმეორებს, დაელოდოს, ვიდრე გაიმეორებდეს გულში. უჯობდა ეკითხა, უჯობდა მოესმინა, მუნჯად სხდომა ბევრად აუტანელი გამოდგა, მაგრამ რა ექნა, ვერ მიმხვდარიყო თუ რა სურდა გულქანსა, ვერც ის გაეგო თუ იხმეს, რაღაღა მდუმარებდნენ.

გაუგებრად არ დარჩებოდა, ამას თუ არა, იმას მაინც გაიგებდა თუ რისთვის მოსულყო შაქრო ცისკარიშვილი, რად გამოეგზავნა ელიზბარ

ოთარ ჩხიძე  
გორიანი

ხეთერელსა. ამასაც მეტი რა უნდოდა?

—მოახსენე! — ჩაიჩურჩულა გულქანმა ბოლოსდაბოლოსა.

—ასე დამაბარა ელიზბარმა, — დინჯად წამოიწყო შაქრომა, მანამდის მოიხადა ნაბდის ქუდი, მოგრიხა, მოწურა ხელშია, — ვერ გამომართლა ლეკომაო, ცუდად ვატარა, აქამდის ვერ მიაღწიე იტრიელებადისაო. შენი ბარგი უკვე გადავუგზავნე, გელოდებიანო. მანდაც კარგად მეგულეებით, მაგრამ როგორც დავთქვითო, ისე უნდა აღსრულდებოდაო. ახლო ვინ იცის, მანდაც გორჩვენთან, მაინცაო, რაც უნდა გერჩვენოსო, შენი მანდ დარჩომის როგორი მდომელნიც უნდა იყვენ შენი მასპინძლებიო, მაინც უნდა აიყაროო, ამ კაცს გაჰყვეო, ჩემზე მოგახსენებს, ეს გადაგიყვანა იტრიელებთანა, მერე იმათ იციანო. ნურც დააყოვნებო, ნურაც იყოყმანებო, მოვიდეს თუ არა, ფეხდაფეხ გაჰყევით. ასე დამაბარა და მეც აქ გახლავარ. — დაამთავრა და წამოდგა, ბარემ წავიდეთო, ამასა ნიშნავდა.

გულქანმა ხელი დაუქნია, დაჯექით. დაჯდა ისიცა.

— ქალბატონი დედა ბრძანებს, — მიადევნა გულქანმა, — სასურველი სტუმარი ხართ, მაგრამ ვერას ჩავიდენტ ელიზბარის უნებურსაო. იმან უკეთ იცის, როგორა სჯობს თქვენთვისა, ვეთანხმებით და ვისურვებთ, კვლავაც შევხვედროდეთ ერთმანეთსაო. განგებით იყო თუ შემთხვევითა, მოხარულნი ვართ, რომ გაგიცანით, დავშთებით თქვენი პატივისმცემელიო.

— გმადლობთ! — მოწიწებით წარმოსთქვა სტუმარმა, — აგრეთვე მეც, უაღრესად მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრისა, თქვენი ჯაცნობისა, თქვენთან საუბრისა. ჩემს მესხიერებას ღრმად დაეძლო და არასოდეს ამომეშლება ის სასიამოვნო დღეები, აქ რომ გავატარე. ვისურვებდი კვლავაც შევხვედროდეთ. ჩემი მადლობა უსაზღვროა, უსაზღვროა ჩემი პატი-

ვისცემა თქვენდამი, ყველასადმი და განსაკუთრებით ქალბატონ გულქანსადმი. — თავი დაჰხარა სტუმარმა, მოწიწებით დაჰხარა.

— ქალბატონი დედა ბრძანებს. — განაგრძო გულქანმა, — ამ დღეთა სახსოვრად ჩვენგან მიიღეთ ეს მცირე ნობათიო, — იქვე ბალიში ასწია, ხანჯალი გამოიღო გულქანმა, — მართალია ეს ხანჯალი შემკული არ არის არცა თქვითი, არც ვერცხლითა, ძვლის ქარქაში აქვს, მაგრამ ძვალთა მოქარგული იშვიათი ხალოვნებითა, ზედ ჩანვიცაა და რაღაც ნიშნები. ვინ იცის, ძველი სანოტო ნიშნებიც არისო. — თქვა და გაუწოდა.

— ო, გმადლობთ! გმადლობთ! — წამოიჭრა სტუმარი, ჩამოართვა, ჩააჩერდა, ვერც ჩააჩერდა, აღელვებულყო, — რა მოულოდნელია! რა... რით რა? გმადლობთ, ო, დიდათ გმადლობთ! დიდათ დამავალეთ, აღარ ვიცი, რითი ვადავიხადოთ.

— ქალბატონი დედა ბრძანებს, სახსოვარი წმინდაა და ვადახდაზე ლაბარაკი შეჰბლაღავსო.

— მომიტყევთ

— ქალბატონი დედა ბრძანებს, ბოდიში უადვილოა სახსოვარის მიღების დროსო.

და წამოდგა გულქანი, წამომართა, ხელი გაუწოდა გამოსამშვიდობებლად, ის ხელი, მაშინ რომ ეამბორა და გული არ აერია, ახლა მით უფრო ისე მახინჯადაც აღარ მოეჩვენა, დასწვდა, ეამბორა გულმოდგინედა. შაქროც წამოდგა, რა თქმა უნდა, გამომშვიდობება მოთავდა, უნდა გასდგომოდნენ გზასა... გზას უნდა გასდგომოდნენ და დაბლა თაღებიან დარბაზში გუგუნი გაისმა, ჰეპეი, სადა ხართ, რა ზღება უჩემოდაო. უცნაურ ხმას გამოსცემდა თაღებიანი დარბაზი, უცნაურად გუგუნებდა და ჭიქურ იჭრებოდა ბარძიმ ზედახვევლის ოთახში თუ მუხუეუში. ვინც უნდა დაბნეულიყო, გულქანი მაინც მიხვდებოდა, რომ

ლეკო ბრძანდებოდა ამის ჩამდენი, მხოლოდ ლეკო, სხვა არავინა. სხვა არც არავინა ყოფილა, აღარც დიდხანს ულოდინებია, სად იყო, სად არა, წაადგა თავსა.

— რა ხდება უჩემოდა?! — მკაცრად იკითხა ლეკომა.

— ის რაც უნდა მომხდარიყო უშენოდა. — მშვიდად მიუგო გულქანმა.

— მე თუ ლეკო თათაშელი მქვიან...

— ვიცითო, ქალბატონი დედა ბრძანებს.

— არ გაწყენთ, კიდევ რომ შევახსენოთ.

— მაგრამ საუკუნო ძილი თუ განგებრახათ, ვერ ჩამოგყვებოდით თანა.

— ახლა აქ ვახლავართ.

— დაბრძანდით!

თქმაც არ უნდოდა, მანამდისაც ათვლიერებდა თუ სად დამჯდარიყო, — მწვერების შუა მოჰყვა, იქ იდგა ხმელი სავარძელი, დაბალი, კაკლისა, ჩუქურთმიანი. იქ ჩაჯდა და ხელები შეაწყო ფიტულებსა.

— დაებრძანდი... — მუქარასავით მოადევნა, ვითომდა რაო, მალე მომახსენეთ, რა განვიზრახავთ უჩემოდლო.

— ბრძანდებოდე, — იტყვიც გულქანმა, — ჩვენ უკვე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთსა.

— გვრეკავთ?! ვინა ჰკადრებს ლეკო თათაშელსა?!

— არავინა... ლეკო თათაშელი ლეკო თათაშელია, ისიც აუტანიათ არჯევნელებსა. სტუმარი ღვთისააო, ქალბატონი დედა ბრძანებს.

— აგაშენოთ ღმერთმაჰ. ღვთისა ვარ და მომეჩეკით ღვთაებასავითა.

— ღვთაებას ერთხელ შევწირავთ ზვარასა და მოგვეშვება ხოლმე, შენ რამდენიმე დღეა თავს დაგტრიალებთ.

— მამადლით?!

— არა! შეიცადე... როგორც გენებოს, ხოლო ეს მიდის...

— მეც მივდივარ, მივდივარ ნაწყევ-

ნი და დღეიდან ჩემი ფეხი აღარ იქნებოთქვენს ოჯახში.

— არ გამიკვირდება, უმადურებაც მოსდგამთ ადამიანებსა.

— ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის!.. — ჩაერია სტუმარი, თითქმის შეევედრა ლეკოსა, — მე ისე ნასიამოვნები ვარ, ნუ ჩამამწარებთ!

— გადავიბირებს?! ჰა?! — სახე დაეფშხალა ლეკოსა, — ასეა, კმარა თვალი წავაბყუო. მაშინვე გადაიბირებენ ყველა ჩემს მეგობარსა. რას იზამთ, არა ტყუიხართ, ჩემი ბეღია, ვინ აღუდგება ჩემს უკუღმართ ბედსა. რას ვიზამთ?! მაგრამ ჩემო ახალგაზრდა, გადაიბირებულო მეგობარო, მე მოვალეობა მაწევს და..

— თავისუფალი ხარ მაგ მოვალეობიდანა.

— ეს ვიღაა?! — შეიცხადა ლეკომა.

— მე ვახლავართ, — აიზიდა და წინ წამოდგა შაქროი.

— არ გიცნობ...

— მე გიცნობ.

— ჰა, ჰა, ჰა... ნეტა ვინ არ იცნობს ლეკო თათაშელსა!..

— ჰოდა, მეც გიცნობ, შენც გამეცანი, შაქრო ვახლავარ, ცისკარიშვილი, ელიზბარ ხერეთელმა გამომგზავნა, ი ჩემი სტუმარი მალე ჩააბარე იტრიელეზსაო.

— ვისი სტუმარიო?! — წამოიჭრა ლეკოი, თითები მაინც არ აუცილებია ფიტულებისთვისა, წამოიხარა, წამოიზიდა, — სტუმარსაც მეცილებით?! როგორ მეცილებით?! ვინ მეცილება?! იმან ორი დღეც არ გააჩერა თავის სახლშია, მე ათი სახლი მოვატარე, ათასსაც მოვატარებ.

— გამდლობთ! — შიშით აღმოხდა სტუმარსა, ემანდ მართლა არ მომატაროს კიდევ ათასი ოჯახიო, — მადლობასა გწირავთ უაღრესსა! — მოადევნა და ხელები ააკანკალა.

აქ სათნოდ გაიღიმა გულქანმა — რამდენადაც შეიძლება სათნოება დას-

ოთარ ჩხეიძე  
აორიანძი



ტყობოდა იმის სახესა — მიუხალოვდა ლეკოსა, მხარზე გადასდო ხელი დაუყვავა, მიეფერა, მიელიკლიკა. დაყვავება დიდი რამა ყოფილა, ენა ტკბილი დიდი რამა ყოფილა, გველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარო, ნათქვამიც არის, ლეკოც ამოიყვანა სიბრაზის ხერელიდანა, მოალბო, დაამოშმინა, შეახალისა? თუმცა შეხალისება სუფრისგან გახლდათ. სუფრა აივანზე დახვდათ, ხელი რომ გადაჰხვია, აივინსავე წაიყვანა გულქანმა, ისე არ იკმარებდა, დაყვავებას სუფრაც უნდოდა, ღვინო უნდოდა ან ლალისფერი, ან მთლად თეთრი, გამჟვირვალე, მუჭქითელი თუ შავი არ ივარგებდა საზაფხულოდა. ამას გულქანი ფიქრობდა, აფიქრებდა მოვალეობა მასპინძელისა, თორემ არას დაგიდევდა ლეკოი, იგებებდა ერთნაირადა, მოიღვნენა ერთნაირადა. ჯერ მაინც ტარხუნის ნაყენი შესთავაზა. მობრძანდითო, არ დაივიწყა დანარჩენებიცა, ძალიანაც არ ჩასციებია, არც იმათ გამოუღვიათ თავი, მიმხვდარიყვნენ ან რა დიდი მიხვედრა უნდოდა, ახლა მხოლოდ ლეკო იყო მისაფერებელი, ლეკო უნდა მოეცილებინათ თავიდანა, წყნარადა, უხმაუროდა, უშფოთველადა. ჰოდა, ერთი დაძახებისთანავე შემოუსხდნენ მაგიდასა ლეკოს დასამოშმინებლად, ლეკოს საამებლად. მალეც დაშოშმინდა, სიცილი მორთო, საჩვენებელი თითი დაატრიალა, მოცილებით დაატრიალა, დაუმიზნა გულქანის იღლიასა და ისე დაატრიალა, მიფრთხილდით, ისე ჩაიხითხითა. ჯანდაბას შენი თავიო, ისევე შესცინა გულქანმა. ახალგაზრდობა მოაგონა, დღეობები, ღზინები, ხეთერელების თეატრი, — ერთ ზამთარს იქ რომ მოიყარეს თავი, გულქანი მოკარანახეობდა, ხოლო ლეკო ასრულებდა გმირების როლსა. ბევრი საუკეთესო მსახიობი აღმოაჩინა იმ ზამთარმაო, რამდენიმე იქვე ჩამოსთვალა, ვინც გაჰყვა სცენასა, კიდევაც შერჩა შენ იმათზე ნაკლები არ იყავით. ბევრად უკეთესით, თავი გამოიღო ლეკომა, ოღონდ სცენაზე უკვე

ვთქვი ჩემი სათქმელი, ახლა ეკრანი და ავიღოო. გულქანმაც ეკრანს ვია ხელზე, ეკრანი იყოსო, ოღონდ დაშოშმინდი და გზა დაულოცე ამ ყმაწვილსაო. მართლაც თითქოს აქეთ მიემართებოდა საუბარი თუ განწყობილება, არცთუ ახირება სჩვეოდა ლეკოსა, ადვილად დასთმობდა ხოლმე, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, იტყოდა ხოლმე, მაგრამ ტყობა იქ უჯობდა, ეგონა ადვილად გავიტან ჩემსასაო, არც არა დასთმო, მეტიც მოინდომა. ეს მაშინა, შაქრო რომ წამოდგა, ჩემდა წილად ღმერთი შეგეწიოთო, ჩვენდა წილათო, გადაჰხედა სტუმარსა, ისიც წამოდგა. ჩვენს წასვლას გაუშარჯოს, თქვენს დარჩენასაო.

— დაჯექი! — ბრძანა ლეკომა.  
 — უნდა წავიდეთ... — ვითომც არაფერიო, ისე გამოსთქვა შაქრომა.  
 — ერთად წავალთ, — აუხსნა ლეკომა, — შენც ჩვენთან იქნები, ერთად ვივლით, ჩვენთვის ზედმეტი არავინაა, პირიქით, უკეთესიცა, რაც ვიმატებთ, უკეთესიც იქნება. ვანა არა? — შეხედა სტუმარსა.  
 — ბატონო ლეკო...  
 — რა თქმა უნდა!.. ვიცი, ამაზე კრიტიკა... — თითი მიიღო ტუჩებზედა, მაგრამ მე ხომ აშკარად არ ვამბობ, გადაკვრითაც თუ არაფერი ვთქვით, რა გამოვა, ან ვის რა უნდა გვაგვებინოთ?! კეთილი, კეთილი, მართო ბრძანება იყოს, იცოცხლე, ბრძანება ეხერხებოდეს ლეკო თათაშელსა; ჩვენთან დარჩები! — შესძახა და მუშტიც დაარტყა მაგიდასა, ბრძანებულ ითქმოდა, გაუტეხელ ბრძანებულადა.

— ნუ... ვერა... — აუმღვრევლად გაიქნია თავი შაქრომა, — თუნდა გიბრძნებია, თუნდა შემხვეწინხარ, სულერთია, ვერ დავრჩები და რა ვქნა... ვერც ამას დავტოვებ, უნდა ჩავიყვანო, მე ისევე აქ დავბრუნდე, ეგრეა, ისეთი სუნი ტრიალებს. რო... ეგრეა!

— რა როგორ არის, არ ესწავლება ლეკო თათაშელსა, დასხედით!..  
 არ დამსხდარან, წაიარეს, მაგრამ ვერ



წავიდნენ, ლეკო გადაუდგა, ფეხს ვერ წაადგამთ ჩემს უნებურადღო, ჯერ ჩემი მბრძანებელი არ გაჩენილა, არც ჩემი ურჩი გაჩენილა ამ ქვეყნადღო; უფრო გაჯიქდა, გაჯიუტდა, თვალები ვადმოკარკლა, საკინძვე ჩაიხსნა, მოიღერა მუშტები. გულქანმა ინანა, ან რად დავუყვავე, ან რად დავალევივინე, თუ ეს მაინც არ ამცდებოდღო: სად იყო, სად არა, თოკი გაჩნდა იმის ხელშია, იმის ხელში გაჩნდა და ვადაუდგო შაქროსა, შეკპარიო, ბრძანა. მხრები ახუხა შაქრომა, აბა, რა ჩემი ბრალიო, ან გზა უნდა დამითმო, ან უნდა შეგკრაო. ჰა, ჰა, ჰა... იოლად ვაუშურებინართ ლეკოსაო, ორივეს მოჰხვია ხელი ერთბაშად, ორივე მიჰყარა მაგიდასთანა, დასხედითო, თორემო. აბა, რა ვქნათ, ჩაიჭირებოდა შაქრომა, შენ შენსას არ იშლი, მე ჩემსას ვერ დავიშლიო აბა, რა ვქნა, ბევრიც რომ გეწყინოსო; ჰოდა, ბევრიც რომ გეწყინოსო, ნელ-ნელა წაატანა ხელი, ნელა, უნდილად, აუკვირლად, დიმილითა, ფერაობითა, წაატანა და მყისვე გადაუგრიხა მკლავები. მერე უცებ მოხდა ყველაფერი. უცბად, უმალად, როცა გამოერკვა ლეკო, უკვე აივანის ბოძს იყო ვაკრული. თუმცა ისხმარტალა, იღრინა, აღრაჟუნა კბილები, გაიწ-გამოიწია, მაგრამ ესეც წაისა გახლდათ, ვიდრე ააკრავდნენ ბოძს. მერე მიხვდა თუ არა, რა დამართნოდა. გაიწია ბოძის მოსავლეჯადა, გაიწია და ვერც გაიწია, მხრები, ნეკნები ჩაუწურა თოკმა. ჩაუწურა და წამოადინა ცრემლი, სიცილიც წამოადინა, ცრემლნარევი სიცილი. თქვენ კი რა გითხარით, თქვენათ, ე როგორი ხუმრობააო...

— ჰე, ჰე, ჰე... ხუმრობა მაინც ხუმრობაა, — აბრუ არ გაიტეხა ლეკომა, — ხუმრობაში საწყენი არაფერია, ხუმრობას ვინც იწყენს, კაციც არ იქნება, ხუმრობა კაცურია, ვინცა ხუმრობს, კაციც ის არის. გაიგე... თავს ნუკი აქიცინებ, თუ გაიგებ მოდი და ამხსენი. ხუმრობა როა, გაუთავებელი არც ხუმრობა ვარგა. მოდი, აბა! გულქან, რაო, ჩემო დაიკო, უთხარი!.. შენ ჰო იცი, რო-

გორ მიყვარხარ, მე დაი არა-მყოლია, ვნანობ რომ არა მყოლია, ოღონდ შენ რომ გიყურებ, აღარცა ვნანობ, ეგრე მყვარებოდა, შენ რომ მიყვარხარ. შენი გულისთვის მოვდივარ აქა, თორემ ის ნიკაპაწეული ელენე თუ ლაბაზამოშეებული ნაზიბროლა ძალიან არ ჩამქრიან გულშია. შენ რომ სიკეთე შეგიძლიან, სხვა იმდენ სიამეცა ვერ ჩაიდნენ, გული ანგელოზისა გაქვს, სიკეთის მეტი არც არაფერი მიეკარება შენს გულსა. ასე მგონია, დმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, მაგრამ როცა სულს განუტევებ, ასი წლის მერე, ათასი წლის მერე სულს რომ განუტევებ, მიწაზე არც დავიშვებენ ანგელოზები, ისევე აგაფრენენ ცაში. მე ასე მითქვამს, ლეკო თათაშელსა, და მე რაც მითქვამს, არც გამტყუნებულა. გულიკო, გულო. ჩემო დაიკო. უთხარი რა! უთხარი!.. ერთი ხელი, ერთი ხელი რა არის, ერთი ხელი მაინც ამიხსენი, აბა, ლაპარაკი ისე რა არის, ხელი თუ არ ააყოლე. გულო, გულიკო, ჩემო დაიკო! — იხვეწებოდა მომეტებულად, ხელი რომ აეშვათ ყელსაც გამოიწევედა, დაჩოქება რომ მოხერხებოდა, დაიჩოქებდა, არც ერთი შეიძლო, არც მეორე, ისინიც გავიდნენ: გავიდა სტუმარი, შაქრო ვაჟყვა, გააცილა გულქანმაცა. არ გასჭრა ზეწენამა, აღარც მიხვდა, სტუმარმა მაინც მიხვდა, ერთხელ კიდევ რომ ეამბორებოდა, გულქანის ხელსა, საბოლოოდ ეამბორებოდა, იმისკენ ეჭირა თვალი, თითქოს საბოლოოდ, თითქოს უმწეოდა. აბა, რა ჩემი ბრალიო. არც არას ჰბრალებდა ლეკო, არცა ამასა, არცა შაქროსა, არცა გულქანსა, ოღონდ აეშვათ, ოღონდ ხუმრობად ჩამოერთმიათ, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყეს, გავიდნენ, მიდიდნენ, ჩქამი შორდებოდა, აქედან მაინც მიაწვდნენა ხმასა. ხმას მაინც მიაწვდნენა და კიდევაც აუწია ხმასა, აუწია და მოუმატა, სიტყვებიც სხვანაირი ამოიღო, რის გულიკოო, რის ჩემო დაიკოო:

ოთარ ჩხიძე  
გორიანი



— შე ადამიანის არამგზავსო, შენა, ვის უბედავ, ვინა გგონივარ?! განა ის ლეკო ვარ, შენ რომ გგონია, სხვა ვარ, სხვა მოვალეობა დამკისრებია. რას ჩადიხარ, რას ელობები, ვინ დაგიბორკავს, შე ალაოს კუტო, შენა! ვინ არის ერთი, რომ ლეკო თათაშელი იყოს ერთი, ყველა ორია, მეტი თუ არა, ორი მაინც არის, ერთი საჩინო, ერთი უჩინარი, საჩინო რაა, მაცდურებაა, არაფერია, ის არის, რაც არის, ის უჩინარი, ის ერთი, თვალახვეულებს რომ ვერ დაუნახაით, ვერც დაინახავენ ბეცნი და ჩლუნგნი გონებითა, შენებრ ჩლუნგი და შენებრ უგნურნი. შემობრუნდი, სად ჯანდაბაში მიდიხარ, შე ჯოჯოხეთის მაშხალა, შენა, თვალი გაახილე, მე შენდა სასხნელად მოვლენილვარ, შენი ქონების ვადასარჩენადა. მე რას დავკარგავ, ფრჩხილის საღირალი არ დამეკარგება, მოვასწარი, მიეყიდ-მოვყიდე, დრო ვატარე, დედა ვუტირე მტერსა და მოყვარესა. შენ დაჰკარგავ, შე ჯოჯო შენა, შემობრუნდი და ამიშვი, ან ეგენი არ გაუშვა, ვერ

ივარგებენ უჩემოდა. დაილუბებინა ყველა ლაფერს დალუპავენ, შემობრუნდი-მეთქი, შე ალაოს კუტო, ნუ გგონია, ის გადავარჩენს, ციხეზე რომ ნიფხვის ტოტები გამოუყიდნია ბექასა, გაგხიწნიან, გაგლეჯენ ყველაფერსა, ცეცხლს წაგიკიდებენ და გამოგბუგავენ და იმას გიჩვენებენ, რაც არ გინახავს, შე ახუხულო ბებრეკო, შენა! მე ვარ მხსნელი, მოდი და ილოცე, სანთლები ამინთე, დაიჩქე და შემევედრე შე ფიტულო გადაშენებული ცხოველებისა, შე უგრძობელი, უმეცარო, გაუგებარო, დაიჩქე და შეიგნე, რამეთუ მე ვარ... მე ვარ... მე ვარ...

ხრინწები ამოუვიდა ლეკო თათაშელსა, არავინ მიჰხედა, ჩამიჩუმიც აღარ ისმოდა. მხოლოდ ბარძიმ ზედახვეელი გამოჰყურებდა შიგნიდანა, გამოჰყურებდა თითქოს დაცინვითა, თითქოს შურითა. დაცინვა იმისი იყო, რა ამაოდ იჰაჰებენ, რაღას გახდები, რახან გულქანმა დაგაბაო; შური იმისა — შენ მაინც ავიშვებს, მე რა მეშველებაო...

(დახასრული იქნება)



ვან ათ  
შნეტა  
ერე ვ  
სკიმ ია  
იფენი  
ლოინი

# ქუჩები

**ნაზი ტარიელაშვილი** საგულდაგულოდ აკინძული „წიგნით“ მოვიდა „ცისკრის“ რედაქციაში.

ჩემის ღრმა რწმენით, დიდი შრომისა და უსაზღვრო სიყვარულის ნაყოფია საგულდაგულოდ აკინძული მშვენიერი ლექსები.

ნაზი ტარიელაშვილი ცდილობს პირველსავე ნაბიჯებში გვაგრძნობინოს ახალი ქვეყნის თვალისახელა და აღორძინება.

დღეს ამ ლექსებით წარსდგება მკითხველის წინაშე, ზვალ თავად იცის, როგორ გაახარებს მაღალმომთხოვნ პოეზიის მოყვარულთ. მთავარი მაინც ერთია, მის მიერ ამორჩეული გზა სწორია და იმედის მომცემი.

**მშობლისში** მირჩიეს წამეკითხა სამკერვალო ფაბრიკის მუშის **ცირა შალაშვილის** ლექსები.

პოეტურ სამყაროში არსებობს ერთგვარი, პოეტური გატაცება ბუნებით, ბუნების ფერადი ხაზებითა და მშვენიერებით გატაცება, ასეთ პოეზიას გორკი „ბუნებასთან შერწყმის“ პოეზიას უწოდებდა.

ცირა შალაშვილის ლექსებში ბუნებასთან ერთობლივად და დამახასიათებლადაა შერწყმული ქალური სინაზე, სინატიფე და თავმოდრეკილება. ლამაზი დარდი და წუთიერი ტკივილი მზესა და ღიმილსაა შეზავებული. მისი შინაგანი, „პოეტური მინდორის“ ღობე სხივებითაა დაწნული, რომლის გადაღმა ხარობენ მშვენიერი და ფერადი ყვავილები. ახალბედა პოეტი ქალის ზვალინდელი დღე მოწმენდილია; მომავლის იმედებით ვხედავ ცირა შალაშვილის შემოქმედებას.

ჭ. ჩარკვიანი

## ნაზი ტარიელაშვილი

ტაოელი ვარ, ჩემს სისხლში  
ფოლადს ურევდა ხალიბი,  
ბევრჯერ მდიდარი ვყოფილვარ,  
ბევრჯერ ვყოფილვარ ღარიბი.  
ურიცხვი მტერი მყოლია,  
ბევრი მყოლია ვასალი,

ტყვე და მძევალიც გაგმზადრვარ,  
მონა სტამბულის ბაზარის.  
არსად, არც ერთხელ მიცვნია  
სხვისი საჩემოდ, სამკვიდროდ,  
განა სიკვდილი ის არის,  
სახრჩობელაზე დამკიდონ.

## რა დავინახე

სიო არწევს ყანის  
არტახშესნილ აკვანს,  
ხევედადღმა გვებმა  
ველზე გაივიაკა.

ცისკრის ნამით იბანს  
მზე უბიწო სახეს,  
ეს რა ჯილდო მერგო,  
ეს რა დავინახე!

## როგორ მიწა

სწრაფად, უცებ, ორხელშუა,  
ისე ჩქარა, ისე მალე,  
სიყვარულმა მომაკითხა  
სიყვარულს ვერ დავემალე.  
უნებართვოდ, უკითხავად,  
სულ მთლად ბავშვი, სულ მთლად ციდა,

მინსახურა მანამ, ვიდრე  
გული სულ არ გამიცვიდა.  
ჩამომსხიბა, ჩამომსეტყვა,  
აღარც ვაზი, აღარც ჭიგო,  
როგორ მიწა, როგორ მიწა,  
მიყვარდე და ვერ გაიგო.

## ბროწეული

დარბაზები...  
დარბაზები...  
დარბაზები  
დიდი, მცირე,  
შიგ ფირუზი, შიგ ალმასი,  
შიგ ზურმუხტი მოციმციმე.  
ცხრა კარებით ჩაკეტილი  
ასი ბერი, ასი წმინდა,  
რა ვიცოდი,  
მზე თუ მათ სისხლს  
ბროწეულზე გამიცვლიდა?

## სხვისი რომ აღარ მენატრა

ბუნებამ შემქმნა, მან მომიცა  
ზეგარდმო ძალა, უნარი,  
შემომასხვია ლურჯი ცა,  
ცა, ფერებგაუსუნარი.

ქაშვეთი გულზე დამადგა,  
სული მიქცია კელაპტრად,  
სიმაღლე მომიცა თეთნულდის,  
სხვისი რომ აღარ მენატრა.

## სადაც მივალ

აქაც, იქაც,  
ამ მთებს იქით,  
ოდით დღემდე, კიდით კიდე,  
სადაც მივალ, თესლს ჩაგვადებ,  
ფეხს ფესვივით მოვიკიდებ.  
ქვებში ვაწნავ ვაზის შტევენს,  
ქვა მაქვს ჯვარად,

ქვა მაქვს სვეტად,  
მარტო ციხის მაყრიონი,  
მიწაზე ვერ დაეტევა.  
თუ არ ზეცა, მეცხრე ზეცა,  
თუ არ ფიქრი, ამ მზის ჭერი,  
სიკვდილისთვის მეყოფოდა,  
კრწანისზე რომ დავიჭერი!



ღამე მომენტარო,  
ჩრდილთა მოლანდება,  
იდუმალი სხივი  
ციდან მომადგება.  
მომთხოვს ქალურ სითბოს  
გამიცეივს ერდოს,  
მეტყვივს რაღაც სულ სხვას,  
არა საიმედოს.

მწეო მაპატიე,  
მომდევს ვალზე ვალი;  
კვლავ მეზრდება ფარქვეშ  
ძუძუ ამორძალის.  
იმედებით ვცოცხლობ,  
ვფარცხავ ეჭვის ბელტებს,  
ჩემთვის მუჭა მიწას  
ვინ არ გაიმეტებს?

**დედოფლის ტახტზე დაგასკით**

თვალეებში მზე მაქვს, ერდოზე  
ცეცხლჩაუშქრალი კერია,  
გამოუღევი სითბო მდევს,  
ცხრაბთასიქითაც მელიან.

ყაყაჩო სად არ მეძახის,  
რად მინდა ქვეყნად სხვა ფესვი?  
უსაქართველოდ ვერ გავძლებ,  
დედოფლის ტახტზეც დავესვით!

**სირა პალაშვილი**

**17 მარტი, 1959 — დაბადება**

იღა მირკანი, მწენაკლული დღე მეჩვიდმეტე,  
სმოზად ელაგდა ზოგჯერ შორი ჭიხვინი ცხენის,  
წუხელის თურმე დიდხანს თვლიდა წყვილებს და კენტებს  
და გაოცებით მხრებს იჩენდა ვარსკვლავთმრიცხველი,  
გალაქტიკაში უცნაური სიდიდის ცთომილს  
მთელი სისტემა შეეცვალა მაგნიტურ ძალით,  
პატარ-პატარა ვარსკვლავები წყდებოდნენ კრთომით  
და მის წინ დეღვით ცაცახებდნენ სხივგანაცალნი.  
აქ კი, მიწაზე, იღა თეთრი საავადმყოფო  
და უცნაურად აფრქოვებდა მეოთხე სართულს,  
დამწყვდეულ სივრცეს აწვალებდა კედლებში ყოფნა,  
თითები თრთოლვით დაეძებდნენ კაშკაშა სანთურს.  
ფანჯარას შმაგად მიეხალა ათასი ლტოლვა  
სარკმელთან ჭრელად ალივლივდა ხატულა ფარჩა,  
გარეთ, კი. გარეთ ქარი ფანტავს ატმების თოვას,  
ვარდისფერ თოვას ქარი ფანტავს, შველა კი არ ჩანს.

ჩქარა, ო, ჩქარა, თორემ სული, მიმცხრალი დარდით,  
ანგელოსებმა აიხუტეს ფრთებით რხეულით,  
საავადმყოფოს გლუვ ეზოს კი შემორჩა ცხადი —  
ვარდისფერ თოვლში სინატიფით გამოხვეული.

მკათათვის მთვარე, ზმანებებით დაღლილ მთვარე,  
პირს ვადგას შუქი, იდუმალი სინათლის მწვედომი.  
მიმწუხრის ხმები, კრწანისის ცხელ ღამეს რომ რთავენ,  
გაგონებს განა მოუსვენარ ძებნაში ცდომილთ.  
სმენას ვერ ართმევ მხრებზე დამსხდარ ქედნების ღუღუნს,  
ისინი ისე მალლა სწევენ ამ დასშულ ტატნობს,  
ო, სულ უმძიმოდ, სულ უძიროდ მთარღვევ უკუნს  
და შორ სიცხადეს რუღუნების ღუღუნში ალტობ...



როგორ ქედმალლობ შენი ჩრდილით ადამიანო,  
რას არ კადრულობ, შიიმატო როგორმე ადლიც,  
შეხედე მაინც, მზე როდესაც ზენიტზე ხანობს,  
ყველა სიმაღლეს განურჩევლად უქრება ლანდი.

### ლაზარე

ლაზარე მოდგა კარსა,  
აბრიალებს თვალსა,  
ღმერთო, მოგვე ტალახი,  
აღარ გვინდა გორახი.

(ხალხური)

ჩვენს კარზეც მოდი, ლაზარე,  
ხვატმა დაგვხრუკოს ლამის.  
გუთნის დედა ვარ, ლაზარე,  
და ცაზე გადამეკარგა  
კეთილი მესრე ლამის.

ლაზარე, თი, ლაზარე,  
მთვარე რად წყრება ასე,  
ხილვა გვაწვია საზარი —  
მიწა-ღედაი კვენსოდა  
დაჭრილი ირმის რქაზე.

მიწას სვითქი სდის, უფალო,  
დაჭკნა ვაზი და ყანა,  
მწუხრი ქვადება უცვაროდ,  
არმაზს ვფიცავარ, აროდეს  
გვქონია მსგავსი ხანა.

ქარვა ართობდა მეუფეს —  
შევისხსნი ყველა მძივებს,  
კვლავ ქადავით გავუთევ  
არმაზთან ხელაპყრობილი  
ღამეებს ცხელს და მძიმეს.

შვიდ მზისფერ კურატს მოგირთავთ,  
თაფლს შვიდშვიდი სანთლით,  
შენდობა მოგვე ცოდვილთა  
და ცდომებს ჯიუტ მოკვდავთა  
ასე მკაცრად ნუ დათვლი.

ჩემი ბუნება წარმართი  
სავსეა მიხი ლანდით,  
გუნდა, სიცოცხლეც წამართვი,  
ოდონდ ამ ნატვრას მოუკალ  
მწყურვალ მიწის დარდი.



ლამის მწუხარე საუკუნემ  
დღე გუშინდელი,  
ისე უბრალოდ გაატანა  
მიმავალ წარსულს,  
რომ — სახტად დავრჩი.

როქსოლიანა ზორიძეაქი, ზურაბ ჭუმბურიძე

## ტარას შევჩენკო საქართველოში

ბ. გ. შავჩინაძის დაბადების 160 წლისთავის გამო

შენ აჯაყისთვის სამშობლოს  
ტრფიალი გადაგილოცავს;  
პოეტო — პრომეთეოსო,  
მუხლს გაყრის საქართველოცა!  
გ. ლეონიძე

ქართველი და უკრაინელი ხალხების ძმობა-მეგობრობას ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. ამ ორ ხალხს შორის ძველთაძველი კულტურული ურთიერთობის დასტურია კიევი-პერჩის ლავრის მხატვრობა, შესრულებული XI საუკუნეში ქართველ მხატვართა მონაწილეობით, ხოლო უშუალო ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ურთიერთობა იწყება XVII საუკუნიდან, როცა ქართველმა მეფე-პოეტმა არჩილმა (1647-1713) თარგმნა კიევის კოლეგიუმის დამაარსებლის, არქიმანდრიტ პეტერ მოვილას (1596-1647) ცნობილი ტრაქტატი „ადსარება მართლისა სარწმუნოებისა“ („კატეხიზმო“). ეს თარგმანი შემონახულია რამდენიმე ხელნაწერის სახით, რომელთაგან უძველესი გადაწერილია 1702 წელს.<sup>1</sup>

ორი მოძმე ხალხის მეგობრობის მატრიანეს ამ შეენებს დავით გურამიშვილისა და გრიგორი სკოვოროდის, ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის, ლესია უკრაინკასა და შიო ჩიტაძის წმიდათაწმიდა სახელეზა, მათი პირადი მეგობრული ურთიერთობა და სიყვარული. ამ მატრიანის ყველაზე შესანიშნავი ფურცლები დაცემირიგბულია დიდი უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოს უკვდავ სახელთან.\*

საქართველოსა და უკრაინის ისტორიული ბედის მსგავსება იმათათვე განპირობებდა, რომ უკრაინელი ხალხის ფიჭრისა და განცდის გამოხატველი დიდი პოეტის შემოქმედება ქართველებისთვისაც ახლობელი და საყვარელი გამხდარიყო. XIX საუკუნის 60-იანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გაეცნენ ტარას შევჩენკოს შემოქმედებას, რომელმაც რუს რევოლუციო-

ნერდემოკრატთა იდეებთან ერთად თვალსაჩინო გავლენა მოახდინა მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. მათთვის შეეჩენკო იყო ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს ჩაგრული ხალხის შვილს სამშობლო და თავისი ერი.

ტარას შევჩენკოს პირველ ქართველ დამფასებელთაგან ცნობილია გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც პირადად მოუხმენია დიდი უკრაინელი პოეტისთვის ერთ-ერთ სალიტერატურო სადამოზე და მიხიბლულა მის მიერ საუცხოოდ წაკითხული ლექსებით. ეს სალიტერატურო სადამო, რომელშიაც შევჩენკოსთან ერთად მონაწილეობდნენ დოსტოვესკი, ბენედიქტოვი, პოლონსკი, მაეკოვი და პისემსკი, გამართულა პეტერბურგში 1860 წლის 10 ნოემბერს.

იმავე წლის გაზაფხულზე პეტერბურგშივე შეხვდნენ ერთმანეთს მსცოვანი ტარას შევჩენკო და ახალგაზრდა აკაკი წერეთელი. ეს მოხდა პირველის მეგობრისა და მეორის მასწავლებლის — ცნობილი ისტორიკოსის — პროფ. მ. ი. კოსტომაროვის ბინაზე. მათი საუბარი დამის სამ საათამდე გაგრძელებულა და შეხებია საქართველოსა და უკრაინის ისტორიას, კულტურას, აწმყოსა და მომავალს, ბედსა და უბედობას.<sup>2</sup>

შევჩენკოს მთელი ცხოვრება იყო უთანასწორო ბრძოლა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. თავისი სიცოცხლის მინიშნელოვანი ნაწილი პოეტმა გადასახლებაში გაატარა. მისი „კობზარი“ დიდხანს აკრძალული იყო. საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია მისივე კითხვების შინაგან საქმეთა სამინისტროს უკლიკოსის დეპარტამენტის საიდუმლო მომართვა, რომლითაც თბილისის გუბერნატორს

ატყობინებდნენ: „იმპერატორმა ინება, რომ დაბეჭდილი ნაწარმოებები: შეგენკოს „კობზარი“, კულონის „მოთხრობა უკრაინელ ხალხზე“ და „მიხაილი ჩერნიშენკო“, კოსტომინოვის „უკრაინული ბალადები“ და „არტო“ აიკრძალოს და ამოღებული იქნას ვასასყიდ წიგნებიდან. გაუწყებთ რა ამას, ვალდებული ვარ გავცხადოთ, რომ თქვენი მხრივ მიიღოთ სათანადო ზომები აღნიშნული განკარგულების შესასრულებლად. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ განათლების მინისტრმა აცნობა საცენზურო უწყებებს, არ დაუშვას ამ ნაწარმოებების დაბეჭდვა“.

ცხადია, ასეთ პირობებში შეგენკოს ნაწარმოებთა ქართულად თარგმნა და, მით უფრო, გამოქვეყნება შეუძლებელი იყო.

ტარას შეგენკოს ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის ისტორია იწყება XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან. დიდი უკრაინელი პოეტის პირველი ქართველი მთარგმნელი იყო ცნობილი მწერალი-ხალხოსანი ნიკო ლომოური, რომელმაც უმაღლესი განათლება კიევიში მიიღო, იქ დაწვინდა რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურას, იქ გაეცნო შეგენკოსა და სხვა უკრაინელ მწერალთა შემოქმედებას. მას 1877 წელს დობროლიუბოვისა და ნეტასოვის ნაწარმოებებთან ერთად უთარგმნია ტ. შეგენკოს პოემა „Наймичка“, რომელსაც ქართულ თარგმანში „მეუა ქალი“ ეწოდება. ეს თარგმანი გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ეჭრნალ „ივერიაში“ 1881 წელს (№ 5). მთარგმნელი ხელს აწერდა ინიციალებით: ნ. ლ.<sup>5</sup>

რამდენიმე წლის შემდეგ პოეტმა მამია გურგულაძემ „ფაზლის“ დსევდონიმიტ ვაზით „თეატრში“ გამოაქვეყნა თარგმნი შეგენკოს ერთი უსათაურო ლექსისა («Минають дні, минають ночі»), რომელიც მთარგმნელს ასე დაუსათაურებია: „შეგენკოს ფიქრი“ ნ.

ამის შემდეგ ორი ათეული წლის მანძილზე შეგენკოს ნაწარმოებთაგან ქართულად აღარაღერი თარგმნილა. მხოლოდ 1908 წელს „ცხოვრების საჩუკში“ დაიბეჭდა დიდი კობზარის უკვდავი „ანდერძი“, თარგმნილი იასამანის (ნიხეილ კინწურაშვილის) მიერ, რომელმაც შემდგომში შეგენკოსა და სხვა უკრაინელი მწერლების არაერთი ნაწარმოები გააცნო ქართველ მკითხველს.

შეგენკოს შემოქმედებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა 1911 წლიდან, როცა აღინიშნა პოეტის გარდაცვალებას 50 წლისთავი. ეს თარიღი უკრაინელებთან ერთად დიდი გულთათობით აღნიშნეს რუსეთის იმპერიის სხვა ჩავრულმა ერებმაც, რომელთათვისაც შეგენკოს სახელი მეფის თვითმპყობებლობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ იქცა.

იუბილეს ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა. ასე, მაგალითად, „სახალხო ვაზეთში“

დაიბეჭდა შეგენკოს პორტრეტი, წერილი მას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე (ს. კალაშნიკოვი) ხელმოწერით), ვრცელი ინფორმაციები მქონა და ქუთაისში გამართული საიუბილეო საღამოების შესახებ და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ვაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული იაკობ გოგებაშვილის „პატარა ბართი დიდი პოეტის შესახებ“. ამ მართლაც პატარა, მაგრამ ღრმამინათისადაც წერილში უხედი დიდი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე უდიდეს შეფასებას აძლევს შეგენკოს შემოქმედებას, აღნიშნავს, რომ მისი ლექსები სწორედ ზედგამოჭრილია საქართველოს მდგომარეობაზე და მოუწოდებს ქართველ პოეტებს, გაამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შეგენკოს ქმნილებათა თარგმანებით.

იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის აგრეთვე წერილი: „ტარას შეგენკო — დიდი პოეტი უკრაინისა“, რომელიც ეჭრნალ „ნაკადულში“ დაიბეჭდა. „ნაკადულს“ იმავე ნომერში დაბეჭდილია შეგენკოს ბიოგრაფია და ლექსები: „ანდერძი“ (თარგმანი გიორგი ქუჩუნიშვილისა) და „დნებრი უსაზღვრო პლეღას, დრიაღებს“ (თავისუფალი თარგმანი სანდრო შანშიაშვილისა).

შეგენკოს გარდაცვალებას 50 წლისთავი ფართოდ აღნიშნა აგრეთვე ეჭრნალმა „განათლებლამ“, რომელსაც ეჭრნალი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ლ. ბოცვაძე რედაქტორიბოდა. ეჭრნალის 1911 წლის მე-4 ნომერში ხელმოუწერლად დაბეჭდილია წერილი ტარას შეგენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. საყარაულებელია, რომ წერილი რედაქტორს ეკუთვინის. ეჭრნალის იმავე წლის მე-7 ნომერში მოთავსებულია დიდი უკრაინელი პოეტისადმი მიძღვნილი ლექსი „ტარას შეგენკო დნებრის პირას“, მე-9 ნომერში კი დაბეჭდილია თარგმანი შეგენკოს ორი ლექსისა: „მწვანე ველო, გახსენ გული, რაზედა ხარ დაბურული“ და „ერთია ჩემთვის, უკრაინაში თუ სხვაგან სადმე განვაგრძობ ჩემს დღეს“. ორივე ლექსის თარგმანი ეკუთვნის იასამანს (მიხეილ კინწურაშვილს). შეგენკოსადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით ს. ა. ძე, ეკუთვნის შემდგომში ცნობილ პედაგოგსა და მწერალს სავლე აბულაძეს. იმავე 1911 წელს შეგენკოს ლექსები უძღვნეს აგრეთვე სილოვან ხუნდაძემ და ლალო გეგეჭკორმა (ლ. გეგეჭკორის ლექსი „მგონის საფლავი“ გამოქვეყნდა ეჭრნალ „ჩვეჯილის“ მე-13-ამ ნომერში, ს. ხუნდაძის ლექსი კი წაითხუღ იქნა შეგენკოსადმი მიძღვნილ სალიტერატურო საღამოზე ქუთაისში).

ქართველ მკითხველთა შორის შეგენკოს შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში, „სახალხო ვაზეთთან“ და ეჭრნალ „განათლებლასთან“ ერთად, განსაკუთრებული აქტიურობა



გამოიჩინა ვაზეთმა „კოლხიდიამ“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა. იგი თითქმის მთელი წლის მანძილზე ბეჭდავდა დიდი უკრაინელი პოეტის ნაწარმოებებს, რომელთა თარგმანებიც ეკუთვნოდათ ს. ხუნდაძეს, დ. თომაშვილს, მ. უზნაძეს<sup>10</sup>. ვაზეთმა გამოაქვეყნა აგრეთვე ალ. გარსევანიშვილის ვრცელი წერილი „ტარას შევჩენკოს პოეზიის მნიშვნელობა“<sup>11</sup>. მომდევნო წელს ეს ნაშრომი უფრო სრული სახით ცალკე წიგნადც გამოიცა სათაურით: „უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო“. ეს იყო იაფფასიანი, მკითხველთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ბროშურა, გამოცემული ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მიერ. იმ დროისათვის ამგვარი გამოცემა ფრიალ სასარგებლო და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ცნობილი პედაგოგი და მწერალი ალექსანდრე გარსევანიშვილი, ავტორი ზემოხსენებულ წიგნისა, იყო აგრეთვე ინიციატორი შევჩენკოს საიუბილეო დღესასწაულისა, რომელიც ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა გამართა ქალაქის თეატრში 1911 წლის 13 მარტს. ამ საზეიმო სხდომაზე ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექსი შევჩენკოს ცხოვრებისა და მისი პოეზიის მნიშვნელობის შესახებ<sup>12</sup>.

„თეატრის დარბაზი მსმენელებით იყო გაჰყვდილი, — წერდა ამ საიუბილეო სხდომის შესახებ „სახალხო ვაზეთი“, — ხალხმა პატივი სცა ტარასის ხსოვნას ადგომით. შემდეგ ილია ბახტაძემ წაიკითხა ბ-ნ სილოვანის ლექსი, მიძღვნილი შევჩენკოსადმი. დასასრულს, ბ. კვანტარაძის ლოტბარობით შესრულებული იქნა რამდენიმე უკრაინული ლექსი სიმეზიან ორკესტრზე. იმდერა პატარა მოწაფეთა გუნდმაც ქართული სიმღერები“<sup>13</sup>.

ქართველებს მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე შევჩენკოს საიუბილეო საღამოში, რომელიც ბაქოში მცხოვრებ უკრაინელებს გაუმართიათ 1911 წლის 6 მარტს, როგორც „სახალხო ვაზეთის“ კორესპონდენტი მ. ნასიძე იუწყება, სხდომაზე მისაღმებთ გამოსულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების წარმომადგენელი (მისი ვინაობა დასახელებული არ არის. საფიქრებელია, რომ ეს იყო თეთიონ კორესპონდენტის ავტორი მიხეილ ნასიძე). ვაზეთს მოჰყავდა ვრცელი ადგილი ამ მისასაღმებელი სიტყვების, რომლის დასასრულს ორატორს წაუთხოხია ქართული თარგმანი შევჩენკოს ლექსისა «Ой, гляну я, подивлюся». ეს თარგმანი იქვე ვაზეთში მთლიანად არის დაბეჭდილი<sup>14</sup>.

შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავს გამოეხმაურა საქართველოს რუსული პრესაც (ვაზეთები: «Закавказье», «Закавказская речь», «Тифлисский листок», «Кутаисская жизнь» და სხვანი). პოეტის ხსოვნის აღნიშვნის

დღეს — 1911 წ. 26 თებერვალს ვაზეთ „Закавказье“-ში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის მოგონებები შევჩენკოზე<sup>15</sup>. ორი დიდი პოეტის შეხვედრის ფაქტი მინამდევ უკვე ცნობილი იყო საზოგადოებისათვის. პირველად ეს ამბავი აკაკიმ გაიხსენა 1908 წელს თავის იუბილეზე ბაქოში, სადაც მას უკრაინელებმა საჩუქრად მიართვეს ტარასის პორტრეტი. ინფორმაცია ამის თაობაზე მაშინვე დაიბეჭდა პრესაში და ამ ცნობას სიხარულთ შეხვედნენ როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში. „ბევრი გული ნამდვილი უკრაინელი გაახარა აკაკის განცხადებამ, რომ იგი პირადად იცნობდა შევჩენკოს“, — იუწყებოდა „დროების“ კორესპონდენტი კიევიდან<sup>16</sup>.

ჭერ კიდევ შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავის აღნიშვნამდე დაიბადა იდეა, რომ პოეტისათვის კიევში ძეგლი დაედიოთ. დაიწყო შეწირულებათა შეგროვება. ძეგლის გახსნის ვადად დითქმულ იქნა 1914 წელი — შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავი. ამრიგად, უკრაინელი ხალხი ადრევე შეუდგა სამზადისს, რათა განსაკუთრებული ზეიმით აღენიშნა ასი წლისთავი თავისი საამაყო შვილის დაბადებიდან. ქართველები აქაც მხარში ამოუდგნენ უკრაინელ თანამოძმეებს. „სახალხო ვაზეთი“ წერდა: „1914 წელს კიევი შევჩენკოს ძეგლს სდგამენ და კიევივე უნდა გაეგზავნოს ვაზეთის „რადა“-ს ყოველგვარი შეწირულებანი. უკრაინა მხნედ ემზადება ამ დიდებულ ეროვნულ დღესასწაულისათვის. კარგი იქნება, რომ ქართველებმაც მიიღონ მონაწილეობა უკრაინის ეროვნულ დღესასწაულში“<sup>17</sup>.

ცნობილია, რომ 1911 წელს აკაკი წერეთლის მონაწილეობით თბილისში გამართული ერთ-ერთი საღამოს მთელი შემოსავალი (97 მან. და 60 კაპ.) გადაიგზავნა კიევში შევჩენკოს ძეგლისათვის<sup>18</sup>.

აკაკი მონაწილეობდა აგრეთვე შევჩენკოსადმი მიძღვნილ საღამოში, რომელიც გამართა თბილისში მყოფმა უკრაინელთა დრამატულმა წრემ სახალხო სახლში (იმჟამად მარჩანიშვილის სახ. თეატრის შენობაში) 1914 წლის 11 აპრილს. აკაკის მონაწილეობა ამ საღამოს აფიშაში ასე ყოფილა გამოხატადებული:

Маститый грузинский поэт Акакий Цепетели сказист слово о батьке Т. Г. Шевченко, которого он лично знал.

ამ საღამოს დამსწრე პოეტი იოსებ გროზაშვილი მოგვიხსრობს: „გამოვიდა ჩვენი აკაკი სცენაზე. მგვარამ რა გამოვიდა, ოვაციებს საზღვარი არ ჰქონდა. როცა ტარასის ცემა მისწყდა, აკაკიმ დაიწყო: «Да, я лично знал батько Тараса» Григорьевича Шевченко... ამ

რიგგვინებანა ზორნიშაპი. ზურაბ ზუმბურიამ ბარბაქაძისგანამო სამართავლოში

სიტყვის თქმა იყო და ახალი ტამის ჰეჰა-ქუხი  
ლი, ხალხი წამოდგა და ვიდრე აჯაკი თავის მო-  
გონებას გაათავებდა, ფეხზე იდგა. ჩვენი პოეტის  
ლაშაში და შინაარსიანი სიტყვა აღდგომითა  
ფეხზე აღვდგომით მოისმინა. უკრაინელები პარტე-  
რში მყოფ ჟართველებს ეხვეოდნენ და ჰკოცნი-  
დნენ. ჰუმანარტად ეს იყო პარტისტები ცარიზ-  
მის პოლიტიკისადმი, რომელიც ჰკრძალავდა  
შევჩვენებს სახელის ხსენებასაც კი; ეს იყო  
არც ერთიანი გრძნობით გამსჭვალვა,  
თავისუფალი ამოძახილი და სამშობლოს დრო-  
შის ჰეჰე გმირული დარაზნება, სიყვარულით  
გაერთიანება...

თავისი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ აჯაკი  
მიუახლოვდა სცენის შუაგულში დადგმულ შევ-  
ჩენოს ბიუსტს, მუხლი მოიყარა მის წინაშე და  
პატივისცემის ნიშნად დახარა ჰალარა თავი. ამ  
სურათმა აუწყრელი შთაბეჭდილება მოახდინა...  
მაყურებელთა ტაში და შეძახვლები ახანზა-  
რებდა თეატრს<sup>19</sup>.

აჯაკის ისეთივე როლი ხვდა წილად ქართუ-  
ლი ლიტერატურის ისტორიაში, როგორც  
შევჩენკომ შესრულა უკრაინულ მწერლობაში.  
ორივეს სამშობლო ერთნაირად გმინავდა ცარიზ-  
მის კლანჭებში და ორივე პოეტს გული ერთნაი-  
რად უკვნესოდა. მთელი უკრაინა ზებირად  
იცოდა დიდი ტარასის სიტყვები:

უკრაინა, უკრაინა,  
ჩემო სულის კვნესავ,  
შენი ბედი მაგონდება,  
გული ნაღველს ლესავს.

ასევე მთელი საქართველო იმეორებდა დიდი  
აჯაკის ლექსს:

ამევხო გული წვეთწვეთად  
ნაღველითა და შხამითა,  
ისე ვით საუკუნენი  
სხვადასხვა მრავალ წამითა.

სისხლით მორწყული კლდეებისა თუ ველე-  
ბის დანახვა ორივე პოეტს ერთნაირად უმ-  
ფოთებდა გულს და გოგია მერჩორგურც ისევე  
პგოდებდა, როგორც ბრმა მესტევირე პერბენ-  
დია. ტარასსაც და აჯაკისაც სამშობლოს თა-  
ვისუფლებისათვის ბრძოლა მიაჩნდათ თავისი  
შემოქმედების ძირითად მიზნად. სწორედ ამით  
აისხნება მათი პოეტური სულის ნათესობა  
და სიახლოვე. ამიტომ ამ ორი დიდი პოეტის  
პირადი შეხვედრა შორს სცილდება უბრალო  
ისტორიული ფაქტის ჩარჩოებს და ღრმა სიმ-  
ბოლიურ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ასე  
აღიქვამდნენ ამ ფაქტს ჩვენი წინა თაობებიც.

როგორც ცნობილია, შევჩენკოს დაბადების  
ასი წლისთავის აღსანიშნავი იუბილე 1914  
წელს მეფის მთავრობამ აკრძალა, რამაც დიდი  
მლფლავრება გამოიწვია უკრაინელთა მხრიდან.  
მათ შარდასპეტრად აღდგა მთელი რუსეთის

მოწინავე საზოგადოებრიობა. ამ მლფლავრე-  
ბის სურათს სისტემატურად აშუქებდნენ ქართუ-  
ლი პრესა. პრესის ცნობებიდან ხანსი რჩება  
საპროტესტო გამოსვლებში აქტიური მონაწი-  
ლეობა მიუღია იმ დროს უკრაინაში მოსწავლე  
ქართველ ახალგაზრდობას. ამასვე ადასტურებს  
იმდროინდელ სტუდენტთა ჰოგონებანი. ასე,  
მაგალითად, 1914 წლის 25-26 თებერვალს კი-  
ევში გამოართულ საპროტესტო დემონსტრაცი-  
ის მონაწილეობისათვის პოლიციას დაუპატი-  
მრებია ხუთი ქართველი სტუდენტი<sup>20</sup>.

შევჩენკოს დაბადების ასი წლის თავზე ქარ-  
თულმა ჟურნალ-გაზეთებმა „სიმართლის ხამა“,  
„თემა“, „იმერეთმა“, „ბათუმის გაზეთმა“,  
„თეატრმა და ცხოვრებამ“, „კლდე“, „ლახტ-  
მა“ და სხვებმა გამოაქვეყნეს პოეტის ნაწარ-  
მიზეთა თარგმანები, წერილები მის შემოქმე-  
დებაზე, პორტრეტები და სხვა მასალები. ამ  
მხრივ კვლავ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი  
„სახალხო გაზეთმა“. ამ გაზეთის 1914 წლის  
26 თებერვლის ნომერში მესამე გვერდი მთლი-  
ანად დიდ უკრაინელ პოეტს ეძღვნება. აქ და-  
ბეჭდილია პოეტის პორტრეტი და თარგმანე-  
ბი ხუთი ნაწარმოებისა: ნაწყვეტი „კავკასიო-  
ნიდან“ (მთარგმნელი ვანდგელი — დ. მდი-  
ვანი), „მუხა“ (მთარგმნელი ბაბილინა — ბ.  
ხოსიტაშვილი), „მწვანე ტყის სიღრმეში სეე-  
დით ჰკვნესს გუგულის“, „ვიწ უწყს, შეგვხე-  
დით კვლავ ერთმანეთსა, თუ სამუდამოდ ჩა-  
მივშორდებით“ (მთარგმნელი ს. ფაშალიშვი-  
ლი) და „სამშობლოსკენ მიმავალი დიაკარვა  
გზები“ (მთარგმნელი ი. მჭედლიშვილი).

გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილია კორ-  
ლეის (კალ ქდენტის) წერილი შევჩენკოს  
ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. აქვეა სიან-  
ფორმაციო მასალა — „შევჩენკოს... იუბილე  
რუსეთში“, სადაც ლაპარაკია, როგორ აკრძა-  
ლეს პოეტის იუბილე მოსკოვში, ჩერნიკოვში,  
ოლესასა და სხვა ქალაქებში. 27 და 28 თე-  
ბერვლის ნომერებში გამოქვეყნებულია ალ. წე-  
რეთლის (შემდგომში ცნობილი პროფესორის)  
ერცელი წერილი „ტარას გრიგოლის ძე შევ-  
ჩენკო“.

შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების  
შესახებ საინტერესო წერილები გამოაქვეყნეს  
აგრეთვე ცნობილი კრიტიკოსმა იპოლიტე ვარ-  
თაგამმა<sup>21</sup> დათიკო ივრტლამა (დ. ნახუტიშვილ-  
მა)<sup>22</sup>, ფ. სიბირსკამ (თომა ჩიქვილაძემ)<sup>23</sup> და  
სხვებმა. ეს უკანასკნელი გაზეთ „თემის“  
ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში წერ-  
და: „შევჩენკო მსოფლიო გენიოსია, ერთი იმ  
ბუნებისგან ნაკურთხათაგან, რომელნიც საუ-  
კუნეში ერთხელ იბადებიან. შევჩენკო მარტო  
ერთი თავისუფლების მებრძოლი მგოსანი კი  
არ არის, არამედ ის ხალხთა ძმობის მგოსა-  
ნია“ (ხანგასამ ავტორისაა). აქ ქართულ ლი-

ტერატორიაში პირველად იხსენიება შვეიცარული როგორც ხალხთა ძმობის გეოსანი.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ მეფის მთავრობის რეპრესიების მიუხედავად, შვეიცარიის დაბადების ასე წლისათვის ფართოდ აღინიშნა საქართველოში. ხალხთა თავისუფლებისა და ძმობის მომდევნო პოეტური სამუდამოდ შეიყვარა ქართველმა ხალხმა.

მომდევნო პერიოდში ომმა, ინტერვენციამ და საბჭოთა რუსეთისგან საქართველოს ჩამოშორებამ შეაფერხა კულტურული კავშირი მოძვე ხალხებს შორის, მაგრამ შვეიცარიის შემოქმედებისადმი ინტერესი ქართველ საზოგადოებრიობაში არც ამ ხანებში განუღებულა. აღსანიშნავია, რომ ამ წლებში პრესაში გამოქვეყნებული თარგმანების გარდა, შვეიცარიისა და სხვა უკრაინულ მწერალთა თხზულებანი ხელნაწერების სახითაც ვრცელდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ახლახანს აღმოჩენილი ვრცელი ხელნაწერი (საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი) კრებული „უკრაინული მწერლობა“<sup>24</sup>. მასში შეტანილია შვეიცარიის „ანდერტიხ“ და პოემა „შეშლის“ ნაწყვეტი, აგრეთვე ელ. ვინჩენკოს, ივ. ფრანკოს, თ. კობილიანსკაის, მიხ. კოციუბინსკისა და ლუსია უკრაინკას ნაწარმოებები, თარგმნილი მ. ხარხელის (მირონ თოფჩიშვილის) და ნ. ლევაკას მიერ, რომლებიც კიევის უნივერსიტეტის სტუდენტები ყოფილან. კრებული დათარიღებულია 1919 წლის 17 სექტემბრით. როგორც ვხედავთ, ლიტერატურული ურთიერთობა უკრაინასა და საქართველოს შორის არც ამ პერიოდში ყოფილა გაწყვეტილი.

ორი მოძვე ხალხის ლიტერატურული ურთიერთობისა და შემოქმედებითი მეგობრობის მითიანეში-სრულიად ახალი, ბრწყინვალე ფორმები გადაიშალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ მხრივ განსათურებულ რთული ითამაშა მწერალთა პირველმა საკავშირო ყრილობამ, რომელმაც დასახა მოძვე ხალხთა ლიტერატურების ურთიერთგაცნობისა და პოპულარიზაციის ფართო პროგრამა.

1935 წელს საქართველოში ჩამოვიდა უკრაინელ მწერალთა ჯგუფი ი. სენჩენკოს, ალ. კორნეიჩუკისა და მ. ბაჟანის შემადგენლობით. ჩატარდა უკრაინელ და ქართველ მწერალთა ერთობლივი თათბირი, რომელზეც შეირჩა ქართულად უკრაინულად და უკრაინულად ქართულად სათარგმნი ნაწარმოებები. ბუნებრივია, უკრაინელთა არჩევანი პირველ რიგში შეჩერდა „ვეფხისტყაოსანზე“, ქართველებისა კი „კობზარზე“<sup>25</sup>.

„კობზარის“ ქართულად თარგმნის ხელმძღვანელობა და წიგნის რედაქცია მიენდო გომიჩენილ ქართველ პოეტს სიმონ ჩიქოვანს. მან დიდი მუშაობა გასწია: 1936 წლის თებერ-

ვალში ჩავიდა კიევიში და ერთობიარა უკრაინის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს, თარგმნის საქმეში ჩააბა საუკეთესო პოეტურნიშნულები, თვითონ თარგმნა შვეიცარიის ოცდაათამდე ნაწარმოები, მათ შორის ორი პოემა — „კატერინა“ და „კოტი“.

1936 წელს აღინიშნა 75 წელი ტარას შვეიცარიის გარდაცვალებიდან, ხოლო 1939 წელს მთელ საბჭოთა კავშირში პოეზიის ნამდვილ ზეიმად იქცა დიდი უკრაინელი კობზარის დაბადების 125 წლისთავი. იტბილეს წინ უძღოდა ფართო სამზადისი. ამ პერიოდში საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა მოძვე უკრაინული ხალხის სახელოვანი შეილის ღირსეულად დღესებისა და მისი შემოქმედების პოპულარიზაციისათვის. 1936-38 წლებში ქართულ პრესაში წმირად ქვეყნდებოდა შვეიცარიის ნაწარმოებთა ახალი თარგმანები, პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები, წერილები და სხვა მასალები. ამავე ხანებში ქართულ ენაზე პირველად გამოიცა ცალკე წიგნად მისი „ლექსები და პოემები“ (1937 წ.); ცალკე წიგნებად გამოიცა აგრეთვე პოემები: „კატერინა“, თარგმნილი ს. ჩიქოვანის მიერ (1936 წ.), „კავკასი“, თარგმნილი ნ. მიჟიშვილის მიერ (1937 წ.), „სიზმარი“, თარგმნილი დ. გაჩეჩილაძის მიერ (1937 წ.) და „გაიდამაკები“ თარგმნილი კ. ნადირაძის მიერ (1938 წ.), საიუბილეო 1939 წელს კი ქართველმა მკითხველმა მიიღო უკვე „კობზარის“ სრული თარგმანი. მის თარგმანში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი პოეტები და მთარგმნელები: ა. აბაშელა, ვ. ვაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ი. მისაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, ვ. გაბესკირია, კ. კალაძე, შ. აფხაიძე, იასამანი, ხ. ვარდოშვილი, გრ. ცეცხლაძე, მ. პატარიძე და სხვები. წიგნი გამოიცა შ. დალიანისა და ს. ჩიქოვანის რედაქციით. იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა აგრეთვე შვეიცარიის პოემები ალ. სელუკას რედაქციით და შესავალი წერილით.

ტარას შვეიცარიის დაბადების 125 წლისთავს ფართოდ გამოეხმაურა მთელი საქართველო: გაიმართა საიუბილეო სხდომები და სალიტერატურო საღამოები, გამოქვეყნდა ბევრი წერილი და გამოკვლევა, ცნობილმა ქართველმა პოეტებმა დაწერეს შვეიცარიისადმი მიძღვნილი ლექსები და პოემები. ყოველგვარ ამის აღწერსკვა, ცხადია, ერთ წერილში შეუძლებელია. მით უფრო, თუ შემდგომი პერიოდში გვექნება მხედველობაში. როცა ზეიმით აღინიშნა დიდი კობზარის გარდაცვალების 100 წლისთავი (1961 წ.) და დაბადების 150 წლისთავი (1964 წ.). საქმარისია იქნება, რომ 1961

რომსკოლიანა ზორიზნაჰაი, ზურაბ ჭავჭავაძის ტარას შვეიცარიის სამართავლოში

წლამდე საქართველოში გამოქვეყნებული ტ. შეგენჯოს ხაწარმოებებისა და მისი შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია კარგა მონარე წიგნს შეადგენს<sup>26</sup>. ქართული ენაზე ცალკე წიგნად არის გამოცემული ავრეთვე გრ. ნადარეიშვილის საინტერესო ნაშრომი „ტარას შეგენჯო ქართულ ლიტერატურაში“ (1964 წ.), ხოლო უკრაინულად უფრო ადრე დაბეჭდა ვ. იმედაძის წიგნი „ტ. გ. შეგენჯო და საქართველო“ (1963 წ.). აქვე უნდა აღინიშნოს კრებული „ტარას შეგენჯოს — ქართველი მწერლები“ (1964 წ.), სადაც წარმოდგენილია ორმოცამდე ქართველი მწერლის ლექსები და წერილები დიდ უკრაინულ პოეტზე. თვით ამ წიგნების არსებობის ფაქტით უკვე თავისთავად ბევრის შთქმელობა.

დღესათვის ქართულ ენაზე თარგმნილია შეგენჯოს თითქმის ყველა ნაწარმოები, ზოგი მათგანი რამდენჯერმე ითარგმნა, მათ შორის უკ-

დავი „ანდერძი“ თარგმნილია შეიდეჯოს (სანანის, გ. ქუჩიშვილის, მ. უხნაძის, მ. ჩუქუაშვილის, ი. აბაშიძის, ნ. მაღაზონიასა და სხვათა) თარგმანებით. ქართულად არსებობს „კობზარი“ ორი სრული გამოცემა, არაერთხელ გამოცემა პოეტის რჩეული ლექსები და პოემები, აგრეთვე ცალკეული თხზულებანი. ზოგი ნაწარმოები შეტანილია სასკოლო სახელმძღვანელოებში. შეგენჯოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ქართულ მწერლებსა და ლიტერატურისმცოდნეებს დაწერილი აქვთ მრავალი წერილი, მონოგრაფიული გამოკვლევა, სადისერტაციო ნაშრომი. მათი ნაწილი გამოქვეყნებულია რუსულ და უკრაინულ ენებზე. ასევე ქართულად იბეჭდება უკრაინულ მწერალთა და მკვლევართა წერილები შეგენჯოზე. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს, თუ რამდენად პოპულარულია მოძმე უკრაინელი ხალხის უდიდესი პოეტი საქართველოში.

### შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი :

1 ტ. რუხაძე, უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის სათავესთან: გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 27. II, 1954; ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), 1960, გვ. 209-210; მ. მირიანაშვილი, ბეტერ მოვილას „აღსარება რ. მირიანაშვილისა სარწმუნოებისა“ და მისი ქართული თარგმანი: „მაცნე“, 1972, № 4, კ. 109-124.

2 ი. ენციკლოპედია, ტ. შეგენჯო დიმიტრი ყიფიანის მოგონებებში: გაზ. „კომუნისტი“, 1938, № 241.

3 აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, XV, 1963, გვ. 556

4 საქართველოს სსრ ცენტრ. არქივი, ფონდი 4, საქმე 310; იხ. ა. გარეჩილაძე, ტარას შეგენჯო საქართველოში: „ლიტერატურული საქართველო“, 23.V.1969.

5 ინიციალები გაშიფრულია ი. გრიშაშვილის მიერ (იხ. მისი თხზულებათა კრებული, IV, 1964, გვ. 196).

6 „თეატრი“, 1886, № 38.

7 იხ. „სახალხო გაზეთის“ 1911 წ. 24 და 27 თებერვალი, 12, 13 და 18 მარტის ნომრები.

8 „სახალხო გაზეთი“, 13. III, 1911 წ. იხ. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, IV, 1955, გვ. 372.

9 „ნაკადული“ (მოზრდილთათვის), № 3, 1911 წ. იხ. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, IV, 1955, გვ. 403-405.

10 იხ. გაზ. „კოლხიდა“, 1911 წლის 3. აპრილის, 19 მაისის, 11 ივნისის, 26 ივლისის, 22 ოქტომბრის ნომრები.

11 „კოლხიდა“, 1911 წ. 1 და 3 მაისის ნომრები.

12 შემდგომში ალ. გარსევანიშვილი ამ თემაზე ლექციებით გამოსულა გორში, ფოთში,

ქიათურაში და ყველგან დიდი მოწონება დაუმახატებია (ი. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული, IV, 1964, გვ. 206).

13 „სახალხო გაზეთი“, 18. III, 1911 წ.

14 „სახალხო გაზეთი“, 12. III, 1911 წ.

15 А. Церетели, Мои воспоминания о Шевченко «Закавказье», 26. II, 1911 წ. იხ.

ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, XV, 1963, გვ. 553-556.

16 „დროება“, 18. II, 1909 წ. —

17 „სახალხო გაზეთი“, 1911, 24 თებერვალი.

18 ი. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული, IV, 1964, გვ. 199.

19 იქვე, გვ. 201-202.

20 „აზრი“, 11 III, 1914; იხ. აგრეთვე „სო მართლის ხმა“, 27-28 II, 1914; „სახალხო გაზეთი“, 7 III, 1914; „ჩვენი ერი“, 10 IV, 1914 წ. და სხვა.

21 იხ. ვართაგავა, ტ. გ. შეგენჯოს პოეზია: „თეატრი და ცხოვრება“, № 1, 1914.

22 დ. ივრელი, ტარას შეგენჯო (მისი ცხოვრება): „თეატრი და ცხოვრება“, № 1, 1914.

23 ფ. სიბირსკი, კავკასია და ტარას შეგენჯოს თემატიკა: „თემი“, 10 III, 1914. ფსევდონიმი ფ. სიბირსკი რომ თ. ჩიქვილაძის ეკუთვნის, ვარკვეულია გ. მიქაძის მიერ დასაბუქდად გამზადებულ ფსევდონიმა ლექსიკონში.

24 ნ. შალუტაშვილი, ქართულ-უკრაინულ ურთიერთობათა ისტორიიდან: „ლიტერატურული საქართველო“, 9. V, 1969.

25 «Червоный шлях», №10, 1935, გვ. 210.

26 ტარას შეგენჯო. საქართველოში გამოქვეყნებული ტ. შეგენჯოს ნაწარმოებებისა და მის შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია. შემდგენილია ა. ოთაროვი და ვ. გენძეხაძე. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა, 1963.



## პრაქტიკა ბაიკაშიანი

# ვაჟა თბილისის სომხურ რევოლუციამდელ პრაქსიში

XIX საუკუნის 80-90-იან წლების ქართულ და სომხურ სინამდვილეში საზოგადოებრივი აზრის აღმავლობა ხასიათდება პრესის არნახული განვითარებით. იმ დროის მოწინავე ინტელიგენცია ხელდავლა იღუერად მომწიფებული ამ ფაქტორის აუცილებლობას, ყოველწინაირად ცდილობდა გაზეთის, ჟურნალის გამოცემის უფლების მიღებას.

1872-1900 წლებში თბილისში მრავალი დასახელების სომხური ჟურნალი და გაზეთი გამოდებოდა. მათგან აღსანიშნავია „მშვიდი“ („მუშა“ — რედაქტორი გრიგორ არწრუნი), „არძაგანქი“ („ქეო“ — რედაქტორი აბგარ ოვანისიანი), „აღბიური“ („წყარო“ — რედაქტორი ტიგრან ნაზარიანი), „ნორდარი“ — („ახალი საუკუნე“ — რედაქტორი სპანდარ სპანდარიანი), „მურტი“, („ჩაქუჩი“ — რედაქტორ-გამომცემელი ავტიქ არასხანიანი) და სხვა.

„მურტი“ ენციკლოპედიური ხასიათის ჟურნალი იყო. იგი ამუშებდა ლიტერატურის, ზელოვნების, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების, საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკის, ისტორიოგრაფიის, სოციალოგიის, ფილოსოფიის, იურისპრუდენციის, ეთნოგრაფიის, მედიცინისა და პედაგოგიის საკითხებს. ერთი სიტყვით, ემზადებოდა ყველა იმ საკითხს, რომელიც ხალხის სულიერ და ნივთიერ ცხოვრებას ასახავს<sup>1</sup>.

ჟურნალი ასახავდა აგრეთვე ქართულ სინამდვილეს, საგამომცემლო საქმიანობას, თვალსაჩინო მწერლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ბეჭდავდა მრავალ საგულისხმო რეცენზიასა და კრიტიკულ წერილს, ავტორისა და მისი შემოქმედების შესახებ.

„მურტი“ ვაჟას ნაწარმოებნი არ გამოუქვეყნებია, მაგრამ მის ფურცლებზე დაიბეჭდა პირ-

ველი კრიტიკული სიტყვა ნიჭიერ პოეტზე. ეს იყო სომხურ სინამდვილეში ვაჟას შემოქმედების შეფასების პირველი ცდა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას სომეხი მკითხველი პირველად გაეცნო 1894 წელს, როცა თბილისის სომხურ საბავშვო ჟურნალ „აღბიურში“ („წყარო“) ტიგრან ტერ-დავითიანის თარგმნით დაიბეჭდა მისი მოთხრობა „ირემი“. 1909 წელს გარეგინ ლევონიანის ჟურნალ „გელარესტიში“ („ხელოვნება“) სომხურ ენაზე რბეჭდება ვაჟას მეორე მოთხრობა „მთის წყარო“. სომხური თარგმანები შესრულებულია გამოცდილი და მცოდნე მთარგმნელების მიერ, დაცულია ენობრივი და აზრობრივი კოლორიტი. თუმცა თარგმანები მცირეა, მაგრამ სომეხ მკითხველ საზოგადოებას შედარებით ფართო წარმოდგენა შეექმნა დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებითი გზის, საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. მხატვრული თარგმანების გარდა, პროზად გადაუღიათ ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი პოემისა და ლექსის შინაარსი. რადგანაც, ეს ქილუს თქმისა არ იყოს, ეს მხოლოდ „ნამცეციები იყო პოეტის მდიდრული სუფრისა“, სომხური პრესა ყურადღების ცენტრში აყენებს მგოსნის შემოქმედების შეფასებისა და კრიტიკის საქმეს, ქვეყნებს მრავალ სტატიას, ნარკვევს, რეცენზიას.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის შეფასებაში რევოლუციამდელი პერიოდის სომხური პრესა გვაგონებს ბარომეტრს, რომელსაც უჩვენებია შემოქმედებითი უნარის განვითარებისა და პოეტური წაქანების დონე. ეს კი თქმის 1895-1916 წლების პერიოდზე, როდესაც სომხური კრიტიკული აზროვნება, საკუთარ წერილებსა და გამოკვლევებში ყურადღებას ამახვილებს პოეტის შემოქმედების იღუერ შინაარსსა და მხატვრულ ღირსებაზე.

თუ 1890-იან წლებში სომხური პრესის ფურცლებზე აღწერილობითი ხასიათის სტატიები

<sup>1</sup> „მურტი“ 1900, № 5-6, გვ. 574.

იმეჭვებოლა, 1900-იანი წლებიდან საგრძნობლად იცვლება მათი ბუნება. სომეხი კრიტიკოსები ცდილობდნენ მოვლენების გაანალიზებას და განზოგადებას, მაგრამ ვერ სწვდებოდნენ ცხოვრებისა და ლიტერატურის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ არსს, კმაყოფილებდოდნენ ზოგადი დასკვნების გამოცხადებითა და ფაქტების ზერელე აღწერით. მათი აზრით, კუშმარიტი ნაწარმოებები ხალხის ყოფას, მის ფიქრებსა და მისწრაფებებს უნდა ეხმარებოდეს. ამავე თვალსაზრისით უძღვებოდნენ ვაჟას შემოქმედებასაც. ვაჟა „ნამდვილ, რეალისტურ“ შემოქმედებად მიიჩნდათ. შემთხვევითი როლია, რომ სომეხი მეთიხველი საზოგადოება პირველი გაეცნო და „დიდი მომავალი“ უწინასწარმეტყველა მგოსანს, როდესაც იგი პირველ ნაბიჯებს დგამდა პარანსისაკენ.

სომხურ სინამდვილეში ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პირველ შეფასებას იძლევა „მეორის“ 1891 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ქაქავაძის რომანის გამო“. მისი ავტორი, მთარგმნელი და ქართული ლიტერატურის დიდი მოამავე ტიგრან ფირქოზიანი (1859-1934) სომეხ მეთიხველს აღიწერს ქართველ მწერლებს: არაღზიანს, ქონჭაძეს, რჩეულშვილს, ყაზბეგს და მოკლედ განიხილავს მათ ნაწარმოებებს. შემდეგ იძლევა „საქართველოს ლირიკის ბრწყინვალე მარგალიტებისა“ და „სასიქადლო მგოსანების“ აღქმისადრე ქაქავაძის, გრიგორ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, რადილე ერისთავის, ილია ქაქავაძისა და აკაკი წერეთლის პოეზიის შეფასებას, მგოსანებისა, რომელთა „მიმზიდველი და მომხიბლავი ლექსები თათბებს გადაეცემა“<sup>2</sup>.

წერილში ქართული ლიტერატურის ისტორიაში კარგად გარკვეული მთარგმნელი ვაჟახე წერს: „ამჟამად... ქართველი მეთიხველი საზოგადოება გულისფანქვალთი აღეგნებს თვალს რაზიკაშვილის (ვაჟას — პ. ბ.) ლექსებს, რომელთა თავისებური, შთამაგონებელი და ძლიერი პათოსი დიდ მომავალს უქმნის ამ ახალბედა მგოსანს“<sup>3</sup>.

ვაჟა განუმეორებელი მოვლენა იყო, მისი სახით ქართული პოეზიის ცაზე ამობრწყინდა ახალი ვარსკვლავი. ძნელია წარმოვიდგინოთ, ხალხი ასე ადიდებდეს და თავყანს სიკმდეზე პოეტს, რომელიც ლიტერატურულ სარბილზე გამოვიდა იმ პერიოდში, როდესაც საზოგადოებრივ აზრზე ბატონობდნენ ქართული ლიტერატურის ბუმბერაზები, სამშობლოს სურვილით გულანთებული, მგზნებარე პატრიოტები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურნი, აზრისა და გრძნობის მეუფენი ილია

და აკაკი, როდესაც ყოველმა ქართველმა გულსა თუ აზნაურმა, მუშამ თუ ინტელექტუელმა ზეპირად იცოდა შოთას უკუდავი „მეფის“ ოსანი“<sup>4</sup>, ზოგადსაკაცობრიო იდებებით აღსავსე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, ალექსანდრე ქაქავაძისა და გრიგორ ორბელიანის სევდიანი-სიხარულიანი სიმღერები.

ვაჟას შემოქმედების ღრმა დემოკრატიზმმა, აღმამიანის ბედზე ზრუნვამ, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგე აშკარა პროტესტმა, მიიყვანა მძიმე ცხოვრების ამსახველმა სურათებმა, საერთო ეროვნულმა მიტიცებმა გამოძახილი პოეზია ხალხის გულში და ავტორის საყოფელთაო აღიარება და პოპულარობა მოუპოვა. ვაჟა ფერდემლი იყო, რომელმაც მშობელი ხალხის გულში მიჩქმალულ ფიქრებსა და გრძნობებს მხატვრულ-ლიტერატურულ ფორმად მიანიჭა, პოეტურ სახეთა დიდებული ვალერეა შექმნა.

ვაჟას ღირსება მდგომარეობს იმდროინდელი ცხოვრების აღწერაში, სოციალურ და ფილოსოფიურ განზოგადებაში, აღამიანთა მრავალფეროვან სახეთა და ურთიერთობათა შექმნაში, მხატვრულობაში, უბრალოებასა და ხალხურობაში, თავისებური ესთეტიკური პრინციპების გამოყენებაში, დრამატული, ლირიკული და ისტორიული პრინციპების ისტატურად შერწყმაში.

რეალიზმი მისი პოემების, ლექსებისა და მოთხრობების ორგანულ ნაწილს შეადგენს. ის პასიური და ტრადიციული როლია. მან გააღვეოშალა შებენელი წარსულის სურათები. დავით ბორჯოტი, უმღერა კეთილს ეპიკური სიღრმითა და სიმახვილით.

ვაჟამ გააღრმავა რეალისტური ტიპიზაციის ხერხები, გამოავლინა აღამიანის შინაგანი სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით, გააგრძელა, განავითარა და ახალი ელფერი მისცა ილიასა და აკაკის მგზნებარე პატრიოტულ ლირიკას, ქართულ პოეზიაში ახალი სახეები და მოტივები შეიტანა.

ნიჭიერმა პოეტმა ბევრი რამ გააკეთა მშობლიურ პოეზიის მხატვრულ დონის კიდევ უფრო ამღვინებისათვის, გვიჩვენა, რამდენად სწრაფად შესაძლებლობები ქართული ენისა, რამდენად მუსიკალური, ელასტიკური და კეთილხმოვანია იგი. მისი პოემები გამოირჩევიან კლასიკური შესრულებით, მრავალმხრივობით, აზრის აფორიზმულობითა და ღრმა იდეურობით.

ვაჟას პოემებში წამოჭრილი საკითხები აღეკვებდა არა მარტო ქართველი ხალხის მოწინავე ფენებს, არამედ თბილისის სომხური ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, ეს საკითხები მათ ღრმად აფიქრებდა ქვეყნის სოციალურ-მორალურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ქართული ლიტერატურის შესახებ პირველი

<sup>2</sup> „მურტი“, 1891 წ., № 4, გვ. 435.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 435-436.

კრიტიკული ხასიათის წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „მურტის“ 1897 წლის მე-11-12 ნომერებში, ანუ 1897 წლის იანვარში (1870-1956), აქ ლაპარაკია ვაჟაზე. კრიტიკოსის წერილი „თანამედროვე ქართული ლიტერატურა და საგამომცემლო საქმიანობა“ საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი ახდენს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის მოკლე ანალიზს. ავტორი ჩერდება თანამედროვე ლიტერატურის განვითარების ეტაპებზე, მიმდინარეობებსა და ტენდენციებზე, ყოველ ათწლეულში სალიტერატურო სარბიელზე განხილულ მწერლებზე. იგი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმოს საუკუნის თვალსაჩინო მწერლებში ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, აღმსარებელ ყაზბეგმა და ვაჟა ფშაველამ მთელი ეპოქა შექმნეს. ავტორი გვაცნობს ვაჟას შემოქმედებას, ხაზს უსვამს, რომ ქართულ სინამდვილეში „მათ (ვაჟა და ბაჩანა — პ. ბ.) პირველად დაგვიხატეს თუშების, ფშავესელების მანამდე უცნობი ცხოვრება ცოცხალი ფერებში, უხალო გრძნობებითა და იდეებით“<sup>5</sup>.

ყურადღების ღირსია ჟურნალის 1901 წლის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული ტიგრან ფირფიტის სტატია „ქართულთა ცხოვრება და ლიტერატურა, პოეტი ვაჟა-ფშაველა და რომანისტი არაგვისპირელი“<sup>6</sup>.

სტატიის ავტორი ლაპარაკობს ქართულ და თბილისის სომხურ ლიტერატურაზე. იგი სომეხ ფიციხელს აცნობს ვაჟას პოემას „გველის მკამრისა“ და არაგვისპირელის მოთხრობას „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“. კრიტიკოსი მოკლედ მიმოიხილავს ვაჟა-ფშაველას ცხოვრებობას და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეტაპებს. ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა უშრეტო წყაროდან იღებს ნიჭიერი მგოსანი თავისი მრავალფეროვანი შემოქმედების თემას, როგორ მუშაობს გლეხებთან ერთად მიწის მუშად, ღრმად სწავლობს თანამედროველი გმირულ წარსულსა და აწმყოს, იზიარებს მათ ჭირ-ვარაშს, როგორ ასულდგმულებს მათზე ფიქრობს.

„კახეთის ეს მთები საესეა გადმოცემით ხალხის თვალსაჩინო გმირებზე, ამ გმირთა მამაკობის, გულდაობისა და დიდსულოვნების ზრტა, მათი თავგადასავალი სიმღერებდა არის ქვეული, თაობიდან თაობას გადაეცემა მათი სახელები და ძალისა და მხნეობის მატებს შთამომავლობას, და ბატონი ვაჟა-ფშაველა, ამ მთების შვილი, შთაგონებული ამ ქვეყნის გმირული ატმოსფეროთი, წელიწადში რამდენიმე დღე თუ პატარა, მშვენიერ, მომაჯადოებელ პოემას უძღვნის მშობლიურ ლიტერატურას.“

ისინი შეუწევლებელი ინტერესით, გატაცებით იკითხება“<sup>7</sup>.

ტ. ფირფიტის აზრებზე ვაჟა-ფშაველას პოემების მოქმედ ქალთა სახეების განხილვაში, თუნცა მაღალ შეფასებას აძლევს ამ პერსონაჟებსა და ნაწარმოების ენობრივ მხარეს.

„ამ პოემებში თითქმის ყოველთვის გამოყვანილია მთელი მიმზიდავი ქალები გმირული სულითა და თავდადებულთ, მთის ანაკა წყაროსათვის კამაბა, თავისებური სიყვარულით. ამ პოემებში გხვდებით მთის დიდებულ ბუნების შეუღარებელ აღწერას, მონადირეთა ცხოვრების მიშვიდეულ სახეებს, მდიდარ ხალხურ გამოთქმებსა და სიტყვებს... ყველა ამ ნაწარმოებს შემოქმედის დიდი ოსტატობისა და მწარეკლობის ბეჭედი აზის“<sup>8</sup>.

„მურტის“ 1903 წლის მე-11 ნომერში დაბეჭდილია ვრცელი სტატია „ქართულთა ცხოვრება და ლიტერატურა“, სადაც ლაპარაკია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ამის შემდეგ ავტორი გადადის ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ დავით კლიაშვილის, შიო არაგვისპირელისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა განხილვაზე. რეცენზენტი უბრაუდებსა „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ ვაჟას ლექსის „შემოდგომა მთაში“ (კრიტიკოსი პოემას უწოდებს) და მოთხრობის „პაპას მსოფლიო ფიქრები“ სოუეტებს და იძლევა მათ იდეურ ანალიზს. კრიტიკოსი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ნაწარმოების გმირის „სალი გონების, კეთილი გულის, კაცთაყვარე მოხუცის“ პედაგოგიურ შეხედულებებზე, რომლებსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ.

ჟურნალ „მურტის“ 1904 წლის მეორე ნომერში გხვდებით ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ტიგრან ფირფიტის წერილს. მთარგმნელი კრიტიკოსი მკითხველს აცნობს ქართულ ლიტერატურულ სამყაროში მომხდარ ძვრებს, წერს, რომ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ქართულ პერიოდიაში გამოქვეყნდა სომეხი მკითხველისათვის ცნობილი, ნიჭიერი მგოსნის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, რომელთაგან აღსანიშნავია „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი პოემა „ახალი წელი ფშაველი“ და ლექსი „რაინდის ჩივილი“. სტატიის ავტორი გადმოგვცემს პოემისა და ლექსის შინაარსს და დამატებს: „ორივე ნაწარმოების თემა აღე“

<sup>5</sup> „მურტი“, 1901, № 7, გვ. 204.

<sup>6</sup> იქვე.

პრინაი ბაირამიანი  
ვაჟა თბილისის სომხურ  
რემოლუციონადელ პრესაში

<sup>4</sup> „მურტი“, 1897 წ., № 11-12, გვ. 1591.

მუღია მთიელთა ცხოვრებიდან და დიდი ინტერესით იყობება\*.

როგორც ხანს, სტატეები უფრო აღწერილობითი ხასიათისაა. ავტორები არ ახდენენ ვაჟს შემოქმედების იდეურ ანალიზს, მაგრამ მათ რეცენზიებს აქვთ ურთი განსაკუთრებული უბრაატესობა. ესაა უშუალოა, ობიექტურობა. კრიტიკოსები სარწმუნო ფაქტების გარეშე არც ლამაზ სიტყვებს ფანტავენ და არც მიკრობობას იჩენენ დიდი მგოსანის შემოქმედების განხილვისას. და თუ სტატეებს წიგნური იფრი დაჰკარავს, ეს ახსენება იმ დროის კრიტიკულ აზროვნების დონით, მით უმეტეს, რომ 1890-1900-იან წლებში ცენზურა ძალიან მკაცრი იყო, არ არსებობდა პრესის თავისუფლება (ცენზორია, რომ ამ პერიოდში კაცურ სიის ცენზურა ბევრად უფრო რეაქციული იყო ვიდრე მოსკოვისა ან პეტერბურგისა). აი, რას წერს ამის შესახებ ს. არეშიანი: „90-იან წლებში ცენზურა მთავინსტრუ პოლიტიკის ატარებდა, პრინციპულად დგენდა ყოველგვარ თარგმანს, იგი (ცენზურა — პ. ბ.) უსმობლობს იხენდა მოწინავე... ლიტერატურის თარგმანის მიმართ“<sup>5</sup>.

ამით ახსენება, რომ რეცენზენტები აშკარად ვერ გამოდიოდნენ, წერდნენ უბრალოდ, რომ როგორმე მითხველში აღძრათ ინტერესი ყოველი ახალი და მნიშვნელოვანი მოვლენისადმი\*.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სომეხ ლიტერატურათმცოდნეთა მიერ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შეფასება ხასიათდება სიღრმით, ქვეტექსტების სწორი გაგების უნარით, სიმართლია და სიმახვილით.

სომხური კრიტიკა თვალს ადევნებდა ქართულ მოწინავე კრიტიკულ აზრს და თვლიდა, რომ ვაჟა-ფშაველას უსარგებელია ქართულ პოეზიის მდიდარი საგანძურით, მი-

უგნია მოტივებისა და სახეებისთვის, ფართო მასშტაბის სახე მიუცია, ვაჟა-ფშაველას ახალი ელფერი და ელერალობა მისი მტკიცებობა. ეს მებტყველებს სომეხი მთარგმნელ კრიტიკოსების ცოდნის ფართო დიაპაზონზე, სალი აზროვნების უნარსა და ერუდიციას. ისინი ვაჟს შემოქმედების სათავეს, ფშაველას, მთიელი ხალხის ლეგენდებს, კარგად იცნობდნენ (მას მოწმობს „პორიონის“ 1914 წლის ერთ-ერთ ინტერვიუ დაბეჭდილ ეთნოგრაფიული-ლიტერატურული ხასიათის მნიშვნელოვანი სტატია, რომლის შესახებ ქვემოთ გვეყენება საუბარი).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სომხური პრესა უბრაოდნდა ათი წლის შემდეგ. ეს შესვენება უყურადღებობისა და გულგრილობის შედეგი როდა.

1904 წლიდან მსოფლიო სარბიელზე, რუსეთსა და ამიერკავკასიაში ადგილი აქვს სოციალ-დემოკრატიული ხასიათის ძვრებს. მასობრივმა გავლევებმა და აჯანყებებმა რუსეთისა და ამიერკავკასიის სამარწველო ცენტრებში, საქართველოს პროვინციებში მომხდარმა გლეხთა ამბოხებებმა, კავკასიის მეფისნაცვლის გოლიციის ინიციატივით დაწყებულმა სომეხთა ღვევის პოლიტიკამ, სომხური საეკლესიო მიმუღებისა და ქონების კონფისკაციამ, სომხური სკოლების დახურვის შესახებ ბრძანების გამოცემამ, რუსეთ-იაპონიის ომმა, 1905-1907 წლების პირველმა რევოლუციამ, სომეხ და აზერბაიჯანელთა ეროვნულმა შეუღმა, პანთურქების ზოცვა-ჟღერტის პოლიტიკამ, სტოლინის სასტიკმა რეაქციამ მიიქცია სომხური პრესის ყურადღება. ამას თუ დაემატებოთ იმასაც, რომ სხვადასხვა მიზეზებით დახურა მთელი რიგი მოწინავე ჟურნალ-გაზეთი, მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილი „მურტი“ (1907), ნათელი შეიქნება, სომხური პერიოდიკის ათი წლის ღუმლის მიზეზი. თუმცა დიდ პოეტზე ცნობებს ვხვდებით აკაცი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილის დღეებში.

1914 წელს თბილისის სომხურ გაზეთ „პორიონის“ ვხვდებით ტიგრან ფირეზიანის წერილს. ის საინტერესო ამბებს გადმოგვცემს მთიელთა ცხოვრებიდან, სომეხ მკითხველს აცნობს ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა პროტოტიპებს, ხეცსურებისა და დეკანოზების საქმიანობას.

კრიტიკოსი წერს ქართველ მთიელთა მორალურ კეთილშობილებზე. უზადო ყოფსა და გმირულ სულზე და მოგვეგონებს, რომ მათი ცხოვრების ამსახველი მრავალი საეულისსმი მოთხრობა შეუქმნია ნიკიტე რომანის აღქმისანდრე ყაზბეგს, სადაც ვხვდებით ხეცსურების, დეკანოზებისა და გმირ მოხუცთა სახეებს. ყაზბეგის შემდეგ, — აღნიშნავს ავტორი

\* „მურტი“, 1904 წ., № 2, გვ. 161.  
\* ს. გ. არეშიანი, სომხური პრესა და ცარიზმის ცენზურა, ერევანი, 1957 წ., გვ. 177 ლუსულადან).  
\* საქ. სსრ სახ. ცენტ. ისტ. არქივში, დაცულია სომეხი ავტორების მთელი რიგი სტატიები ქართველ მწერალთა და ლიტერატურულ კულტურული ურთიერთობის შესახებ, რომელთა დაბეჭდვა აუტორალეს ადგილობრივ ცენზურას სომხურ პრესაში. დავეყვადოვდეთ მხოლოდ ზოგი მათგანი: „ბეჭდვითი სიტყვის ტფილისის კომიტეტი“, ფონდი 480, ნუსხა — 1, 1893 წ., არქივის № 1195, ქაღალდი 19 („გიორგი წერეთელი“). 1894 წ., არქ. № 1238, ქაღალდი 2 („ლიტერატურა და საზოგადოება“), 1894 წ., არქ. № 1238, ქაღალდი 20 („ბედნიერი ერი“) და სხვ.



საქართველოს  
წიგნების  
კავშირის  
კავშირის

რა, — დღემდე ქართველ მთიელთა ცხოვრებაზე რჩეულ პოემებსა და ლექსებს წერს ნიჭიერი პოეტი ვაჟა-ფშაველა, იგი „თავის შეზღვევების თემას იღებს ამ პრაგმატიკაში მცხოვრებ. ფშაველურთა ყოფა-ცხოვრებინდა, მათი გმირული სულიდან“<sup>10</sup>.

ტიტრან ფიქრიაშვილის სიტატი საინტერესო ეთნოგრაფიული გამოკვლევაა სომეხი მკითხველისათვის.

საყურადღებოა კრიტიკოსის აზრი, როდესაც აცხადებს, რომ სომეხების ვაჟა-ფშაველა ოჯახი თუმანიანი<sup>11</sup>.

ტიტრან ფიქრიაშვილი, ასევე შემდგომი სომეხი მკვლევარნიც კმაყოფილებოდნენ მხოლოდ იმით, რომ აღნიშნავენ ვაჟა-ფშაველასა და თუმანიანის შემოქმედებაში არსებულ საერთო შტრიხებს.

სინამდვილეში არის თუ არა მსგავსება ვაჟასა და თუმანიანის შემოქმედებას შორის? ექვეყნარეშა, არის! ეს მსგავსება უნდა ვეძებოთ ვაჟასა და თუმანიანის სულში, მათ პოეტურ სისტესა და ხარკში ისინი ერთმანეთს ჰკვანან იმდენად, რამდენადც ორივე კავკასიელი, ორივე მთის ხალხის წიაღიდანა გამოსული და ამ ხალხის ნიჭიერი მემკვიდრეა, მათი ფიქრებისა და ოცნებების ყოფა-ცხოვრებისა და ადათების, წეს-ჩვეულებებისა და მშობლიური ბუნების შეუღარებელი მომღერალი. ისინი ჰკვანან ერთმანეთს, რამდენადც, ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ერთსა და იმავე პეიზაჟში, ერთსა და იმავე სოციალ-ეკონომიურ და ისტორიულ-პოლიტიკურ გარემოში. ჰკვანან ერთმანეთს მათ შემოქმედებაში წამოყენებული ზოგადსაკუთრებო იდეებით, ტუმანიანური სულით. დემოკრატიზმითა და მომავლის მტრულ იდეებით.

1902 წელს აბასთუმნიდან იური ვესელოვსკისადმი გაგზავნილ წერილში ოჯახს თუმანიანი აღნიშნავდა, თუ რასა და ვის ეყრდნობოდა თავისი პოემების შექმნისას, ან რომელ სომეხსა თუ უცხოელ მწერლებს მოუხდენიათ მისზე გავლენა. მანამდე სომხურ ლიტერატურაში არ იყო თუმანიანისეული პოემები, მანამდე, თუმანიანზე სომეხი პოეტების გავლენა არ შეიმჩნევა. ამიტომაც, თუმანიანი წერდა ვესელოვსკის, მე პუშკინისა და ლერმონტოვისაგან ვისწავლე და მათ გზას მივდევო. ისინებს კავკასიური ლიგენდების საფუძველზე შექმნილ მათ პოემებს, თუმანიანი ურობს: „მეც, როგორც კავკასიელსა და მთიელს, მიყარდა ეს ლექსები და პოემები და თქმეთა თემის სიყვარული, მთიელთა ცხოვრების სევდა ჩემს სულში (იმთავითვე) იყო, მაგრამ უთუ-

ოდ, პოემის ის ფორმა, როგორც გამოვიყენე მე, მათგან (პუშკინისა და ლერმონტოვისაგან — პ. ბ.) გადავიღე და მათ მოახდინეს ჩემზე გავლენა, რადგან ივენს ლიტერატურაში იმგვარი პოემა არა ყოფილა, რომ ემღერა ჩვენს ბუნებისათვის, ხალხის ადათებისა და წეს-ჩვეულებებისათვის“<sup>12</sup>.

თუმანიანის ეს სიტყვები შეეძლო ვაჟასაც გაემეორებინა და ამით პასუხი გაეცა იმ კრიტიკოსებისათვის, რომელნიც მის პოემებს თელიდნენ ფშაველურული ლეგენდების უბრალო გადმოღვრებით. ვაჟაშვილის ქართულ ლიტერატურაში არ ყოფილა ასეთი პოემები, ვაჟა ხომ პირველი იყო ქართულ პოეზიაში, რომელმაც ასე ოსტატურად უმღერა ქართულ „ბუნებას, ხალხის ადათებსა და წეს-ჩვეულებებს“. ხალხში გაგონილი „როს-სამი სიტყვის“ საფუძველზე შექმნა თავისებური პოეტური აზროვნებითი სამყარო. ვაჟამაც და თუმანიანმაც მკითხველს გაღაუშალეს მომხიბლობითა და მშვენიერებით აღსავსე, ჯადოსნური, მანამდე უცნობი ქვეყანა — ხალხის სულიერი განძი, ფოლკლორის საუნჯე. ეს ტენდენცია მოხდა XIX საუკუნის რომანტიკოსებიდან. შემდეგი დროს მწერლებთან ხალხური შემოქმედება კულტამდე ავიდა, თუმცა მრავალი, მათ შორის რომანტიკოსებიც, „ვერ ავიდნენ ხალხის ყოფისა და ფიქრის ჰუმანიტარ გამოსახვამდე“<sup>13</sup>. ვერ ავიდნენ, რადგან ფოლკლორი მათთვის იყო ტილო, ლამაზი ფონი, რომელზეც დაგვიხატეს მხოლოდ ყოველ სუბიექტური სურათები, ამ სურათებს კი ჩამოაფარეს პირადული განცდებისა, ფიქრებისა და მისწრაფებების სქელი რიდე.

სულ სხვაგვარი იყო ამ საკითხისადმი თუმანიანისა და ვაჟას მიდგომა. მათ შეითვისეს და შემოქმედებითად გამოიყენეს ხალხური შემოქმედების მილიარი საუნჯე. თავიანთი ძლიერი ნიჭის წყალობით ბელახლად და ახლებურად დაამუშვეს ტრადიციული თემები და სიუჟეტები, სახალხო გმირთა სახეებში წარმოგვიჩინეს თავიანთი იდეალები და მათი პირით განვითარდნის თავისი მრწამსი და ლტოვა. ერთი სიტყვით, თვითელი მატერული ხორც-შესხმის თავისი საყუთარი მანერით ამტკიცებდა ან უარყოფდა ცხოვრების ავ-კარგს, სიკეთესა და ბოროტებას, მშვენიერებასა და სიმა-

<sup>12</sup> ოვ. თუმანიანი, თხზულებათა სრული კრებ. ერევანი, 1945, ტ. 5, გვ. 235-236 (სომხ. ენაზე).

<sup>13</sup> იდ. ჯრბაშიანი, თუმანიანის პოემები, ერევანი, 1964, გვ. 72. (სომხ. ენაზე).

<sup>10</sup> „პორიზონი“ („ეპიზოდი ქართველ მთიელთა ცხოვრებიდან“) 1914 წ., № 73.  
<sup>11</sup> იქვე.

**პრანია ზაირამიანი**  
გაბა თბილისის სომხურ  
რევილუციონარულ პრესაში

ხიწვს, სასურველსა და არასასურველს, და მათ ეს იმდენად ობიექტურად წარმოვიდგინეს, იმდენი უბრალოებითა და ბუნებრივობით, რომ კრიტიკოსები დაიბნენ და დიდხანს ვეღარ გარკვეულყვნენ რას ამტკიცებდნენ ან უარყოფდნენ მწერლები, იღებდნენ პატრიარქალურ სოფელს თავისი წინააღმდეგობებით, აკრიტიკებდნენ თუ იცავდნენ მას? კრიტიკოსების დაბნევა გასაგებია, რადგან დიდად ნიჭიერი პოეტები თავიანთ წამოქმედებაში შიშველ მორალისტებად და გმირების (დადებითი თუ უარყოფითი) ამა თუ იმ საქციელის კრიტიკოსებად კი არ გვევლინებიან, არამედ ისინი მხოლოდ წარმოვიდგინენ, კეშმარტიად, რეალისტურად წარმოვიდგინენ და არა ასლის სახით, გვესურათებენ ცხოვრებას იმ ხელოვნებით, რაიც და რა ზომითაც ნამდვილ ხელოვანს ხელეწიფება. აქედან გამომდინარე კრიტიკოსების ორჭოფობაც ადვილი ასახსნელია: მათი ერთი ნაწილი „უარყოფას“ იღებს, სხვანი — „დაცვას“, მესამეთა აზრით კი, პოზიციას ამ საკითხებთან დაკავშირებით თითქმის ლოიალურია. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მიღებული იქნა და განმტკიცებული სწორი აზრი, რომლის მიხედვითაც პატრიარქალურ სოფელშიც შეიძლება ეპოვოთ ისეთი მშვენიერი და მომხიბლავი მოვლენები, რაც თავის დროზე ასეთი ქებითა და დიდებით მოიხსენიეს პოეტებმა. ამასთანავე ერთად, პოეტთა დამოკიდებულება უარყოფითია მაშინ, როცა ისინი გამოხატავენ სოფლის ჩამორჩენილობას, უბირუცილობას, ცრუმორწმუნეობას, ბრმა რწმუნას ბუნების ძალებისადმი, ქადაგებას ბორტისადმი დამორჩილების შესახებ, სისხლის აღებას თუ დესპოტიზმამდე მისულ სხვა შემორჩენილ მავნე ჩვეულებებს, რომელთაგან მცირე ვადაც ვეცა კი სიკვდილსა და დაღუპვას ნიშნავდა.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ედ. ჯრბაშიანი წერს: „...მერყეობის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თუმანიანისა და ვაჟა-ფშაველასათვის პატრიარქალურ სოფელს თავისი მშვენიერი, დიდებული მხარეებიცა უქონდა, რომლის მეოხებითაც ეს ცხოვრება მათ წარმოუდგენიათ, როგორც „პოეტური სინამდვილე“, საიდანაც თავიანთი პოემებისთვის იღებენ საზოგადოებრივ-ესთეტიკურ წინამძღვრებს, ამ მხარეების ასახვას, მისთვის ყურადღების მიქცევას, როგორც ფაქტს, დიდი პოეტებისათვის სერიოზული იდეური აზრი უქონდა. ეს იმდროინდელი ბურჟუაზიული საზოგადოების ზნეობრივ-ესთეტიკური კრიტიკისა და უგულებელყოფის პირდაპირი გამოხატულება იყო“<sup>14</sup>.

ვაჟა-ფშაველასა და ოვანეს თუმანიანის პო-

ემების შედარება გვიჩვენებს, რომ მათ ხალხობრივებს მოტივების გარკვეული ერთიანობა დემოკრატიზმის, კომუნიზმისა და პროლეტარიატის საერთო შტო, რომელიც წითელი ხაზით გასდევს მათ ნაწარმოებებს და არა ესთეტიკური პრინციპი, ცხოვრებისეულ-ფილოსოფიური განზოგადობა, გმირთა გრძნობებისა და განცდების წარმოჩენა, ფსიქოლოგიური ანალიზი, ენობრივი და აზრობრივი თავისებურებანი...

ვაჟა-ფშაველა და ოვანეს თუმანიანი მოგვევლინენ როგორც დიდი ნოვატორები, თვითუღმა მათგანმა მოიტანა თავისი სამყარო, პოეტური და გამომსახველობითი ხელოვნების თავისებური საშუალებანი, თავისი სტილი, დროის თავისებური აღქმისა და გადმოცემის უნარი. ეს ფაქტორები გვიჩვენებენ მათი ნიჭისა და დროის ბედნიერ დამთხვევას, რაც მათ სიდიადეს ადასტურებს.

ყოველივე ამით ისინი ჰგავან ერთმანეთს და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც შეეხება მათ ურთიერთგავლენას, ამაზე სიტყვაც არ შეიძლება დაიძრას.

ვაზეთები „პორიზონი“ და „მშაყი“ დიდძალ მასალას, ბიოგრაფიულ ცნობებსა და სტატიებს აქვეყნებენ 1915 წლის ივლის-აგვისტოში, დიდი მგოსნის ავადმყოფობის პერიოდში და მისი გარდაცვალების შემდეგ.

სომხური ვაზეთები ღრმა მწუხარებას გამოთქამენ ქართული ხალხის საუკეთესო შვილის — ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო. პრესის ფურცლებზე ქვეყნდება გარდაცვლილის ნათესაებისადმი და ქართველი ხალხისადმი მიმართული სხვადასხვა პირებისა და ორგანიზაციების სამგლოვიარო დეპეშები.

ცნობილია, რომ ოვანეს თუმანიანს ვაზეთებიდან შეიტყო ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობის ამბავი და ესტუმრა პოეტს. მათ შორის მყარდება თბილი, მეგობრული ატმოსფერო, რომელმაც, სამწუხაროდ, დიდხანს არ გასტანა. თუმანიანის სტუმრობა ისე ახარებს დანუგეშებს სარედაქციო მიჯაჭვულ ავადმყოფ მგოსნს, რომ მის ანდობს თავის სურვილს: სომეხი და ქართველი ხალხის მარადიულ უჭკნოდ მეგობრობაზე პოემის დაწერის შესახებ და შინაარსაც კი უყვება. თუმანიანს ძალიან მოეწონა მისი ჩანაფიქრი და სთხოვა, აუცილებლად ხელი მოეციდა ამ საქმისათვის უღრმო სიყვდილმა ხელი შეუშალა მას ამ სურვილის განხორციელებაში.

სომხურ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილ სტატიებსა და ნეკროლოგთა შორის ინტერესს იწვევს „მშაყის“ 1915 წლის 2 აგვისტოს სარედაქციო წერილი, სათაურით „ვაჟა-ფშაველა“, სადაც ერთხელ კიდევ უბრუნდებიან პოეტის ცხოვრებისა და მისი შემოქმედების საერთო მიმოხილვას, აღნიშნავენ, რომ მას

<sup>14</sup> ედ. ჯრბაშიანი, თუმანიანის პოემები.



ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ სინამდვილეს.

„აწ განსვენებული ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემდეგ, — წერს გაზეთი, — ვაჟა-ფშაველა ქართველ ხალხში (ნაგულისხმებია ქართველი მწერლები — პ. ბ.) მესამე ადგილზე დგას. ხოლო, როგორც ბუნების მესაიდუმლის მას პირველი ადგილი უჭირავს, რისთვისაც „მთის არწივი“ შეარქვეს“<sup>15</sup>.

საინტერესოა, იმავე გაზეთის 5 აგვისტოს ნომერში მოთავსებული ვაჟა-ფშაველას დაკრძალვისადმი მიძღვნილი სტატია, სადაც ავტორი გმობს „ქართველებსა და სომხებში შემორჩენილ საერთო მოვლენას. იმას, რომ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს შიშხილით კლავენ, ხოლო სიკვდილის შემდეგ ხელგაშლილობას იჩენენ“<sup>16</sup>. გაზეთს მოაქვს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრის პედაგოგ ი. ბოცვაძის ნეკროლოგის მოკლე ტექსტი, რომელსაც თვლის „სხარტად და შთამბეჭდავად“. ეს უკანასკნელი ქართველ საზოგადოებრიობას ბრალსა სდებს იმაში, რომ პოეტი ნიეთიერ სიფიროსს განიცდიდა და დამხმარე კი არა იქნა, არაა „პოეტს თავისუფალი ევრძნო თავი და არ ეზრუნა ლუკმა-პურის შოვნაზე, ეფიქრა მხოლოდ თავის ხელოვნებაზე“.<sup>17</sup>

ავადმყოფობისა და სიკვდილის, პანაწვილის, ავარძალვისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს ეძღვნება „მშაქისა“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე 1915-1916 წლებში გამოქვეყნებული მრავალი წერილი და ინფორმაცია.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისადმი მიძღვნილ სომეხ კრიტიკოსთა უამრავ სტატიასა და რეცენზიას მოციმულ შეფასებას შემდეგ დასკვნამდე მიყვარათ:

ა) ვაჟა-ფშაველამ თავისი ნაწარმოებების თემად გაიხადა მთიელ ქართველთა ცხოვრება,

მათი აწმყო და წარსული, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, გააფართოვა თავისი და, საერთოთაოდ, ქართული აოგზიის აღქმისა და გაგების სფერო.

ბ) თემატიკის გაფართოებისთან ერთად შექმნა თავისებური და დამოუკიდებელი სტილი ქართული ხალხური სალაპარაკო ენისა, გაამდიდრა იგი წყობილიტიკაობით, თქმულებებით, აფორიზმებითა და ბრძნული გამოთქმებით;

გ) ვაჟა-ფშაველამ დაამუშვა ისეთი თემატიკა და სიუჟეტები, მექმნა ისეთი სახეები, რომლებსაც არ ჰქონდათ თავიანთი ტოლგასი მხატვრული წინამორბედნი.

დ) ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგს აღარებენ ოვანეს თუმანიანი, მაგრამ არ იხილვენ მათ ნაწარმოებებში არსებულ საერთო მოვლენებებს, მათ შორის არსებულ მხატვრული შემოქმედების საერთო ნიშნებს.

თუ ვავითვალისწინებთ იმდროინდელი კრიტიკულ აზროვნების დონეს, ძნელია წარმოვიდგინოთ, თუ მთარგმნელები რატომ არ უზრუნდებოან ლიტერატურის მხატვრულ თავისებურებებს. იდეურ ანალიზს, კომპოზიციას, სიუჟეტის განვითარებას, კვანძის შეკერასა და მის ვახსნას, პერსონაჟთა ხასიათების გარკვევას, მათ კავშირს ცხოვრებასთან, ესთეტიკური და ფილოსოფიური საკითხების გარჩევას. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მკვლევარი არ არიან. მათ სტატიებში იშვიათად ეხვდებით ორიგინალურ და ღრმა აზრს. ისინი ვერ ჩასწვდნენ პოეტის კრეატოს.

ქართველი და სომეხი საზოგადოების წინაშე ჩვენ კრიტიკოს-მთარგმნელთა მიერ გაწეული სამსახური იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მთელი არსებით იღვწოდნენ, რათა სომეხი მკითხველისათვის გაეცნოთ ზოგადსაკაცობრიო, მაღალპლანური იდეებით აღსავსე ქართველ პოეტთა და მწერალთა ქმნილებები.

ქართველი მკითხველის შემდეგ სომხური საზოგადოება ვაჟა-ფშაველას კარგად იცნობდა, ჭეროვნად აფასებდა მის და უყვარდა დიდი მგოსანი, დინტერესებული იყო მისი ცხოვრებით, ლიტერატურული მემკვიდრეობითა და მოღვაწეობით, ყოველნაირად ცდილობდა მისი ნაწარმოებების პოპულარიზაციას.

<sup>15</sup> „მშაქი“, 1915 წ., № 168 (ვაჟა-ფშაველა“).

<sup>16</sup> „მშაქი“, 1915 წ., № 170 („მოწინავე წერილი“).

<sup>17</sup> იქვე.



საბჭო  
საქმე  
საქმე  
საქმე  
საქმე  
საქმე

თემატიკა იხილეთ

## კონსტანტინე გამსახურდია ქართული სალიტერატურო ენის შესახებ

სალიტერატურო ენა გულისხმობს წერილობითი ძეგლების ენას, რომელთა საშუალებითაც ვაღდევნებთ თვალყურს სალიტერატურო ენის ისტორიას. თითოეულ ამ ძეგლთაგანს შეიქმნის თავისი წვლილი ამა თუ იმ ენის განვითარებაში. ეს განსაკუთრებით იქმნის მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებზე და ამიტომაც უღივთა მხატვრული ლიტერატურის შემოქმედის, მწერლის, როლი სალიტერატურო ენის განვითარებაში.

გასული საუკუნის დიდი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების: ილიას, ავაკისა და ვეის შემოქმედებაზე დაფუძნდა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა, რომლის ზრდა-განვითარება, რა თქმა უნდა, არ დამთავრებულა მე-19 საუკუნეშივე და გრძელდება დღემდე. კარგა ხანია აღიარებულია საქვეყნოდ ილიას, ავაკისა და ვეის როლი ახალი სალიტერატურო ქართული ენის განვითარებაში. ხოლო ამ მხრივ ერთგვარი სიცარიელეა თანამედროვე მწერალთა მიმართ.

უამრავი წერილი, გამოკვლევა და დისერტაცია დაბეჭდილია და იბეჭდება ჩვენი დროის უდიდესი სიტყვათშემოქმედის კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული ნაწარმოებების გარშემო. ამ წერილთა უმეტესობაში ზოგადი, უსაფუძვლო, ზოგჯერ კი უშეცარი მსჯელობაა დიდოსტატის ენასა და მის როლზე.<sup>3</sup>

მაგალითად:

... XIX ს. შესანიშნავი მწერლები ამდიდრებდნენ და ავითარებდნენ ქართულ სალიტერატურო ენას, მიისწრაფოდნენ იქითვე, რომ ლიტერატურა ხალხის მასებისათვის გასაგებ

ყოფილიყო. კ. გამსახურდია კი მათს ამ უდიდეს ღვაწლს კალმის ერთი მოსმით „აკამტერებდა“. მას თავისი თავი მიანია — ქართული ბელეტრის“ ენის შემქმნელად. ნამდვილად კი დღემდე ის თავის სამწერლო მოღვაწეობას ქართული სალიტერატურო ენის შერყვნასა და დამახინჯებას ანდომებს. მისი ნაწარმოებების ენა გაუგებარია და ჩამორჩენილი. დროა საზღვარი დაედოს კ. გამსახურდიას ყოველად უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ქართული სალიტერატურო ენისადმი.“<sup>4</sup>

... სავსებით სწორად მოიქცა ვაზეთი „კომუნისტი“, რომ გამოვიდა ქართული სალიტერატურო ენის დამახინჯებისა და არქაიზმებით დანაგვიანების წინააღმდეგ მწერალ კ. გამსახურდიას მიერ, რომელიც თავგამოდებით ცდილობს აიძულოს საბჭოთა ადამიანები ილაპაჯონ აღრინდელი შუასაუკუნეობრიობის, თანაც დასავეთფევრობული ბარბარისმეობით შეზავებული ენით.“<sup>5</sup> ამგვარი აზრები იფრქვეოდა ჩვენს პრესაში ოციოდე წლის წინ, 1950-52 წლებში, უფრო აღრინდელი პერიოდი, 30-იანი წლები, რომ არ აღვნიშნოთ.

ჩვენი წერილის მიზანს არ წარმოადგენს კ. გამსახურდიას ენის შემფასებელთა უარყოფითი კრიტიკის კრიკიტი. ამ ორიოდე მაგალითის მოტანით (თუმცა შეგვეძლო სხვა უამრავი მაგალითის მოტანაც) გვინდა მკითხველმა დაახლოებით დაინახოს, რა პირობებში უხდებოდა კ. გამსახურდიას ქართული სალიტერატურო ენის შესახებ თეორიული შეხედულებების ჩამოყალიბება და დაცვა, ხოლო პარალელურად მათი განხორციელება მხატვრულ შემოქმედებაში.





ამერად შევხებით. კ. გამსახურდიას მხოლოდ თეორიულ მოსაზრებებს ქართული სალიტერატურო ენის შესახებ, ხოლო საკითხი, თუ რაოდენად და როგორ განახორციელა მან საკუთარი თეორია მხატვრულ შემოქმედებაში, ჩვენი კვლევის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს.

ყოველი დიდი მწერალი მეტ-ნაკლებად ენის თეორეტიკოსრიც არის ხოლმე.<sup>6</sup> თუ თვალს გადავავლებთ კ. გამსახურდიას შემოქმედებით ბიოგრაფიას, დავრწმუნდებით, რომ დღენიადავ იმ ფრონტზე იბრძოდა იგი — სალიტერატურო ქართული ენის განვითარებისა და მხატვრული შემოქმედების.

ჩვენ შევეცდებით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვადგინოთ კ. გამსახურდიას მოსაზრებები, სადაც აუცილებელია შევეხოთ მათ წამოყენების გამო გამოწვეული კამათის შედეგებსაც და დასასრულ, ერთი მთლიანი სახე მივცეთ კ. გამსახურდიას თეორიულ შეხედულებებს ქართული სალიტერატურო ენის შესახებ, რა თქმა უნდა, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.

შეუძლებელია ამ წერილში მოტანა ყველა იმ მოსაზრებისა და შეხედულების, რაც მწერალს გამოუთქვამს 1918 წლიდან, როდესაც მან გამოსცა საკუთარი ჟურნალი „პრომეთე“, დამდეგის მოსაზრებები და შეხედულებები ერთად მყარებილი ცალკე წიგნს შექმნის. გამოგზოვებთ ისეთ წერილებსა თუ გამოსვლებს, რომელთა წარმოუდგენლობა ხელს არ შეუშლის კ. გამსახურდიას თეორიულ მოსაზრების მთლიან და მართებულ გაგებას.

ჩვენი აზრით, ქართული ენაში მიძღვნილი პირველი წერილი,<sup>7</sup> რომელსაც გვერდს ვერ აუცილის მკვლევარი, არის 1922 წ. გამოქვეყნებული „ახალი სიტყვები“.<sup>8</sup> იგი წარმოადგენს ჟურნალ „ხოპალდის“ რეცენზენტისადმი (რომელიც კ. გამსახურდიას საყვედურობდა უცხო სიტყვების ხმარებას) გაცემულ პასუხს წერილში დაყენებულია ქართული სალიტერატურო ენისათვის მეტად საგულისხმო და მტკივნეული საკითხები:

1. უცხო სიტყვების, ე. წ. ბარბარისმების გამოყენება სალიტერატურო ქართულში ანუ „ნაციონალიზმი“ ენის საკითხში; 2. ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები; 3. მწერლის დამოკიდებულება საერთო-სახალხო ენაში არსებული სიტყვებისადმი;

პირველი საკითხის გამო კ. გამსახურდია დასძენს: „აღდეს ყოველი კულტურული ადამიანის ემოციალი და ინტელექტუალური მეტყველება ისე გართულდებულა, რომ ვერც ერთი ეროვნების წარმომადგენელი ვერ იაზროვნებს მარტოოდენ თავის მშობლიურ იდიომიდან აღებული სიტყვებით, მათ უმეტეს ქართველი მწერალი“.

აქვე მსჯელობა იმის შესახებ, თუ რომელი ენებიდან უფრო დასაშვებია უცხო სიტყვათა შემოტანა ქართულში და აღნიშნულია, რომ ქართულ ენას ყურად უნდა ენებზე უფრო ეხამება ბერძნული და ლათინური ენებიდან აღებული სიტყვები.

წერილის ავტორი ხაზს უსვამს დებულებას: „მე არა მშვამს, ნაციონალიზმი ენის საკითხში“. ამვე დროს კ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ენაში ხელაღებით შემოვუშვათ ყოველგვარი ბარბარისმი და მოითხოვს ქართული ენის დახვეწას უკულტურო ბარბარისმებასაგან. „უცხო სიტყვათა შემოტანასთან ერთად უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივ დიალექტების ლექსიკის საშუალებით, უნდა შემოვუშვათ ქართულ ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურულ კოლოანა“.

მწერლის დამოკიდებულებაზე საერთო-სახალხო ენაში არსებული სიტყვებისადმი წერილში ვკითხულობთ: „სიტყვის ხმარებაში მწერალს ათასნაირი მოსაზრება ამოძრავებს:

ზოგი სიტყვა დაობებულია, გაცემლიც ათასი სხვა მწერლის პირში, ზოგი სიტყვა ყრბა, ზოგიც ბეცი, ზოგი მიიწყებულია და ქანგზოდებული, ზოგი ხორკლიანი, ზოგიც გამოფიტული... მე სიტყვის ტირანი რომ ვიყო, ასეთ სიტყვებს ენას მოვავლავდი.

ათას სიტყვები, რომელნიც ვატეხილი ზარასავით უკვე აღარ წყრიალებენ და თქვენ რუსთაველის ენერგიითაც რომ მოუქნიოთ, ვერ გამოალებინებთ მას იღუმალ წყრიალს, რომელიც ყოველი სიტყვიდან მოგვესის ჩვენ“.

1929-32 წლებში კ. გამსახურდიამ მ. ყაზახიშვილთან ერთად პირველმა გაიკვლია პრესაში ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დასაცავად. დაწერა წერილი: „ქართული მართლწერის კონფერენციისათვის“, რომელშიც იმ წლებში ქართულისათვის მეტად მტკივნეული საკითხები იყო წამოჭრილი:

1. საერთო-სახალხო ქართული ენის მდგომარეობა და ქართული ენის რენესანსის გამოწვევი მიზეზი; 2. ბრძოლა ქართული ენის დამახინჯების წინააღმდეგ; 3. ერთიანი ქართული ენის შექმნის საფუძველი; 4. რას წარმოადგენს სალიტერატურო ქართული ენის განვითარების აღმავალი ხაზი; 5. როგორ უნდა ვაგრძელებდეს სალიტერატურო ქართული ენის განვითარება.

კ. გამსახურდია ქართული ენის რენესანსის მიზეზად თვლის ოქტომბრის რევოლუციას. „დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართულმა ლიტერატურამ გაუფიქრის ენერგიით გაშალა ფრთა“.

„აღდეს დიდი დღილი და ზრდა ქართულ ენაში. ამ ენერგიულად წინ გაქანებულ ენის სტიქიას ყალიბი უნდა“.

„ჩვენი სინამდვილე მოითხოვს თავით ქარ-

თველმა მწერალმა ამილიოს ხმა ქართული ენის დამახინჯების წინააღმდეგ\*.

ქართული ენის შექმნის საფუძვლის შესახებ მწერალი აღნიშნავს:

„ქართული ენა შექმნილია ყველა ქართულ დიალექტებზე შეტყვევებული ქართველი ტომებისა და ნაშვირების მიერ“.

სალიტერატურო ენის განვითარების აღმავალი ხაზი კ. გამსახურდიას შემდეგნაირად აქვს განსაზღვრული:

„გ. მერჩულის და იაკობ ხუცესის თავისუფალი, სპონტანური, დარბაისლური, საგნებით დახვეწილი ენა ქართული რევრესის გზით უკან იხვედა თვით რუსთაველამდის. რუსთაველიდან ხომ დიდი მანძილია დავით გურამიშვილამდე.“

დავით გურამიშვილი და საბა ორბელიანი უდიდესი მწერტრეალებია ქართული ენის განვითარების მანძილზე.

ხოლო აქედან იწყება გასაოცარი დაქვეითება ქართული ენისა“.

ამის შემდეგ ავტორი წარმოგვიდგენს საკუთარ შეხედულებას, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს სალიტერატურო ენის განვითარება:

„ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური: ბუნებას სიღარბაისლე, ხოლო აკაიმი იმერულის სიღბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვეყვას ილიას ქართლურის, აკაიის იმერულის, ზეგას ვშავურის, მეგრულსა და გურულა ენობრები ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“.

1933 წ. ქუთაისის გაზეთმა „სიტყვა და საქმე“ კ. გამსახურდიას გამოუგზავნა შეიკითხვები, რომელთა პასუხადაც მწერალმა დაბეჭდა წერილი „როგორ ვწერ“<sup>9</sup> ვისაც სურს გაიგოს როგორი სიყვარულითა და ბრძოლით ქმნიდა კ. გამსახურდია ნაწარმოებებს, რას წარმოადგენდა მისთვის ქართული ენა, უძველად უნდა წაიკითხოს აღნიშნული წერილი:

„ნაგრძნობის, ნაოცნებარის და ზმანებულის ფქსირებებს სატანური ნებისყოფა სჭირია და ვის მოითხოვს საშინელ ბრძოლას ენის ინსტრუმენტთან.“

... დღე და ღამ ევბრძვი ქართულ სიტყვას. როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს“.

ქართული სალიტერატურო ენის საკითხებია გაშუქებული აგრეთვე 1933 წელს დაწერილ წერილში „ლიონისოს ღიმილის“ მეორედ გამოცემის გამო“.

ამ წერილში ავტორი ეხებნ სალიტერატურო ქართულის მდგომარეობას მუ-19 ს. და გამოთქვამს ასეთ შეხედულებას:

„მე მოგახსენებდით, მე-19 საუკუნის ქართუ-

ლი პროზის ოსტატებმა წინამომდევნოს დიდი-ტატებთან კავშირი გასწყვიტეს მეტყვე-

... გასული საუკუნის მწერლებმა დააფრთხიეს, გასცილეს, გააღატაკეს ხელხევაიანი ენა ქართული. ლექსიცა დაიშრია, უადგილო ბარბარისმბებით გაივსო, სინტაქსი შეირყვნა და დაეწყებას მიეცა დარბაისლური და კარბი ქართული პროზის მრავალნადადი ტრადიცია“.

ამაღომ მწერალი ეძებს გამოსავალს და ასეთად მას მიაჩნია: „უთუოდ საჭირო იყო ერთგვარი უკუქცევა და შეც შეგნებულად უკან დაეხიე“.

კ. გამსახურდია მე-20 საუკუნეში სალიტერატურო ქართულის აღორძინებისა და განვითარების უმთავრეს საშუალებებად თვლის:

„... ქართული სიტყვიერი ინვეტარის გამოდღერება ახალ საუკუნეში უნდა მომხდარიყო ცალკერძ ძველ-ქართულის მარაგადან, ცალკერძ ცოცხალი დიალექტებისა და ენაკავეების წიაღიდან, რათა ქართული ენა მარტოოდენ მშრალი, მწიგნობრული ენა არ გამხდარიყო“.

„სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ წარგვან სესხს“ — ე. ი. უცხოურ ბარბარისმბებს დაეყრდნოს. აქ უმთავრესია „შინაგანი სესხი“. ქართული ენაკავებოდან, სვანურ-ქანურ და ოდიშურ დიალექტებოდან ახალი და უხმაირი ლექსიკური მასალის მოხვეჭა“.

მწერლის შემოქმედებაში კ. გამსახურდია უდიდეს როლს ანიჭებს ბრძოლას სალიტერატურო ენის განვითარებისათვის:

„უძველია, ის მწერალი, რომელიც ახალ გზებსა და სანიშნოებს არ უჩვენებს ენის განვითარებას, მის სტილსა და ტექნიკას, იგი მოეზიანა და მწერლის ისტორიისათვის ისეთივე ზედმეტი ბალასტი იქნება, როგორც ყოველგვარი მაკულატურა...“

1934 წ. კიდეც უფრო მწვავედ დადგა ქართული სალიტერატურო ენის საკითხი. მწერალმა დაბეჭდა წერილი: „ქართული ენის მაგისტრალური ხაზი.“<sup>10</sup> წერილში დასმულია საკითხები:

1. ქართული ენის მდგომარეობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ;
2. სალიტერატურო ქართულის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლის მიმართულება;
3. ვისგან ვისწავლოთ ქართული?
4. ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტიზმი;
5. ქართული სალიტერატურო ენა და პროვანციალიზმი;
6. ქართული სალიტერატურო ენა და ნეოლოგიზმი;
7. ქართული სალიტერატურო ენა და ბარბარისმი;
8. ქართული სალიტერატურო ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის ზოგადირო საკითხი;
9. ქართული ენის მავისტრალური ხაზი.

ნათელი იყო რა გამსახურდიასათვის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საერთო-სახალხო

ქართულის განახლების, დედოფლის, გამდიდრების პროცესი, ასევე ნათლად ესმოდა მას სალიტერატურო ქართულის ნორმალური ვარსკვლავი საჭიროება. იგი აყენებდა საკითხს, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს ბრძოლას ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის. ამ დროს მისთვის უმოკვრესი იყო პროვინციალური პარტიკულარიზმის აღკვეთა:

„საქართველო მარტო ქართლი არც ყოფილა და ნუშე იქნება ნურასოდეს. ქართული ენა ირი ელემენტის შეუღლებამ წარმოიშვა: ქართველურ<sup>11</sup> და ლაზურ-მეგრულ ელემენტების შეღებვამ. ეს შეღამ უნდა გვახსოვდეს.“

„ვინ მიჩქმალა ქართული ენის ორი ათასწლიანი ხანდაზმულობა? ასეთი დიდი ტრადიციების მატარებელმა ენამ და მისმა მწერალმა კეთილსინდისი უნდა ეძიოს თავისი სამერმისო გზა?“

ამის შემდეგ ბუნებრივია კ. გამსახურდიასათვის დაიწყო კითხვა: „მაშ ვისგან ვისწავლოთ ქართული? იგი ამ კითხვას ასე პასუხობს:

„ქართული ენისაგანვე. რა არის ქართული ენა? მერჩულია ქართული, გიორგი მთაწმიდელია ქართული, რუსთაველია ქართული, საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი, ვეაფხველა და ხალხური პოეზია.“

ეი, ესაა მისი საფუძველი და კედლები ყოველი სახლისა საფუძველს უნდა აყვეს თევისას.

მე ამსოლტურად ვეწინააღმდეგები იმ რეფორმას, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ეწეოდა. ასევე ვეწინააღმდეგები ქართული ენის გაიმეორების ტენდენციებს.

ენასაც თავისი მაგისტრალური ხაზი აქვს.<sup>12</sup> არც პროვინციალიზმით გატაცება გვმართებს... ვებრძოლოთ გადაქარბებულ პროვინციალიზმს. მწერალს არა აქვს უფლება თავისი კუთხის დიდიქტით წეროს.“

„ვებრძოლოთ უხეირო ნეოლოგიზმებს: ელსმენი, რონი და სხვა.“

„ვებრძოლოთ და ვეცადოთ ოდნავ ინტერნაციონალური იერი მივანიჭოთ ქართულ ენას.“

„ვებრძოლოთ ქართული სინტაქსის აღდგენისათვის. მე ვამტკიცებ, სამი მეთხედი უახლესი ქართული მწერლობისა რუსული სინტაქსითა დაწერილი.“

1936 წ. კ. გამსახურდიამ სიტყვით გამოვიდა მწერალთა კავშირში. ეს სიტყვა დაბეჭდილია მწერლის რეკომენდების მე-7 ტომში სათაურით „ფორმალისმი და ნატურალისმი“. სიტყვა წარმოთქმული იყო „მთვარის მოტაცების“ გარეშე. მო ვაშლილი დისკუსიის<sup>13</sup> დამთავრების შემდეგ, ამ დისკუსიაზე ზოგიერთების მიერ გამსახურდიას ენა შეფასებულა იყო როგორც გაბრანტული, მანერული, არქაიზირებული. აღნიშ-

ნულ წერალში ავტორი თავს იცავს ბრალდებებისაგან.

სალიტერატურო ქართული ენის შესახებ მწერლის თეორიული მოსაზრებების გარკვევაში დაგვეხმარება წერილი „მთვარის მოტაცების გამო“,<sup>14</sup> რომელშიც დანახული და გადაწყვეტილია საკითხები:

1. ძველი და ახალი ქართული ენის ურთიერთობა;
2. მწერლის დამოკიდებულება ენისადმი;
3. სალიტერატურო ქართულის მაგისტრალური ხაზი.

ძველი და ახალი ქართული ენის ურთიერთობის შესახებ კ. გამსახურდიამ წერს:

„... ქართულ ენას აქვს ორი ათასი წლის ხანდაზმულობა, ბიოგრაფია და მე არამც და არამც არ დავეთანხმებით, რომ ჩვენ მხოლოდ ისეთი სიტყვები შემოვლევით ქართულში, რომელთა ეკვივალენტები რუსულ ენაში მოიპოვება.“

„არაფერი არ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ჩვენ არ უნდა შევიტანოთ ახალ ქართულში ძველი ქართული ენა.“

მეორე საკითხის გამო ავტორი შენიშნავს: „ჩემთვის მწერლობა უპირველესად არის ენობრივი ფენომენი.“

ქართული ლიტერატურის და სალიტერატურო ენის ძირითადი და აღმავალი მიმართულების შესახებ აღნიშნულია:

„ქართულ ლიტერატურას აქვს ერთი მაგისტრალური ხაზი, ეს ხაზი არის რუსთაველის, მერჩულის, გურამიშვილის, ორბელიანებისა ერთად.“

და ბოლოს ამ წერილში ავტორი ერთხელ კიდევ იძლევა განმარტებას მის მიერ მოსკოვის „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილი წერილის შესახებ.<sup>15</sup>

... მე იქ ვამბობ ქართული ენის ლექსიკური გამდიდრების გამო, ქართული სინტაქსის, ზოგიერთი დამახინჯების გამოსწორების შესახებ და არა ის, რომ თითქმის უარყოფდენ იმას, რაც დაწერილია მეცხრამეტი საუკუნეში და ჩემგან იწყებოდა ანაბანა.“

1941 წელს კ. გამსახურდიამ დაბეჭდა წერილი „საქართველოს სსრ აკადემია“.<sup>16</sup> წერილში წარმოდგენილია ქართული ენის მოვლისა და განვითარებისათვის დისასახავი ამოცანები. ნაშრომში ხელისგულივით ჩანს კ. გამსახურდიას ღრმა ბუნებრივი თუ შესწავლილი ცოდნა ქართული ენისა.

სალიტერატურო ქართული ენის შესახებ კ. გამსახურდიას თეორიის შემსწავლელ გვერდს ვერ აუვლის წერილს „სალიტერატუ-

თამარ ინჯია  
კონსტანტინე გამსახურდიამ ქართული  
სალიტერატურის ენის შესახებ

რო ქართულისათვის<sup>17</sup> მასში განხილული და გადაწვეტილია შემდეგი საკითხები:

1. ახლამეტსაუქუნევანი მთლიანი ქართული ენა — მასალა თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის; 2. მწერლის როლი ენის განვითარებაში; 3. ქართული ენის მაგისტრალური ხაზის შექმნა და ამ ხაზის შემქმნელი მწერლები; 4. სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბების მიჯნა; 5. ენისა და ნაციონალური სახელმწიფოს ურთიერთობა; 6. სულხან-სა-ორბეგანის როლი სალიტერატურო ქართული ენის განვითარებაში; 7. ქართული ენის მაგისტრალური ხაზის მდგომარეობა მე-19 ს.; 8. ვეფხველას ენობრივი პოზიციები; 9. ილიას როლი სალიტერატურო ქართული ენის განვითარებაში; 10. ავტორის დამოკიდებულება ძველი ქართული ენისადმი; 11. თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა და ბარბარისმები; 12. კ. გამსახურდიას დამოკიდებულება თურქულ-მონღოლური ძირის სიტყვებისადმი; 13. „საქირო შემთხვევაში საიდან ისეხსოს სიტყვა თანადროულმა ქართველმა მწერალმა? 14. სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების საშუალებები; 15. ენის ხალხურობის აუცილებლობა; 16. კ. გამსახურდიას დამოკიდებულება არქაიზმისადმი;

მოვიყვანთ მოკლე ციტატებს წერილიდან ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესახებ:

1. „უცხოელი ენის შესწავლას, იგიც ისეთისა, როგორცაა ქართული, ხუთმეტზე მეტი საუკუნის ტრადიციების მატარებლისა... სიძნელეები ახლავს: საქიროა ძველი განვითარებისაგან შემორჩენილი საფუძვლად დაუდო შენობას, ხოლო აწმყო ენისა, ზეთავად“.

„ჩვენში მთავარზე უმთავრესი ბორბება ეგაა, ქართული ენის მეურნეობას შესცქერაინ რომელმაც ახალი ენის თვალსაზრისიან“.

2. „... ერი მასალას იძლევა ენისას, ხოლო ამ ერისავე გენია მწერლის პირით, ხარისხს ანიჭებს ენას“.

3. „დიდი შემოქმედნი ჩვენი ენისა, იაკობ ცურაველი და გიორგი მერჩული, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეები, პეტრიწონელი და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანის“ უცნობი ავტორი, ეზოსმოდგვარი ბასილი, (საფიერებელია ალბათ რუსთაველიც) აღზრდილი იყვნენ ძველბერძნულის ტრადიციებზე, თანაც შესანიშნავად იცნობდნენ საყუთარი ენისა და მისი დიალექტების ბუნებას. მიტომაც არც ერთ მათგანს არ ვტყუობა კუთხური ენაჯვის დომინანტა. ამ მწერლებმა შექმნეს მაგისტრალური ხაზი ქართული ენისა, რომელმაც აქცია ქართული ენა მწერლობისა და ფილოსოფიისების ენად, ეს იყო ასაკი სიმწიფისა, საიდანაც იწყება დიდი დიაბაზონის ქმნილებათა დაწერის შესაძლებლობა“.

4. „სრულასაკონებას ქართულმა ენამ მეთრთმეტე საუკუნეში მიადწია“.

5. „ნაციონალური სახელმწიფოს სრულყოფისათვის ენის არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა“.

6. „მხოლოდ საბა ორბელიანმა შესძლო ვახსნა დამოუკიდებელი მომდგარი წყაროს თვლი ქართული სიტყვისა“.

7. „როგორც ვასული საუკუნის მანძილზე ისე ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში დიდი საფრთხე იდგა ქართული ენის წინაშე. ეს იყო გასოფლურება, მოკლედ, საფრთხე მოგველოდა — რუსთაველისა და მერჩულის ენა არ გადაქცურდა ირობის ენად“.

მარამ როგორც ავტორი ამბობს, ეს იყო მხოლოდ საფრთხე და დროზე მიბრუნდა ქართული ენა საბა ორბელიანისაკენ.

„ნიკო ბარათაშვილმა და გრიგოლ ორბელიანმა ბევრი რამ გააკეთეს დარბაისლური ქართული ენის აღდგენისათვის. თავიანთ ინტელექტუალური სიმწიფის პერიოდში არსებობდა ილია და აკაკი იყვნენ გამგრძელებელნი ამ მაგისტრალური ხაზისა, რომელიც მეხუთე საუკუნიდან მომდინარეობს“.

8. წერილში დახასიათებულია და საგანგებოდა აღნიშნული ვეფხველას დიდი როლი სალიტერატურო ქართული ენის განვითარებაში.

9. ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ იმას, რომ კ. გამსახურდიასათვის სავესებით ნათელია ილიას როლი სალიტერატურო ქართული ენის განვითარების საქმეში. ილიას შესახებ იგი აღნიშნავს: „ილია ქვეყნავე სსსტკად ებრძოდა გორბელიანის ზეზს ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში“.

ილია რომ იქ გაჩერებულყო, სადაც ნიკო ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი შესდგნენ, ქართული ენა ჩვენამდის ვერ მოაღწევდა“.

10. საყუთარ დამოკიდებულებას ძველი ქართული ენისადმი კ. გამსახურდია განსაკუთრებულად უსვამს ხაზს:

„ზოგიერთ გულუბრყვილოს აგრე ჰგონია თითქოს მე მოხნად მქონდეს დასახული გ. მერჩულის ენა აღვადგინო“.

„მე არასოდეს ვყოფილვარ ისეთი უტოპისტი, თუნდაც ერთხელ წარმომედგინა თითქოს ძველქართულის ინტენტარი იკმარებდეს თანადროული დიდი რომანისათვის საქირო ცნებათა კომპლექსის შესაყერებად“.

მე-11, მე-13, მე-14 და მე-15 საკითხებზე იგივე პასუხებია გაცემული, რაც ჩვენს მიერ უკვე წარმოდგენილი წერილების „დიონისოს ლიმილის“ მეორედ გამოცემის გამო“ და „ქართული ენის მაგისტრალური ხაზის“ განხილვის დროს იქნა აღნიშნული.



12. „თურქული სემანტიკის სიტყვები ისე უხამსად ჩაჩრილია ქართულში, ისინი დღესაც ეხამუშება ყურს. ამიტომაც მუდამ ვერადგება თურქულ-მონღოლურ სიტყვებს“

16. ზოგს ისე წარმოუდგენია, თითქოს მე ანაზღვეულად ვაგროვებდ ჩაც შეიძლება ძველ სიტყვებს და უწყესრიგად ვყრიდ ჩემს ნაწერებში. ზოგი კალმისანი არ იცნობს არც თავის კუთხის, არც საქართველოს სხვა კუთხეების დიალექტებს და ყოველი სიტყვა, რომელიც მის ცნობიერების გარეშეა, „არქაიზმი“ ჰგონია“.

შემდეგი წერილი, რომელიც სალიტერატურო ქართული ენის საკითხებს მიუძღვნა კ. გამსახურდიამ არის „ვილაშქრით ქართული ენის სიწმინდისათვის“.<sup>18</sup> ამ წერიაში ძირითადად განხილულია ქარგონის მიმართება ქართული სალიტერატურო ენისადმი.

დადასტურებულია მაგალითები ქარგონებზე სალიტერატურო ქართულში და გამოცხადებულია მკაცრი ბრძოლა სალიტერატურო ქართულის დანაგვიანების წინააღმდეგ.

„არქაიზმი და პროვინციალიზმი“<sup>19</sup> რომელიც დაწერილია 1951 წ., ერთ-ერთი საყურადღებო წერილია კ. გამსახურდიას ლიტერატურულ შემოკვლევებში.

გარდა სათაურშივე მოცემული ნაკითხებისა, რომელთა შესახებაც ავტორი წერს: „ჩვენ უნდა ვებრძოლოთ როგორც ჩვენს, ისე ჩვენი ოლეგების ნაწერებში, როგორც გადაჭარბებულ არქაიზმს, ასევე გადაჭარბებულ პროვინციალიზმს“, ეხება სხვა საკითხებსაც:

1. საკუთარი თეორიის სალიტერატურო ქართული ენის შესახებ:

„მე შევიშუშე მთელი თეორია, რომლის მიხედვით ქართული ენა უნდა შეგვებურუნებინა მის პირველ საწყისებთან, რათა ჩვენს ენას ახალი სასიცოცხლო ძალემა მოეხვეჭა ჩვენი მარაგიდან და კულტურის სხვადასხვა ორგანოებიდან“.

2. ქართული კრიტიკის როლის სალიტერატურო ენის განვითარებაში:

„...დღემდის ქართული კრიტიკა თავის ყურადღებებს გარეშე აყენებდა ახალ ქართულის მამოძრავებელ ტენდენციებს. მე იშვიათად წამოიხილავს რომელიმე კრიტიკოსის მიერ სათანადო ანალიზით განხილული ენობრივი ფენომენი ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში“.

3. მწერლის როლის საერთო-სახალხო ენის განვითარებაში:

„მე ვიტყვი, ყოველივე წერაში შეფერებულია ავტორის ენისა და სტილის თავზე მოხვევა მკითხველისადმი. ცხადია, იქ საქაროა უდიდესი ზომიერება და სიფრთხილე“.

4. ავტორი მსჯელობს საკუთარი ენის შესახებ:

„ვისაც ჩემი ნაწერების კითხვით თავი შეუწყუბნა, იგი უთუოდ შენიშნავს, რამდენიმე ეტაპს ჩემი ენის განვითარებისას, რამდენიმე ტენდენციას.“

თავდაპირველად არქაიზაციისაკენ მიდრეკილება გავამტავრე ისტორიულ მასალაზე მუშაობისას, ვეულისხმობთ „დიდოსტატის მარჯვენას“ დაწერის პერიოდს, უთუოდ ჩემი ბრალია, რომ მე საქმარისად ვერ შევებრძოლე იმ ზეგავლენას, რომელიც მოახდინეს ამ პერიოდში ჩემზე ქართული სიტყვის დიდოსტატებმა: ლეონტი მროველმა და დავითის ისტორიკოსმა, გიორგი მერჩულმა და თამარის ორივე მემკვიდრემ, გიორგი შთაწმინდელმა და პეტრიწონელმა.

ვერ განვირდებ იმას, უკეთ რომ ვთქვათ, არ განვირდებ, რამდენადაც ეს ყოველივე ზელს უწყობდა ჩემს თეორიას ენის სტატუტობის აუცილებლობის შესახებ.

თუ არ ვცდები, სასვებით თანამედროვე და რეალისტური ვენით მაქვს დაწერილი ნოველები, აგრეთვე რომანები „მთვარის მოტაცება“, „გოეტეს ცხოვრების რომანი“ და „დავით აღმაშენებლის“ პირველი, მეორე და მესამე წიგნები.

ხალხობრისადმი მიდრეკილებაც არ უნდა იყოს ჩემთვის უცხო „ხოვასის მინდიამი“.

წერილში „მთარგმნელის ისტატობისათვის“<sup>20</sup> განხილულია მარგმნილი ლიტერატურის როლი სალიტერატურო ქართული ენის განვითარებაში

ფრიად საინტერესოა წერილი „ლექსიკოლოგიური შენიშვნები“<sup>21</sup> რომელშიც მოცემულია მწერლის მიერ მრავალჯგის აღნიშნული საკითხი: სალიტერატურო ქართულის გამდიდრების საშუალება.

1956 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა კ. გამსახურდიას წერილი „ქართული ენის მეურნეობისათვის“.<sup>22</sup> იგი დაიბეჭდა საკითხის განხილვის წესით. წერალი ძირითადად მიძღვნილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პირველი ოთხი ტომის გამოსვლისადმი. ამასთან ერთად განხილულია სალიტერატურო ქართული ენისთან დაკავშირებული როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხები:

1. ქართული ენის ისტორიის დაკავშირება საქართველოს ისტორიისთან:

„ქართული ენის აღზევებისა და დაცემის მართან უსტად ემთხვევა ჩვენი სახელმწიფოს ტრავიკული ისტორიის სხვადასხვა ეტაპებს: იაკობ ხუციესის, რუსთაველის, მერჩულის, პეტრიწონელის, სპა ორბელიანისა და დავით ვურამიშვილის უბრწყინვალესი ენა ჩვენი ისტორიისა“.

**თამარ ინჯია**  
კონსტანტინე ზამსახურდიას მართლვე  
სალიტერატურული ენის შესახებ



რის ჩარხის უკუღმა ტრიალის მეოხებით ისეთ ოროფეხებზე შემდგარ არსებდა იქცა, როგორც იყო ანტონ კათალიკოსის ოცნებდა მეტყველება, ხოლო მე-19 ს. ვალატაეების, დაშორების ზღურბლს მიაღწა, ბოლოს ანტიონოვისა და გ. ერისთავის ქარგონი მიგმალა ლიტერატურასა.

2. მე-19 ს. მწერალთა როლი სალიტერატურო ქართული ენის განვითარებაში.

„მე-19 საუკუნეში სულ რამდენიმე მწერალს ჰქონდა საკუთარი მართლწერა: ნ. ბარათაშვილი, გ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველას, უმრავლესობა კი საკუთარი კუთხის დაღვრულზე სწერდა: ისინი ვერაფერს მატებდნენ ენის მეურნეობის გენერალურ ხაზს“.

3. რაზე დაფუძნდა ქართული სალიტერატურო ენა?

„... ქართული ენის საფუძვლად ოდიოვანევი მიწეულია ქართლ-კახური, რამდენადაც ისე-რული სახელმწიფო ამ ენას ხმარობდა თავის ოფრისდიქციისა და კანცელარიისათვის. ამ გზიდან ვალახვევა, იქნება ეს იმერზენა ენისა, ან მთიულური ინტონაციის მოძალევა — უცილოდ — საზიანოა“;

4. „მამათა და შვილთა“ ბრძოლა მე-19 ს. 60-იან წლებში:

„მე მგონია უსაზნოო ფანტაზირება უღვეს საფუძვლად იმ კორიანტელს, რომელიც ასტეხეს ჩვენმა ლიტერატურათმცოდნეებმა, ე. წ. მამებსა და შვილებს შორის ატეხილ ომობანას გამო. ენის საკითხებში ილია ჭავჭავაძეს ებრძოდნენ ისეთი პირები, რომელნიც ამაოდ ატარებდნენ მწერლის სახელს, თუნდაც ბარბარე ჯორჯაძე, საკმაოდ გაუნათლებელი მწიფობარი“.

5. იქონია თუ არა გავლენა ანტონ კათალიკოსმა სალიტერატურო ენაზე?

„ანტონი იყო ერთი საკმაოდ უნიჭო ღვთისმეტყველი, იგი არავითარი მწერალი არასოდეს ყოფილა, არც არავითარი საკუთარი სკოლა მას არ ღარჩენია“.

6. ილიასა და გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობა ენის საკითხებთან დაკავშირებით:

„... აქ მთავარი იყო ის ანტავგონიზმი, რომელიც ბუნებრივად ჩამოვარდა ლიბერალურად მოაზროვნე ახალგაზრდა ილიასა და გაზულუქებულ მოხუც კონსერვატორს შორის.“

ცხადია გ. ორბელიანს, ბრწყინვალე მოქართულეს, არ მოსწონდა ზოგი ლიხ ვადალტევი კერნალისტების მიერ შემოტანილი „აქანაი-მაქანაის“ ქართული.“

„როგორც ყოველ დიდ მწერალს, ილიასაც რამდენიმე პერიოდი ჰქონდა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე. სიკბატუის პერიოდში მას შექანიერად გადმოჰქონდა ზოგჯერ ენის საკითხებში პოლიტიკური რადიკალიზმის იდეები“.

„თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ილია აშკარა ანტავგონიზმით ექცეოდა გრიგოლ ორბელიანს, რომელიც ახალგაზრდა ილიასთან განირჩეოდა ძველ ქართული ინტონაციით. შემდეგ კი ეს ინტონაცია ილიას ნაწერებსაც შეუღდა. იგიულისმებმა, „განდევილი“, „აჩრდილი“, „ლოცვა“ და სხვ. ეს ძველქართული ინტონაცია ახასიათებდა ყველა დიდ მწერალს მეცხრამეტე საუკუნისა, განსაკუთრებით ნიკო ბარათაშვილს“.

7. თანადამი ძალდატანების საკითხი:

„ენა ისეთი ფენომენია, მის ორი რამ აუფენებს ზიანს: როგორც ზელოვნურად გამარტებება, ისე ზელოვნურად მისი დაღვერტუნა...“

8. ენათმეცნიერისა და მწერლის დამოკიდებულება ერთად:

„ხალხის მიერ იმანენტურად შექმნილ ფაქტურას ენისას აყალიბებს აფორმებს და მიმართულებას აძლევს მწერალი, ენათმეცნიერი, ლინგვისტი ანალოზს უქეთებს და აჯამებს პროცესებს ენის ქმედობისას, უჭვე დაღვენილის კვალიფიცირებებს ეწვეა და აღწუსხავს მოვლენებს ენის განვითარებაში შეინიშნულს“.

9. ჩვენი დედაქალაქის სახელწოდების გამო:

„ზოგიერთს სეროზულად ჰგონია, თითქოს რუსული ან გერმანული „T“ ქართულ „თ“-ს უღრდეს. რაკი ტფილისს რუსულად „Тбилиси“ ეწოდება, თათლისჩენს და დაადგინეს „თბილისი“ შემოვლით. თხუთმეტი საუკუნის მანძილზე მთელს ჩვენს ისტორიულ ქრონიკებში, ქართლის ცხოვრებაში, სიკელ-გუჯარებში, ჩვენი კლასიკოსების ნაწერებში ტფილისი ერქვა და ერთბაშად ჰობ, ჰობ, და ვახდა „თბილისი“.“

10. ა. ს. შესახებ ქართულ ანბანში:

„ქართულში ა იხმარება დასაბამიდან. ეს ასო დღესაც ძველ ქართლ-კახეთის, ქართული მითანეთის და გურიის მეტყველებაში“.

„ამ შემთხვევაში (იგულისხმება თარგმნის დროს) გამოსადეგია ასო ნოშანი ა. უამისოდ უხეიერი მოსიმის ევოლუცია, რეზოლუცია, კოსტუმი, რეზუმე, ილლუზია“... და სხვა.

11. ორმაგი თანხზოვანი უცხო წარმოავლობის სიტყვის ძირში:

„უცნაურია იმის მტკიცება, თითქოს ორმაგი თანხზოვანი ან ხმოვანი ქართულ სიტყვაში შეუძლებელია“.

„ჩვენ უნდა ვეცადოთ, ისე როგორც ძველმა ქართულმა ადემტავურად გაახშინა „მასალათი“, „ჟამათი“ და „გვენა“, შესაბამისი ფონეტიური სიზუსტით გაჯამინათ: მასსა, კლასსი, პრესსა, პროცესსი გრამმატიკა, რასსა და სხვა სიტყვები ბერძნული, რომაული და ფრანგულ-გერმანული წარმოავლობისა.“

12. ენის გამდიდრების საშუალება:

„ყოველი ენა უმთავრესად მდიდრდება მონათესავე დაღვერტებისა და საკუთარი ძველი ლექსიკური მარაგის ხარჯზე“.

18. სულხან-საბა ორბელიანის და დავით გუამიშვილის როლი სალიტერატურო ქართული ენის განვითარებაში:

... საბა ორბელიანი არსებითად წარმოადგენს ქართული ენის უდიდეს შემკრებს და განახლებელს, ქართული ენის უდიდეს კანონიხატორს“.

ის, რაც ქართული პროზისათვის საბამ გაუკეთა, პოეზიაში იტვირთა დიდმა პოეტმა დავით ერამიშვილმა“.

1958 წელს დაწერილი წერილი „ტფილისი“<sup>23</sup> დაგვეხმარება გვეჩვენებდეს გამსახურდიას პოეზიაში მე-19 ს. მწერლების მიმართ:

„მეცხრამეტე საუკუნეში კვლავ განახლდა ქართული ენისა და ქართული მწერლობის უბრწყინველესი ტრადიციების აღდგენისათვის შრომა“.

წერილი „Ad honorem Saba Orbeliani“<sup>24</sup> მიძღვნილია დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანისადმი. მასში გამოთქმულია საყურადღებო მოსახრებები სალიტერატურო ქართული ენის შესახებ.

... საბა ორბელიანი თავისი ძალოვანი მკვლევით შემოაბრუნა ტომის ქართული მეტყველებისა და ქართული ენა კვლავ ეზიარა თავის პირველად სათავეებს.

... XIX ს. ილიამ და აკაკიმ განახლეს ქართული ენა, მათ რა თქმა უნდა, დიდი ღვაწლი ასაღეს ქართულ მწერლობას, მაგრამ თავიანთა მუშაობის პირველ პერიოდში მოუხდათ ნამეტნავად გამარტივება ლექსიკური ინვენტარისა“.

„ქართული ენა ამჟამად შეკიდებულა უდიდეს ამოცანებს. მან უნდა გამოსძებნოს ჩვენი ინსტრუქციული ეპოქის ყოველი ნიუანსის შესახებ. ქართულ ენაზე დღეს იწერება შრომები ადამიანური ცოდნის ყოველი დარგიდან. სდ უნდა ეძიოს მან კრედიტი? მხოლოდ და მხოლოდ მის ძველ მარაგში და დიალექტურ განსტოებებში, რადგან ჩვენ სხვა კრედიტორები არა გვაყავს“.

1960 წელს ქ. გამსახურდია კიდევ ერთხელ იმალღებს ხმას სალიტერატურო ქართული ენის სიწმინდისათვის.<sup>25</sup>

ენაზე, როგორც მწერლობის უმთავრეს იარაღზე ქ. გამსახურდია წერს: „მე მუდამ სერუბულბურად ვეცეოდი ენობრივ ფაქტორს, რადგან ხელოვნურ ქმნილებებში მუდამ სპეკულისხმოა არა მარტო რა“<sup>26</sup>, არამედ „როგორ. ეს რომ არა, მოთხრობებსა და რომანებს ყოველი მასწავლებელი, ან ბუხპალტერიც დაწერდა. ენის ინსტრუმენტია მთავარზე მთავარი“<sup>28</sup>.

ქართული ენისა და სიტყვის ბუნებრივ შეგქმნებაზე მიგვიითებს შემდეგი მსჯელობა:  
„ქართული ენა თავით, ისე, როგორც ბერ-

ძნული, ლათინური და იტალიური, სიტყვის ეოკალბით დაბოლოებითაა ელერადი...“

ჩვენი ენის ბუნებას ეუცხოვება თანხმოვნებით დაბოლოება სიტყვისა... უნდა დაიწეროს განცხადება სტრუქტურისა და არა განცხადება სტრუქტურისა“.<sup>27</sup>

არც ქართული შრიფტის საკითხი გამოჩენილია ყურადღებიდან ქ. გამსახურდიას. მას გამოთქმული აქვს ორიგინალური მოსაზრება: „უცილოდ საჭიროა ასომთავრულით დაწევა ყოველი ახალი ფრაზისა, ასომთავრულით დაწერა გეოგრაფიული და საკუთარი სახელებებისა“.<sup>28</sup>

1968 წ. № 1 „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილია ინტერვიუ კონსტანტინე გამსახურდიასთან. აღნიშნულ ინტერვიუში ზახვასმულია მწერლის დიდი როლი სალიტერატურო ენის განვითარებაში და ამდენად, აუცილებლობა მწერლის ენის შესწავლისა:

„არასოდეს მინახავს რომელიმე ჩვენს კრიტიკოსს ამა თუ იმ მწერლის გარჩევისას ენობრივი მომენტებისათვის მიეცეოს ყურადღება. რუსთაველი, ვაჟა, ტოლსტოი, პუშკინი დიდი იყვნენ არა მარტო როგორც სქელტანიან წიგნთა ავტორნი, არამედ როგორც წინ წამწევენი ნაციონალური ენისა. ამის გარეშე ყოველგვარა მწერლობა პოლიგრაფიულ ნიშნათა ამო ხარჯვია“.

„ვილაშქროთ ქართული ენის სიწმინდისათვის“<sup>29</sup> ქრონოლოგიურად ყველაზე ბოლო წერილია, რომელიც ვერცხად ეხება ქართულ სალიტერატურო ენას. ამ წერილში დასმულია საკითხები:

1. ქართული სალიტერატურო ენა და არქაიზმი;
2. საჭიროა თუ არა ქართული ანბანისათვის ასო ზ?
3. ტფილისი და არა თბილისი;
4. „პ“ და „ს“ თავსართების შესახებ;
5. ქართული შრიფტის შესახებ;

1. ქ. გამსახურდიასათვის არქაიზმთა გამოყენებაზე ხელის აღება ნიშნავს ქართული ენის ისტორიაზე ხელის აღებას.

„უშეცარ კრიტიკოსებს არ ესმით, რომ „არხაიოს“ ნიშნავს „ძველს“, ქართულ ენას მოეპოვება ბარე ორი ათასი წლის ტრადიცია და როგორ შეგვიძლია ჩვენ ამ დიდ მიემგვიდრებობაზე ხელი ავიდოთ“.

2. ისევე როგორც წერილში „ქართული ენის მეურნეობისათვის“ აქაც ავტორს აუცილებლად მიაჩნია ზ-ის აღდგენა ქართული ანბანის სრულყოფისათვის.

3. საქართველოს დედაქალაქის სახელწოდების სწორ დაწერილობად მიაჩნია ტფილისი და არა თბილისი.

**თამარ ინიჯია**  
კონსტანტინე ზამსახურდია ქართული სალიტერატურო ენის შესახებ



4. ქართულ ზმნაში „პ“ და „ს“ თავსართების ხმარების შემთხვევაში კ. გამსახურდია დგას იმ პოზიციაზე, რომელიც ერთ დროს ს. ხუნდაძეს ეკავა:

„მართალია ქართულ ზმნებში „სანს“ და „პავს“ გრამატიკული ფუნქცია ზოგჯერ არ გააჩნიათ. ამიტომ ვანიზრახავ ჩვენმა ენათმეცნიერებმა მათი გაუქმება, მათ დაავიწყდათ, რომ ამ ბგერებს ვაჩნიათ გრამატიკულზე არა ნაყოლები მნიშვნელობის ეფენიური, ესთეტიური ფუნქცია“.

5. ქართული შრიფტის შესახებ გამოთქმულია იგივე მოსაზრება, რაც წერილში „ფიქრები პოეზიის გარშემო“.

დასასრულ, შევეცდებით ყოველივე ზემოთთქმული მოვიყვანოთ სისტემაში და კ. გამსახურდიას მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს ქართული სალიტერატურო ენის შესახებ მივცეთ ერთი მთლიანი სახე:

1. ენა არის უმთავრესი საშუალება მალალი რანვის პოეზიის შექმნისათვის, „რადგან ხელოვნურ ქმნილებაში შედამ საკულისხმოთა არა არა“, არამედ „როგორ“.

2. აქედან გამომდინარე მწერლის შემოქმედებითი სიციცხლისათვის უცილობელია მშობლიური ენის ყოველმხრივი და ღრმა ცოდნა. ამ პრაქტიკული და თეორიული ცოდნის განუწყვეტელი ზრდა და გაფართოება.

3. ქართული სალიტერატურო ენა არის დიდი ტრადიციების, ორი ათასწლოვანი ხანდაზმულობის მქონე ენა. მისი ისტორიის დასაწყისი ჩვენთვის ემთხვევა ქართული პროზის განვითარების უძველეს საფეხურს, იაკობ ხუცესისა და გიორგი მერჩულეს შემოქმედებას (რამდენადაც აღრინდელ ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ). გ. მერჩულეს ეპოქა არის პერიოდი სალიტერატურო ენის განვითარებისა, როდესაც ქართული უკვე გადაცილებულია ძველბერძნული, ირანული და არაბული ენების ეპიგონობას, უარყოფითი, რეაქციული ზეგავლენას. ამ პერიოდში სალიტერატურო ქართულს ყოველივე უცხოური ვადამუშავებული, აწყობილი და შეზორცებული აქვს მშობლიურ მექანიზმთან, ბუნებასთან. ამიტომაც:

4. „სრულასაკოვანებას ქართულმა ენამ მეთერთმეტე საუკუნეში მიადწია“ და ჩამოყალიბდა სალიტერატურო ქართული ენის განვითარების მაგისტრალური ხაზი.

5. სალიტერატურო ქართული ენის გენერალური ხაზის შემქმნელი მწერლები იყენენ: იაკობ ცურაველი, გიორგი მერჩული, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა, ბერტიწონელი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ უცნობი ავტორი, ეზოსმოძღვარ ბასილი, რუსთაველი, „ვისრამიანის“ მთარგმნელი, ლეონტი

პროვოლე, დავითის ისტორიკოსი, თავარის ორივე მემბრინე.<sup>30</sup>

6. ქართული სალიტერატურო ენის ისტორია ემთხვევა საქართველოს ისტორიას. მე-13 ს. მეორე ნახევრიდან საბა ორბელიანამდე ქართულ ენა ვალატყების, დევრადირების, გაუცხოების გზას დაადგა. სულხან-საბა ორბელიანმა სალიტერატურო ქართული ენის განვითარების გაუყვეტილი მაგისტრალური ხაზი აღადგინა და ბუნებრივ კალაპოტში ჩააყენა. მან საფუძველი ჩაუყარა ახალ სალიტერატურო ქართულს და მის კანონიზატორად მოგვევლინა.

ის, რაც პროზაში ვაყენა სულხან-საბა ორბელიანმა, პოეზიაში წილად ხვდა დავით გურამიშვილს.

7. კვლავ დადგა პერიოდი სალიტერატურო ენის განვითარების შეწყვეტისა. საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის კლასიკური ქართული ანტონ კათალიკოსმა „ოროფებზეზე შემდგარ ოცობედა მეტყველება“ ვადამქცია. კვლავ საჭირო შეიქმნა ქართული ენის გამრუდებული გენერალური ხაზის შემოზრუნება.

8. ახალი სალიტერატურო ქართული ენის აღორძინებულად მე-19 ს. მოგვევლინენ ჯერ ალ. ქავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ხოლო შემდეგ ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ეკა ფშაველა.

ილია ქავჭავაძის სიციცილის შემდეგ მომრავლდნენ მწერლები, რომლებმაც ილიას ლოზრევი ენის ხალხურობის შესახებ განახორციელეს უკიდურესად ცალმხრივად. თითოეულმა მათგანმა მხოლოდ მის მოახერხა, რომ ვაბატონის თავის ნაწერებში იმ კუთხის დიალექტი, საინდანც იყო გამოსული. ენა გაღარბდა, გაცვდა. ამიტომ ისევ დადგა საფრთხე სალიტერატურო ქართულის მაგისტრალური ხაზის გამარუდებისა. 9. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ქართულ ენას განვითარების ფართო გასაქანი მისცა, რამდენადაც აღდგა ნაციონალური სახელმწიფო, ხოლო „ნაციონალური სახელმწიფოს არსებობა ენის არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა“.

ეს არის პერიოდი ენის დუდილის, შექმნის, ზრდისა. მე-20 ს. მწერლების წინაშე დაიგა საკითხი ქართული ენის კალაპოტში ჩაყენების, კანონიზირების, ახალი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბების დამთავრებისა.

არავითარ შემთხვევაში ახალი სალიტერატურო ქართულის მეურნეობა არ უნდა განვიხილოთ რომელიმე ახალი ენის პოზიციებიდან. არ უნდა დავივიწყოთ მისი წარსული და ტრადიციები. იგი უნდა წარმოადგენდეს ბუნებრივ გაგრძელებას ქართული ენის განვითარების მაგისტრალური ხაზისა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ მე-5 ს. ჩაყარა. ტერმინები „ძველი ქართული“, „ახალი ქართული“ არ უნდა ანკალკებდეს, თიშავდეს ერთმანეთისაგან სალიტე-





საქართველოს  
წიგნისწერთა  
კავშირი

რატორ ქართლის განვითარების სხვადასხვა პერიოდებს (ყოველ შემთხვევაში მხატვრული ლიტერატურის შექმნის დროს), თორემ ამას წმირ შემთხვევაში ისეთ კუთხოვნებამდე მივყავართ, რომ „ძველი ქართლის“ გამოყენებას, გაცოცხლებას „ახალ ქართულში“ დანაშაულად, ზოგჯერ კი თანამედროვე სალიტერატურო ენის დანაშაულად თვლიან. ეს რეაქციული მოღონა სწორედ თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის მიმართ. არ შეიძლება თანამედროვე სალიტერატურო ქართული დაეყრდნოს მხოლოდ მე-19 ს. მწერლების ენას. ეს იქნებოდა თვით ენის ისტორიის უარყოფა. ვარა ამისა, მაშინ აქვე უნდა შეწყვიტილიყო ქართული ენის განვითარებაც და იგი უნდა წარმართულიყო ისევე ცალმხრივად, როგორც ეს გაიკეთეს ილიას შემადგომმა მწერლებმა. ძველი ქართლის, როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ერთ-ერთი უდიდესი რეზერვუარის, უარყოფა ნიშნავს სალიტერატურო ქართლის განვითარების მთავარ საშუალებაზე უარის თქმას.

„ქართულ ენას არ გააჩნია მონათესავე ენათა ოჯახი, როგორც თუნდაც ფრანგულს — რომანული ენები“. ამიტომ არ შეიძლება სალიტერატურო ქართლის ზრდა მხოლოდ „გარეგან სესხს“, ბარბაროზებს, დაეყრდნოს.

10. ძირითადი და უმთავრესი საშუალებები თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის განვითარებისა, რის შედეგადაც ვაგრძელებდა ქართული ენის მაგისტრალური ხაზი „ვახლავთ ძველ ქართულს და ჩვენი ტომების მრავალკაციანი დიალექტები“. ესენია „დაუშრეტელი რეზერვუარი ჩვენი ენისა“.

11. ამავე დროს უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვექცეთ ამ საშუალებათა გამოყენებას. უნდა ვებრძოლოთ როგორც ვადკარბებულ არქაიზმს, ასევე პროვინციალიზმს, ისინი მომეტებულად ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ, როცა ლიტერატურულ ენაში მათი ბადალი არ მოგვეპოვება.

„ეს არ გამოიცხვავს ბარალური სიტყვების, ომონიმების, სინონიმების შემოღებას“, რადგან ამით ენა მდიდრდება.

12. დიალექტების გამოყენება არ ნიშნავს რომელიმე ერთი დიალექტის გაბატონებას ცალკეული მწერლის ენაში. „მწერალს არა აქვს უფლება საკუთარი კუთხის დიალექტით წეროს“.

„XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვეცეს ილიას ქართულის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშავურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აჲ, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“.

ქვემოთი ქართველი მწერალი მთლიანი საქართველოს შესიტყვე უნდა იყოს, რადგან, „ქართული ენა არც ამერლებს შეუქმნია და არც ამერლებს, ცალკე არც ერთსა და არც მე-

ორს. არც თუ მარტოდენ ქართლის მეტროპოლისს შეუქმნია იგი. ქართული ენა შექმნილია ყველა ქართულ დიალექტებზე მეტყველ ქართულ ტომებსა და ნაშთების მიერ“.

13. გარდა ძველი ქართულისა და დიალექტებისა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის გამდიდრების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს უცხო სიტყვათა შემოტანა, „ვიბრძოლოთ და ვეცადოთ ოდნავ ინტერნაციონალიზირი იგრი მივიანივით ქართულ ენას. უხვად შემოვუშვათ ახალ ქართულში ბერძნულ-ლათინური საპირო ბარბაროზები: კულტურა, ტელეფონი, სეზონი, მოდა, ავანსი, ანონსი, ავანგარდი. ეს არას ავნებს ქართულს“, რადგან იგი ისედაც მარტოხელაა და განდგომილი. ამავე დროს „ქართულიდან უნდა გავაკეთო უკუქტურო ელემენტების ბალასტი“, თურქული სემანტიკის სიტყვები ისე უხამსად ჩაჩრილია ქართულში, ისინი დღესაც ეხამუშება ყურს“.

„უნდა ვებრძოლოთ უხვიერი ნეოლოგიზმებს: ელსმენი, რომი და სხვა“.

არავითარ შემთხვევაში არ დაეუშვათ ქარგონის შემოპარვა ლიტერატურაში. სალიტერატურო ქართული ენის სიწმინდის დაცვა ყოველი მწერლის უპირველესი მოვალეობაა.

14. „ვიბრძოლოთ ქართული სინტაქსის აღდგენისათვის... სამი მეოთხედი უახლესი ქართული მწერლობისა რუსული სინტაქსითა დაწერილი: არ ვარგა „კაცი სათვალეებით“, „წერილი დედას“, ფორმა „ენის სიწმინდის შესახებ“, „ქოლექტივიზაციაზე ფიქრი“, „აკაცა ქედში“, ქართულად ასე იქნება: სათვალეანი კაცი. წერილი დედისადმი, ენის სიწმინდისათვის, ფიქრი კოლექტივიზაციისათვის, ქუდიანი, პორტფელიანი კაცი და სხვ.“

16. უნდა გავაცოცხოთ ქართული ანბანი — „ქართულში ა იხმარება დასაბამიდან. ეს ასო დღესაც უფროს ქართულ-კახეთის, ქართული მთიანეთის და გურიის მეტყველებაში“. თარგმანის დროსაც უმეველად გამოსადგვია იგი. „უამისოდ უხვიერიდ მოისმის ევოლუცია, რეზოლუცია, კოსტუმი, რეზუმე“—

15. საქართველოს დედაქალაქის სახელწოდება საუკუნეების მანძილზე იყო და უნდა დარჩეს ტფილისის და არა თბილისი. არავითარი აუცილებელი მიზეზი საწინააღმდეგო მოსაზრებისა არ არსებობს.

17. უცხო წარმავლობის სიტყვების ძირებში უნდა დაეტოვოთ ორმაგი თანხმოვანი: მასსა, პრესსა, პროცესსი, ვრამატოჟა, რასსა. ისინი ქართულში უნდა გავაზმინათ მათი მშობლიური ენის ფონეტიური სიზუსტით.

თამარ ინჯია  
კონსტანტინე გამსახურდიან ქართული  
სალიტერატურული ენის შესახებ

18. „მართალია, ქართულ ზნებში „სას“ და „პაეს“ გრამატიკული ფუნქცია ზოგჯერ არ გაანჩნათ, ... მაგრამ გვეაწყობება, რომ ამ ბევრებს განაჩნათ გრამატიკულზე არა ნაკლები მნიშვნელობის ეგფონური, ესთეტიკური ფუნქცია“. უნდა დააწეროს ჰყვავის გურია და არა ყვავის გურია, კაცი სჩანს და არა კაცი ჩანს.

19. „...ქართული ენა თავათ, ისე როგორც ბერძნული, ლათინური და იტალიური, სიტყვის

ვოკალით დაბოლოებითაა ელერადი... უნდა დაიწეროს განცხადება სტუდენტისა და მასწავლებლის განცხადება სტუდენტისა.  
 20. უნდა განვახლოთ ქართული შრიფტი. ჩვენს ეპოქაში შეიქმნა სქელტრანს რომანები, ისტორიული და ლინგვისტური მონოგრაფიები. დიდ მანძილზე მათი კითხვა ღლის მკითხველის თვალს“. ასომთავრულების შემოღება თვალს დასვენების საშუალებას მისცემდა.

შენიშვნები:

1. В. Виноградов, Наука о языке художественной литературы и ее задачи (на материале русской литературы), издательство академии наук СССР. Москва, 1958, стр. 5.

2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1, თბილისი, 1950, გვ. 008.

3. რა თქმა უნდა, ამგვარ წერილთა რიცხვში არ შეგვაქვს შ. ძიძიგურისა და ზ. ჭუმბურიძის წერილები კ. გამსახურდიას ენის შესახებ, რომლებიც ჩვენთვის ნიმუშს წარმოადგენენ. ასევე გამოიკვლითა რევაზ თვარაძის და ზოგიერთ სხვა ავტორთა წერილები.

4. იხ. ვაზ. „კომუნისტა“, 1950, 28.V, „ქართ. სალიტერატურო ენის დამახინჯების წინააღმდეგ“. წერილი ხელმოუწერა და დაბეჭდილი.

5. ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, 14. I, № 2.

6. საკმარისია ამის მაგალითებად დავასახელოთ ილია, აკაკი, ვაჟა.

7. 1917 წ. დაწერილ წერილში „ქართველობა და უცხოეთის ვენია“ ავტორი ეხება ქართულ ენას, მის განვითარებას, მაგრამ ამ მოსაზრებას არა აქვს ორგანული კავშირი მწერლის თეორიასთან სალიტერატურო ქართულის შესახებ.

8. ვაზ. „ლომისი“, 1922, № 16.

9. ვაზ. „სიტყვა და საქმე“, 1934 წ. კ. გამსახურდია „კრიტიკა Essays“, ტ. II, 83-80.

10. „სალიტერატურო გაზეთი“, 1934, 24.V, № 11.

11. „ქართველურში“ იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები.

12. კ. გამსახურდიას სიტყვებს „მე აბსოლუტურად გეწინააღმდეგებო ამ რეფორმას, რომელიც ილია ჭავჭავაძე ეწეოდა“, ჩვენ არ ვღებულობთ მათი პირდაპირი შიშველი მნიშვნელობით, ჩვენი აზრით, კ. გამსახურდია აქ გულისხმობს ქართული ენის გაქართულების ტენდენციას, რაც ი. ჭავჭავაძის მიმხრობა დახვებამ გამოიწვია მე-19 ს. და არა თვით ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას, მის

ენას. ამის აღნიშვნა დაგვირდა იმიტომ, რომ კ. გამსახურდიას მიერ ილია ჭავჭავაძის მიმართ თქმულმა ამ სიტყვებმა საყოველთაოდ ისეთი შედეგი გამოიღო, რომ კ. გამსახურდიას აბრალებდნენ ი. ჭავჭავაძის და მისი ღვაწლის არცნობას, ილიას დაუფასებლობას, რაც დღეს მეტად გულშემატკვარელია და პრიმიტიულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს გამსახურდიას უამრავი წერილები ი. ჭავჭავაძის შესახებ. საკმარისია დავასახელოთ ჭერ კიდევ 1922 წლის 12 სექტემბერს სიტყვა წარმოთქმული ილიას საფლაოზე და იმავე წლის 17 სექტემბერს ვაზ. „ლომისში“ დაბეჭდილი ვრცელი წერილი „ილია ჭავჭავაძე“.

13. იხ. ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ. № 17.

14. კ. გამსახურდია, რჩელი თხზულებანი, ტ. 7. 1965 წ. გვ. 399-400. წერელი დაწერილია 1936 წ.

იხ. «Литературная газета», 1935, 20.VI, № 34, К. Гамсахурдия, Истоки Грузинской прозы. მსკოვში ყოფნისას „ლიტერატურული გაზეთის“ პასუხისმგებელი რედაქტორის პროფ. ა. ა. ბოლოტნიკოვის თხოვნით კ. გამსახურდიამ დაწერა ზემოთ აღნიშნული წერილი. წერილი შეამოკლა რედაქციამ ავტორთან შეთანხმების გარეშე, რის შედეგადაც დასაშვები შეიქმნა სალიტ. ქართული შესახებ გამოთქმული მოსაზრებების სხვადასხვაგვარი გააზრება ამგვარი მოსაზრებებითა:

«Как Чавчавадзе, так и Церетели частично свернули с того пути, который шел от Иакова Хуцеси до Саба Орбелиани. Этот путь магистральная линия грузинской прозы».

«В XIX в. вновь начинается борьба за восстановление грузинского языка и курьезы. Знаменосцами этого движения были Григол Орбелиани и Илья Чавчавадзе».

დაწერილებით იხილეთ კ. გამსახურდია, რჩელი თხზულებანი, ტ. 7, 1965. გვ. 369.

<sup>16</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წ. 7.III, № 10.  
<sup>17</sup> კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 8. 1967, გვ. 208, წერილი დაწერილია 1945 წელს.  
<sup>18</sup> კ. გამსახურდია, რჩ. თხზულებანი, ტ. 1, 1967, გვ. 242. წერილი დაწერილია 1948 წელს.  
<sup>19</sup> კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 7. 1965, გვ. 444.  
<sup>20</sup> კ. გამსახურდია, რჩეული თხზ., ტ. 7. 1965, გვ. 462. წერილი დაწერილია 1951 წელს.  
<sup>21</sup> კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 7, 1965, გვ. 254. წერილი დაწერილია 1954 წ.  
<sup>22</sup> „ლიტერატურული გაზეთი“, 1956 წ. № 25.

<sup>23</sup> კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 7. 1965, გვ. 274.  
<sup>24</sup> ე. „ცისკარი“, 1959, № 12.  
<sup>25</sup> კ. გამსახურდია, რჩ. თხზულებანი, ტ. 7, 1965, გვ. 564.  
<sup>26</sup> იქვე, გვ. 314.  
<sup>27</sup> კ. გამსახურდია, „ფიქრები პოეზიის გარშემო“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1963, № 28.  
<sup>28</sup> კ. გამსახურდია, რ. თხზ. ტ. 7, 1965, გვ. 283.  
<sup>29</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1968, № 7.  
<sup>30</sup> ჩამოთვლილ მწერალთა სია შეიძლება არ იყოს სრული, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მწერალთა სრული სიის მოცემა კ. გამსახურდიას წერილობით არ დასჭირდება.



## ივოლუცია ჩხარაძეების

# ბრძოლა რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ქურნალ „იმედის“ მიხედვით

მე-19 საუკუნის II ნახევარი საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ახალი ეტაპია, სოციალური ძვრების ეპოქაა, ახალი, მოწინავე იდეების ჩამოყალიბებისა და ძველი, დრომოკმული ფეოდალური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდაა.

ბევრი მეცნიერი დანტერესებულა ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლით და დღეისათვის საქართველოში ამ მიმართულებით საქმოდ ბევრია გაკეთებული. გაცილებით უფრო სუსტადაა და თითქმის არც არის შესწავლილი მე-19 საუკუნის II ნახევრის მოწინავე ქართველ მოაზროვნეთა ანტირელიგიური ბრძოლა.

შეითიბებდა რა მარქსადელი ათეისტური პუბლიცისტის მნიშვნელობაზე, ვ. ი. ლენინი შრომაში „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“ აღნიშნავდა: „XVIII საუკუნის ძველი ათეისტების მარჯვე, ცოცხალი, ნიჭიერად დაწერილი და გაბატონებულ ხეობაზე გონებაშივილი და აშკარად თავდასხმული პუბლიცისტია ძალიან ხშირად ათასჯერ უფრო მეტად გამოსადევია იმისათვის, რომ აღამიანები რელიგიური ბანგისაგან გამოვადიქოთ, ვიდრე მოსაწყენი, მშრალი, მარჯვედ შერჩეული ფაქტებით თითქმის სრულიად დაუსტრათებელი ვადმოღეკვა მარქსიზმისა, რაც ჩვენს ლიტერატურაში სჭარბობს და რითაც ასე ხშირად (აქ დასამალი არაფერია) ამხინჯებენ მარქსიზმს“.

ვ. ი. ლენინის ეს მითითება რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიული ტრადიციების, ათეისტური მეგვიდრეობის გამოყენების შესახებ დღესაც აქტუალურია, ის განსაზღვრავს მეცნიერული გამოკვლევის მეთოდს და დავამარება, რათა პრაქტიკულად იქნეს გამოყენებული ჩვენი ხალხის პროგრესული მეგვიდრეობა საბჭოთა ადამიანების კომუნისტურად აღზრდისათვის. ეს, რასაკვირველია, ვრცელდება ქართველ მოაზროვნეებზედაც, რომლებიც უმოკვრესად ქართული პრესის საშუალებით იბრძოდნენ რელიგიის წინააღმდეგ. მათ ათეისტურ

მეგვიდრეობას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და პუბლიცისტური ლიტერატურის მდლად მასალას შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ხალხის მეცნიერულ-ათეისტურ აღზრდაში.

წინამდებარე შრომა მიხნად ისახავს გააშუქქონს მეცხრამეტე საუკუნის II ნახევრის ქართველ ხალხისათა ანტირელიგიური ბრძოლა ეურნალ „იმედის“ მიხედვით.

ხალხისნობა, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა, ყოველთვის იპყრობდა მეკლევართა ყურადღებას. ქართულ ისტორიოგრაფიას დღეისათვის საქმოდ დიდი მასალა აქვს დარგოვილი, რომელიც ხალხისნობის მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეს ასახავს. მაგრამ არის ხალხისნობის იდეოლოგიის ერთი საყურადღებო საკითხი. რომელიც ჭერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი. ლაპარაკია ხალხისათა ათეისტურ და ანტიკლერიალურ შეხედულებებზე. რელიგიისა და ეკლესიის კრიტიკის საკითხებს კი ხალხისათა პრაქტიკაში არც თუ უქანასკნელი ადგილი ეკირა და მათი ვაგების ვარუე ძნელია მთლიანი წარმოღვენის შექმნა განვითარებისუფლებელი მოძრაობის სულიერ შინაარსზე.

სულ სამიოდე წლით განისაზღვრა „იმედის“ არსებობა (1881-1883), მაგრამ ამ „ლიტერატურულ-პოლიტიკურმა“ ჟურნალმა ვარკვეული როლი ითამაშა საქართველოს პროგრესული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. ჟურნალმა იმათიოდე შემოიკრიბა იმდროინდელი საქართველოს მოწინავე ადამიანები (დ. აბდუშელიშვილი, მ. იმედაშვილი, სტ. კრეულაშვილი, ანტ. ფურცელაძე, ნ. სიხანუშვილი, სოფრ. მეგლობიშვილი, მ. ჯანაშვილი, დომ ბაქრაძე, კ. მკვათარიანი, დ. ქართველიშვილი).

საქართველოს ცენტრალური არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდში შემონახულია „იმედის“ რედაქტორის მიხეილ გურგენიძის თხოვნა „იმედის“ გამოშვების ნებართვის შესახებ. აქვეა წარმოღვენილი ჟურნალის პროგრამაც, რამქლიც უცვლელად მოკვავს:

## Программа литературно-политического журнала «Имеда»

1. Отдел беллетристический, куда войдут произведения как оригинальные грузинские, так и переводные.

2. Отдел исторический, который будет состоять из исторических статей, касающихся прошлой жизни Кавказских народностей, а также и иностранной.

3. Отдел педагогический, куда будут входить педагогические статьи, относящиеся к местной русской и иностранной жизни.

4. Отдел критический, в котором будет разбор литературных произведений, как местных, так и иностранных.

5. Отдел местный, в который войдет рассмотрение явлений общественной жизни Кавказского края.

6. Русская жизнь, или обозрение крупных явлений общественной жизни русского народа.

7. Отдел политический, который будет состоять из обзоров выдающихся политических явлений как из русской жизни, так равно и из жизни иностранных государств.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეურნალ „იმედის“ მიმართულების შესახებ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი არსებობს. მკვლევართა ნაწილი (ა. კვიციანი, ლ. გორგილაძე, ზ. შველიძე და სხვ.) „იმედს“ ლიბერალური მიმართულების ეურნალად თვლის, ნაწილი კი. (გ. მეგრელიშვილი, პ. გუგუშვილი, ე. ანთელავა, ე. ჩაღუნელი და სხვ.) რადიკალური მიმართულების ეურნალად მიიჩნევენ.

ჩვენ ვიზიარებთ მკვლევართა მეორე ნაწილის კერძოდ პროფ. ი. ანთელავას აზრს, რომელიც ეურნალში დაბეჭდილი მასალების სადუმელიანი და საკმაოდ ვრცელი მიმოხილვის შედეგად დასკვნის, რომ ეურნალი „იმედი“ არ იყო ლიბერალური მიმართულების ორგანო და რომ ის ბრძოლისაგან მოუწოდებდა და არა მეფის მთავრობის თანამშრომლობისაკენ.

ეურნალის ფორტულეზე ანტისაეკლესიო გამოსვლები და რელიგიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლა ორგანულად იყო დაკავშირებული იმ რევოლუციურ-დემოკრატიულ პროგრამასთან, რომელსაც გამოცემვებს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება კარნახობდა.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლები... ქვეყანა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პერიოდშია. ბატონყმობა უკვე დიდი ხანია გადავარდნილია, თუმცა უღვთა საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. რევოლუციამ ნაწილობრივ გარდაქმნა აგრარული დამოკიდებულებანი, მაგრამ სრულიად ხელშეუხებლად დატოვა ძველი სოციალურ-პოლიტიკური წყობა. გაბატონებულ კლასად ეკლავაც თავდაზნაუ-

რომა რჩებოდა, ხელისუფლება კი იცავდა მის პრივილეგიებს და სდევნიდა ყოველგვარ სოციალურ-ზოციალურ მოძრაობას, რომელიც არსებულ წყობის შეცვლას ითვალისწინებდა.

ასეთ პირობებში ხალხოსნები განაგრძობენ თერგდალეულების საქმეს. იბრძვიან მიწისათვის და გლეხთა განთავისუფლებისათვის. გავსული საუკუნის ოთხმოციან წლებში საქართველოს მოწინავე საზოციალურ-ზოციალურ დაკავებულთა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარება. ეს ბატონყმობის ნაშთებისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხია, ქვეყნის დემოკრატიზაციის საკითხია. სწორედ ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა დღის წესრიგში სცადა ბრძოლას ეკლესიის წინააღმდეგ. „ლიტერატურულ-პოლიტიკური“ ეურნალი არ ისახავდა მიზნად ბრძოლას ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ, ეურნალის უმთავრესი დანიშნულება ბრძოლა მწარმოებელი კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ბრძოლა ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, ბრძოლა თვითმპყრობელობასთან და რადგანაც ეკლესიის ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა კლასობრივი დამოკიდების საშუალებათა შორის, ამასთან დაკავშირებით „იმედში“ ანტირელიგიური წერილებიც გვხვდება. სწორედ ამით უნდა აიხსნას აღნიშნულ ეურნალში დაბეჭდილი წერილების არამებრძოლო ხასიათი. ანტირელიგიური მოტივები შედარებით მკრთალად გამოიყურებიან საზოციალურ-ზოციალურ მოძრაობათა ფონზე.

როდესაც „იმედში“ დაბეჭდილი წერილების არამებრძოლო ხასიათზე ვლაპარაკობთ აუცილებლად ვასათვალისწინებელია აგრეთვე იმდროინდელი ცენზურის პირობებიც, რომლის უღმობიელ მეთრეობას ვერც ქართული პრესა გადაურჩა.

და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია ღარიბია აშკარა ანტირელიგიური გამოსვლის ფაქტებით. გამოჩაყლის არც მე-19 საუკუნის II ნახევარი წარმოადგენს, არც ამ პერიოდის მოაზროვნეებს წამოუყენებიათ ანტირელიგიური ლოზუნგები, მათი ბრძოლა რელიგიასთან ძირითადად ქართულ ეურნალ-გაზეთებში ანტიკლერикаლური წერილების ბეჭდვაში გამოიხატა.

ეურნალი „იმედი“ გვევლინება მშრომელი ხალხის უფლებების დამცველად და მისი ინტერესების გამომატველად, სწორედ ამიტომ არის, რომ ზემოაღნიშნულ ეურნალის თითქმის ყველა ნომერში გვხვდება წერილები გლეხთა

### იხილეთა ჩხატარაიანი

ბრძოლა რევილიუციური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ეურნალ „იმედის“ მიხედვით

მომე მდგომარეობის შესახებ, რომლის ავტორები კარგად გრძობენ გლეხთა უმწეო მდგომარეობას და ყველა მათთვის ხელშისაწვდომი საშუალებით იბრძვიან გლეხობის პირობების გაუმჯობესებისათვის.

„ცნობილია, რომ ხალხის უმეტესობას ყველგან შეადგენს გლეხობა. ამ გლეხობის ხეღერი არის მუდმივი შრომა — მიწის შემუშავება. გლეხი თავის ცხოვრებას აღამებს განუწყვეტელ შრომაში. თვის ოფთვი მონაგარი მოსავლით ის აძლევს დღიურ სარჩოს არა მარტო თავის ღარიბ ოჯახს, არამედ ჩვენც, რომელთაც კირანახლის მოყვანისა არა გავვეგება რა, და აკმაყოფილებს სხვადასხვა სახელმწიფო მოთხოვნილებათა. აქედგან სჩანს, რომ გლეხი მუდამ ზრუნავს, როგორც თავისთავზე, ისე ჩვენზედაც. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ კი გულგრილად შევცქერით ამ დაჩაგრულ შრომის შვილს, არ ეხედავთ მასში ჩვენთვის მოამავს, არ ვფიქრობთ, რომ ცოტათი მაინც გაუადვილოთ მას თავისი მეტის მეტად შევიწროებული ცხოვრება“ — გვითხრობთ სენაკიდან გამოგზავნილ კორესპონდენციამო.

„მუშა ხალხი საქართველოში“ — ასეთი სათაურითაა დაბეჭდილი „იმედში“ საინტერესო წერილი, რომლის ავტორი აღწერს მშრომელი ხალხის მიმე მდგომარეობას და უარყოფს წოდებათა პარმონის გავრცელებულ მცდარ შეხედულებას: „ზოგიერთ პირებს საქართველის ერის ბატონ ყმობა მამშენლობათ მიიჩნდათ, და ქართულს მწერლობაშიც ისე ამტკიცებენ, რომ „ყმას ჰქვდა პატრონი და არა ბატონი“, წოდებათა ამბობა, ერთობა და თანაწრობა იყო, რაც დრო გადის — მტკიცდება და ჩნდება ისეთი მასალები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენს ხალხს მშობაც, ერთობაც იშვითად ჰქონია, და ყველა ის, რასაც დღეს მოგონებენ და აკეთებენ მას“.5 წერილის ავტორი თანამედროვე მწერლობას მშრომელი ხალხის მიმართ გულგრილობას უსაყვედურებს და წოდებათა პარმონის მცდარი თეორიის არსებობას მშრომელი ხალხის შესახებ ცნობების სიმცირეს მიაწერს. „როდესაც კი გადავლით „ქართლის ცხოვრებას“ და სხვა ისტორიულ წიგნებს, ყველგან მეფეთა და სხვა ამგვართა პირთ ამბავი ბერია, და შესახებ მუშა-ხალხისა, კი სიტყვა არსად არის ნათქვამი.

„ჩვენი გლეხ-კაცობა და ახალი სამართალი“ ასეთი სათაურით არის დაბეჭდილი „იმედში“ ნიკო ხიზანიშვილის წერილი. ავტორი ასაბუთებს სამართლის დიდ მნიშვნელობას ხალხის ცხოვრებაში, მას კარგად ესმის, რომ სამართალი დიდი ზნეობითი ძალაა. „ხალხის უბედურება და ბედნიერება, მისი აწყყო და მომავალი ამ ძალაზე არის დამკვიდრებული“.6 ნ. ხიზანიშვილი განიხილავს ცვლილებებს მომხდარს ამ სამართალში, ამ საკითხსაც იმ უკუ-

სით უდგება, თუ რითი აღმჯობესებს მომხდარი რეფორმა გლეხკაცის მდგომარეობას. რამე ნ. ხიზანიშვილის აზრით „ახალმა სამართალმა ის ნაყოფი არ მოიტანა, რომელსაც მოელოდნენ. ჩვენი სამართალი ფორმალურია, დედა-ბოძს, რომელზედაც ის სამართალი დაყარებულია, შეადგენს სისტემა ფორმალური დამტკიცებისა, იურიდიული, ფორმალისმია“.

წერილის ავტორს კარგად ესმის, რომ საქმეს არ უშველის მხოლოდ თანაწრობის აღიარება, ამისათვის საჭიროა დროებით ვალდებული გლეხების ინსტიტუტის გაუქმება და აგრარული საკითხის გადაჭრა. „ახალმა სამართალმა აღიარა თანაწრობა კანონის წინაშე, ყველა თანაწრობათ დააყენა სამართლის წინა — დიდი და პატარა, თავადი და გლეხი, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უმეცარი... თანაწრობისათვის საჭიროა თავისუფლება ეკონომიური თუ სხვა-გვარი, იქ, სადაც გლეხი „დროებით ვალდებულია“ თავის ბატონისა, კანონის წინაშე თანაწრობას უფრო თეორეტიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული, იქ თანაწრობა კარგი და მშვენიერი სიტყვა არის და არა განხორციელებული პრინციპი“.

იმდროინდელი ცენზურის პირობებში, თეორეტიკული მნიშვნელობის ბატონობის პერიოდში ეს უსათუოდ გაბედული გამოსვლა იყო.

კანონებს ხეხუა ავრთვე ამბვე უტრნალში დაბეჭდილი ნიკო ხიზანიშვილის მეორე წერილი: „უფლება და კანონი ძველ საქართველოში“.

როგორც სათაურიდან ჩანს ლაპარაკია „ძველი საქართველოს“ კანონებზე. „ჩვენი უფლება და კანონი ცხადდ ვეჩვენებს, რომ საქართველოს წარსული ცხოვრება აშენებული იყო წოდებრივ სხვადასხვაობაზე და გლეხი ყველაფრით განირჩეოდა თავადისაგან და სხვა წოდების წარმომადგენელისაგან“.

ავტორის მიზანია გავაცნოს გლეხკაცის უფლებები ძველად ჩვენს ქვეყანაში, მითუმეტეს რომ ამის შესახებ ძლიერ ცოტაა ნათქვამი და გარდა ამისა „თვით გლეხ-კაცობაც ძლიერ საყურადღებო წოდებას წარმოადგენს ჩვენს სამშობლოში, გლეხ-კაცი იზიდავს ეხლა სულს და გულს ყოველი ბატონისანი კაცისას“.

ავტორი განიხილავს ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფოს უფლებებს, კანონებს და აღნიშნავს, რომ „თვით გარეგანი განწყობილება უფლებისა და კანონისა ძველ საქართველოში ხელს ვერ უწყობდა, არ ესაჩრლებოდა გლეხის მდგომარეობას“.

ნ. ხიზანიშვილი ლაპარაკობს მშრომელი ხალხის, კერძოდ გლეხობის მიმე მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ერთი მხრივ მეფე და ფეოდალები, მეორე მხრივ სასულიერო წოდება ავიწროებდა.

საქართველოში გლეხობას სხვადასხვა გადასახადი ეკისრებოდა, რომელთა შორის მნიშვნე-



ლოვანი ადგილი ეჭირა საეკლესიო გადასახადებს. სწორედ საეკლესიო გადასახადები შეადგენდნენ ხამლედელოების შემოსავლის ძირითად წყაროს.

ამის გასათვალისწინებლად, თუ რა დიდ თანხას შეადგენდა საეკლესიო გადასახადი და რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ამის გამო გლეხობა მოგვყავს 1887 წლის ცნობების მიხედვით შედგენილია ცხრილი.

აღსარება	10 კაბ.
სახლის კურთხევა	30 კაბ.
მარილის კურთხევა	20 კაბ.-დან 1 მანეთამდე
საკურთხის „—“	20 კაბ.
საფლავის „—“	20 კაბ.
დანიშნის დროს შაქრის კურთხევა	1 მანეთი და ნახევარი თავი შაქარი
პარაკლის ყანაში	50 კაბ.—80 კაბ.
ნათვლა მღვდელს	40 კაბ.
ღიაკონს	20 კაბ.
ზარის მრეკველს	10 კაბ.
ჭორწინების ოქმის შედგენა	40 კაბ.
გარდაცვალების შემდეგ 7 დღის განმავლობაში	
პანაშეიდი	2—5 მან.
ნათლობის მოწმობა	1 მან.
მედავითენს მიცვალებულზე დავითნის საკითხავი	1 მან.
ჭორწინების დროს კარის გასაღები	20 კაბ.
ჭორწინება	7 მან.
მღვდელს დასაფლავებისათვის	3 მან.
მედავითენს	1 მან.—10 კაბ.

ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი ვერ ეგუებოდა გლეხობის ასეთ მძიმე მდგომარეობას და ქართული ჟურნალ-გაზეთების საშუალებით გაბედულად ლაპარაკობდა სამღვდლოების უსამართლო საქციელზე, მის მიერ მოსახლეობის დაუნდობელ ექსპლოატაციაზე.

ზემოაღნიშნული წერილის ავტორიც დიდ ადგილს უთმობს სასულიერო წოდების კრიტიკას, რომელიც იმდროინდელ საქართველოში საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა და ეკონომიურადაც ძლიერი იყო. „სასულიერო წოდება მართო სულიერი საზრდოთი როდი იკვებებოდა. მისთვის საჭირო იყო ზორციელი საზრდო. თუ რა დიდ ლუქმას შეადგენდა ეს ზორციელი საზრდო სჩანს სხვათა შორის იმ ფაქტიდან, რომ მცხეთის ეკლესიას 1683 წ. ჰყვანდა ათას ოცდახუთი კომლი გლეხი კაცი. თავის საკუთრება ეკლესიამ შემოიფარგლა, მის სამფლობელოში ფეხის გადადგმა არავის შეეძლო. ბევრმა კანონმა არ იცის ის უქიდურესი ცნება საკუთრებისა, როგორც ეპოევებო ჩვენ საეკლესიო კანონში, საეკლესიო მამულე ქრისტეს საკუთრება იყო. თვით მეფეს ძლიერ ერეკლე მეორეს, არ შე-

ეძლო ხელი ეხლო საეკლესიო მამულისათვის... მაშინაც კი, როდესაც ჩვენი სახელმწიფო ჰყარა გავადა დამოუკიდებლობას, სასულიერო ფეოდალებს პატივისცემა არ აკლდათ. სპარსეთის შაჰი ულაქუცენბა ამ ფეოდალებს, ავიღოებოდა მათ, — რა მენაღვლება ჩემი საქმე კეთილად წარიმართოსო. კათოლიკოზიც ახვეწებდა ლმერთს ნადირშაჰის სულს, ლოცულობდა მის სახლობისათვის“.<sup>11</sup>

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ეკლესიის მსახურები სრულადაც არ იყვნენ მოკლებულნი ანგარებას და პირადი კეთილდღეობისათვის არავითარ სამარცხნეო საქციელს ჩადენას არ თაკილობდნენ.

სასულიერო წოდება განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა, მის ხელში იყო „უფლება და კანონი“, როგორც საერო, ისე საეკლესიოც. სამღვდლოებამაც თავისი საქმიანობა მხოლოდ საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გამდიდრების წყაროდ აქცია. ძნელი მისახვედრო არ არის, რა მდგომარეობაში იყო საეკლესიო გლეხ-კაცობა, რადგან „სასულიერო წოდება ანგარებას არ იყო მოშორებული და ერთგულად ემსახურებოდა თავის ჯიბეს“.<sup>12</sup>

„იმედის“ თანამშრომლები ზედავენ გლეხობის არასასარბიელო მდგომარეობას, იბრძვიან მისი პირობების გაუმჯობესებისათვის, ლაპარაკობენ გადასახადების სიმძიმეზე, უსამართლობაზე, აკრიტიკებენ ყველაფერს, რაც გლეხობის პირობების გაუმჯობესებას ხელს უშლიდა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია „იმედში“ დაბეჭდილი მიხეილ გურგენიძის წერილები, რომლებიც რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს შეეხება.

ქრისტიანულ რელიგიას მრავალი რელიგიური წეს-ჩვეულება გააჩნია, რომელთაც საფუძვლად ზედუნებრივი სამყაროს არსებობის რწმენა უდევთ და მორწმუნეებში რელიგიური იდეოლოგიის განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენენ. ექსპლოატატორული კლასური რელიგიური წეს-ჩვეულებებს რელიგიის ვავრცელებისა და პროპაგანდისტობის იყენებდნენ, რითაც თავიანთ ბატონობასაც ანმტკიცებდნენ. ამ დღესასწაულებებისა და წეს-ჩვეულებების მთავარი ფუნქცია ექსპლოატაციოს დაცვაში და გლეხობის გაბრუნებაში გამოიხატებოდა.

სამღვდელოებაც ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდა საეკლესიო წეს-ჩვეულებათა ხელშეუხებლობა შეენარჩუნებინა, სასტიკად სდევნიდა ადამიანებს, რომლებიც ამ წეს-ჩვეულებების კრიტიკით გამოდიოდნენ.

საქართველოს მოსახლეობა ძლიერ შევიწრო-

**იწოდება ჩხარბიშვილი**  
 ბროლა რეალიზირი წამ-ჩამუღებობის  
 წინააღმდეგ ჟურნალ „იმედის“ მიხედვით



ებულა იყო საეკლესიო წეს-ჩვეულებათა გამო, რადგანაც მათთან დაკავშირებული ხარჯები მძიმე ტვირთად აწვა მატერიალურად ისედაც დაუძლურებულ გლეხობას, რაც ხშირად გლეხობის აშკარა უკმაყოფილებას იწვევდა.

აღნიშნული ვერნახლის რედაქტორი მიხეილ გურგენიძე ქართველი ხალხის სიღარიბის ერთ-ერთ — მიზეზად რელიგიურ წეს-ჩვეულებებს თვლის. 1881 წლის „ნიმდღი“ დაბეჭდილ წერილში ის წერს: „ჩვენ ამ დრომან შევეცდომიან და გვინდა ვილაპარაკოთ მხოლოდ ერთს მიზნზედ, რომლის მოსპობას შეუძლიან ქართველი ხალხი სიღარიბიდან სიმდიდრიკენ გამოაბრუნოს. ეს მიზეზა არის უთავბოლო, უხომო, შეუცხაბამო ტყუელი ხარჯი ნათლობაზედ, ქორწილზედ, დღეობებზედ და მკვდრის დამარხვაზედ. თვით დახადებიდგან კაცისა სიკეთილამდინ — იმის ცხოვრება ისე არის დაყენებული ჩვენს ქვეყანაში, რომ თითქოს ის ცხოვრება დაძლუბავი ჩვეულებებისათვის არის გაჩენილი“.<sup>13</sup>

წერილის ავტორი ცალკადაც განიხილავს ზემოაღნიშნულ წეს-ჩვეულებებს და რელიგიურ დღესასწაულებს. განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას რელიგიურ დღესასწაულებზე, აღწერისთვის აღწერს დღეობის მხედველობას და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს: „თუ დღეობის წინა საღამოს შეგროვდა ყველა კუთხიდან ხალხი და დაებანა ეკლესიას ვარშემო; აანთვი ცეცხლები, მიიბეს ურმებზედ ხარკამბენი, ეკობაზედ ცხენები; ვადმობსენს ურმებიდან მადრაშები, შესაწირავი ცხერები და მამლები. საქონელს მისცეს საქმელი და თავის მუცლისათვის დაიწყეს ზრუნვა; ზოგი სწავეს წყლა, ზოგი ლაგებს ზურგინიდან საცაღს, ზოგი ასხამს ტიკორიდან ღვინოს. შეუძლავთ თავში ღვინო, ვაძრათა სიმღერაც, მუზიკის კერა, არგანების ქიჭვინი, ცეკვა, შაირობა, ლანძღვა და ვინება. ეს არის ეკლესიების კარზედ ღამის თევა მეთრე დღეს შეუძლემინ ივივეა და მერე კი დაფანტებთან. რა მშვენიერი „ლოცულობაა“ რა ღვინის თავყანისცემია! და აი ამგვარ ჩვარობებზედ ტყუილად ღუბავს ქართველი ხალხი მწარე ოფლით მოწაგარს ქონებას ყოველ წელს! რატომ უფრო კიდევ ღარიბი არ არის ჩვენი ხალხი ვასავიერელოა ჩვენი სამშობლოს მოსალეოს უხვაობა უნდა იყოს მიზეზი, რომ ჩვენ შიმშილით არ ვიხოცებით, შემდეგ ამ ნაირი ქონების ფანტეისა, და არა სხვა“.<sup>14</sup>

შემდეგ წერილის ავტორი აკრიტიკებს ქელესს, რომლის აღმოცენება ღრმა წარსულს უკავშირდება. მასინ არსებობდა რუმენა, რომ ადამიანის ვარდაცვალებას შემდეგ მისი სული ცვლავ განგრობის ცხოვრებას, სულს შეეძლია კეთილად ან ბოროტად განეწყოს ადამიანების მიმართ. ადამიანებიც ცდილობდნენ მოეშაღლიერებათა სულზედ უმზიდებდნენ მათ საქმელ-

სასივლს, რომელსაც საფლავში ატარდნენ. მიკვალუბლს და საფლავზე მიქონდნენ მათსავე წარმართობის ეს ადითი ვადმორცხაქსის ნობამ და მიცვალებულის „სულის მოსახსენებლად“ შემოდებულთ იქნა ქელები. ქელები მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას, რაც ხშირად მის აშკარა უკმაყოფილებას იწვევდა

მიხეილ გურგენიძე თავის წერილში საქმოდ დიდ ადვილს უთმობს ამ წეს-ჩვეულებას, აკრიტიკებს იმ დიდ ხარჯებს, რომლებიც მას ახლავს. „ჩვენი ხალხისათვის სიტყვის „დამარხვა“ სხვათარი მნიშვნელობა აქვს. დამარხვას ქართველი ხალხი აძლევს იმ მნიშვნელობას, რომ ყველა ნათესავნი, მეგობარნი, ნაცნობნი, მეზობელნი ვახდენ მოწინავენი ვაუბედურებულ ოჯახის მწუხარებისა, რაც შეიძლება კარგად დალიონ, ვამოძენ და მონდურავი არენი წავიდეს; ამა როგორ იქნება სული არ უხსენო! ქირისუფალს სულ ავიწყდება თავის მკვდარი და იმას ფიქრობს, რომ გამოჩენილად დამარხოს ის და მით ვადამხადოს თავისი მოვალეობა“.<sup>15</sup>

ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს წეს-ჩვეულებები არა მარტო მატერიალურად ანეჩავებენ გლეხობას, არამედ ხშირად სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩადენის მიზეზიც კი ხდებოდნენ. „უშეტეისი ნაწილი ჩვენი სისხლის სამართლის საქმებისა აშენებული არის ხოლმე ნათლობებზე, ქორწილებზედ, დღეობებზე და მიცვალებულის დამარხვაზედ“.<sup>16</sup>

წერილის ავტორის აზრით, აუცილებელია აღნიშნული წეს-ჩვეულებების მოსპობა. რაც თვითონ ხალხმა უნდა ითავოს, კანონი ამ შემთხვევაში არ შეუძლია არავითარი ზემოქმედების მოხდენა. ამ საქმეში მავალით ხალხს მოწინავე ადამიანებმა უნდა მისცენ, შემდეგ მთელი ხალხიც მათ მიბაძვას, თანდათანობით, რამდენიმე წლის განმავლობაში „თუ სრულიად არა, ზოგიერთი ჩვენი დაძლუბელი ჩვეულებები მაინც მოსპობათ, ან კიდევ შეგიორდებთან, თუ მრთელ საქართველოში არა, ზოგიერთს მის ადგილებში მაინც“.<sup>17</sup>

მიხეილ გურგენიძე ეკამათება „ივერიის“ კორესპონდენტს, რომელიც გამოთქვამდა აზრს აღნიშნული ადამიანის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ „დღეობებს ანუ ჩვარობებს თავდაპირველად სრულებით არ ქონიათ ის მზიარულების მნიშვნელობა, რომელსაც ეხლა აძლევს მათ უ. კრიტიკოსი, იმ გაჭირვებულის დროს, რომელიც ვამოუცვლია საქართველოს ხალხს, იმას ქონია დამპარებულთათვის იმედი უბედურებისაგან დახსნისა მხოლოდ ხატზედ და ჩვარზედ. სალოცავათ წასვლა რომელიმე ეკლესიაზედ, ცოცხალ არის შორის მყოფზედ, მარტო ერთის ან ორის ოჯახისათვის, მტრებისაგან შიშის გამო. შეუძლებელი იყო; ამისათვის მთელი სოფლები შეიკრებოდნენ და წავიდოდნენ ხოლმე. ამ გვარათ, დღეს,





საქართველოს  
წიგნების კავშირი

ხვალ შეიყარნენ ხოლმე მოლოცვები ეკლესიაზე და დაწესდნენ ჯვარობები, რადგანაც ჩვენი ხალხი, ცოტათ არის თუ ბევრთა, დახეწია იმ უბედურებას, რომელმაც დაზადეს ჯვარობები, მას რა უშლის ამათ მოსპობას? სწორეთ არაფერი, ჩვენი აზრით... არც ქელეხებს და ნათლობებს და ქორწილის წვეულებებს აქვსთ ის დანიშნულება, რომელსაც უფ. კრიტიკოსი აძლევს. ვინ არ იცის, რომ ქვიფის და დროების გატარების მაგიერ, მასპინძლები დიდ წვალებასი, დავი-დარაბასი და ვაი-ვაგლასი არიან ხოლმე? ან რა დროების გატარებაა, თუ დღერთი გწამსთ, გრძნობის დაკარგვამდის ღვინით დათრება და ერთმანეთის ჩეხა და ლანძღვა-კინება?!<sup>18</sup>

ავტორის აზრით, აუცილებელია მვენ ადამთის მოსლა და, თუ ამ მვენე ადამთ მოეოშით თუ მუდამ დაბეჩავებულ ვიქნებით. მიხვილ გურგენიძეს შესაძლებლად მიაჩნია „დამლუჯველი ჩვეულებების“ მაგიერ ხალხში გავრცელდნენ, სადაც არიან და გაძლიერდნენ, იარმუკებიც, რომლებს წყალობითაც ერთმანეთის ნახვა-შეძლება, დროების გატარება და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაც? სადაც ყველას შეუძლიან იაფათაც მოიპოვოს, რაც კი იმისათვის საჭირო არის, და პირიანათაც გაასაღოს თავისი ნაწარმოები“.<sup>19</sup>

მეფის მთავრობა და ეკლესია ყოველნაირი საშუალებებით ცდილობდნენ ხალხს რელიგიური წეს-ჩვეულებები განემტკიცებინათ და შეენარჩუნებინათ, რადგანაც რელიგიური წეს-ჩვეულებები ექსპლოატატორთა ბატონობის ერთერთ პოლიტიკურ საშუალებას წარმოადგენდნენ.

ცარიზმის ბატონობის მძიმე პირობებში, როდესაც ეკლესია სახელმწიფოს მტკიცე დასაყრდენს და ექსპლოატატორული კლასების ერთგულ დამცველს წარმოადგენდა, საუკუნეებით დაჯანონებული რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლა დიდ ვაბედულებას მოითხოვდა.

„იმედში“ დაბეჭდილი წერილების ავტორი ვაბედულად გამოდიოდა რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ, რომელიც არა მარტო სულიერად, არამედ მატერიალურადაც აბეჩავებდა სოფლის მოსახლეობას.

ქართული პრესის საშუალებით ამ წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ გამოსვლა, მათი კრიტიკა იმ დროისათვის წინგადამდებული ნაბიჯი იყო. ამდევარმა კრიტიკამ საგრძნობლად შეარყია რელიგიური იდეოლოგია და ხელი შეუწყო ხალხში ანტირელიგიური მსოფლმხედველობის შექრას. ყველაფერმა ამან გარკვეული ვავლენა მოახდინა ათეისტური აზრის განვითარებაზე.

„იმედი“ თავის ფურცლებზე გარკვეულ ადგოვლს უთმობს ცრურწმენების კრიტიკას, რომლებიც ძლიერ გავრცელებულნი იყვნენ რევოლუციამდე სპართველში.

ცრურწმენების აღმოცენება ღრმა წარსულს უკავშირდება და ბუნების წინაშე ადამიანის უძლურებით, მშრომელთა მასების სოციალური დაბეჩავებით, ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების მიზეზების არცოდნით აიხსნება. იმ დროდან, რაც არსებობს ექსპლოატატორული კლასები, ცრურწმენები მშრომელებზე ექსპლოატატორთა ბატონობის ერთერთ მყარ დასაყრდენს წარმოადგენენ.

თვითმპყრობელობა ყველა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებით იბრძოდა, რათა რელიგიურ რწმენათა ხელშეუხებლობა შეენარჩუნებინა და მეცნიერული ცოდნის განვითარებისათვის ხელი შეეშალა.

XIX საუკუნის II ნახევრის მოაზროვნეებისათვის რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლა აქტუალურ და საპტიო ამოცანას წარმოადგენდა. ეს ბრძოლა უმთავრესად ქართული პრესის ფურცლებზე ცრურწმენების მამხილებელი წერილების ბეჭდვაში გამოიხატა. იმ პერიოდში პრესის საშუალებით ხალხში მოწინავე იდეების გავრცელება ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე კარგ საშუალებას წარმოადგენდა.

1881 წლის ურნალ „იმედში“ დაბეჭდილია კორესპონდენტ ჯინჰარაძის წერილი „მეორეთ მოსვლის“ შესახებ. სურამ-ხაშურში ხმა ვავრცელებულა გიორგობისთვეში მეორეთ მოსვლა იქნებო. ამას ისე შეუწუხებია ხალხი, რომ ზოგიერთს მუშაობაზე ხელი აუღია, ზოგიერთს ქონება გუნაივებია, ზოგიერთს ლოთობა დაუწყია, მანამდე მინც ვილხინოთ. „მეორეთ მოსვლის ხმამ პირველთა ყოველთა ეს მოუტანა სურამელ-ხაშურელებს. თითქმის ყველას, ვანათურებით ქართველების პირზედ ისახება: რაც ეკამე ის შექრჩაო, რაც არა — თხრათ დამრჩაო.“<sup>20</sup>

შემდეგ ავტორი ლაპარაკობს ქვეყნის დაქცივის უსაფუძვლობაზე, შიშს მეორეთ მოსვლის გამო ხალხის უმეცრებასა და უსწავლელობას მიაწერს. ყურადღებას ამახვილებს სავალალო შედეგებზე, რომელიც მეორეთ მოსვლის შესახებ ვავრცელებულ ხმას მოჰყვა: ვანხირდა ქურდობა და ხელის საუფთრების დაპატრონება, ქურდობისათვის ვამართლებაც კი იქნა გამონახული, მინც გარდაეცვლებით ვიორგობის თეში და იქამდე შეგვიძლია ყველაფერი ჩავიღინოთ.

საინტერესოა, რომ წერილის ავტორი ებრძვის ცრურწმენებს, გრძნობს მის მვენებლობას, სამწუხარო მოვლენად მიაჩნია, რომ ხალხი ცრურწმენების ტყვეობაში იმყოფება, კარგად ესმის ხალხში ცოდნის შეტანის, სწავლის აუცილებლობა, მეორე მხრივ კი, ცრურწმენების

**იხილვად ჩხარტიშვილი**  
ბრძოლა რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ თურნალ „იმედის“ მიხედვით



გავრცელების მიზეზად სარწმუნოებრივი გრძნობის შემცირებას თვლის. რელიგიასა და ცრურწმენებს ერთმანეთისაგან სრულიად განყენებულად განიხილავს. „სასულიერო მთავრობა აღარაფერს ყურადღებას არ ათხოვებს ქვეყნის მწყურსებს. აღარც რევიზია ამითთვის, აღარც კარგი და აღარც ავი. არქიერის გამოსვლას თუ შევიტყობთ, უშუალოდ ან აბსტრაქტულად შევუხვედრება ან სხვაგან სადმე ჰავის გამოსაცეველად. სარწმუნოების საქმე ვიღას ახსოვს. განა ასე თავის მინებებაც იქნება, როგორც თავ-მინებებულები მღვდლები შეიქმნენ ჩვენში!“<sup>21</sup>

ცრურწმენათა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი კონკრეტული გზების გამოჩვენებაც კი ცდილობს. XIX საუკუნის II ნახევრის მოაზროვნეებს ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე კარგ საშუალებად სკოლების გახსნა და ხალხში ცოდნის შეტანა მიაჩნია.

თვითმპყრობელობა კი, განათლებას ექსპლოატატორული წყობის გამართლებისათვის იყენებდა, ცდილობდა ხელი შეეშალა წერა-კითხვის გავრცელებისათვის, ხალხთა მისებში მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციისათვის, ხალხი თვითმპყრობელობისადმი მორჩილების სულისკვეთებით აღეზარდა. მართლმადიდებელი ეკლესია ამ რეაქციული პოლიტიკის ერთგული დამხმარე და სულისჩამდგამელი იყო. ეკლესია სასტიკად სდევნიდა განათლებას, ცდილობდა ის თავის გავლენის ქვეშ მოექცია, სასტიკად იბრძოდა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ხალხში ცოდნა შექმნდა და კიდევაც ჰქონდა განათლების საქმეში მობრუნებული დიდი გავლენა. რელიგიასა და ეკლესიას ემორჩილებოდა აღზრდის სისტემა, XIX საუკუნის II ნახევარში არსებობდა საეკლესიო-სასულიერო სასწავლებელთა მთელი ქსელი და გარდა ამისა, ყველა ტიპის სასწავლებელში ისწავლებოდა „საღვთო სკული“ ან ღვთისმეტყველება.

იმდროინდელი მოწინავე ადამიანები კი კარგად გრძობდნენ, რომ გარემომცველი სამყაროს შესახებ მეცნიერული ცოდნა ადამიანებს სამყაროს ბატონებად ხდის, ზოლო ცოდნის უქონლობა ცრურწმენებს წარმოშობს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ეურხალი „იმედში“ სწავლა-განათლების აუცილებლობაზე ამბავილებს ყურადღებას.

1881 წლის „იმედში“ დაბეჭდილ წერილში „ჩვენი სასოფლო სკოლები“, ლაპარაკია ცოდნის აუცილებლობაზე, იმ დიდ გავლენაზე, რომელსაც სწავლა-განათლება გლეხობაზე მოახდენს, სასოფლო სკოლების დანიშნულებაზე. წერილის ავტორი დაწვრილებით განიხილავს სასკოლო პროგრამებს და აკრიტიკებს მათ: „პროგრამაში არ იხატება ხალხის სული და გული, არ არის ჩვენი ხალხის სულისა და გულის

აღმალორჩინებელი მეცნიერება...“<sup>22</sup> ავტორის აზრით, პროგრამის დანიშნულება არის სკოლაში გონებითი, ზნეობითი და მატერიალური მზარის გაუმჯობესება — აი პირველი და მიუცილებელი ვალი პროგრამისა საზოგადოდ, კერძოდ კი პროგრამა ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებებს უნდა ასრულებდეს“.

აღნიშნული წერილის ავტორს კარგად ესმის განათლების როლი ცრურწმენების საბოლოო დაძლევის საქმეში, განათლების აუცილებლობა და ამის შესახებ საკმაოდ საინტერესო აზრსაც გამოთქვამს: „ხალხი და სახელმწიფო მხოლოდ მაშინ მიაღწევენ კეთილ მდგომარეობას, როდესაც ყველა მცხოვრებელი (Население) თანასწორად მიიღებენ სწავლა-განათლებას, საშუალო სკოლებში თუ არა სახალხო სკოლებში მაინც; ამიტომ ვიმეორებთ, რომ ამ მიზნის მისაღწევნად ის კი არ არის საკმარ, რომ თითოეული პირი გამოადგეს თავისი მდგომარეობიდან და მიაღწიოს, უმაღლესს განათლებადის, არამედ საჭიროა, რომ მთელი ხალხი (масса) იყოს თანასწორად გონება გახსნილი და შეძლოს თავის სწავლის მოხმარება. საზოგადოება სკოლების შემშუქობით, უნდა ცდილობდეს რომ მისი წევრები ფიზიკურად და გონებით იზრდებოდნენ“.<sup>24</sup>

შემდეგ ავტორი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დიდი როლი შეუძლია შესარტულის ხალხის ცხოვრებაში სოფლის მასწავლებელმა, ხელი შეუწყოს ხალხის გათვითცნობიერებას, გლეხებში ცოდნის შეტანას და ამითი მიაღწიოს ცრურწმენების საბოლოო მოსპობას. აქვე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სოფლის მასწავლებელს არ აქვს „მინიჭული სათანადო ადგილი“.

„იმდენი საქმე, როგორც სწავლების მხრით, ისე ხალხის დაზარების მხრით, რამდენიც სოფლის მასწავლებელს აქვს, არც ერთ საზოგადო ასპარეზზე მოქმედს კაცს არა აქვს, მაგრამ ისე დაჩაგრული და კაცად არ მიჩნეული არც ერთი კაცი არ არის ცხოვრებაში, როგორც სოფლის მასწავლებლები; რა არის ამის მიზეზი? რატომ ღირსეულ ფასს არ სდებენ საცოდავ მასწავლებელს? ამას მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესი მიზეზებათ მხოლოდ ორი რამ მიგვაჩნია. პირველი თვითონ ხალხის უმეცრება, მეორე ის, რომ სოფლის მასწავლებლები ყოველგან მოკლებულია ხმას. ასე გასიჩქეთ რომ ის თავის სკოლის შესახებაც არაფერად ითვლება, არ აქვს ნება ამის შესახებ კრიტიკა დასძრას. სხვა საზოგადო საქმის შესახებ ზომ ფიქრით არ შეუძლია. მასწავლებლები რიგისა მაქნისია, თუ სკოლაში მაინც სრული უფალი არ არის, სკოლის შესახებ თუ პირველი ხმის ამომღები და იმის ინტერესების დამცველი ეს არ იქნება, მაშ რა დაა?!

მასწავლებელს უნდა სრული ნება მიეცეს, რომ სკოლის ბედ-იბნაღში, სიყვითლეში და სი-



ედეშე, ეს იყოს სრული გამგებელი. მიეცეს სრული ნება, რომ სხვის განკარგულებას ბრძოლა, ძველებურად ნუ დამორჩილება ხოლმე, ჯერ კრიტიკულად ვასინჯოს ეს ბრძანება და, თუ არ დაუჯდეს სკეპში, თავისუფლად მისცეს პასუხი განმკარგულებელსა.<sup>21</sup>

მართალია XIX საუკუნის II ნახევრის მოაზროვნეებს ცრურწმენებას წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად განათლება მიიჩნდათ, რაც მათი კრიტიკის განმანათლებლურ, უტოპიურ ხასიათზე ლაპარაკობს, მაგრამ ასეთმა კრიტიკამ მაინც გარკვეულ როლი ითამაშა რელიგიის მსილებაში და ხელი შეუწყო მეცნიერული მსოფლმხედველობის განვითარებას.

ეკლესია კი, ყოველნაირად ცდილობდა მეცნიერული ცოდნის განვითარებისათვის ხელი შეეშალა, მოსახლეობაში რელიგიური იდეოლოგიის პროპაგანდას ეწეოდა, განათლებას, მეცნიერებას, მოწინავე აზრს, პროგრესს გააფთრებით ებრძოდა, ავრცელებდა ანტიმეცნიერულ და რეაქციულ იდეოლოგიას, თვითმპყრობელობის ინტერესების დამცველად გამოდიოდა, ხელს უწყობდა და აყრთხებდა ექსპლოატატორული კლასების ბატონობას.

მიუხედავად თვითმპყრობელობისა და ეკლესიის ერთობლივი მოქმედებისა, მათი რეაქციული ცდებისა, დროს თავისი გაქპორდა: მეცნიერული ცოდნის განვითარება, ახალი იდეების აღმოცენება, ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა ხელს უწყობდა ანტისაეკლესიო და ანტირელიგიური შეხედულებების გავრცელებას.

ასეთი შეხედულებების არსებობაზე აშკარად ლაპარაკობს XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მოწინავე იდეების პროპაგანდის საქმეში.

„იმედლი“ გარკვეულად ხელს უწყობდა ხალხში ანტირელიგიური იდეების გავრცელებას, მათ პოპულარიზაციას. ყურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები ამხედლენ ეკლესიის მსახურთა ექსპლოატატორულ სახეს, აკრიტიკე-

ბდენ ზოგჯერ წეს-ჩვეულებას, ცრურწმენებს, ცდილობდნენ აეხსნათ ესა თუ ის ბუნებრივი მოვლენა. ყველაფერმა ამა დიდი როლი ითამაშა ხალხის გათვითცნობიერების საქმეში. ამდგავარმა კრიტიკამ ბევრი რელიგიური დოგმა შეაჩია, ეპქვევე დააყენა ღმერთის არსებობის საკითხი, გარკვეულად შეუწყო ხელი მშრომელი ხალხის სულიერი, სოციალური და ეკონომიური განთავისუფლების საქმეს, ამაშია მისი პროგრესული მნიშვნელობა.

მიუხედავად ამ პროგრესულობისა „იმედლი“ დაბეჭდილი წერილების ავტორები რელიგიის ფესვებს ხშირად ეძებდნენ არა საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ პირობებში, არამედ შეგნებაში და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა განათლებად დაჰყავდათ, არ ხედავდნენ რელიგიურ ცრურწმენათა სოციალურ ფესვებს და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას არ უკავშირებდნენ კლასობრივ ბრძოლას.

მაგრამ XIX საუკუნის II ნახევრის მოაზროვნეების შეფასების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ელადიმერ ილიას ძე ლენინის ცნობილი გამოთქმა, რომ წარსულის მოღვაწეებს აფასებენ არა იმის მიხედვით, თუ რა არ გააკეთეს მათ შედარებით დღევანდელ მოთხოვნილებებთან, არამედ იმის მიხედვით, თუ რა გააკეთეს მათ ახალი შედარებით თავის წინამორბედებთან და თანამედროვეებთან. ამიტომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ XIX საუკუნის II ნახევრის მოაზროვნეებმა დიდი წვლილი შეიტანეს ათეიზმის ისტორიაში. ანტირელიგიურმა იდეებმა ხელი შეუწყო ათეისტური იდეების წარმოშობას, ანტიკლერიალური შეხედულებები ათეიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

XIX საუკუნის II ნახევრის მოაზროვნეთა ანტირელიგიური მეშვიდრეობა აქტუალურია დღესაც, იგი გვეხმარება რელიგიური გადმონაშთების დაძლევაში, მშრომელთა ათეისტურ აღზრდაში.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :**

1 ე. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 266  
 2 საქ. ცსა ფ. 480, ანაწ. 1, საქმე 368, ფურც. 3  
 3 ი. ანთელავა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1967 წ.  
 4 იმედი, 1882, № 2.  
 5 იმედი, 1883, № 11.  
 6 იქვე.  
 7 იქვე.  
 8 იმედი, 1882, № 3.  
 9 იქვე.  
 10 გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობანი საქართველოში, სახელგამი, 1928, გვ. 66.

11 იმედი, 1883, № 3.  
 12 იქვე.  
 13 იმედი, 1881, № 1.  
 14 იქვე.  
 15 იქვე.  
 16 იქვე.  
 17 იქვე.  
 18 იქვე.  
 19 იქვე.  
 20 იმედი, 1881, № 7 და № 8.  
 21 იქვე.  
 22 იმედი, 1881, № 5.  
 23 იქვე.  
 24 იქვე.  
 25 იქვე.



## მოხელა ხუთხვილი

# პასტერნაკი და მეომე საუკუნის ქართული პოეზია

პასტერნაკის რთული პოეტური სამყაროს შესაცნობად დიდი დახმარება გაუწია საზოგადოებას პოეტის ავტობიოგრაფიულმა ნაწერებმა; დღიურებმა, ეპისტოლარულმა მემკვიდრეობამ, თარგმანებმა უფრო ღრმად და უკეთ წვდება მკითხველი ლექსების მიღმა მხარეს, როდესაც მიათვის ცნობილია ის ძირითადი მომენტები პოეტის ცხოვრებიდან, რომლებმაც განაპირობეს პასტერნაკის პოეზიის ესა თუ ის ეტაპი, შექმნეს რთული, ერთის შეხედვით უჩვეულო განწყობილებები, გამოხატული ასეთივე უჩვეულო პოეტური საშუალებებით.

...Художественный реализм, как нам кажется, есть глубина биографического отпечатка, ставшего главной движущей силой художника», — წერდა პასტერნაკი ერთ თავის წერილში.<sup>1</sup>

ქართული პოეზიის თარგმანებიც ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ამ რთულ სამყაროში მოსახვედრად. სათარგმნელი მასალის შერჩევას ხშირად მთარგმნელის გემოვნების ბეჭედი აზის. კუმარბიტი პოეტის თარგმანებს ძნელად გამოარჩევს საკუთარი მისი ლექსებისაგან. ხშირად გაოცებს მსგავსება ორიგინალსა, თარგმანსა და საკუთარი პოეზიის ნიმუშებს შორის. აქ უკვე ძნელია განსაზღვრა სტარბობს საკუთარი ხელწერა, თუ სათარგმნელი ლექსი შეურჩევია თავისთვის ახლობელი პოეტის უტყუარ ადრის, თუ საქმე გვაქვს სწორედ იმ დიდ ერთსულოვნებასთან რუს და ქართველ პოეტებს შორის, რომელიც მათი პოეზიის რაღაც ნიუანსებს ერთმანეთს ამსგავსებს და ერთ ელფერს აძლევს მათ. რომელმა ფაქტორმა განაპირობა ორი სხვადასხვა კვყყინის პოეზიის ასეთი მიახლოება, რაც თარგმანების მეშვეობით გამოვლინდა, ძნელი გამოსაცნობია. აღ-

ბათ, ყველამ ერთად. ერთი კი ცხადია: პასტერნაკის თარგმანებმა გაამდიდრა რუსული პოეზია ქართველი პოეტების შესანიშნავი ლექსებით, და საკუთარ პოეზიასაც შემატა სითბოსა და ენერჯიის ახალი ნაკადი, რომელიც საქართველოს მეშვეობით შეეცადა პოეტის არსებაში და რომელიც აღინიშნა კიდევ მის პოეზიაში რუბრიკით „Второе рождение“, საქართველო და ქართველები მოველინენ ბორის პასტერნაკს, როგორც გამოცხადება და მან იგი იწამა. ეს დიდი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის კავშირი მეტად მაღლივ მხარებს შეიცავდა. პასტერნაკი სიკვდილამდე უმადლოდა ქართულ მზესა და ქართველ ადამიანებს, ქართველები კი დღესაც მას უახლოეს კაცად სახავენ და ამ სიახლოვეში მადლიერება და მოწიწება გამოსჭვივით.

საქართველოს შთაბეჭდილებებმა განაპირობეს გარკვეული ეტაპი პასტერნაკის პოეზიაში. ამის შესახებ წერს ნ. ტიხონოვი:

«Для Бориса Пастернака Грузия явилась поворотным пунктом в его творчестве. Грузия и грузинская поэзия оказали большую дружескую услугу Пастернаку, они подготовили его для новых возможностей в его творческом пути, они окружили его такой теплотой дружбы и дружеского участия, что на всю жизнь у него осталось это первое, неизгладимое впечатление. Это была переключка сердец и она дала свои положительные результаты, она взаимно обогатила поэтов».

როდესაც ვიხილავთ პასტერნაკის მიერ თარგმნილ ქართველ თანამედროვეთა პოეზიის ნიმუშებს, აღარ დგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ და რამდენად შესძლო უცხო კაცმა ჩასწვლად სულ სხვა ლიტერატურული სტილისა და სკოლის, სხვა ეპოქისა და სულის პოეტს. თუკი ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშავე-

<sup>1</sup> ბ. პასტერნაკი. О Шопене. «Литературная Россия», 1965 წ., გვ. 18.



ლას თარგმანების განხილვისას ყურადღება გამახვილებულია დედნის სწორად წაკითხვისა და გაგებაზე, ორიგინალის უკან მდგომი სამყაროს ამოცნობაზე და კიდევ მრავალ, ძნელად მისაწვდომ თავისებურებაზე, თანამედროვეთა თარგმანები პასტერნაკისა და ქართველი პოეტების ერთგვარი თანამშრომლობის და თანამეგობრობის განხორციელებას წარმოადგენს. მე არ მინდა შეეჩერდე ამ პირად კონტაქტებზე, რომლებიც გარკვეულ ასპექტში და გარკვეულ პერიოდში სულიერ საზღვრად ესახებოდა ბ. პასტერნაკს. «Край, ставший мне второй родиной» — ასე თვლიდა პოეტი. ამის შესახებ იუსტრაციას წარმოადგენს მეტად საინტერესო ეპისტოლარული მასალა, სადაც გახსნილია პოეტის ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი მხარე. ამის შესახებ საქმარისად ბევრი თქმულა და დაწერილა, მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ მთელი ეს ურთიერთობა არის შესანიშნავი ფონი, უკეთ რომ ვთქვათ, გასაღები პასტერნაკის თარგმანების საკვლევად. როგორც ყველა დიდი პოეტის, ასევე პასტერნაკის შემოქმედება განუყოფელია მისი ბიოგრაფიისაგან. სწორედ როგორც ბიოგრაფიული ელემენტი შედის მის პოეზიაში ქართული თემა ორგანულად დაკავშირებული ქართულ პოეტებთან პასტერნაკი კი არ თარგმნიდა მათ ლექსებს, არამედ გადაქმნიდა რუსულ ლექსში მისთვის მეტად ნაცნობი და მახლობელი თემები და განწყობილებები, ხშირად ერთად ვანკლილი და ამიტომ განსაკუთრებული. ამიტომ გავს პასტერნაკის მიერ თარგმნილი ქართველ პოეტის ლექსი მის საკუთარს.

30-იან წლებში რუსულ სალიტერატურო კრიტიკაში დაიწყო საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება პასტერნაკის ნათარგმნი რედნისეულ სიმართლეს. არსებობდა აზრი, რომ მთარგმნელმა დაუყარა სახე ორიგინალს და იმდენად დაამსგავსა საკუთარ პოეზიას, რომ მოახდინა სრული ასიმილიაცია. «Опастерничание» ეწოდა კ. ზელინსკი ამ პროცესს. ამ აზრის უსაფუძვლოდ მამოწე ხაზგასმით შეეხო დ. მირსკი. მან 1935 წლის „Л. Г.“ ფურცლებზე ვრცელ წერილში „Пастернак и грузинские поэты“ აღნიშნა: «Оставаясь в пределах одной книги, мы совершенно ясно видим яркие индивидуальности отдельных поэтов. Не только Важа Пшавела не похож на современных, не только Гришавили не похож на «голуборожцев», но и внутри самих «голуборожцев» мы совершенно четко отличаем несколько жесткую и национальную мужественность Паоло Яшвили от тонкой романтической серьезности Ткиана Табидзе, от музыкальной динамичности Леониде или от космополитического урбанизма Гаприидашвили».

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ თარგმანებში ძლიერად არ იგრძნობა პასტერნაკის პოეტური მეტყველება, ასეთი ღრმა ინდივიდუალობის პოეტს შეუძლებელია კვლი არ დაჩინა ყველა თარგმნილი ლექსისათვის. საუკეთესო თარგმანებში ადვილად შეიქნება პასტერნაკის ხელწერა, მისი პოეტური ელტურა.

«Пастернак пишет по-русски как поэт, т. е. не как раб языка, а как его хозяин». დასძენს დ. მირსკი ზემოთხსენებ გამოცელებაში.

მთარგმნელი მედიუმია პოეტსა და მკითხველს შორის. მისი დანიშნულებაა პოეტის ნააზრევი უცვლელად მიიტანოს მკითხველამდე, მაგრამ არა აქვს უფლება იყოს უსახო და უპირველესი თვით. ასეთ შემთხვევაში უპიროვნო ზღვება ავტორიც. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის პოეტური ხმა, ინდივიდუალობა არ უნდა იქნეს უარყოფილი და დათრგუნული (მსგავს უტაქტობას ვერავენ დასწამება ბორის პასტერნაკს). მაგრამ მთარგმნელის პოეტური ინდივიდუალობის გარეშე პოეტიც უტყუია და მის გაუპიროვნებას ძნელად თუ გახვდებით მთარგმნელი ლექსის აზრისა და სხვა კომპონენტების თარგმანში მაქსიმალური შენარჩუნებით და ოსტატური შესრულებითაც კი.

პოეტის მიერ აღმოჩენილი სამყაროს სუფთა-ორედ სწვდება მთარგმნელი, რათა თარგმანში განხორციელდეს არა მარტო ლექსში ასახული, არამედ მთარგმნელის მიერ აღქმული ლექსის მიღმა პლანიც.

ასეთი თანავეტრობის შედეგია პასტერნაკის მაღალი მთარგმნელობითი ხელოვნების არა ერთი ბრწყინვალე ნიმუში — გ. ლეონიძის პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ვ. გაფრინდაშვილის და სხვათა ლექსების რუსული თარგმანები. მე მინდა რამდენიმე მაისგანევე ელამაჩაკო.

«Самобытнейший поэт, но выше всех эвразийский с тайнами языка, на русском он пишет, и потому меньше всех поддающийся переводу» — წერს პასტერნაკი ვიორჯი ლეონიძის შესახებ. გამოთქმული აზრის მიუხედავად, რუსული «სიმღერა პირველა თოვლის» აქნაოფილებს უმაღლეს პრეტენზიას თარგმანის მიმართ.

ქართველ პოეტის განწყობილება ხელსაღებულადაა თარგმანში მენარჩუნებულა. საუღიად ბუნებრივი რუსული ეფერადობის ლექსი ქართველ პოეტის რიტმულ და ძაღვან ხმას გამოსცემს. პასტერნაკს სწორად აქვს განსაზღვრული, რომ გ. ლეონიძის ამ ლექსად ზღის სწორედ ეს ობგ. კომპონენტი — ობტკი და განწყობი

მედიულა ხუტოზშილი  
პასტერნაკი და მირსკი საუაჟნის  
ქართული კომპანი

ბილბა შეადგენს, ამიტომ სრული სითამამით ეკიდება ლექსის ყველა დანარჩენ მხარეს — თავისუფლად არღვევს სტრიქონების რაოდენობას, სტროფულ განლაგებას, უკუაგდება ან სრულიად გარდასახავს დედნისეულ პოეტურ ფრაზებს და ქმნის ახალ მხატვრულ სახეებს:

ეს თოვლია თუ მიმინომ  
დააფეთა მტრედები?  
ვარსკვლავთა ოთახებში  
ჩათვლემილებს ეძინათ,  
ეხურათ ხავერდები...  
ჩქარა, მინდა ვუყულო,  
მესმის მათი თქვანა...  
საესე თოფი მომეციო  
და ცხენი ნაქერალი.

ლენინის ეს სტროფი თითქმის ნაკლულია. „ვარსკვლავთა ოთახებში ჩათვლემილებს ეძინათ“ ... ალბათ იმ სიზმრებს, რომლებზედაც მესამე სტროფში ვკითხულობთ: „ნეტავ საით წასულან ის პატარა სიზმრები“. ერთგვარი ბუნდოვანება ზემოთ მოყვანილ სტროფს მომხიბვლელობას არ უქარგავს, რადგან იგი მხოლოდ გიორგი ლენინისათვის ხელმისაწვდომი ოსტატობითა და სიცხოვლით არის შესრულებული. პასტერნაკმა ამ სტროფის აზრს რუსულ თარგმანში სიცხადე შემატა და თან იშვიათი სიზუსტით შეინარჩუნა ლენინის ლექსის თავისებურება.

Непонятно, хоть убей  
Снег ли это, или сокол  
Гонит белых голубей  
Мимо звезд? И, скинув стегань,  
Сони в звездном терему  
Жмутся у оконных стекол.  
Сонно глядя в эту тьму.

ლენინის ორი ტაეპი: „საესე თოფი მომეციო და ცხენი ნაქერალი“ გარდასახულია ხუთ ტაეპად:

Тише! Слышу шум погони.  
Дайте я ружье возьму  
И на скакуне проворном  
(Конь ячменного раскорма)  
Брошусь в эту кутерьму.

დაკარგულია ავტორისეული „ორმა გუნდმა კიდევაც მდინარეში გასტოპა“ და პოეტის შიშნარევი შემახილი: „ჩქარა, თორემ წასულა ჩემი ახალგაზრდობა!“ რუსულ ლექსში გაისმის, როგორც შიში და სინანული ახალგაზრდობის დაკარგვის გამო:

Молодость моя, ужели я тебя не до-  
гоною?  
რესტრიქონიანი სტროფი, რომელიც შემდეგ მოღის, აზრის სიზუსტითა და რიტმულობით, მობადნელობითა თუ ტონალიზით ორიგინალის კონვენიალურია:

წასულა და წასულა,  
ნეტავ საით წასულან  
ის პატარა სიზმრები?  
სიკაბუჯის დღეები  
შორიდან მომბლავიან,  
როგორც მთიდან ირბები.

Нет, ушли ушли, вне цели!  
Где же вы схоронены,  
Первые мои мятели,  
Детского безделья сны?  
Где вы, юности недели,  
Нетели оленьей дни?  
(Дальным ревом из ущелий  
Мне ответили они).

მაღალი გემოვნებით აქვს მთარგმნელს შეტანილი ცვლილებები ლექსში. მისი არც ერთი სითამამე არ არღვევს არა თუ ამ ლექსის, ლენინის მთელი პოეზიის აქუსტიკას. პოეტურის სახე: „თეთრი მტრედი, გული ჩემი კრიალა“ პასტერნაკთან იქცევა «Не свирели нвам подражавшая тоска»-დ და ალბად არაადექვატურად მოგვეჩვენებოდა, ლენინის ფრაზას წინ რომ უძლოდეს სინანულის ნაღვლიანი „ვაი“ („ვაი, შენ ჩემო თეთრო მტრედო, გულო ჩემო კრიალა“), რომელიც ასე ცხადად გაისმის რუსულ ფრაზაში:

ვაი, შენ ჩემო თეთრო მტრედო,  
გულო ჩემო კრიალა,  
საკალმახე წყალოვით  
ლექსი ვერ ვაწკრიალუ.

Где ты, на свирели нвам  
Подражавшая тоска?  
Где форелью под обрывом  
Клокотавшая река?

იდიის ოსტატობითაა შესრულებული კიდევ ერთი ასეთი სტროფი:

ეს ლექსია, თუ მღერის  
გავლილ დღეთა კრებულნი?  
გულია თუ მინდორი  
დილას მოფუტკრებულნი?

Стих ли это, иль осколок  
Дней далеких, ночь в дому  
Или утром, полным пчелек,  
Поле в розовом дыму?

პასტერნაკმა „სიმღერა პირველი თოვლისა“ თარგმნა მოულოდნელი და სრულიად გამართლებული მხატვრული საშუალებებით, საესებით ასედა ლექსითურ ბუკვალისზმს, რუსულ ლექსში გამოკვეთა გიორგი ლენინის ლექსის აღმავალი ინტონაცია და შეჰქმნა ქართული პოეტის განცდის ზედმიწევნით გამოხატველი თარგმანი, რომელიც თავისუფლად დამშვენებს რუსული პოეზიის საუკეთესო ფურცლებს.



«Первый снег» — шедевр перевода большого поэта большим поэтом» —

— ასე შეაფასა დ. მირსკიმ ეს თარგმანი.<sup>1</sup>

როდესაც ვიხილავთ პასტერნაკისეულ ვალერიან ვაფრინდაშვილს, აქ სულ სხვა პრობლემები იჩენს თავს. ლექსის ინტონაციური ქლეარალობა და მხატვრული სახის წყობის თავისებურება მეორე პლანზე გადადის და რუსულ ლექსში იკვეთება ქართველი სიმბოლისტის ერთგვარად მტკივნეული სოფლგაგება. ამ ლექსების აქუსტიკა თვისობრივად განსხვავდება გლეონიძის ლექსების თარგმანისაგან. მთარგმნელისათვის ვ. ვაფრინდაშვილის აზროვნების არც ერთი დეტალი უცხო არაა. თვით ვ. ვაფრინდაშვილის პიროვნება ახლობელი და გასაგებია იყო პასტერნაკისათვის და ამან რუსულ ენაზე პოეტის სპეციფიკის სრული შენარჩუნების საშუალება მისცა კიდევ. აი, რას სწერს პასტერნაკი ერთ-ერთ წერილში ვ. ვაფრინდაშვილის გარდაცვალების გამო:

«Мои мысли о нем слишком близки к моим мыслям о самом себе, хотя его, бедного, уже нет, а я жив и продолжаю отделывать скандальность своего положения. Хотя как будто-бы мы не похожи, но в обоих случаях та же душевная собранность, та же глубина глаза, та же способность и желание переписать все окружающее в образах...»<sup>2</sup>

მსგავსი განწყობილება აქვს გამოხატული ვალ. ვაფრინდაშვილს ლექსში „ისეთი ლექსი“ — სიცოცხლის ხანგრძლივობით გაბზერებულ პოეტი ცდილობს დაამთავროს იღუმალი ფერების ძიება, დღეთა კოშმარი და მუდმივი ლოდინი ისეთი ლექსით, რომლის შემდეგაც ცხოვრებას აზრი აღარ ექნება.

ისეთი ლექსი დაწერო მინდა, რომ არ დამჟირდეს კვლავ ლექსის წერა, მსურს დავიფერფლო, ვით ცეცხლი წმინდა და ეს იქნება გულის სიმღერა.

ჩემი სიცოცხლე არის ლოდინი ამ აგონიის და ამ სიმღერის რამდენი წელი, დღე რაოდენი ვიყავ მძებნელი იღუმალ ფერის.

მე აღარ მინდა მეტი წვალება, სულის და ხორცის ყოფაზე ზრუნვა, დღეთა კოშმარი ცეცხლისთვალვა, რითმების ძებნა, სიტყვების ბრუნვა და ა. შ.

ამ აზრსა და განწყობილებას იდენტური სიმკვეთით გადმოსცემს პასტერნაკი:

Всегда мечтал: скажусь в строфе.  
Да так, что точно душу выну,  
Она как дым аутодафе,  
Мне станет песнью лебединой.

Всю жизнь я этой песни жду  
И следом — этой летаргии,  
И дня ее ищу в году.  
Как папоротник цвет — Оруме.

Но вот не много ль чересчур  
Забот и пульса остановок,  
Бессонниц, тропов и фигур,  
И образом и зарифмовок? и т. д.

როგორც ვხედავთ, თარგმანი თითქმის პარალელურად მიჰყვება დედანს და ვაფრინდაშვილისეული პასტერნაკი თავისი სიმბოლური სახეებით და სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი განწყობილებით ძირეულად განსხვავდება სიმპატიკის მადევიარი პოეტის პასტერნაკისეული გაგებისაგან.

ვ. ვაფრინდაშვილის „ზღვა“ მისი პოეტური შემეკიდრებობის მშვენებება და მისი რუსული თარგმანიც პასტერნაკის ერთ-ერთ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. კონტრასტებსა და დაპირისპირებებზე აგებული ეს მეტად ორიგინალური ლექსი გარკვეული აზრის და შინაარსის მატარებელია. ზღვა — სიმღერისა და გრანდიოზულობის სიმბოლო — ოცნებობს სინაზესა და ნებიერ არსებობაზე (беспечность). ეს სინაზე გამოხატულია რამდენიმე შესანიშნავი მხატვრული სახით. ჩიტი კოლიობრი, ვარსკვლავი, ჩინედი ქალის მტკიანი ფეხი, ქინძისთავი, კაკადუ... მაგრამ ჩნდება ზღვაზე უფრო ძლიერი სტიქია — ქალი, რომელთან ზღვა უცებ კარგავს თავის გრანდიოზულობას და ქალს შლივთად მიჰყვება. პასტერნაკის თარგმანი გასაოცარი სიზუსტით ქმნის ამ ორიგინალურ სახეთა სისტემას, სტილურ, აზრობრივ და მხატვრულ იდენტურობას აღწევს:

Море мечтает о чем-нибудь махоньком,  
Вроде как сделаться б птичкой колибри,  
Или звездюю на небе заяхонтить  
Только бы как-нибудь сжаться в калибре.

Обременительны грозы, тайфуны,  
Их необязательность, их необитаемость.  
То ли в мерцании тихой лагуны  
Ножка купающейся китайяни!

Как надбёмо ему половодье!  
Сердце сосущей пнявкой ужалено.

მზიულა ზუციოჴვილი  
პასტერნაკი და მეოცე საუკუნის  
ქართვლი კომპოზიტი

<sup>1</sup> დ. მირსკი, Пастернак и грузинские поэты. «Литературная газета», 1935 წ., 24 ოქტომბერი.

<sup>2</sup> «Лит. Груз.», 1966, № 1, стр. 86.

Взять и вместиться б, целуя ободья,  
В узком глазу кольца обручального!

Чтобы плениться булавкою колкой,  
Речки журчанием, шелестом рошницы,  
Иль с потолка облетая светелку,  
Полкой на проволоке взвешоршиться

Но появилась женщина с воинством,  
В маске из молний и в дыме мимикрий  
И на воде расписавшись разгонисто,  
Прячет усмешку в прорезях вихря.

Эйфель за Эйфелем, башни из пены!  
Всем ураганом своим тигрошкурим.  
Море вприпрыжку ползет за надменной  
Все изгибаясь, как шлейф за турниором.

მხატვრული სახეების სრულყოფილებას კომენტარები არ სჭირდება. ისინი ხშირად პასტერნაკისათვის ჩვეულო სითამამით იცვლებას ტოლფასი სუბსტიტუტით. რუსული ლექსი ისეთივე ტყეადა, როგორც ქართული. აქ ნათლად ჩანს პასტერნაკის დამახასიათებელი სფერო — მისი პოეტური ლექსიკონი. როგორც საკუთარ პოეზიაში, თარგმანებშიაც თამამი და თავისებურია რუსი პოეტის ლექსიკური მარაგი: «Сжаться в калибре», «Дым мимикрий», «ураган» тигрошкурый» არაღდენისეული, ერთის შეხედვით ლექსისათვის მიუღებელი «კალიბრი» და თითქოსდა უცნაური ეპიტეთი ქარიშხალისა და სხვა სატულიად არ არღვევს ლექსის განწყობილებას, პირიქით ოსტატურად ეხამება მის აქსტიკას.

ბორის პასტერნაკსა და პაოლო იაშვილს შორის ღრმა სულიერი კავშირი არსებობდა. მათი მეგობრობა, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა. განმტკიცებელი იყო იმ საერთო სურვილებითა და განცდებით, რომლებითაც აღსავსე იყო ორივეს ცხოვრება. ცნობილია, რომ პაოლო იაშვილის ბედი რუსი პოეტის პირად ტრაგედიად იქცა. ამ ორი პოეტის სახლავებში და მეგობრობაში ერთგვარად განაპირობა პასტერნაკის შემდგომი ცხოვრება, მისი დამოკიდებულება საქართველოსა და ქართული პოეზიისადმი და სულიერი განწყობილებაც. პაოლო იაშვილის თარგმნისას პასტერნაკს არ სჭირდებოდა არავითარი მცდელობა პოეტის სულიერი სამყაროს შესაცნობად — ის მისთვის ახლობელი და ნაცნობი იყო, ის მისი საკუთარი არსების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა. პასტერნაკი კი არ თარგმნიდა, არამედ ქმნიდა პაოლოს ლექსებს რუსულ ენაზე. ხელმოკრედ წერდა ერთად განცილილსა და ნარკმონის შესახებ. ამ თარგმანების შესრულებისას მთარგმნელის ღირსებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ იგი რუსულ ლექსში იძლევა უცხო ღედნის თავისებურებების აღმკვებურ, ობიექტურ

გამოხატულებას. ეს არ წარმოადგენს მთარგმნელის ჩვეულებრივ საქმიანობას. მთარგმნელობა რომელმაც თვითონ განიცადა ქართული პოეზიის გავლენა, იყო ერთი არამრავალთავანი რუს პოეტთა შორის, ისე ორგანულად დაკავშირებული ქართული ღედნის მიღმა არსებულ სამყაროსთან.

მაგალითისთვის ავიღოთ პაოლო იაშვილის ღირიკული ლექსი და შევადაროთ პასტერნაკისეულ თარგმანს. მთარგმნელმა სწორედ განსაზღვრა ის, რაც უნდა შეენარჩუნებინა ამ ლექსის თარგმნისას. ეს არის ქართველი პოეტის განწყობილება. ოთხსტროფიანი ლექსი წარმოადგენს უმიზეზოდ, რაიმე განსაკუთრებულ განცდის გატყუე წარმოქმნილი სიხარულისა და ბედნიერების განწყობილებას. პოეტის მღელვარება გამოწვეულია ზეცის სიწმინდითა და მიწის სიგრილით, ბავშვობაში განცილილი წუთების გახსენებით და ხეების სიწმინდით:

წმინდა ზეცა, მიწა გრილია,  
პატარა ჩერო ადგია ეზოს,  
ხეები ჩუმად თავდახრილია,  
ვარ ბედნიერი და უმიზეზო.

მე თითქოს თვალთ ბავშვობას ხედავ,  
მე თითქოს ვუსმენ ბავშვობის წუთებს,  
საე მგონია მოვა ეს ხე და  
მკერდში ქმასავით მე ჩამიხტებეს.

მგონია, თითქოს ქვეყანა მთელი  
არის პატარა მესიკიას ფუქე  
საე მგონია, ნიაგი ნელა,  
როგორც ბულბული შეფრინდა ქუდზე.

წმინდა ზეცა, მიწა გრილია,  
პატარა ჩერო ადგია ეზოს,  
ხეები ჩუმად თავდახრილია,  
ვარ ბედნიერი და უმიზეზო.

პასტერნაკის პოეზიაში ხშირია ლექსები, რომლებიც გამოხატავენ პატარა, უმნიშვნელო გარემოებით გამოწვეულ სიხარულსა და ბედნიერების განცდას. ის ვასაოცარი სინაზით ამჩნევს ბუნებაში ისეთ დეტალებს, რომლებიც სხვისთვის უტყვი და ყოველდღიურია. მისი ლექსი «Счастье», განა იგივე განწყობილებით არაა ნაკარნახევი, როგორცაც პაოლო იაშვილის ზემოთმოყვანილი ლექსი! როგორც წმინდა ზეცამ, გრილმა მიწამ და ჩუმად თავდახრილმა ხეებმა ათქმევინა ქართველ პოეტს «ვარ ბედნიერი», ისევე იწვევს მაღალ განცდებს («Счастье терзание») თითქოს უმნიშვნელო ბუნების მოვლენები ბორის პასტერნაკისათვის:

Исчерпан весь ливень вечерний  
Садами. И вывод таков:  
Нас счастье тому не подвергнет  
Терзанью, как сонм облаков.



Наверное, бурное счастье  
С лица и на вид таково,  
Как улиц по смыве ненастья  
Столиственное торжество.

ან კიდევ

Тот, в ветре веткой пробуящем,  
Не время ль птицам петь,  
Намокшая воробышком  
Сиреневая ветвь!

У капель — тяжесть запонок,  
И сад слепит, как плес,  
Обрызганный, закапанный  
Миллионом синих слез да а. შ.

ამ სტრიქონების ავტორისათვის სრულიად ჩვეულებრივია ისეთი ხედვა, როგორც პაოლო იაშვილას ლექსშია გამოხატული. ესაა პატარა, უმნიშვნელო მოვლენებით (У капель тяжесть запонок) მიერ გამოწვეული განწყობილებების გამოხატვა და მათი განზოგადება. ამიტომაც პასტერნაკის თარგმანში ძალიან გავს მის საკეთარ ლექსებს, სადაც მსგავსი ხედვა და დამოკიდებულებებია. აი. ეს თარგმანი:

### БЕЗ ПОВОДА

Небо над влажной землею  
Темноверхинное дерево.  
Я — в беспричинном покое,  
Запросто, без преднамеренья.

Будто я малым дитятей  
Лишь и увидел теперь его,  
Мне простирает объятия  
Темноверхинное дерево.

Ветер, простор преогромный  
Стаей пернатых вымривая  
Вспархивает на плечо мне  
Птичкою с тихого дерева.

Мирное небо над далью.  
Темноверхинное дерево.  
Я без забот и печалей  
Повпросту. Непреднамеренно.

აქ მკითხველისათვის ადვილი შესაცნობია არა მხოლოდ დღენისა და თარგმანის განწყობილებათა ადეკვატურობა, არამედ მისი მსგავსება პასტერნაკის პოეზიის ნიმუშებთან.

მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვიხილავთ პაოლო იაშვილის „დილას“ თარგმანს. აქაც ქართული პოეტის იგივე ნეტარების განცდა, და აქაც ისეთივე აბსოლუტური წვდომა ამ განცდას მთარგმნელის მიერ:

ღილაბ ჩაასწრო ჩასაფრებულ ფიქრის

სიბარდესს

სინუშე ქვიშას ეფინება გამთბარ წუთებდას  
ხელის გულიდან სით ძირს რომ

გადმოვივიარდეს,

მწვანე ბალახში წიწილივით დაფაცურდება!

Рассвет пришел, как мысли допущенье  
И по песку водить сушилкой стал.  
Так тихо, что раздался б стук паденья,  
Когда б я руку, с ветром в ней, разжал.

რა თქმა უნდა, ასეთი აზრობრივი და ინტონაციური სინუსტის მიღწევა მთარგმნელის დიდი ოსტატობის მაჩვენებელია. ამ ოსტატობის შედეგია, აგრეთვე, პასტერნაკის სითამამე, როცა ის ერთ მხატვრულ შედარებას მეორით ცვლის. ეს უფლება მის მოპოვებულ აქვს დედნისეული განწყობილების სრული კომპენსაციით. ქართული ლექსის მხატვრული სახე: „ხის წერილი წვევრო დაემსგავსა ანთებულ ასანთს“ — რუსულად ასე გამოიყურება:

Верхушки их, как перья рыбок, чутки.

როგორც ქართული, ისე რუსული მხატვრული სახეები ორიგინალური, სკვამარისად თამამი და ხატოვანი არიან და მათ სახეებით შეუძლიათ ერთმანეთის მივივრობა ვასწიონ.

ასევე შეაქვს ახალი მხატვრული სახეები მთარგმნელს „ლორეკული მისამართის“ თარგმანში:

ჩემი დაბნევა, ელდა, ყოველ წამით ცვტობა,  
როცა არ გესმის რას ამბობენ, საღ მეძახიან,  
უხერხულობა, ყველა დარდი, ყველა შეცდომა—  
ეს ყველაფერი, სანატრელო, შენი დალია.

На выходки мальчишеской поры,  
На то, за что я и сейчас в ответе.  
На это все, как тень большой горы.  
Ложится тень того, что ты на свете.

ან კიდევ:

იყავი ჩემთან. გამტანელთან და ვაკაცურთან,  
ამ დიდ დღეებში ყოველ წამში ვიარით ერთად.

თარგმანში ბუნებრივად ქდვრს:

Разделим вместе мужественный знак  
Великих дней, которым страх неведом.

ამ დიდ დღეებს, მათ «Мужественный знак»-ს ორივე პოეტი — პასტერნაკი და იაშვილი — ერთად ეწიან. ესაა ოცდაათიან წლებში დაწერილი ლექსი და ეს წლები წარმოადგენდა მათი პოეტური აღმავლობის, ახლის მიღების (ან არმმღებვის) და სულოვრი გარდასახვის

პირიშლა ჩუმიშვილი

პასტერნაკე და მემოცე საშაჰსინი

პარტიზანული ამბებები

წლებს. ამ პროცესმა ორივე პოეტისათვის ერთდროულად გაიარა და განაპირობა კიდევ ამ თარგმანის ხარისხი.

გასაოცრად პასტერნაკისებური და პასტერნაკისებურია პ. იაშვილის „ბაღის ამბავის“ სტროფი:

Стемнеет и тонешь душой в теплоте  
При мысли о выпавшем саду событье.  
Дом настежь. Луна простыней на тахте.  
И ветер — как замысла первые нити.

ესაა სრული აზრობრივი, სტილური, განწყობილებრივი სიახლოვე ავტორის სტრიქონებთან:

მერე ამ სიტბოს და ამ ბაღის პატარა ამბავს  
შევიტან სახლში, ღია მჩრება ფანჯარა, კარი,  
ლოვინზე მთვარე გადააფენს ცივ ტილოს საბანს  
და როგორც ლექსის დასაწყისი, ამოდის ქარი.

ძნელი წარმოსადგენია მეტი სიახლოვე დედანთან, მეტი სრულყოფილება და ოსტატობა, ძნელია აგრეთვე დააღწიო თავი ბუნებრივ ასოციაციას, რომელიც პასტერნაკის პოეზიის მოყვარულს გაუჩნდება თარგმანის ამ შესანიშნავი სტროფის წაკითხვისას. ესაა „მარბურგის“ დაუფიქარი სტროფები:

Повсюду портпледы разложит туман,  
И в обе оконницы вставят по месяцу.  
Тоска пассажирской скользнет по томам  
И с книжкой на оттоманке поместится  
Ведь ночи играть садятся в шахматы  
Со мной на лунном паркетном полу,  
Акацией пахнет, и окна распахнуты  
И страсть, как свидетель, седеет в углу.

ასეთი მკვეთრი რიტმული თუ განწყობილებრივი სიახლოვე საკუთარ პოეზიასთან პასტერნაკის თარგმანს სრულიად არ ამორბებს პ. იაშვილის ლექსისაგან, არ უკარგავს ქართველი პოეტის ნაზრევს ელფერს და არ იწვევს დედნისათვის უცხო ემოციას. მხოლოდ მეტად ხელშესახები ხდება ამ ორი პოეტის სულიერი ერთიანობა.

შედარებით სხვა თარგმანებთან, ვფიქრობ, სუსტია თარგმანი ლექსისა „როგორც აფრის ტაკუნში“. პაოლო იაშვილის პოეტური გაქაწება, მისი გზნება და ვეჟაკური ამბოხია გამოსახული სტრიქონებში:

როგორც აფრის ტაკუნში,  
მოვარდნილი ზღვიდან,  
ისეთი ვეჟაკური  
გაქროლება მინდა.

ამ რიტმიც შესანიშნავადაა შერჩეული ამ განწყობილების შესაქმნელად. ამ რიტმს თანხმდებიან არჩეუბებს მთარგმნელი, მაინც ვერცხლმწიფი დედნის სიმლიერეს.

Как хлопанье паруса,  
Что с моря лопочет,  
С такую же яростью —  
За стол бы рабочий!

ეს «За стол бы рабочий» უდაოდ ეხმარება პაოლო იაშვილის შემდგომ სტრიქონებს: „მინდა სიტყვის თარგმნი ჩემი ყველამ ნახოს“, მაგრამ სათარგმნელ სტროფს, რომელიც ამ ლექსის ძარღვს წარმოადგენს, მაინც ზიანს აყენებს — უკარგავს იმ დაძაბულობას და გაქაწებას, რომელიც გამოხატულია სიტყვებით: „ისეთი ვეჟაკური გაქროლება მინდა“. ეს მთელი ლექსის ლეიტმოტივია.

საერთოდ პასტერნაკის პაოლო იაშვილის პოეზიის ნიმუშების თარგმანები შესანიშნავი გამოხატულებაა ორი სხვადასხვა ეროვნების პოეტის სულიერ განწყობილებათა თანხედრობა და მათი თანამშრომლობა-თანამეგობრობისა.

მეორე ქართველი პოეტი, რომლის ნათელი ხსოვნა ბორის პასტერნაკმა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა პაოლოს სახელთან ერთად, იყო ტიციან ტაბიძე. ტიციან ტაბიძე და მისი ოჯახი რუსი პოეტისათვის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მყუდრო ნაფსაყუდელს წარმოადგენდნენ. თავისი საუკეთესო მეგობრის — ტიციანის დღღუპვის შემდეგაც, პასტერნაკმა განაგრძო მეგობრული დამოკიდებულება მის მეუღლესთან და სწორედ იგია ადრესატი იმ შესანიშნავი პირადი წერილებისა, რომლებიც მჭევრმეტყველურად მტყულებენ რუსი პოეტის საქართველოსა და კერძოდ ტ. ტაბიძის ოჯახის მიმართ დამოკიდებულებაზე. საილუსტრაციოდ მოვიტან ერთ ნაწყვეტს პასტერნაკის წერილიდან ტიციანისა და მისი მეუღლის მიმართ:

«Когда я называю Вас близкими, родными, равными, душевнопонятными, — это не пустые слова... Я вам стал перечислять, с чем Вы у меня связаны: с Ролланом, с моей старшей сестрой, с нынешней революционной Германией, явившейся вдруг естественным продолжением Рильке и т. д. ...А Тициан, как там не верти, оказывается сильнейшим лириком из всех. Я это и раньше знал. Но он слишком близок мне. Как и о себе самом, я не смел этого знать даже про себя. Иногда я им жертвовал совер-



შენი, как собою, можете Вы это понять»...!

საოცარი გამოხატულებაა სიახლოვისა ამ სტრიქონებში, სიახლოვე ქვეული გათანაბრებად, სრულ შერწყმად და გაერთიანებად, როდესაც «Жертвую им, как собой».

მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ისე შეიცნო და გაიშინავნო მეორე პიროვნება და მისი სულიერი სამყარო, როგორც ეს პასტერნაკმა შექალო. მას ესმოდა ქართველ პოეტის ამ სიტყვის ამბისოვლური მნიშვნელობით. იმავე წერიალში ის განმარტავს კიდევ, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა:

«Понимать совсем другой мир, совсем иной стиль и род жизни, это не места и не мгновенья, не Тифлис даже, даже, может быть, не земля, это близкая, случаем подаренная допущенность к делам истории, это участие в ее будущем, это широкий роман с терпящимися границами нескольких особо счастливых, под небом, покрывшим их смыслом одной общей даты. Это клей, о котором была речь выше, это Вы и я, это наши соединенные руки»<sup>2</sup>

აი, ასე გაიგო ტიციან ტაბიძის რთული პოეტური სამყარო პასტერნაკმა, გაიგო მისი პოეზია, როგორც მისი პიროვნება, რომელსაც უმადლესი ადგილი მიუჩინა კიდევ მისი საკუთარი პიროვნების განმპირობებულ სხვა მოვლენებთან ერთად. ტიციან ტაბიძის ლექსების შესახებ, რომლებიც შესრულებული იყო სხვა მთარგმნელების (ტიხონოვის, ანტოკოლსკის, ზაბოლოცკის) მიერ და რომლებსაც პასტერნაკი მაღალ შეფასებას აძლევდა, მინც გამოსთქვიმდა ერთგვარ ექვსს. რომ ეს თარგმანები ვერ წარმოადგენენ ამ შესანიშნავი ქართველ პოეტის ნამდვილ სახეს, რადგან:

...«даже самые лучшие из них не передают того, что составляет существо и прелесть оригинала (О чем невозможно догадаться)»...<sup>3</sup>

აი, როგორ შეფასებას აძლევს ბორის პასტერნაკი ტიციან ტაბიძის პოეზიას:

«Везде выступает главная, движущаяся сила поэта Тициана — чувство преданности жизни, родной истории и природе, которое в соединении с чувством обреченности придает выражению этой темы постоянный элегический оттенок. Очень много доброты, человечности в этом, гораздо больше, чем

у меня и Паоло, не говоря уже о Есенице и Маяковском.

Эта черта доброты в сочетании со строками большой образности... — это главное в книге и ее лучшее, ее душа...».

ტიციანის პოეზიის თარგმნისას პასტერნაკი სწორედ ამ წარმოდგენიან ხელმძღვანელობდა. ქართველი პოეტის შინაგანი სამყარო მისთვის არ იყო ძნელსაცნაური — პირადი კონტაქტებისა და მეგობრობის გზით გამოიკვეთა ტიციანი — პოეტი პასტერნაკის წარმოდგენაში და შემდგომ მის თარგმანებში.

ბავშვობაში განციდილის, სინაზისა და სილამაზის გრძობითაა დაწერილი ტიციანის «ლექსი წელსაკვი». სიყეთისა და ხატოვანების შერწყმა ამ ლექსში მართლაც სრულად ეხამება პასტერნაკის შეფასებას... «Черта доброты в сочетании со строчками большой образности» და «шенარჩუნებულია მის რუკულ თარგმანშიც. აქაც შესანიშნავადაა მოქმედილი ის თბილი ფერები ავტორისეული აზრის გადმოსაცემად, რომლითაც ტიციანს აქვს შესრულებული ბავშვობის სურათი:

ეწვევარ ორპირში... ბავშვი სიცხეში  
და უმღერიათ წითელ ბატონებს.  
ვარდ და ია მოუსხამს ჩონგურს,  
ღედის ცრემლები სიმებს ათრთოლებს.

რუსულ თარგმანში ვკითხულობთ:

Лежу в Орпиря мальчиком в жару,  
Мать заговор мурлычет у кроватки  
И, если я спасусь и не умру,  
Сулит награды бесам лихорадки.

აქ კიდევ:

გახვეული ვარ თავით ფიჩებში,  
ვარდის გამოხდილ წვიმაში ცვტრავს;  
ეს საბანა — ასე ლამაზი —  
თუ ანგელოსის ფრთები მახურავს?

რუსულ თარგმანში:

Замотана платками голова.  
Я плаваю под ливнем роз и лилий,  
Что это — одеяла кружева  
Иль ангела спустившиеся крылья?

ავტორის მიერ ლექსის ბოლო სტროფებში გამოთქმული აზრი, რომ ცხოვრების დასასრულს ნამდვილი ლექსი, ნამდვილი სათქმელი უნდა ამოღულდეს გულოდან, სადაც პოეტი მიმართავს ამხანაგებს და მკითხველებს, რათა

**ფიიულა ხუციშვილი**  
პასტერნაკი და მიომე საშუაწის  
ქართველი პომბაბი

<sup>1</sup> Из письма Б. П. к Т. и Н. А. Табидзе, Х.ХИ.34 г. Вопросы литературы, 1966, № 1.

<sup>2</sup> Из письма Б. П. к Н. А. Табидзе, 30.VII.57 г. «Вопросы литературы», 1966, № 1.

<sup>3</sup> იქვე.



მათ შეიცადონ ამ ღრმოდ, პოეტს ერთგვარად გაუმართავად, ბუნდოვნად გადმოუცვა:

ამხანაგო და ძმო მკითხველო,  
რომ ჩემზე უფრო გსურდეს მოსმენა,  
ჩემი ლექსების — მე აღარა მწამს,  
მაშ იქონიე ცოტა მოთენხა.

მგერა გულშიაც გამკრავს წელკავი  
და ლექსი თვითონ ამოდუღდება,  
ბზო რომ აწეალებს რძეგამზრალ ძროხას  
პოეტს და მკითხველს ეს არ უხდება!...

აქ დაკარგული აზრის ის სიმკვეთრე, რომელიც განსაკუთრებით მომხიბლავია წინა ექვს სტროფში, აღდგენილია პასტერნაკის თარგმანში. პოეტის სათქმელი, ვფიქრობ, აქ უფრო მკაფიოა და ეხმიანება მიუღია ლექსის საერთო განწყობას:

Не торопи, читатель, погоди.  
В те дни, как сердцу моему придется  
От боли сжаться у меня в груди,  
Оно само стихами отзовется.

Пустое нетерпенье не предлог,  
Что мучить слух словами неживыми,  
Как мучит матку без толку телок,  
Ей стискивая высохшее вымя.

თარგმანის შესანიშნავი ნიმუშია ლექსის „კარმენსიტას“ რუსული თარგმანი. ეს, როგორც იტყვიან „ერთი ამოსუნთქვით“ დაწერილი ლექსი ამ ინტონაციურ თავისებურებას სრულიად ინარჩუნებს რუსულ ენაზე. ტექსტიან მაქსიმალური სიახლოვის მიუხედავად პასტერნაკის თარგმანს აბსოლუტური რუსული, ბუნებრივი ელვადობა გააჩნია და სრულიად არა აქვს დაკარგული ტიციანის ლექსის მომხიბვლელობა. მოვიტან ამ თარგმანს მთლიანად, რადგან ის წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს იმისას, თუ ოსტატურად შესრულებული თარგმანი რამდენად ძნელი გამოსარჩევია ორიგინალური ლექსისაგან და რამდენადაა განთავისუფლებული ის უცხო ენის ფორმებისაგან:

Ты вылетела хищной птицей,  
И я с пути, как видишь, сбил,  
Ты женщина, или зарница?  
О, как твой вид меня страшит!

Не вижу от тебя защиты.  
В меня вопила ты книжал.  
Но ты ведь ангель, Карменсита,  
Я б верить жизнь тебе желал.

И вот я тлею дни и ночи,  
Горя на медленном огне.  
Найди расправу покороче, —  
Убей, не дай очнуться мне.

Тревога все непобедимей,  
К минувшему отрезан путь  
И способами никакими  
Былого мира не вернуть.

В душе поют рожки без счету  
И звук их жалобно — уныл,  
И точно в ней ютится кто-то  
И яблоню в ней посадил.

И так как боли неприкрытой  
Не утаить перед людьми,  
Пронзи мне сердце, Карменсита,  
И на небо меня возьми.

ასეთი ბუნებრივი ელვადობა თარგმნილი ლექსისა უდავოდ მთარგმნელის დიდ მიღწევად უნდა ჩითვალოს, მით უმეტეს, როცა ლექსის აზრი და მხატვრულ სახეთა სისტემა ზედმიწევნით სწორადაა განხორციელებული.

ოსტატურია შესრულებით გამოირჩევა ლექსის „მე ყარადებმა მოკლეს არაგვე“ თარგმანი. პასტერნაკი აქ შესანიშნავად მიიყვება ეტორის აზრის განვითარებას, ხშირად თავისი ნებით ცვლის გამოთქმებს, შეაქვს თარგმანში ახალი, თავისი გამომხატველობითი საშუალებები, მაგრამ ამით სრულიად არ შორდება დედანს, დედნის აზრობრივ ხაზს და ტიციან ტაბის ლექსს ბუნებრივ რუსულ ხმოვანებას აძლევს. აღსანიშნავია ოსტატურად შესრულებული სტრიქონები: «Перевернувшееся небо» — (წამქცა თავზე ცა გარდვეული), «Искал слезящиеся веки» (თვალებს ცრემლების თერგი მირცხვავს), «Плетями вздувшися мыши, Аркан заржавленный на шее» (ხედავს გიგანტის შოლტის მუსკულებს და რკინის ბაწარს, ყელზე რომ მომდებს) და სხვ. ორი სხვადასხვა სტროფიდან ორი ტემა: «კვალდაკვალ ჩემი დემონი მომსდევს» და «ვიცი მომიღლის მაინც ეს ბედი» — ერთ სტრიქონშია გაერთიანებული: «Нет троп от демона и рока» და ქვეულია კომპაქტურ და პოეტურ ფრაზად. სტრიქონები:

ვარ ავსებელი შენით გულამღე  
და მოგარდნილი ცრემლების ტალღა

თავის უცნაურ წყობას და პოეტურ მომხიბვლეობას ინარჩუნებენ რუსულ თარგმანშიც:

И для тебя лишь сердце ширю  
И переполненные очи.

და ბოლოს ორიგინალის სრულიად ადექვატური სტროფი, ისეთივე უშეალობა, ისეთივე დამაბუღელი განწყობილება, იგივე თავგანწირული ერთგულება, როგორცია ქართულ სტრიქონებში:

მინდა მოვიფროხა ამ შარავჯაზე,  
მინდა გაეცხხნა გული ალილი.







სული პოეზიისათვის არ იქმნება უცხო განწყობილება, გამოხატული პასტერნაკისეული ჩიქოვანის შემდეგ სტრიქონებში:

Грузия весь год на страже мая,  
В ней зима похожа на весну.  
Я вам звезд на гнезда наломаю,  
Вас в стихи зимою заверну.

Режьте, режьте воздух беспредельный,  
Быстрые, как ножиц острия!  
Вас, как детство, песнью колыбельной  
Обступила родина моя.

Что же ты шарахаешься, птаха?  
Не мечись, не бейся,— погоди.  
Я у слова расстегну рубаху  
И птенца согрею на груди.  
(«Гнездо ласточки»).

ა5 კიდევ:

Цветы не бывают пустыми.  
В них воздух, в них ветер сокрыт.  
Наряд твой, украшенный ими,  
Как бы бубенцами обшит.

Возьмем их и к платью приколем  
И к выходу, к двери шагнем,  
И вот, виноградником, полем,  
Дорогой становится дом.  
(«Цветы»).

და ა. შ. ესენია სავსებით „რუსული“ ლექსები, მიუხედავად ქართული დენდისადმი აბსო-

ლუტური ერთგულებისა. ვფიქრობ, მთარგმნელის იდეალს სწორედ ასეთი შემთხვევა უნდა შეადგენდეს: დედნის დათრგუნვის გარეშე შექმნა ახალი ლექსი, რომელიც ბუნებრივი ელერადობით მოიპოვებს ახალ ენაზე არსებობის უფლებას. ალბათ, მსგავსი მაგალითი ჰქონდა მხედველობაში შესანიშნავ რუს მთარგმნელს პ. ანტოკოლსკის, როდესაც ფრანგული პოეზიის თარგმანების შესავალში ამბობდა:

«Задача заключается в том, чтобы приблизить материал к сегодняшнему читателю, сделать его достойным русской поэзии, рискуя при этом отойти от буквальной точности, буквальной близости к оригиналу. Предел моих желаний дать в руки читателей русскую поэтическую книгу».

სიმონ ჩიქოვანის პოეზიის თარგმნისას პასტერნაკმა კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვა. რუსულ ენაზე გამოკვეთა მე-20 საუკუნის შესანიშნავი ქართველი ლირიკოსი, რომლის პოეტური ზმა — მკვეთრად განსხვავებული თანამედროვეთაგან — თარგმანებშიც ასევე მკვეთრად გამოჰყო და შეუნარჩუნა ინდივიდუალობა. პასტერნაკის ნათქვამი ს. ჩიქოვანის ადრეულ პოეზიაზე: «Будущий мастер яркого живописного образа» — ამ თარგმანების მიხედვით რუსი მკითხველისათვის სრულიად გამართლებულია.

ასე ოსტატურად და კეთილსინდისიერად ასრულებს მთარგმნელის მაღალ მისიას რუსი პოეტი. ასე თარგმნის ქართველი პოეზიის ნიმუშებს ბორის პასტერნაკი.



## ჩვენს დღეს

# ლიონ ფოიხტვანგერის „პიესები ლექსად“

გამოჩენილი გერმანელი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, როგორც პროზაიკოსი. მის კალამს ეკუთვნის 17 რომანი. ჰაინრიხ მანის სიტყვით, ლიონ ფოიხტვანგერი თვითონ რომანია. მაგრამ, აღბათ, ცოტამ თუ იცის, რომ თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში ეს ნიჟერი რომანისტა უპირატესად წერდა დრამებს, აგრეთვე კრიტიკულ სტატიებს მიუნჰენის თეატრალური ცხოვრების შესახებ (მისი სტატიები იბეჭდებოდა ეურნალ „შუბიუნენში“ 1908 წლიდან დროებითი შესვენებებით 1916 წლამდე).

1903 წელს დაიბეჭდა ფოიხტვანგერის ორაესიხი „ეულნი“. 1904-1905 წლებში იწერებოდა მისი „პატარა დრამები“, რომელთაგან ორი 1905-1906 წლებში დაიდგა მიუნჰენში. 1907 წელს ფოიხტვანგერმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პ. ჰაინეს ფრაგმენტზე „ბახარაის რაბინი“. ამივე წელს გამოაქვეყნა დრამა „ფეტისი“, 1908 წელს კი პატარა ნოველა „კარნავალი ფერარაში“. მათ მოჰყვა რომანი „ოთხის ღმერთი“ (1910), რის შემდეგაც ფოიხტვანგერი წერდა მხოლოდ დრამებს 20-იანი წლების დასაწყისამდე, 1905-1923 წლებში არსებული ცნობების მიხედვით ფოიხტვანგერმა გამოაქვეყნა 21 დრამატული ნაწარმოები. მათ შორის არის როგორც- ორიგინალური, ასევე სხვა ავტორთა ნაწარმოებების საფუძველზე შექმნილი დრამები.

დრამა ლიონ ფოიხტვანგერის შემოქმედებათ ევოლუციაში იყო გარდამავალი საფეხური რომანისაგან სავალ ვახვად, თუმცა მაშინაც კი, როცა მან შესანიშნავი რომანისტის სახელი მოიხვეჭა, დრამაზე მთლიანად მიახც არ უთქვამს უარი. ამის ნამუშაო მისი „ცდუნება ანუ ეშპა-კი ბოსტონში“ (1916) და „ქარივი კაპტი“ (1947).

ფოიხტვანგერის პირველი დრამატული ცდუნება

ბი (მაგალითად, დრამები „ფეტისი“ და „ჩუ-ლია ფარნეზე“, აგრეთვე რომანი „ოთხის ღმერთი“) მოწმობენ, რომ მათი ავტორისათვის მნიშვნელოვანი იყო არა იმდენად შინაარსი, რამდენადაც ასახვის ფორმა. ჰანს ლოიოლდს სამართლიანი შენიშვნით, ფოიხტვანგერის ადრეულ ნაწარმოებებში ჩანს ავტორის სტილიტური ოსტატობა და ცოცხლად ასახვის უნარი, მაგრამ მათ დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ფოიხტვანგერის მატერიალური მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა. შიშობილი არც თუ იშვიათი სტუმარი იყო მისი და ხშირად მან არ იცოდა, სად გაეთია ღამე.

ლიონ ფოიხტვანგერის ადრეული შემოქმედება ჩერჩვრობით არ არის შესწავლილი აიუ ჩვენთან. არც გერმანიაში, ჩვენის ახრით, სახტერესო და შესწავლის ღირსია ამ დიდი გერმანელი მწერლის შემოქმედებითი ევოლუციის ადრეული საფეხურიც. ამიტომ შევეცადეთ მცირედდინ წვლილი შევკეთებთ ფოიხტვანგერის შემოქმედების ამ დღესდღეობით გაუტყავი ყამირის ათვისების საქმეში.

ფოიხტვანგერის ადრეულ შემოქმედებას მიეკუთვნება აგრეთვე „პიესები ლექსად“, სადაც შესულია 1914-1916 წლებში დაწერილი სამა პიესა: „უასანტასენა“, „ზაფი“, და ესკილეს „სპარსელების“ თავისუფალი თარგმანი. პირველი ორი წარმოადგენს სხვა იტორთა პიესებას თავისუფალ გადაკეთებას, რომელშიც ტექსტის სიზუსტის დაცვა არ ყოფილა მიზანი. „უასანტასენა“ ფოიხტვანგერმა ინდური პიესის საფუძველზე შექმნა, ხოლო „ზაფი“ არისტოფანეს კომედიების „აქარნელებისა“ და „ზაფის“ მოტივებზე.

„უასანტასენა“ შედგება ფოიხტვანგერის მიერ სანსკრიტის შესწავლისა. ეს იყო მისი საყვარელი ნაწარმოები არა მხოლოდ მისი შექმნილი





დროს, არამედ უფრო გვიანაც. ინდური პიესის ტექსტი, რომელიც ხელთ ჰქონდა ლ. ფოპტვან-გერს ევასანტასენაზე მუშაობის დროს, 450-650 წლებში უნდა იყოს დაწერილი. ფოპტვანგერმა მიზნად დაისახა ჩაწვლილი ფორმირება სულს. სიტყვა-სიტყვით თარგმნა მისი ამოცანა არ ყოფილა. ფოპტვანგერმა „ევასანტასენა“ 1916 წელს გამოაქვეყნა. ამ ნაწარმოებში რუსულ თარგმანი 1938 წ. გამოვიდა სათაურით „ევასანტასენა. პეიმი“. მასში „ევასანტასენას“ ვარდა შევიდა ლ. ფოპტვანგერის ბალადები. ამ წიგნის ორგვლივ ჩვენს პრესაში კამათი ატყდა. „ლიტერატურაზე ოპორტუნისტ“ 1938 წლის № 21 დაბეჭდა ე. კნობოვიჩის წერილი „ევასანტასენა“. პეიმი“. ე. კნობოვიჩის აზრით, „ევასანტასენა“ მთლიანად ხელოვნური, წიგნური ნაწარმოებია. მისი აზრით, მისი რიტმი სხვისი ხელოვნების მიბაძევა მხოლოდ და მხოლოდ; ეს არის ნაწარმოები პატარა ბოქსმურის წრისა, რომელსაც ეკუთვნოდა სტუდენტი ფოპტვანგერი, არნოლდ ცვიგივის მტკიცებით. ამ წრისათვის დამახასიათებელი იყო სინამდვილისადმი სნობური ზიზღი, დეკადენტური მიდრეკილება ხელოვნების „უმალეს რეალობაში“ გაჭრისა. ე. კნობოვიჩის კრიტიკას იმსახურებს პიესის შინაგანი კონფლიქტის სისუსტე, მხატვრული სახეების სიღარიბე. ამ ნაწარმოებში, ე. კნობოვიჩის შეხედულებით, ცოტა ინდოეთიც არის, ნა-სესხები XVIII ს. ოპერებისა და ბალეტების აღმოსავლური ეგზოტიკიდან, და ცოტა დეკადენტური ფილოსოფიაც. „ევასანტასენა“ ლ. ფოპტვანგერის ახალგაზრდობის ინდო-მთუნუნური შეცოდებაა. ე. კნობოვიჩი მზად არის აბატონოს ფოპტვანგერს სიჭაბუკის ეს ცოდვა, მაგრამ საყვედურობს „პლენფოსლიტურად“, რომელმაც გადათარგმნა დიდი მხატვრის ეს „უმწიფარი ნაწარმოები“. ასევე უარყოფითია ე. კნობოვიჩის მიერ ფოპტვანგერის ბალადების შეფასება, რომლებიც 1926-1927 წლებში დაიწერა. ე. კნობოვიჩის ზემოთ აღნიშნულ სტატიას გამოეხმაურნენ ნ. რიკოვა და მ. ფრომანი. მათ „ლიტერატურაზე გახეტას“ 1939 წ. 26 იანვრის ნომერში დაბეჭდეს „წერილი რედაქციას“, რომელშიც გააღაშქრეს ე. კნობოვიჩის მოსაზრებათა წინააღმდეგ. ნ. რიკოვა და მ. ფრომანი თვლიან, რომ ფოპტვანგერმა მისთვის ჩვეული ოსტატობით გადაამუშავა ინდური პიესა. ამის საპასუხოდ ე. კნობოვიჩმა ახალი სტატია გამოაქვეყნა (იხ. „ლიტერატურაზე ოპორტუნისტ“, 1939 წ. № 5), სადაც დაიკვა თავისი თავდაპირველი მოსაზრება ამ საკითხზე.

ჩვენ ვერ დავეთამსხმებთ ე. კნობოვიჩის მიერ „ევასანტასენას“ ესოდენ მკაცრ კრიტიკას. „ევასანტასენა“ რომ მართლაც ხელოვნური, უმწიფარი ნაწარმოები ყოფილიყო, მაშინ ძალზე დიდი იქნებოდა ავეჯილა მისი წარმატება. „ევასანტასენას“ გამოსვლასთან დაკავშირებით ზიგფრიდ იაკობსონი წერდა, ლიონ ფოპტვან-

გერს მიერ ვადაამუშავებელი ინდური დრამა ყოველმა გერმანულმა თეატრმა უნდა დადგამოს. ხოლო „ბერლინერ ბიორზენ-კოორიერს“ ეს პიესა სა იმას ღირსად მიაჩნდა, რომ იგი დიდი ხნით შემორჩენილია სცენას შექსპირის სერიალული კომედიების გვერდით. 1960 წელს ბერლინში გამოცემილია „ფოლკ უნდ ვისენთან“

არსებული ლიტერატურის ისტორიის კოლექტივის მიერ გამოცემულ წიგნში „ლიონ ფოპტვანგერი“ ვითხულობთ, „ევასანტასენა“ ფოპტვანგერის მიერ თავისუფლად ვადაამუშავებულ ნაწარმოებთა შორის ყველაზე უფეთესია და რომ ავტორის მიერ ორიგინალის სულში ჩაწვლილია და მისი დაღალი ენობრივი სრულყოფილებით აიხსნება მისი დიდი სცენური წარმატება არა მარტო გერმანიაში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც.

ლიონ ფოპტვანგერის „ევასანტასენამ“ მართლაც, სივალე ასეული დადებითი დაამტკიცა თავისი მიკოცხლისწარაინობა. 1960 წელს ბერლინის თეატრალურმა საზოგადოებამ, როგორც პანს ლიობოლდი მოვითხრობს, ხელახლა განიცადა ამ ნაწარმოების მშენება მაქსიმ გოკის სახელობის თეატრში. აღერ-ის პრესა „ევასანტასენას“ ამ დღებში დადებითად გამოეხმუა. მას მიეძღვნა სპეციალური რეცენზიები. ჭრის-ტოფ ფუნკე „ევასანტასენას“ თელის ისეთ ვადაამუშავებდა, რომელშიც არ არის შეცვლილი ინდური ნაწარმოების მოქმედების არსი, შენარჩუნებულია მისი უშუალო ხალხური ტონი და გაცივლებულია ორიგინალის შესაფერი კოლორიტული ენით. (იხ. ვაზეთი „დერ მორგენ“ 1960 წ. 13(X). ვალტერ პოლანკის აზრით, (იხ. „ბერლინერ ცაიტუნგ“ 1960 წ. 13(X)) ფოპტვანგერის ვადაამუშავა უძველესი ინდური ნაწარმოები, მიაშვაცხა იგი ჩვენი ხელოვნების სამყაროს და შექმნა პოეტური ენის ბრწყინვალე ნიმუში 31/2 ათწლეულის შემდეგ ვანაგრძობს ვ. პოლანკი, ამ დაუსახურებდა დავიწყებულ ნაწარმოების დადგმა მაქსიმ გოკის სახელობის თეატრის დიდ დაშახურებად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „ევასანტასენა“ ლ. ფოპტვანგერის საყვარელი ნაწარმოები იყო. პიესას თან ერთვის ლ. ფოპტვანგერის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა, სადაც ავტორი არ მალავს თავის აღტაცებას ინდური ორიგინალით, მისი აზრით, „ევასანტასენა“ პარმონიული ნაწარმოებია; მისი პარმონიული მშენებრება ისევე ძნელად გადმოიკემა სიტყვებით, ვით სილამაზე მზით ენობაბა ზღვისა; მისი სიმდიდრე ასევე მიუწვდომელია, როგორც ტროპიკული უღრანი ტყის სიმდიდრე.

ფოპტვანგერმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ „ევასანტასენაში“ შემთხვევა გარეგნულად

რუსულან ცინიბათრიშვილი  
ლიონ ფოპტვანგერის „პიესები ლექსად“

ლო როლს ასრულებს. ამ პიესის მიხედვით, ამათა დამაინის გეგმები, განზრახვა არაფერია, შემაბეჭევა ყველაფერი:

„ბედისწერა, შენ ისე ეთამაშები ხედრს კაცთა ვითარცა ქარი.

შენ წყლის წვეთებს ეთამაშები დოღუბებზე ლოტოსისა“.

მიუხედავად შემთხვევის როლის ასეთი გაზვიადებისა, მხატვრული თვალსაზრისით აქ არაფერია შემთხვევითი. ფიოტიკანგერის დასკვნები, ინდოელი ავტორი პოეტის ამოყვანად თვლიდა ცხოვრების უაზრო მრავალფეროვნების აზრიანად გადაცეკვას. „ვასანტასენაში“ დრამატიულობა არ არის გამოჩენილი ეპიუროზისაგან. ინდოელთა დრამატიული ტექნიკა ნებისა აძლევდა პიესის ავტორს ესარგებლა იმ თვისუფლებით, რაც ევროპაში ფილოსოფიის ავტორებს აქვთ. ეს არის მოქმედების სწრაფი ცვლა, წინარე მოქმედების დამოწმება და სხვა. ფიოტიკანგერის ხიბლავდა ის, რომ ინდურ პიესაში ეს თავისუფლება ისე შეზღუდულად არის გამოყენებული, რომ დრამატიულ მომენტებს არ უქმნის საფრთხეს; ხოლო პიესის II ნაწილში დრამატიული აღმავლობა ისეთი ოსტატობით არის შესრულებული, რომ პიესის გულუბრყვილო ეპიურ ფონზე უფრო მეტად გვხვდება თვალში.

„ვასანტასენას“ პირველმა ევროპელმა მთარგმნელმა ინგლისელმა ვილსონმა მის ავტორს ინდოელი შექსპირი უწოდა. „ვასანტასენას“ ნათესაობის შექსპირის პიესებთან ლიონ ფოტიკანგერის აღიარებს. თვით არასტაციონალისათვისაც არ არის ძელი შეამჩნიოს „ვასანტასენას“ მსგავსება შექსპირის „ციმბელითთან“ და „ვენეციელ ვაჟართან“. მაინც უმბილიკას, სამეფო ყარაულის კაპიტნების — ვირაქასა და ჩინდაქას, ორი ქალთაის ბურღესკური სცენები საოცრად წააგვანან შექსპირულთ. არის მსგავსება პერსონაჟთა მხატვრული ასახვის მანერაშიც. როგორც შექსპირთან, ისე „ვასანტასენაში“ სცენაზე გამოდიან ცოცხალი ადამიანები ნაივური სიცხადით, უჩვეულად ძლიერებით. „ვასანტასენას“ ერთ-ერთი მთავარ პერსონაჟთაგანი ჩარუდატა, ლიონ ფოტიკანგერის შენიშვნით, ტიპონ ათენელის ბიპასვილი და ვენეციელი ვაჟრის უფროსი ძმა. ანტონიოსა და ჩარუდატას საერთო აქვთ გარკვეული მელანქოლიური ფატალიზმი, ბედის ცვალებადობა. ბორიტებს ორივენი მელანქოლიური ზეზლით უშვებენ.

პროლოგი პიესის ავტორობას მიაწერს ლეგინდარულ მეფე შურბაკას, თუმცა საგარაუდონა, რომ მისი ავტორი მე-3-4 საუკუნეებში ანონ-მურის პოეტა უნდა იყოს. ინდურ ორაჯინალს ეწოდება „თიხის ურჯიკა“, მაგრამ მის შექმნაზე ასი წლით ადრე პოეტ ბაზას დააწერია პიესა „ჩარუდატა“, რომლის 4 მოქმედებამ მიაღწია ჩვენამდე (მე-2-3 ს. ს.). ამ პიესას ბევრი რამ აქვს საერთო „თიხის ურჯიკის“ პირველ

თან მოქმედებასთან, თუმცა ეს უკნადაა მისი უნდა ჩაითვალოს მეტნაკლებად დასაბუთებული. მაგრამ პოეტურად ღირებულსა და ღირსეულს ვეზად ძველი პიესისა ბაზას პიესა იქ წყობა, სადაც ვასანტასენა ათავისუფლებს თავის მახურ ქალს და ჩარუდატასთან მიდის. ამიტომ აქვლია დადგენა, თუ რა აქვს V მოქმედებაში ახალგაზრდა ავტორს გადმოღებული ძველი პიესიდან.

„ვასანტასენას“ ტიპიკი ქრელია. მისი პერსონაჟები სხვადასხვა ფენების წარმომადგენელი არიან. ესენი არიან მახური ქალები და დარაჯები, ჯარისკაცები და პეტერები, მოსამართლეები და ქალათები, მდიდრები და ღარიბები. პიესა გვაცნობს II-III საუკუნეების ინდურ ქალაქს, ინდოეთის ცხოვრების რეალებს, სასამართლო პროცესს, ვასანტასენას მდიდრულ სასახლეს. მინიშნებულია სოციალური და სამეურნეო კრიზისებიც, რისი მიმუშვიცა უდნაშუალო, სპეშიანი ვაჭრის ჩარუდატას გაღარიბება, მეფის ძალმომრეობა და მის წინააღმდეგ ხალხის ამბოხება.

ჩარუდატა, შექსპირის ანტონიოს მსგავსად, ვაჟარია. ერთ დროს მდიდარი და გავლენიანი, ის იმდენად გაღარიბებით როდია შეწუხებული, რამდენადც ძველი მეგობრების დაყარვით, რომლებიც მას ახლა თავს არიდებენ. თურმე მეგობრობა წარმავალი ყოფილა. ჩარუდატას ნუშეშად ისლა დარჩენია, რომ მისი პატიოსნება სიღარიბეზე გერ შეარყია. პატიოსანი კაცის სახელის დაყარვას მას თავისი უკანასკნელი საკუთრების — სახლისა და თვით თავისი სიცოცხლის გაწირვა ურჩენია. ჩარუდატას ნაშუას ქული ხურავს, კაცური კაცია, ბძყენი და გულუბვი. პოფენსტიკი მას გუბურას აღარებს, რომელიც ყველას წყალს აძლევს, ვიდრე დაშრებოდეს, აგრეთვე ნაყოფებით დამშომებულ დარიბთა გადოსნურ ხეს. ჩარუდატას თავი არ მოაქვს თავისი ღირსებებით. ის ადამიანებისათვის ცხოვრობს და მზად არის თვდაუზოგავად ემსახუროს მათ. თავის ადამიანურ ღირსებას იგი არ ღალატობს მამიანც, როცა ვერაჟი პრინცი ზამსთანაჟა ბრალს სდებს მას ვასანტასენას მოკვლაში. იგი არ ცდილობს თავის მართლებას და ამბობს მხოლოდ, რომ მის გულს და ხელს დანაშაული არ ჩაუდენია. ან რა საჭიროა სიმართლის თქმა, როცა მეფე მაინც არ დაუჯერებს იმას:

„მეფას თვალი სუსტი არის, ის არ ირწმუნებს“.

და რომ ვიჩვილო, თვით ჩემს სიკვდილს გავხდი საღანდელს“ — ამბობს იგი.

პორტ პარტმანის აზრით, ჩარუდატა არის პასიურობისა და კონტემპლაციის ტიპური ინდური იდეალი, ე. ი. საპირისპირო ევროპული აქტიობისა. ფიოტიკანგერის რწმენა იმის შესახებ, რომ ევროპისა და აზიას შორის ურთიერთდამოკიდებულება აქტივადური პრობლემაა, ვა-



ნამტიკა „ვისანტასენას“ წარმატებამ გერმანიასა და ინგლისში (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ლოპტეანგერის შეყოყაღების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ევროპული აქტიურობისა და აზიური პასიურობის, „საქმის“ და „სულის“ დაპირისპირება). აზიური პასიურობის ნიმუშია ინდური რელიგია, რომელიც ამა ქვეყნის წარმადობაზე ქადაგებს და გრძნობებისა და პირადი „მეს“ ჩანსობას მოითხოვს.

წარმავალი არის მიწიერი ლობობიერება ამრთელებს მხოლოდ. ვინც გულში იხშობს გრძნობებს საკუთარს, ვინც თვალს შინავანს მიმართებს მზერად და მამოქურად კლავს მეს პირადულს მისთვის გზა ცისკენ იქნება ხსნილი — ამბობს პიესის ერთ-ერთი პერსონაჟი — მათხოვარი ბერი.

მიუხედავად ჩარუდატას პასიურობისა, მისი სიმართლე, სიკეთე და კეთილშობილება ზეიმობს ბოლოს. ახალი მეფე არიკა, რომელიც ჩარუდატას დახმარებით გადაურჩა სიკვდილს, ღირსეულად ასაჩუქრებს თავის მხსნელს.

ჩარუდატას სატრფო ვისანტასენა დახვეწილი ბუნების ქალია. ის ბაიადერაა დაბადებით და არა ცხოვრების ნირის მიხედვით. ლიონ ფოიბტეანგერი თავისი „ვისანტასენას“ წინასიტყვაობაში ვერ მალავს აღტაცებას ამ პერსონაჟით. „სად არის მთელ დრამატულ ლიტერატურაში ქალიშვილი, რომელიც დახვეწილი მგრძნობლობისა და მომზობლავი ციბირებისა ფაქიზ პარმონიულ კულტურასა და მხიარულ ბუნებრივ ტაქტს ევადილივით წმინდა სახეში აერთებდეს, როგორც იგი“—წერს ლ. ფოიბტეანგერი.

ვისანტასენა ყოველთვის თავისი დაამიანური ბუნების პარმონიულად მოქმედებს. ჩარუდატასადმი მისი სიყვარული უაწვარაა, წმინდაა. იგი არ იზიზღება პრინცის მდიდრული საჩუქრებით, არ უშინდება მის რისხვას და ბოლომდე ჩარუდატას ერთგული რჩება. ვისანტასენა პატივს სცემს აღმართებს, მათ გრძნობებს. ის თავის მონა ქალს მანდანიკას უსასყიდლოდ აჩუქებს მასზე შეყვარებულ ზარვილაკს. ვისანტასენას ხელგაშლილობა, სიკეთე შეაბნავს ხელს აღდგინებს აზარტულ თამაშზე და პატიოსან კაცად აქცევს. ვისანტასენას სათნოებას პიესის ფინალში მივხვდებით სიამაგიერო. ეს მომზობლავი ქალი კინაღამ იმხსნებრლა პრინცის აუხორციობამ და მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. ახალი მეფე არიკა ათავისუფლებს მას მისი კასტის ტყვეობიდან და აძლევს ქალბატონის საპატიო სახელს.

პიესაში მხილებულია მეფე პალაკასა და მისი ფავორიტის, პრინც ზამსთანაკას ძალმობრება და სისასტიკე. მართალია, მეფე პალაკა უშუალოდ არ მონაწილეობს პიესის მიმქმედ-

ბაში, მაგრამ მის სიმკაცრესა და უსამართლობაზე ჩივიან მისი ხელისუფლებით დაჩაგრულადამიანები.

პრინც ზამსთანაკას სახეში ერთმანეთს ერწყმის დემონური და გროტესკული ნიშნები, ეგერაგობა და კოტაპრუფობა. მისი მეტყველება უაზრო სინონიმების, გაუგებარი ციტატებისა და სულელური კომპოზიციების ნარევია. მას თავი აღამიანადქცეული ღმერთი ჰგონია და ფეხქვეშ თელავს სხვებს, თუ ისინი გზაზე გადაელობებიან. ვისანტასენას მოსაკლავად იგი შუშლილისათვის დამახასიათებელ მოხერხებულობასა და ემშაქობას იჩენს. ლიონ ფოიბტეანგერის შენიშვნით, ხასიათითა და მოქმედებით იგი შექსპირის ზოგიერთ პერსონაჟს ჩამოჰკავს; მასში შეილოვის შურისძიების წყურვილიც არის და კალიბანის სულელური ხრეკებიც. პრინცის მეორე მსხვერპ-

ლი უნდა ვახდეს ჩარუდატა, რომელსაც ის თავის დანაშაულს — ვისანტასენას მოკვლას დააბრალბებს. თავისი წარმოშობით და მდგომარეობით გაყოყაღებული პრინცი მისი დანაშაულის გამაშაქარებების შემდეგაც არ ისჯება. ინდურ პიესაში პრინცი ზამსთანაკა სულმდბალი პიროვნება, ამავე დროს ხელი-სუფლებით აღჭურვილი პირია, რომელიც ფეხქვეშ თელავს სამართალს, ხალხის ზნეჩვეულებებს. ფოიბტეანგერის „ვისანტასენას“ მიხედვით კი იგი სულგლია, დაცინებისა და სინანულის ღირსი და რადგან აღარ შეუძლია ვინმეს ენება მიაყენოს, შეიძლება ეპატიოს დანაშაული. ფოიბტეანგერის აზრით, იმისათვის რომ ზამსთანაკას სახე მივიღოთ, საჭიროა წამოვიწყოთ მის სახეში კომიკური მხარე ანდა მოვახდინოთ ჰებელისა და ნესტროის პოლოფერენტების სინთეზი.

სამეფო კარის მანკიერებათა მამხილებელია პოფმასიტრიცი, რომელიც ერთხანს ზიზღით ურიგდება თავის თანამდებობას და მდგომარეობას, ბოლოს კი თავისი აღზრდილი პრინცის დანაშაულით აღშფოთებული სტოევებს მას და არიკას მხარეზე გადადის.

წინააღმდეგობრივია დაცემული ბრაკმანის ზარვილაკს მხატვრული სახე. მასში იდეალიზმი და ანგარება ერთიმეორეს ერწყმის, ზარვილაკა არიკას ხელს უწყობს ნაწილობრივ პოლიტიკური რწმენისა და ნაწილობრივ სარგებლობის გამო. იგი ქურდობასაც არ თაკილობს, რათა მონობიდან იხანას საყვარელი ქალი, თუმც ძალაც შესწევს დანაშაულის მოსინანიებლად.

პიესის მთავარი მოქმედი პირების ირგვლივ იქმნება მეორეხარისხოვანი პერსონაჟების ჭრელი ფონი. ეს უკანასკნელნი რამდენიმე შტრიხით არიან მოხაზულნი. ესენი არიან შექ-

**რუსულად ნიხიტატრიზმილი**  
ლიონ ფოიბტეანგერის „პინისაზი ლეხსაღ“

სპირიტუალად გაცოცხლებული აზარტული მოთამაშენი, მოსამართლენი, მათხოვარი პერები და სხვ.

ინდურ ორიგინალში ერთ-ერთი პერსონაჟი არის ჩარუდატას ცოლი, რომელმაც ივის თავისი ქმრისა და ვასანტასენის სიყვარულის შესახებ, მაგრამ ვინაიდან ამ ქალს ვინმეწვლევანი დრამატული ფუნქცია არ აკისრია და მისი დამოკიდებულება სხვა ქალზე შეყვარებული ქმრის მიმართ ევროპელი მაყურებლისათვის უჩვეულო იქნებოდა, ლიონ ფოიბტანგერმა ეს პერსონაჟი არ შეიყვანა თავის „ვასანტასენაში“.

„ვასანტასენას“ ენა მდიდარი და ძარღვიანია. ეს არის პროზისა და პოეზიის ნარევი. დრამატულისა და ეპიურის კავშირი პიესაში ენობრივად დასტურდება. არ ღალატობს რა ინდურ თეატრალურ პრაქტიკას, რომელიც არ იყენებდა დეკორაციებს, ფოიბტანგერი სარგებლობს ვრცელი აღწერებით. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ დეკორაციების უქონლობა ამის უფლებას არამც თუ აძლევდა დრამატურგს, არამედ აძულებდა კიდევ, რადგან უდეკორაციო პიესაში ილუზიას სიტყვა ქმნის მხოლოდ. აღწერებში ჩანს ავტორის დაუშრეტელი შვერბეულობა. ლ. ფოიბტანგერის შენიშვნით, მრავალფეროვანი სურათები ისე ეხვევიან პიესის მთავარ აზრს, როგორც ტროპიკული ლიანები, რომლებიც ხის სასიცოცხლო ძალას ემუქრებიან. „ვასანტასენა“ მდიდარია პოეტური შედარებებით. შესანიშნავია პუშპაკარანდავას პარკის, ქვეა-ქუხილის, ვასანტასენას სახაზლის აღწერა. ბუნება ცოცხლდება სიტყვებში, მთელა თვისი დიდებულებითა და მშვენიერებით: ცა წყლის ნაკადებით ეშვება მთარს; ელვის ალი, წითლად მიეღვარა; მოისწრაფვის ღრუბელთა მუღლისაკენ და ცა სისარულით ეხვევა სატრფოს. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ტროპიკული შუადღი, ჩრდილში მყოლიარე ძილნაყავი საქონელი, დაცარიელებული, მზით გაკავშავებული შეკები.

„ვასანტასენას“ მოქმედი პირები ისტატის ხელით გამოქრწილი მხატვრული სახეებია. მათ ახსიათებთ არა მარტო საკუთარი მოქმედება ან სხვათა შეხედულებანი მათზე, არამედ საკუთარი მეტყველება. პუშპაკარანდავას პარკის სილამაზეს ჰოფმასტერიც აღწერს და პრინციც, მაგრამ ჰოფმასტერი ავლენს დახვეწილ გრძნობას და ბუნების სილამაზის შეგრძნების უნარს, პრინცი კი იყენებს უაზრო შედარებებს, კომპოზიტებსა და ხელოვნურ „მხატვრულ“ ხერხებს.

ლ. ფოიბტანგერის „ვასანტასენა“ პირველად 1924 წელს იხილა გერმანულმა სცენამ. მისი განახლებული წარმოდგენა, როგორც ზემოთაღ იყო აღნიშნული, განახორციელა ბერ-

ლინის მაქსიმ გორკის სახელობის თეატრში 1960 წ. (რეჟისორი ჰორსტ შონემანნი) 1924 წლის დადგმისაგან განსხვავებით, სადაც უნდა იყო წამოწეული ლირიული რომანტიკა, ჰორსტ შონემანმა, ვალტერ პოლაცის გადმოცემით, „ერთაშენსხულ მხიარულებას“ გაუსვს ხაზი. 3. შონემანის ჩანაფიქრით მაყურებელს ერთაწუთითაც არ უნდა დაეწყებოდა ის, რომ თეატრში იმყოფებოდა. დახატული დეკორაციები ეშვებოდა ძირს და ისეც მალა აღიოდა მაყურებელთა თვალწინ. რთვა ვინმე დახატულ სახლიდან გამოდიოდა, სახლის კედელი შუახ იყოფოდა, ხსუბის საჩვენებლად მებრძოლები აკობატულ ნომრებს ასრულებდნენ, ხოლო გონვის ხმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ამცნობდა მაყურებელს, რომ წყალიც ჩაედებულმა ქვეშა ფსკერს მიიღწია. რათა არ დაერღვია სპექტაკლის სტილი, 3. შონემანმა აჯანყებული ხალხი უკანა პლანზე გადასწია, მაგრამ ისე რომ სახალხო სცენების რეალისტურ გლერაობას არაფერი წაუვია. პრესაში აღინიშნა მსახიობების (ჩარუდატანგერი ეოლოფი. ვასანტასენა — კარინ, ლემა) მიერ ლექსების წინებული წყაიხება.

1915 და 1916 წლებში გამოსცა ფოიბტანგერმა ესეილეს „სპარსელების“ თავისუფალი თარგმანი. ფოიბტანგერის დანტერესება ამ ტრავედიით არ ყოფილა შემთხვევითი. იგი თვლიდა, რომ „სპარსელებში“ დიდი გავლენა იქონია მის შეხედულებებზე ელიზური ხასიათის და ისტორიის შესახებ, თუმც მისი ინტერესი სპარსელებისადმი მხოლოდ წმინდა ფეოლოგიური არ უნდა ყოფილიყო. უდავოდ მხედველობაშია მისადები ის გარემოება, რომ ფოიბტანგერმა „სპარსელებზე“ მუშაობა პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო და ამ ომის მსვლელობის დროს დაამთავრა. ეს ომი კი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო შვერლის ცხოვრებაში. 1938 წელს ერთ-ერთ სტატიაში იგი წერდა: „დღეს დანამდიელებით ვიცი, რომ ორმა დიდმა მოვლენამ განსაზღვრა ჩემი ლატერატურული განვითარება: იმპერიალისტური ომის განცდამ და განცდამ სოციალისტური საზოგადოებისა საბჭოთა კავშირში. ეს ორივე განცდა მე დამეხმარა იმაში, რომ განვითავიფლავილიყავი გარყვეული ცრურწმენებისაგან ჩემი კლასისა, რომელშიაც დავიბადე და ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ვავატარე“.

ომმა მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია ფოიბტანგერის შეხედულებებში: „მან (ომმა — რ. ც.)... მიმეყვანა ესთეტიკურ-ფორმალური მხარის, ნიუანსის გადაჭარბებული შეფასებლადან რეალიზამდე“ — წერს ლ. ფოიბტანგერი — ეს კი უკვე ნიშნავდა ძველი თვალსაზრისის — ხელოვნება ხელოვნებასათვის“ უარყოფას და ხელოვნების საზოგადოებრივი როლის აღიარებას.

ომის პერიოდში დაწერილი ნაწარმოებები



მოწმობენ, რომ ფოიბტვანგერის სძულდა ომი. ომისადმი ზიზღმა მოაკიდინა მას ხელი ესქილუს „სპარსელებზე“, „სპარსელები“ ზომის ნაწარმოებია, რომელიც ასახავს უკუწინა დანაშაულები ომის ტრაგიკულ დასასრულს. მის მძლავრ ლექსებში, ჰანს ლიობოლდის სიტყვიერით, აისახა ძალაუფლებას მოწყურებულთა ქედმაღლობა და შაით დასჯა.

დაიწყო რა „სპარსელებზე“ მუშაობა, ფოიბტვანგერი პირველ რიგში ცდილობდა შეენარჩუნებინა ორიგინალის ლექსის ელერადობა. ეს მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე აზრის სიზუსტის დაცვა. ფოიბტვანგერი „სპარსელებს“ თვლიდა ყველა დროის საუკეთესო ნაწარმოებად ომისა და გამარჯვებაზე. ამ ტრაგედიის თავიდან ბოლომდე დამატებულთა ტანჯვა ავსებს. არც ერთი ბერძენი არ გამოდის სცენაზე, არც ბერძენულ სიტყვებს ვისმენთ და არც გამარჯვებულთა საზეიმო შექაზებებს. და მაინც ამ ნაწარმოების ყოველ სტროფში ელერის ნათელი პათოსი, ფანფარული და ფოიბტვანგერის მიზანია, მისივე სიტყვიერით, ამ ნათელი პათოსის, ფანფარების ელერადობის, ნაწარმოების იდეალური ელფერის შეგრძნება იყო და არა ფილოლოგიური პედანტური სიზუსტე.

„სპარსელებს“ ფოიბტვანგერმა დაუწერა წინასიტყვაობა, რომელშიც ჩანს ავტორის დრამა ფილოლოგიური ცოდნა და ერთდროული ტექნიკურად „სპარსელები“, ფოიბტვანგერის აზრით, საკმაოდ მოუქნელია და მთლიანად ვერ ემორჩილება ბერძნული ტრაგედიის მეტრიკ და მშვენიერ კანონებს. ეპიურობა და ლირიზმი ამ ტრაგედიის უფრო ძლიერია, ვიდრე დრამატულობა და პირველი ორი მილიონად ვერ გადაიჭრება უკანასკნელში. ესქილეს თავის თანადროულ ამბებს, რომლებიც მან და მისმა თანამედროვე მაყურებელმა საუკეთესო ზურგზე გადაიტანეს, ცვლის საპირისპირო აზრით, თუ ეს მისი ნაწარმოების გვერდისათვის არის საჭირო. ესქილეს თავი ისე უჭირავს, თითქოს დარიალს არც ერთბელ არ დამარცხებულიყოს ბრძოლაში (ცნობილია დარიალის ავბედითი ლაშქრობა სკვითების წინააღმდეგ). ელდოფალი ატრისა ესქილესთან ღირსეული ქალია, სპარსელებისა და შვილის, ქსერქსეს, ბედით დაინტერესებულ და შეუფთავებული. ბერძენების გადმოცემით კი, ატრისა იყო საშუაო ინტრიგანს და ელინური ომების ამტები. ესქილესთან ატრისა ფიქრები მსოფლიდ ბერძენების დასალაშქრავად წასულ ქსერქსეს ევლება თავს. ავსიმოქსევებელი სიზმრები მოწყურებული ატრისა ქორის უზიარებს თავის გულსტყვივლს. შიკრიკს მოაქვს ამბავი სპარსელთა ვანადგურებისა. შიკრიკის სიტყვებს ქორიც ბანს აძლევს. ეს ტანჯავოდება სპარსელებისა პიესის ბოლომდე არ ცხრება. „სპარსელებში“ უდავოდ ცოტა მოქმედება და ძლიერია ლირიზმი. ეს კარვად ეს-

მოდლა დ. ფოიბტვანგერის. ტრაგედიის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავს, ზოგმა შეიძლება ნაწარმოებს უსაყვედუროს, რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა ვარიაციები ერთ თემაზე: „ვაი ჩვენ საცოდავი სპარსელები დავმარცხდით, მაგრამ სწორი არ იქნებოდა ასეთი დასკვნის გაკეთება. „სპარსელებში“ შესანიშნავია სალამისთან ბრძოლის აღწერა, ძველი დროის ვანადგობა და აღმოსავლეთისათვის ჩვეული მწუხარების ველური ორგია. როცა შიკრიკი სალამისთან ბრძოლის ტრაგედიას გადმოსცემს, იცვლება ლექსის ელერადობა: იგი უფრო მღორე, მძიმე ხდება და თსრობის ტონს უახლოვდება, ხოლო როცა ტანსაცემლმწიფელოგილი სასომხიდილი ქსერქსე მოთქვამს და ქორიც ჩივის მასთან ერთად, ფოიბტვანგერის ლექსი მოქნილი და მსუბუქია და მტანჯულ განცდებს ცოცხლად გადმოსცემს. ქსერქსეს უბედურება სხვა ომის გამაღებლებისთვისაც უნდა იყოს ქვეის სასწავლებელი:

„ქსერქსე: ვაი გზავ სპარსეთის! რაოდენ მრისხანე, მძიმე ხარ.

ქორი: ვაი ქსერქსე: ქალაქში ისმოდეს ვოდება.

ქორი: მოსთქვი და იტირე.

ქსერქსე: ვაი გზავ სპარსეთის, რაოდენ მრისხანე, მძიმე ხარ! შიკრიკიცხვანა ბერძენები იმარჯვევენ სპარსელებზე და საიქიოდან გამოწვეული დარიალის არღლი რჩევას აძლევს ქორის, ამიერიდან სპარსეთმა აღარ სცადოს ელადის წინააღმდეგ ვალაშქრება, ე. ი. ხელი აღოს ძალმომრებობაზე.

„სპარსელები“ წარმოადგენს მოწოდებას, თუმცა არაპირდაპირს, პირველი მსოფლიო ომის წინააღმდეგ. მიუხედავად ნაწარმოების აშკარი იდეური მიმართულებისა, ფოიბტვანგერის ბერძენმა თანამედროვემ ვერ გაიგო იგი. „სპარსელები“ არ შეიძლება ჩაითვალოს ესქილეს ნაწარმოების ტრადიციულ თარგმნად. ფოიბტვანგერმა პირველ რიგში ცდილობდა შეენარჩუნებინა ნაწარმოების საერთო განწყობილება. ლექსისი ელფერი და არა ტექსტის სიზუსტე, მაგრამ მის თარგმანში არც ორიგინალის ტექსტისა მანცდამანც უფლებებულოფილი. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა თურმე ფოიბტვანგერს უსაყვედურა, რომ მან ბუნდოვანი ესქილეს ვასაგები ვახადა, მეორე რეცენზენტმა კი შენიშნა, რომ ესქილეს „სპარსელების“ თარგმანის დროს პოეტრი ფოიბტვანგერი წინ უძღოდდა ფილოლოგს. ამე თავს უფლებას მეფიც, ორივე რეცენზიონდან სათანადო დასკვნა გამოვიტანო. — წერდა ფოიბტვანგერი ამასთან დაკავშირებით, — რომ მიიგონია შუალედური გზა ფილოლოგიასა და პოეზიას შორის“.

რუსულად ციხიშინატირეშვილი  
ლსონს შინაპტანბნბრის „პინსმბი ლმესად“

პირველი მსოფლიო ომის უშუალო გავლენით არის დაწერილი ფოიბტკანგერის „ზაგი“ არისტოფანეს „აქარნელების“ და „ზავის“ მოტივებზე. ხელი მოჰკიდა რა „ზავს“, ფოიბტკანგერის განზრახული არ ჰქონია არისტოფანეს თარგმანებისათვის კიდევ ერთი მიემატებინა. მისი მიზანი იყო, არისტოფანეს ზემოთ აღნიშნული ორი პიესა ერთ ნაწარმოებად გადაეკეთებინა ისე, რომ გერმანულ საზოგადოებას მისი გავლენა შექმლებოდა ფილოლოგიური მომზადებისა და განმარტების გარეშე. ამისათვის ფოიბტკანგერს მოუხდა უამრავი ადგილის, თვით მთელი სტენების გამოტოვებაც კი, რომლებიც კომენტარის გარეშე გაუგებარი იქნებოდა. რათა თავი დაეღწია საფრთხისათვის, რომელიც ნაწარმოების სიძლიერის ემუქრებოდა, ლიონ ფოიბტკანგერმა არისტოფანეს „ზავის“ მთელი რიგი სტენებით და ცალკეული ადგილებით გაამდიდრა „აქარნელების“ ფაბულა. იგი ფიქრობდა, რომ ამ კონტამინაციით ნაწარმოების ნერვს ზიანი არ მიაყენებდა.

მართალია, „ზავის“ წინასიტყვაობაში ლ. ფოიბტკანგერი აცხადებს, რომ ცდილობდა თავი აერიდებინა ძლიერი აქტუალიზაციისათვის, ცვლიდა რა ანტიკურ ცნებებს თანამედროვე სიტყვებით, მაგრამ ეს აქტუალიზაცია მაინც ძალზე საგრძნობი და თვალშისაცემია. ანაქრონიზმებიდან, რომლებსაც „ზავში“ თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით, შეიძლება დარაღინიშდგავსახელები: ნაიოიან-ეკონომიური, სამხედრო წინასიტრო, მათონეზი, ფლორის მობილიზაცია, მეფაბრივე, ქანდაკებები და სხვა.

ფოიბტკანგერმა უკვე მოძველებულ პოლიტიკურ მინიშნებებს დიდი სიფრთხილით მისცა, აქტუალური სახე, ლიტერატურული პაროდირების შეცვალა გერმანელი კლასიკოსებიდან ამოღებულ ციტატებით. ფოიბტკანგერის აზრით, ევრიპიდედან ნასესხებ პაროდირულ ციტატებს ემყარება არისტოფანეს ნაწარმოებების კომიკური ზემოქმედება; ამიტომ ამ ციტატებზე უარის თქმა ნიშნავდა ნაწარმოებისათვის მნიშვნელოვანი ორგანოს მოკვეთას. მეორეს მხრივ, ფოიბტკანგერი თვლიდა, რომ მისი თანამედროვე ფილოლოგიური საზოგადოებისათვის გაუგებარი და უინტერესო იქნებოდა ევრიპიდესეული ციტატები, რის გამოც მან „ზავში“ შეიტანა მონაკვეთები გერმანელი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან.

ფოიბტკანგერი იცნობდა ვილჰელმ ზიუსის მიერ დაწერილ არისტოფანეს ანალიზს და მოსწონდა იგი. თავის ანალიზში ზიუსი არისტოფანეს კომედიის სქემას ჰანსეურატულად თვლის. ამ კომედიის ცენტრში დგას კასპერლე, ტაიპასხარა, რომელიც მტერს ჭერ ლოყას მიუშვით სილის მისაღებად, რათა მეორე წუთში თვითონ სცემოს მას. თუ შეიძლება ჰანსეუ-

რისტის ფსიქოლოგიურ ფუნქციაზე <sup>ლაბაიოქ</sup> არისტოფანეს კომედიებში, ყურადღებას უნდა მიექცეს იმას, რომ იგი ნიღაბს ხდის <sup>სტრანსპარენსი</sup> და გონებრივ უჩვეულობას და წარმოგვიდგენს მას, როგორც ცარიელს, უაზროს და სასაცილოს. ამ ეფექტების მისაღწევად არისტოფანე ყოველგვარ საშუალებას იყენებს, იქნება ეს სიტუაციითა კომიზმი, ტლანქი ხუმრობა თუ უხეში ასოციაციები და კალამბურები. მთავარ როლს აქ ასრულებს ჰამის, საქმლის მონელებსა და სექსობრივი აქტის ფუნქციები. ფოიბტკანგერიც არ უვლის გვერდს მსგავსი ზერხების გამოყენებას „ზავში“ (მაგალითად, ლამაქეს მუზარადის ჯიღას დიკაიოპოლისი გულის არევის საშუალებად იყენებს), რადგან თვლის, რომ ისინი საჭიროა მთავარი მიზნის მისაღწევად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაზე უხეში ადგილები არისტოფანეს კომედიებიდან ფოიბტკანგერმა თავის „ზავში“ არ შეიტანა, რადგან მათი ჩვენება სცენაზე, მისი აზრით, ძნელი და უსიამოვნო იქნებოდა. ერთი სიტყვით, ფოიბტკანგერმა შექმნა მახვილი და ბურთულსკური პიესა, არისტოფანეს ნიქისა და განწყობილების შესაბამისად.

ფოიბტკანგერის „ზავი“ საინტერესო და აქტუალური ნაწარმოებია იმით, რომ პირველი მსოფლიო ომის ვითარებაში ჰგომის ომს, სისხლის ღვრას. ამ კომედიაში მოცემულია ორი ბანაკის წინააღმდეგობა: ერთის მხრივ, მშრომელი ადამიანების პაციფისტური განწყობილება, მათი სურვილი ბოლო მოეღოს ომს; მეორეს მხრივ კი, აღვირახსნილი დემაგოგია წრებიდან, რომლებიც ომისაგან სარგებლობას გამოედიან. როგორც არისტოფანესთან, ასევე ფოიბტკანგერის პიესაში მშვიდობას აბსტრაქტული როტორიკის მეშვეობით როლი უმდერია. მას საქმით იცავენ. მიწათმოქმედ დიკაიოპოლისი, ომის საწინელებით შეუუხებელი, კერპობით ზავს სდებს სპარტელებთან ღმერთ ამფითეოსის დახმარებით და დებულობს ზავის ღვიზის. დიკაიოპოლისი გახარებულია, რადგან ზავი უზრუნველყოფს თავისუფალ ვაჭრობას. აქარნელების ნაწილი დიკაიოპოლისის მხარეზეა, მეორე ნაწილი კი მოლაღატედ მიიჩნევს მას და ქებებს ესკროს, მაგრამ დიკაიოპოლისი ყველას არწმუნებს თავის სიმართლეში, მასთან ერთად ხარობს ქორო:

„ო, როგორ ვწყველი, როგორ ვწყველი, როგორ მძულს ომი. ჩემი სამშავი კრულვა მას“, ამბობს იგი.

ომის მომხრეთა ბანაკი წარმოდგენილია ლამაქეს სახით, რომელიც არისტოფანესთან სარდალია, ფოიბტკანგერთან კი კაპიტანი. ომის მოსურნე და მისი დამცველი ლამაქე მარცხდება: სისხლში და ჭუჭყში მოთხვრილი შემოკავით სცენაზე მსახურებსა და მონებს. ის ჩივის თა-



საქართველოს  
წიგნების კავშირი

ვის ბედზე, დიკაიოპოლისს კი მშვიდობის ზე-  
იმზე მიუხარია. მისი კერძობითი ზავი მთელ  
ქვეყანაზე ვრცელდება. დიკაიოპოლისის რჩევით  
ქორო უმღერის ეირენეს, მშვიდობის ქალ-  
ღმერთს. ხალხი ლოცავს დიკაიოპოლისს, ომის  
დამთრგუნველსა და ზავის მათწყებელს. ზავი  
ახარებს ყველას, ვინც მშვიდობიან შრომას  
წეწვია: მიწათმოქმედს, ნამგლების მკედელს,  
იარაღის ფაბრიკის პატრონი კი სწუხს, რომ  
ზავის შემდეგ მათხოვრობა ელის.

დიკაიოპოლისი იმარჯვებს იმიტომაც, რომ  
მართალ სიტყვას ეუბნება ხალხს გაბატონებულ  
წრეზე, რომელიც ომის ქარცეცხლში უბრალო  
ადამიანებს აგზავნის, თვითონ კი თბილ ადგი-  
ლებზე მოკალათებული და თავის შვილებს ელ-  
ჩებად უშვებს სხვა ქვეყანაში ჯიბის კიდევ უფ-  
რო მეტად გასქელების მიზნით.

ფოიბტვანგერმა თავისი „ზავისათვის“ ტონუ-  
რად გარითმული ლექსი (Knittelvers) აირჩია,  
რადგან თვლიდა, რომ იგი ყველაზე უფრო  
სწორად გადმოსცემდა ტექსტის ბაროდიულ  
ფონეტიკურ ეფექტებს, კომიზმს, მრავალფერო-  
ვან ასოციაციებს.

ფოიბტვანგერის ლექსი „ზავში“ ძალდაუტან-  
ებელი, მსუბუქი და მსატყრელია. განსაკუთ-  
რებით ძლიერია მშვიდობის ზემის აღწერა, ქო-  
როს მიმართვა ეირენესადმი, ლამაქეს გასაპვი-  
რის ასახვა.

1955 წ. 2400 წელი შეუსრულდა არისტოფა-  
ნეს დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით  
ჰანს ოტოს სახელობის თეატრმა პოტსდამში  
განახორციელა ფოიბტვანგერის „ზავისა“ დად-  
გმა. ამ დადგმის შესახებ იურგენ რიულე წერ-  
და, რომ იგი უფრო აქტუალურია, ვიდრე უკა-  
ნასკენელი წლების თანადროული პიესები.

პიესა დადგა კურტ რაბემ, მუსიკა დაუწერა  
კურტ გერდესმა. გაზეთი „ზონტაგი“ (1955 წ.  
16 იანვარი, № 3) მიესალმა სპეტაკს, როგორც  
მშვიდობის სადიოებელს. „ეს იყო ერთ-ერთი  
იმ საღამოთავანი, როცა ჩვენი თეატრის ცხო-  
ველმყოფელობა უფრო ძლიერ განვიცადეთ,  
ვიდრე ეს ხშირად დედაქალაქში გვიგრძენია“ —  
წერდა რეცენზიის ავტორი იურგენ რიულე.

ლიონ ფოიბტვანგერის „ზავი“ დღესაც ინარ-  
ჩუნებს აქტუალობას ომის საწინააღმდეგო ტენ-  
დენციით, მშვიდობის სიყვარულით.





# პსკიდან

## ა უ შ

ჯ. ბ. მუხტისი  
მედიის ცენტრი

რეცენზენტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამერიკელი მწერალი ქალის — ჯოის კეროლ ოუტისის, ახალი, რიგით მეექვსე რომანი — „მომეტყუარი რომანტიკის გენეზისი“, საუკეთესოა მის აღზრდილ ნაწარმოებთა შორის, ოღონდაც ზოგ გამომწვევებში სინანულიც იგრძნობა, კრიტიკოსთა მცირერიცხოვან წგუფს ოუტისის ახალი რომანის სწორედ ის თავისებურებანი აღიზიანებს, რაც სხვათა აზრით მწერლის გამარჯვებაა.

„რომანი შთამბეჭდავია, — წერდა ამერიკული გაზეთი „ინტერნეშნლ შერალდ ტრიბუნა“, — ოუტისისათვის ნიშნულია დავიარეების სიზუსტე და თბრობის დინამიკა, მწერალი ქალი შეიგრძნობს და შეითხველბაც განაცდევინებს ცხოვრების საწინელებებს“.

რომანის მთავარი მოქმედი პირი — ელენა, ოზონია, თუმცა მამა ცოცხალი ჰყავს... დედამ მამამისს მშობლის უფლებებში ჩამოართვა და აიძულა მიეტოვებინა ქალაქი, სადაც მისი ქალიშვილი ცხოვრობდა. დედის მპრძანებლური სიყვარული ელენას მართოსულად აქცევს, ადამიან-

ნად, რომელსაც წარავს ვანცლა საკუთარი არარაობისა. გოგონა ლამაზ თქონად იზრდება, მერე კი, როცა წამოიზრდება, ცოლად მიჰყვება ცნობილ ადვოკატს. რომანში ელენას მეუღლე, დედამისის მსგავსად, აქტიური ადამიანის ვანსაბიერებაა. ახალგაზრდა ქალი სრულიად უცნობ გარემოცვაში ხვდება, ეს იმ ადამიანთა სამყარო გაზღავთ, ვინც ამერიკულ სამართალს ვანაგებს. ტრაგიკული კონტრასტები უცხო სინამდვილისა ელენას პიროვნებად აუაღიბებს, და იგი ზურგს აქცევს ბედს, რომელიც მახლობელმა ადამიანებმა — დედამ და მეუღლემ მოახვიეს თავს.

## ბელგია

იშვიტატი  
პრესულაშენება

ბელგიური კრიტიკა იშვიტატი ერთსულლოვნებით მიეხალმა ლუის პოლ ბოლის „ახალი რომანის“ — „პიტიკრი დანსის“ გამოქვეყნებას.

საბჭოთა მეითხველი ლ. პ. ბოლის სამი მოთხრობითი ცნობის, ეს ნაწარმოებები: „პომპონის ტუბილი სიციცხლე“, „ნათელი დამე“ და „ჰალუცინაცია“, გამოქვეყნდა კრებულში — „ბელგიური მწერალთა მოთ-

ხრობები“ (შოსკოვი, „პროგრესი“, 1968).

„პიტიკრი დანსი“ დაიწერა იმ დროს, როცა მიანნდათ, ბოლოში საკუთარი თავი ამოწურა... მწერალი ისე ამოწურავად ფლობს მასალას, ვაიწყდებათ კიდევ, რომ თქვენ ფაქტობრივი მონაცემებით იყვებებით“, — წერს კრიტიკოსმა დირკ მარტენსა.

## ბ ღ რ

„ადამი და ევა“

ახე ეწოდება გერმარდ ბენეშის ახალ სატელევიზიო ფილმს, რომელიც რეჟისორმა ჰორსტ ე. ბრანდტმა დადგა. ფილმის ოთხი ნაწილი ერთმანეთს საერთო თემითა და საერთო გმირებით უკავშირდება, ამასთან ყოველი მათგანი განსაზღვრულ დამოუკიდებლობასაც იწარჩუნებს.

ფილმი გვიხატავს სხვადასხვა ასაკის, ხასიათისა და პროფესიის ადამიანთა ცხოვრებას. წამოკრილია ოჯახის, სიყვარულის, ბავშვთა აღზრდის, სამსახურებრივ და ოჯახურ მოვალეობათა ურთიერთშერწყმის, მამაკაცისა და დედაკაცის ურთიერთობის ეთიკის პრობლემები.

ეს გახლავთ ტემპერამენტოანი ფილმი ჩვენი საუკუნის ადამიანებზე, —



წერს ყოველკვირეულ „ზონტაგის“ რეცენზენტო, — ყველაფერი, რასაც კი ვაღმოგვეცემს ფილმი, ახლოა ჩვენი დროის ადამიანებთან, ესაა მათი ცხოვრება, სიხარული და მწუხარება. გერმარდ ბენგშონ რეჟისორ ჰორსტ ბრანდტთან ერთად საინტერესო დეტალებს მიავენ, რომელთა მეშვეობით შეიქმნა რეალისტური და ამასთან ერთად ძალზე პოეტური ფილმი“.

„ამჟამაღსეა ეს საინტერესო სატელევიზიო ფილმი ფართო დისკუსიებს გამოიწვევს“, — წერს გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგის“ რეცენზენტი.

### ინგლისი

პიერს პოლ რიშის „გამოსვლა“

გამოცემლობა „სიერმა და უორბერგმა“ გამოსცა ცნობილი ინგლისელი მწერლის პიერს პოლ რიდის ახალი რომანი „გამოსვლა“. ნაწარმოებში ერთმანეთს ერწყმის ინგლისური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ორი თემა: გზა მაღალი საზოგადოებისაკენ და „სულიერი აღორძინება“ ყოფილი დამნაშავესა, რომელმაც ცოდვები მოიწაია.

ამერიკული ჟურნალის „ტაიმის“ რეცენზენტი წერს: „რიდის ახალი ნაწარმოები ნაყოფია ბრონტესა და გრინის შემოქმე-

დებთან ქორწინებისა“. ბრონტესაგან მწერალს შემკვიდრობად მიუღია ამა ქვეყნის ძლიერთა მსილება. ხოლო გრინისაგან — ინტერესი ქრისტიანული სულის კვლევისადმი.

ავტორი მხოლოდ იმაზე წერს, რაც კარგად იცის — ინგლისის კლასობრივ სისტემაზე, ცრურწმენასა და კლასობრივ წინააღმდეგობაზე.

ნაწარმოების მთავარი გმირი ფლექტერი ხაუთარი „დანაშაულისა და სასჯელის“ ამბავს მოგვითხრობს.

რიდის ახალ რომანში გამოყენებულია სენსაციური ლიტერატურის ყველა ატრიბუტი. რეცენზენტთა აზრით მელიოდრამატული სცენებიც კი ისე მუქადა შესრულებული, რომ ფლექტერის ცხოვრება აღიქმება როგორც ბოროტების სიმბოლური სურათი.

### ინდოეთი

სამართაშორისო პრემია

ინდოელი რეჟისორის სატიაჯიტ რაის ფილმი — „შორეული ქუხილი“ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე პირველი პრემიით — „ოქროს დათვი“ — დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ ბერლინის კონკურსის ჟიური უკვე მეოთხედ ანიჭებს ამ ცნობილ ოსტატს ლაურეატის წოდებას.

### ბანდა

ოსტინ კლარკის სიხარული და ცრემლები

ტორონტოს გამოცემლობა „ანაზიმ“ გამოსცა კანადაში მცხოვრები ვენტინოელი მწერლის — ოსტინ კლარკის მოთხრობათა პირველი კრებული. ამერიკული ყოველკვირეული „პაბლიშერს უიკლის“ რეცენზენტი ლა ჟურნალ „კანადენ ლიტერერს“ კრიტიკოსი აღნიშნავენ, რომ ამ კრებულით ოსტინ კლარკმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა უჩვეულო ტალანტი მთხრობელისა, იგი ენის ვირტუოზული მფლობელია და ძალუძს თავის დაკვირვებათა მაღალმატერული ფორმით გადმოცემა.

ოსტინ კლარკის მოთხრობათა გმირები ტორონტოსა და სამხრეთ ამერიკის მცხოვრებლები არიან.

წერილობაიანობის მიუხედავად მწერლის პირველი წიგნი, კრიტიკოსთა აზრით, მოვლენა თანამედროვე კანადურ ლიტერატურაში, ვინაიდან „თემათა სიფიროვე გამოსყიდება მაღალი ოსტატობითა და დაკვირვების სიღრმით, მწერალი დაჟინებით იკვლევს ცხოვრებას, ამჩნევს და ჩვენც განვაცდევინებს ადამიანების სიხარულსა თუ ცრემლს“.



ტიქნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

კრიტიკონა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშეტეს ერთი ხაავტორთა  
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ. შგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის  
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 21/I-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/III-74 წ., ქალაღდის ზომა  
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირთბით ფორმათა რაოდენობა 14. საადრ-საგ.

თაბახი 14,5

შეკვეთა № 277

უე 01668

ტირაჟი 31.000

3260 60 323.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236